

მართლმსაჯულება **1**'15
კანონი

Justice and Law Legal Journal
#1(44)'15

რედაქტორი
ნინო ძიდიგური

რედაქტორის თანაშემწე
ირმა ბეჟაური
ნომერზე მუშაობდნენ:
ინგა ალავიძე, მარინე ვასაძე
თარგმანი:
თამარ ნეფარიძე
დიზაინი:
ბესიკ დანელია
ფოტორეზურველყოფა:
დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:
დიანა ბერეკაშვილი
თამარ ზამბახიძე
ინგა კვაჭანტირაძე
კონსტანტინე კუბლაშვილი
ზაზა მიშვილი
ვალერი ტსერცვაძე

Editorial Board:
DIANA BEREKASHVILI
TAMAR ZAMBAKHIDZE
INGA KVACHANTIRADZE
KONSTANTINE KUBLASHVILI
ZAZA MEISHVILI
VALERI TSERTSVADZE

Editor:
NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:
IRMA BEKAURI

The issue was prepared by
INGA ALAVIDZE, MARINE VASADZE

Translated by
TAMAR NEPHARIDZE

Designed by
BESIK DANELIA

Photo support by
DAVID KHIZANISHVILI



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უპკ (UDC) 340.11+340.130.5
მ-306

ISSN 1512-259X

სარჩევი / CONTENTS

- 5 ომარ ჯორბენაძე
რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასვენისა და მოწმის
ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო
ჩვენებების მიცემის თაობაზე
SEVERAL OPINIONS ON PERJURED TESTIMONY, FALSE REPORTING AND
SUBSTANTIALLY INCONSISTENT TESTIMONIES OF WITNESS OR VICTIM
OMAR JORBENADZE
- 15 ევა გოცირიძე
იმპიჩმენტის პოლიტიკური ბუნებისათვის
IMPEACHMENT SHOULD ACQUIRE POLITICAL NATURE
EVA GOTSIRIDZE
- 44 ნინა კამენსკაია
სამართალურთიერთობების ობიექტის გაგების
კონცეპტუალური მიდგომები – განახლებული შეხედულება
პრობლემის გადასაწყვეტად
CONCEPTUAL APPROACHES FOR UNDERSTANDING THE OBJECTS OF LEGAL
RELATIONSHIPS: UPDATED OPINION FOR SOLVING THE PROBLEM
NINA KAMENSKAYA
- 50 კობა ბუაძე
გონივრული ეჭვისა და შინაგანი რწმენის სამართლებრივი და
ფილოსოფიური მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში
THE LEGAL SIGNIFICANCE AND PHILOSOPHICAL OF REASONABLE DOUBT AND
PERSONAL CONFIDENCE IN THE CRIMINAL PROCESS
KOBBA BUADZE
- 56 მალხაზ ლომსაძე
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი
BASIS OF CRIMINAL RESPONSIBILITY
MALKHAZ LOMSDAZE
- 74 მიხეილ გაბუნია
კრიმინოლოგია და აზარტული თამაშები
CRIMINOLOGY AND GAMBLING GAMES
MIKHEIL GABUNIA
- 81 ნატალია კოვალი
უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო,
საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებისა და
სამსახურების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები
ORGANIZATIONAL-LEGAL FORMS OF COORDINATION, CONSULTATION,
ADVISORY AND OTHER SUPPORT BODIES AND SERVICES UNDER
THE PRESIDENT OF UKRAINE
NATALIA KOVALI

88 ქმთევან ჩეჩელაშვილი
მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის
განხორციელებაში

PARTICIPATION OF CITIZENS IN LOCAL GOVERNANCE
KETEVAN CHECHELASHVILI

98 თორნიკე ნემსწვრიძე
მოურავის სამოსამართლო კომპეტენცია გვიანფეოდალური
საქართველოს სამართლის მიხედვით

JUDICIAL AUTHORITY OF MOURAVI ACCORDING TO THE LAW OF LATE
FEUDAL GEORGIA
TORNIKE NEMSTSVERIDZE

112 ქმთევან კვინიკაძე, გრიგოლ ჩხაიძე
მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში და მისი სუბიექტები –
მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები

BURDEN OF PROOF IN CIVIL PROCEEDINGS AND ITS SUBJECTS – CLAIMANT,
RESPONDENT, OTHER PARTIES
KETEVAN KVINIKADZE, GRIGOL CHKHAIDZE

123 ლევან კოკაია
საინვესტიციო ფონდების სამართლებრივი რეგულირება
საქართველოში და მისი სრულყოფის ზომიერითი საკითხი

LEGAL REGULATION OF INVESTMENT FUNDS IN GEORGIA AND SOME
ISSUES FOR IMPROVING THEM
LEVAN KOKAIA

134 დავით ლობჯანიძე
მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის თავისებურებანი

PECULIARITIES OF CHILD UPBRINGING
DAVID LOBZHANIDZE

141 ელენე კავთუაშვილი
სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და მედია

CRIMINAL JUSTICE AND MEDIA
ELENE KAVTUASHVILI

რამდენიმე მოსაზრება ცრუ ჩვენების, ცრუ დასმენისა და მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემის თაობაზე

ოპარ ჰორბენაძე

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

რამდენიმე წლის წინათ, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი 371-ე პრიმა მუხლი – მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემა, ეს ახალი ნორმა პირდაპირ კავშირშია კოდექსში მანამდე არსებულ ნორმებთან – „ცრუ ჩვენება“ (მუხლი 370) და „ცრუ დასმენა“ (მუხლი 373).

ჩვენს მიზანს წარმოადგენს ზემოხსენებული ნორმების ურთიერთმიმართებისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების შესახებ ზოგიერთი საკითხის განხილვა.

რა თეორიული და პრაქტიკული პრობლემები არსებობს ამ კუთხით?

370-ე მუხლის შენიშვნის ამოღებამ, რომლითაც მოწმე ან დაზარალებული თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან ცრუ ჩვენების მიცემისათვის, თუ ამის შესახებ ნებაყოფლობით განაცხადებდა

პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხოლოდ ნაწილობრივ მოხსნა არსებული პრობლემები, კერძოდ:

ცრუ ჩვენებისა და ცრუ დასმენის ნორმები ერთმანეთს გადაფარავს და ფაქტობრივად ერთ ქმედებას ორი ნორმა აწესრიგებს. მეტი სიცხადისათვის, განვიხილოთ რა არის ცრუ ჩვენება და ცრუ დასმენა. კოდექსი ამ ტერმინებს არ განმარტავს. რეალურად ცრუ ჩვენება შეიძლება მოიცავდეს ცრუ დასმენას, ან პირიქით – ცრუ დასმენა შეიძლება გაკეთდეს ცრუ ჩვენების მიცემისას. თავისთავად „ცრუ ჩვენება“ გულისხმობს არა მარტო „ჩვენებას“, არამედ ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების დროს მიწოდებულ ინფორმაციას – ამოცნობა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩვენების ადგილზე შემოწმება და სხვა. ჩვენება შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს მხოლოდ ფაქტის შესახებ და ამ დროს განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება არის ცრუ ჩვენება კლასიკური გაგებით, ხოლო თუ ჩვენება შეიცავს არა მარტო ფაქტის აღწერას, არამედ მიუთითებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ და ეს წინასწარი განზრახვით მიწოდებული არასწორი ინფორმაციაა, ეს ჩვენება ერთდროულად არის „ცრუ ჩვენებაც“ და „ცრუ დასმენაც.“ სწორედ აქ აწყდება პრაქტიკა უმთავრეს პრობლემებს, კერძოდ: სსკ-ის 370-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად – ცრუ ჩვენების მიცემა, „თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში“ – ისჯება...; ამავე დროს, 373-ე მუხლის მეორე ნაწილი ფაქტობრივად, აყალიბებს იგივე შემადგენლობას – ცრუ დასმენა, „თუ მას თან ერთვის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდება“ – ისჯება...

ვიღებთ შემდეგ სიტუაციას: მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენებაში კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ განზრახ არასწორი მითითება ერთდროულად არის ცრუ ჩვენებაც და ცრუ დასმენაც. როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის, ასევე სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი პრინციპია, რომ როდესაც ერთი და იგივე ურთიერთობებს აწესრიგებს ორი ნორმა, პირისათვის გამოყენებული უნდა იქნას ყველაზე საშეღავათო ნორმა და სასამართლოს თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში მოუწევს მსჯელობა კოდექსში არსებული ორი ერთი და იგივე შინაარსის ნორმიდან რომელი გამოიყენოს.

რამდენიმე სიტყვით კიდევ შევეხებით საკითხს, რატომ არის თითქმის ერთი და იგივე ცრუ ჩვენება და ცრუ დასმენა 370-ე და 373-ე მუხლების გაგებით. ამისათვის უნდა გავიხსენოთ, რომ კოდექსში არსებობდა სპეციალური ნორმა – 148-ე მუხლი – ცილისწამება დანაშაულის დაბრალებით. ეს ნორმაც ერთი შეხედვით იგივე ურთიერთობებს აწესრიგებდა, რაც ჰგავს ცრუ დასმენას, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავება იყო თუ რა ვითარებაში, რა წესით ხდებოდა პირისათვის დანაშაულის ჩადენის დაბრალება, რაც სამივე დანაშაულის შემადგენლობისათვის (148-ე, 370-ე და 373-ე) უმთავრესი მომენტია. ეს ნორმა (148-ე) 2004 წლიდან გაუქმებულია და ამ ურთიერთობათა მოწესრიგება სამოქალაქო სამართლის სფეროში გადავიდა, თუმცა, შინაარსობრივად საკითხის არსი არ შეცვლილა. ცრუ ჩვენებისა და ცრუ დასმენის შემადგენლობები მოთავსებულია მტკიცებულებათა მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში, ანუ ისინი მიჩნეულია არა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა (როგორც დეკლარირებული ცილისწამების ნორმა მიიჩნეოდა), არამედ სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად. შესაბამისად, ცრუ ჩვენება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში, რადგანაც ჩვენება პირს შეიძლება ჩამოართვან მხოლოდ იმ საქმეზე, რომელზეც დაწყებულია წარმოება. რაც შეეხება ცრუ დასმენას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი შეიძლება განხორციელდეს სწორედ ჩვენების მიცემის დროს, მაგრამ მას შეიძლება წინ უძღოდეს პოლიციისათვის (ან სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის)

ინფორმაციის სხვა ფორმით მიწოდება პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. მაგალითად, დაზარალებულმა ან მოწმემ შეიძლება განცხადებით მიმართოს პოლიციას (სხვა ორგანოს) პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. არის თუ არა მხოლოდ ეს განცხადება სისხლის სამართლის წესით დასჯადი ცრუ დასმენა? ჩვენი აზრით, არა. საპროცესო კოდექსის თანახმად, განცხადება (ან რაიმე სხვა სახის შეტყობინება) არ წარმოადგენს მტკიცებულებას და ნებისმიერ მასალას, ინფორმაციას „მტკიცებულება“ დაერქმევა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მხარეები ერთმანეთს გაუცვლიან იმ მასალებს, რომლის წარდგენასაც აპირებენ სასამართლოში. ცალკე საკითხია რას გადასცემს ბრალდების მხარე დაცვის მხარეს – მოწმის მხოლოდ მონაცემებს, თუ მისი ჩვენების ასლს, ეს ცალკე პრობლემაა, ვიდრე არ ამოქმედებულა მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის წესი და ამაზე ცალკე ვისაუბრებთ ახალი, 371-ე პრიმა მუხლის განხილვისას. დღეს მოქმედი წესის მიხედვით, მანც ხდება განცხადების ე. წ. „საპროცესო დამაგრება“, ანუ განმცხადებლის დაკითხვა შესაბამისი სტატუსით, მოწმის ან დაზარალებულის სახით (რა დროსაც მათ აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისა და ცრუ დასმენისათვის) და თუ ეს პირი დაკითხვისას დაადასტურებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციას და ეს ყალბი აღმოჩნდება, მხოლოდ მაშინ უნდა დადგეს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ეს მიდგომა სწორია კანონმდებლის იმ პოზიციიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც, გაუქმდა დანაშაულის ჩადენის დაბრალებით ცილისწამების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა (148-ე მუხლი) და გადავიდა სამოქალაქო სამართლის სფეროში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაკეთებული განცხადება კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, მისთვის ამ დანაშაულის ჩადენის დაბრალება (რაც კვალიფიცირდებოდა დანაშაულის დაბრალების ცილისწამებით) ისევე წარმოადგენს საქმის წარმოების დაწყების საფუძველს, როგორც ამავე გარემოებებზე მითითებით პოლიციაში (ან სხვა ორგანოში) განცხადების შეტანა. ამ შემთხვევაშიც, თუ პირი დაკითხვისას არ დაადასტურებს მასმედიაში მის მიერ გაკეთებულ განცხადებას (ანუ იტყვის, რომ იცრუა) ის პასუხს არ აგებს სისხლის სამართლის წესით და „დაზარალებულს“ შეუძლია იჩივლოს სამოქალაქო წესით. ასეთ შემთხვევაში, მაშინ როდესაც მასმედიაში ინფორმაციის გავრცელება უფრო მეტი ხარისხით არღვევს „დაზარალებულის“ უფლებებს და ეს არ წარმოადგენს „დამბრალებლის“ სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველს, თუ დამბრალებელი ამას არ დაადასტურებს სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, არ შეიძლება სამართალდამცავ ორგანოში მხოლოდ განცხადების შეტანა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, რასაც განმცხადებელი აღარ დაადასტურებს ჩვენებაში, მიჩნეული იქნას ცრუ დასმენად, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით. ანუ სისხლისსამართლებრივად დასჯად ცრუ დასმენას ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ამის შესახებ მიუთითებს სათანადო გაფრთხილების შემდეგ დაკითხვისას, ამოცნობისას და ა. შ.

საბოლოოდ მივდივართ დასკვნამდე, რომ ცრუ დასმენა არის იგივე ცრუ ჩვენება, რომელიც შეიცავს ყალბ (ცრუ) მითითებას კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. ამდენად, 370-ე და 373-ე მუხლები ერთმანეთს არ უნდა კვეთავდნენ. 370-ე მუხლიდან ამოღებული უნდა იქნას მეორე ნაწილი, რადგანაც იგი წარმოადგენს ცრუ დასმენას და პირველი ნაწილი მოწმესთან და დაზარალებულთან მიმართებაში უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, რომელიც არ შეიცავს მითითებას კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ...“

ამასთან, გვაქვს მეორე შემთავაზებაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსკ-ის 370-ე და 373-ე მუხლების მეორე ნაწილები ერთმანეთს გადაფარავენ. ეს არ არის უბრალო გადაფარვა, არა მარტო სიტყვებში, ერთ ასოშიც კი, არ არის განსხვავება. რა უნდა ქნას მოსამართლემ ამ ვითარებაში? არსებობს მოსაზრება, რომ განაჩენის გამოტანისას (ზოგადად, კანონის გამოყენებისას) მოსამართლე ვალდებულია კანონის განმარტებისას, არ გასცდეს კანონმდებლის ნებას და კანონის ტექსტში მის მიერ ნაგულისხმევ შინაარსს. მაგრამ როგორ უნდა დაადგინო კანონმდებლის ნება, როდესაც ორი სხვადასხვა ნორმა აბსოლუტურად ერთნაირად, ერთი და იგივე სიტყვებითაა ჩამოყალიბებული?

გთავაზობთ მოსაზრებას, რომელიც ჩვენი აზრით, წარმოადგენს სწორ გამოსავალს და სწორედ ამის თქმა უნდოდა კანონმდებელს, სავარაუდოდ, ასეთი იყო მისი ნება. კერძოდ:

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კოდექსი ცრუ ჩვენებისა და ცრუ დასმენის საკანონმდებლო განმარტებას არ იძლევა, ამ ტერმინებს საკანონმდებლო დონეზე არ განმარტავს. რეალურად ცრუ ჩვენება შეიძლება მოიცავდეს ცრუ დასმენას, ან პირიქით – ცრუ დასმენა შეიძლება გაკეთდეს ცრუ ჩვენების მიცემისას. ჩვენება შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს მხოლოდ ფაქტის შესახებ და ამ დროს განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდება არის ცრუ ჩვენება კლასიკური გაგებით, ხოლო თუ ჩვენება შეიცავს არა მარტო ფაქტის აღწერას, არამედ მიუთითებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ და ეს წინასწარი განზრახვით მიწოდებული არასწორი ინფორმაციაა, ეს ჩვენება ერთდროულად არის „ცრუ ჩვენებაც“ და „ცრუ დასმენაც.“ სწორედ აქ უნდა გააკეთოს განმარტება სასამართლომ, როდესაც სახეზეა არასწორი ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ფაქტის შესახებ და ჩვენება არ შეიცავს ცრუ მონაცემებს კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, მაშინ სახეზე გვაქვს ცრუ ჩვენების მიცემა, ხოლო როდესაც ჩვენება შეიცავს ცრუ მონაცემებს კონკრეტული პირის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუნდაც იგი ამავდროულად, შეიცავდეს ცრუ მონაცემებს თვით ფაქტის შესახებაც, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ცრუ დასმენად. აქ რეალურად, სახეზეა, რომ კანონმდებელი ერთმანეთისაგან არ (ან ვერ) ასხვავებს კონკრეტული პირისათვის კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ცრუ „დაბრალებას“ და დანაშაულის (თვით ფაქტის) არსებობის ცრუ „დაბრალებას.“

მიგვაჩნია, რომ 370-ე მუხლი მოწმესთან და დაზარალებულთან მიმართებაში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. „მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, რომელიც არ შეიცავს მითითებას კონკრეტული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ...“

2. იგივე ქმედება, თუ ცრუ ჩვენება მიცემულია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეზე...

ცალკე საკითხია რომელი ქმედება უფრო მკაცრად დასჯადი უნდა იყოს – მხოლოდ ცრუ ჩვენება მხოლოდ ფაქტის (თუნდაც, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის) შესახებ (ანუ ცრუ ჩვენება ჩვენი გაგებით), თუ დანაშაულის (მით უმეტეს, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე) ჩადენის დაბრალება კონკრეტული პირისათვის.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული ორი წინადადებაიდან (370-ე მუხლის მეორე ნაწილის მთლიანად ამოღება, ან მისი ჩვენეული რედაქციით ჩამოყალიბება) ერთ-ერთის გაზიარება მოხსნის პრობლემებს პრაქტიკაში.

რაც შეეხება სსკ-ის 371-ე პრიმა მუხლს – მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემა – შეგნებულად არ გამოვთქვამთ აზრს იმის შესახებ, უნდა

არსებობდეს თუ არა ეს ნორმა სისხლის სამართლის კოდექსში, ანუ უნდა იყოს თუ არა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ეს ქმედება. ამ საკითხს წყვეტს საკანონმდებლო ორგანო. ჩვენ მას ვიღებთ როგორც ფაქტს და განვიხილავთ მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. ამასთან, საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მისი ავტორის პირად აზრს და მიუხედავად მისი სამსახურებრივი მდგომარეობისა, არ გამოხატავს სასამართლო ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას.

ცხადია, რომ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ცრუ დასმენისათვის მოწმის ან დაზარალებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ეს ფაქტობრივად, აზრს უკარგავს მოწმის ან დაზარალებულის პასუხისგებაში მიცემას ცრუ ჩვენების მიცემისათვის (იგივე ცრუ დასმენისათვის): არის არაერთი შემთხვევა, როცა მოწმე ან დაზარალებული დანაშაულის ერთადერთი უშუალო მოწმეა და სხვა პირდაპირი მტკიცებულების მოპოვება თითქმის შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში, წინასასამართლო გამოძიებისას, მოწმე ან დაზარალებული ამხელს რა, პირს დანაშაულის ჩადენაში – ჩვენებაში, ამოცნობისას (რაც ხდება ამ პირის პასუხისგებაში მიცემისა და ხშირ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი), გარკვეული დროის შემდეგ, წინასასამართლო გამოძიების პროცესშივე მოწმე ან დაზარალებული ცვლის ჩვენებას და მიუთითებს, რომ დარწმუნებული არ არის ადრე მიცემულ ჩვენებაში და ამოცნობაში ან საერთოდ უარყოფს ამ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას. ამასთან, უმრავლეს შემთხვევებში, მოწმე ან დაზარალებული დამაჯერებლად ან საერთოდ ვერ ხსნის რით არის გამოწვეული მისი მხრიდან ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების მიცემა. ვერც ერთ ასეთ შემთხვევაში საქმე სასამართლომდე ვერ მიაღწევს ბრალდებულის მიმართ პირდაპირ მტკიცებულებათა არარსებობის (აღარ არსებობის) გამო და საქმე უნდა შეწყდეს წინასასამართლო გამოძიების სტადიაზევე. ანუ ვერ იქნება ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება და შესაბამისად, ვერ დადგება მოწმის ან დაზარალებულის პასუხისმგებლობის საკითხი. ხოლო ბრალდებულს კი, უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფოსაგან ზიანის ანაზღაურება პასუხისგებაში მიცემის, აღკვეთის ღონისძიების შერჩევისათვის, ანუ სახელმწიფოს უწევს პასუხისმგებლობა მოწმის ან დაზარალებულის ქმედებაზე, მოწმის ან დაზარალებულის მიმართ კი, სახელმწიფო ვერ ახორციელებს ვერავითარ ეფექტიან, დროულ ღონისძიებას.

უმთავრესად, სწორედ ამ საფუძველით იყო გამართლებული ახალი ნორმის მიღება – მოწმის ან დაზარალებულისათვის არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება მიუხედავად იმისა, რომელი ჩვენებაა სწორი ან სწორია თუ არა რომელიმე. თუმცა, პრაქტიკაში შეიძლება წარმოიშვას კიდევ რამდენიმე პრობლემა.

პირის მიერ მიცემული, არსებითად განსხვავებული ჩვენებებიდან შეიძლება ერთი იყოს სიმართლე, მეორე ცრუ ან ორივე იყოს ცრუ ჩვენება; ამავე დროს, პირმა შეიძლება პროცესის ყველა სტადიაზე მისცეს ერთი და იგივე ჩვენება, მაგრამ დადგინდეს, რომ ის იძლეოდა ცრუ ჩვენებებს. მეორე შემთხვევა მარტივია – პირი დაისჯება ან მხოლოდ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან მხოლოდ ცრუ დასმენისათვის, თუ მისი ცრუ ჩვენება შეიცავდა კონკრეტული პირისათვის დანაშაულის ჩადენის დაბრალებას. მაგრამ რა უნდა მოხდეს პირველ შემთხვევაში? პირს პასუხისგებაში ვაძლევთ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის (და ეს საკითხი უნდა გადაწყდეს სწრაფად, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი ნორმის შემოტანა აზრს კარგავს), ურთიერთსაწინააღმ-

დევო ჩვენებებიდან ყველა შემთხვევაში, ერთ-ერთი (შეიძლება ორივეც) ცრუ იქნება. მას ჩვენ ვსჯით არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის და ველარ დავსჯით ცრუ ჩვენებისათვის, რადგანაც ეს ფაქტობრივად, ერთი ქმედებისათვის ორჯერ დასჯა იქნებოდა, თუმცა, ვფიქრობთ, ამავე პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ცრუ დასმენისთვისაც (თუ მისი ჩვენება ასეთს შეიცავს) იმის მიუხედავად, რომ მიცემულია პასუხისგებაში (ან უკვე დაისაჯა) არსებითად ურთიერთ-საწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის.

შევხებით 371-ე პრიმა მუხლის კიდევ რამდენიმე საკვანძო საკითხს:

ჩვენებები უნდა იყოს არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო, რაც ნიშნავს, რომ ჩვენებებს შორის მცირე განსხვავებები არ წარმოადგენს ამ დანაშაულს. მოწმის დაკითხვა წინასასამართლო გამოძიებისას ხდება შემთხვევიდან მოკლე დროში და ბუნებრივია, მოწმეს ამ დროისათვის უფრო კარგად ახსოვს დეტალები, ხოლო მოწმის სასამართლოში დაკითხვამდე გადის გარკვეული დრო და ბუნებრივია, მას შეიძლება აღარ ახსოვდეს ყველა დეტალი. სწორედ ამიტომაც, უნდა არსებობდეს შესაძლებლობა თუნდაც სასამართლოში დაკითხვის შემდეგ (დაკითხვის ბოლოს) მოწმეს მიეცეს უფლება გაეცნოს მის მიერ წინასასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებას და მხარეებმა კითხვებით დააზუსტონ მათთვის საინტერესო დეტალები. რატომღაც ჩვენთან მიუღებლად მიაჩნიათ მოწმესათან პროკურორის ან დამცველის კონტაქტი სასამართლოში დაკითხვამდე, რაც აბსურდია, რადგანაც ყველა დასავლურ დემოკრატიასში მხარე თავის მოწმეს წინასწარ ამზადებს სასამართლოში დასაკითხად, იმიტირებულ დაკითხვასაც კი უწყობს და ამაში არაფერია გასაკვირი. რა თქმა უნდა, იგულისხმება კეთილსინდისიერი პროკურორი და დამცველი, რომლებიც არ ახდენენ მოწმეზე გეწოლას, არ ერევიან ჩვენების შინაარსში (რაშიც არ იგულისხმება წინასასამართლო გამოძიებისას მოწმის მიერ მიცემული ჩვენების შინაარსის შეხსენება, ჩვენების გაცნობა) და მოწმეს ამზადებენ ფსიქოლოგიურად, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, ასევე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის წესის ამოქმედების შემდეგ.

ჩვენებებს შორის განსხვავება უნდა იყოს არსებითი და უნდა შეეხებოდეს განსახილველ საქმეზე მტკიცების საგანს. რა თქმა უნდა, დანაშაული განზრახია და მოწმე ან დაზარალებული მიზნად უნდა ისახავდეს მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლას.

არის კიდევ ერთი პრობლემა, რაც უკავშირდება ტერმინს „მართლმსაჯულება.“ მოწმე ან დაზარალებული შეიძლება რამდენჯერმე დაიკითხოს წინასასამართლო გამოძიების დროს და მისცეს არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები. თუ ჩვენ ამ შემთხვევას ჩავთვლით სსკ-ის 371-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად, მაშინ გამოდის, რომ გამომძიებელი ახორციელებს მართლმსაჯულებას. ეს პრობლემა მოიხსნება, როდესაც ამოქმედდება მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის წესი.

დღეს, ხშირად ხდება ხოლმე მოწმის სასამართლოში დაკითხვისას, როდესაც თავისუფალი თხრობისას მოწმე აძლევს აბსოლუტურად სხვა ჩვენებას, მაგრამ ჯვარედინი დაკითხვისას მხარეთა შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, ამბობს არსებითად საწინააღმდეგო რამეს ან მხარის შეკითხვაზე პასუხობს, რომ ის მთლიანად ადასტურებს წინასასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებას, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმას, რაც მოწმემ სასამართლოში რამდენიმე წუთის წინ, ჩვენების მიცემისას, თავისუფალი თხრობისას წარმოთქვა. ამიტომ, ჩვენი აზრით, სსკ-ის 371-ე მუხლის შემადგენლობის არსებობისათვის, აუცილებელი არ არის ორი ან მეტი ჩვენების არსებობა, შესაძლებე-

ლია სასამართლოში ერთხელ დაკითხვისას, მოწმემ ერთი და იგივე საკითხზე მისცეს არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება. ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს მოწმის მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის წესის ამოქმედების შემდეგ.

აქვე რამდენიმე სიტყვით ყურადღებას გავამახვილებთ იმ მიზეზებზე, რაც იწვევს მოწმისა და დაზარალებულის მიერ ჩვენებების შეცვლას და იმ გარემოებაზე, რომ აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს დაზარალებულისა და მოწმის დაცვა კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, კერძოდ:

მოქმედ საპროცესო კოდექსში რამდენიმე წლის წინათ, ასახვა ჰპოვა კანონმდებლის ნებამ სახელმწიფოს მიერ გარკვეული ზომები პროცესის მონაწილეთა (მათ შორის, დაზარალებულისა და მოწმის) დასაცავად დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. დაზარალებულსა და მოწმეს უფლება აქვთ მათი და მათი ოჯახის წევრების დაცვის უზრუნველსაყოფად მიმართონ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რომელიც გამოიტანს დადგენილებას და დაცვის განსახორციელებლად უგზავნის შს სამინისტროს ან სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს. თუ დაცვის ღონისძიებებს არ გაატარებენ ან დააყოვნებენ მათ გატარებას, დაზარალებული უფლებამოსილია შეიტანოს საჩივარი ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ. დაცვის განხორციელების მიზნით, გვარისა და სახელის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და გარეგნობის შეცვლის შესახებ ეცნობება პროცესის მწარმოებელ ორგანოს. ერთი შეხედვით, თითქოსდა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გატარებით, რეალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი დაზარალებულისა და მოწმის დაცვა, თუმცა, ეს ნორმები უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ დეკლარაციად დარჩა და ვერ განხორციელდა პრაქტიკაში, ვინაიდან ასახვა და განვითარება ვერ ჰპოვა სპეციალურ კანონმდებლობაში, რადგანაც არ ყოფილა მიღებული რაიმე ნორმატიული აქტი (კანონი, ბრძანებულება, ინსტრუქცია, დებულება), რომელიც კონკრეტულად, ამ საკითხებს დაარეგულირებდა და დეტალურად განსაზღვრავდა სხვადასხვა ორგანოთა კომპეტენციას ამ სფეროში და დაცვის განხორციელების პროცედურასა და წესს. პრაქტიკაში პროცესის მონაწილის (მათ შორის, დაზარალებულისა და მოწმის) „დაცვა“ უმრავლეს შემთხვევაში, შემოიფარგლება იმ პირთა გამოკითხვით ან დაკითხვით, ვიზედაც მიუთითებს დაზარალებული ან მოწმე, როგორც ბეწოლის განმახორციელებელზე და მათი გაფრთხილებით, რომ აღარ განმეორდეს იგივე. სინამდვილეში კი, დაზარალებული და მოწმე რჩებიან ბრალდებულის ან მისი ახლობლებისა და კრიმინალური სამყაროს პირისპირ და დაცვის ეფექტიანი ღონისძიებების არარსებობა მათ აიძულებს შეცვალონ ჩვენება.

ვფიქრობთ, საჭიროა ამ საკითხზე სერიოზული დაფიქრება, შესაბამისი ნორმატიული ბაზის შემუშავება და პროცესის მონაწილეთა დაცვის ეფექტიანი სისტემის შექმნა. ცხადია, ამ ეტაპზე საქართველოში ვერ შეიქმნება დაცვის ისეთი სისტემა, როგორცაა მაგალითად, მოწმეთა დაცვის ინსტიტუტი აშშ-ში, მაგრამ სახელმწიფომ რაღაც დონეზე მაინც უნდა უზრუნველყოს დაზარალებულის დაცვა. ერთი მხრივ, პირი დაზარალებული იმით, რომ მის მიმართ ჩადენილია დანაშაული, მეორე მხრივ, მას ბეწოლის შედეგად აიძულებენ ჩვენების შეცვლას, მესამე მხრივ, მას სახელმწიფო ემუქრება დასჯით ცრუ ჩვენებისათვის ან ჩვენების შეცვლისათვის, ანუ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა დანაშაულისაგან, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მის დაცვას ბეწოლისაგან და იგივე სახელმწიფო მას ემუქრება დასჯით.

SEVERAL OPINIONS ON PERJURED TESTIMONY, FALSE REPORTING AND SUBSTANTIALLY INCONSISTENT TESTIMONIES OF WITNESS OR VICTIM

OMAR JORBENADZE

*Judge of the Tbilisi Court of Appeal,
Doctoral Student of Post-Graduate Studies of the
Law Faculty of Tbilisi Ivane Javakishvili State University*

The new Article 371(1) was added to the Criminal Code – submitting substantially inconsistent testimony by a witness or a victim,

This new norm is directly linked to the norms that existed in the Code before – perjured testimony (Article 370) and false reporting (Article 373).

Our goal is to discuss some issues about the relationship between these norms and problems faced in the practice.

The norms on perjured testimony and false reporting overlap each other and in fact there are two norms regulating the same act. For more clarity, let us discuss what a perjured testimony and false reporting are. The Code does not define these terms. In fact, the perjured testimony may include false reporting, or vice versa – the false reporting can be remodeled while giving the perjured testimony. As such, the “perjured testimony” implies not only “testimony”, but also information provided at any stage of any investigative activity – identification, investigative experiment, testing the testimony on the site, etc. The testimony can include the data only about a fact and in this case giving false information intentionally represents a perjured testimony in its classical understanding, but if the testimony includes not only the description

of a fact, but also indicates that a particular person has committed a crime, and if it is a false information provided intentionally, then this testimony is at the same time a “perjured testimony” and “false reporting” as well. This is where the practice faces key problems, namely: second part of the Article 370 has the following wording – giving perjured testimony, “involving a conviction for a grave or particularly grave criminal offence” – shall be punishable...; at the same time, the second part of the Article 373 in fact establishes the same elements – false reporting, “involving a conviction for a grave or particularly grave offence” – shall be punishable;

Finally, we come to the conclusion that the false reporting is perjured testimony, which includes false (untrue) reference about a crime committed by a particular person. Thus, the Article 370 and Article 373 should not overlap each other. The second part should be removed from the Article 370, as far as it represents false reporting, and the first part should have the following wording regarding the witness and victim:

“giving perjured testimony by the witness or victim, which does not contain any reference to any offense by a particular person...”;

Besides, we have another suggestion.

We think that the Article 370 can be worded the following way regarding the witness and the victim:

1. “giving perjured testimony by the witness or victim, which does not involve any reference to any offense by a particular person...”;

2. The same act, if the perjured testimony is given regarding a case of grave and/or especially grave category...

As for the Article 371(1) of the Criminal Code of Georgia – giving a substantially inconsistent testimony by a witness or a victim:

Obviously, criminal prosecution can be initiated against a witness or a victim for providing perjured testimony or false reporting only after the judgment or another summary court decision enters into legal force. In fact, this makes it meaningless to charge a witness or victim for giving perjured testimony (same as for false reporting): there are many cases when the witness or victim are the only eyewitness of the crime, and it is almost impossible to obtain another direct evidence. In this case, the witness or the victim say that the person has committed a crime during the preliminary investigation – in their testimonies, or during the identification (which becomes the grounds for charging this person, and in frequent cases – applying the measure of restraint), but after some time, though still during the pretrial investigation, the witness or victim recants the testimony and indicates that s/he is not sure about the prior testimony and identification, or completely rejects the crime to have been committed by this person. Besides, in most cases the witness or a victim cannot fully or persuasively explain why they are giving the inconsistent testimony. The case will fail to reach the court in any of such circumstances due to the absence (or discontinued presence) of direct evidences against the defendant, and the case should be dropped right at the stage of preliminary investigation. This is to say that there will be no judgment or any other summary court decision passed for this case, and thus, the issue of responsibility of the witness or victim will not be raised. However, the defendant has the right to request damage compensation from the state for charging him/her, selecting the measure of restraint, i.e. the state has to be responsible for the action of the witness or victim, though the state cannot exercise any effective and timely measure against the witness or victim.

Mostly, the adoption of a new provision was justified exactly by this ground – instituting criminal responsibility for giving substantially inconsistent testimony by a witness or a victim, irrespective of which testimony is true, or whether any of them is true or not.

Somehow, our people think that it is unacceptable if the prosecutor or defense lawyer contacts a witness before his/her interrogation at the court, which is an absurd, as far as in all the western democracies the party prepares its witness for being interrogated at the court, they even arrange a mock interrogation and there is nothing to be surprised about. Of course here the implication is that the prosecutors and defense lawyers act in good faith, do not influence witnesses, do not interfere in the contents of the testimony (which does not include reminding the contents of the testimony given by the witness during the preliminary investigation, or getting familiar with the testimony), and they prepare the witness psychologically. This is especially important when there is a jury trial, also, it will acquire special significance only after activation of the rule of interrogating the witnesses only at the court.

Difference between the testimonies should be substantial and should not deal with the subject of proof regarding the pending case. Of course, the crime is intentional and the witness or victim should have a goal of obstructing the administration of justice intentionally.

There is another problem, which is related to the term “justice”. The witness or victim can be interrogated several times during the preliminary investigation and they can give substantially inconsistent testimonies. If we consider this case to be the crime envisaged in the Article 371(1) of the Criminal Code of Georgia, then it means that it is the investigator who administers the justice. This problem will be removed after enacting the rule on interrogating the witness only at the court.

We think that it is necessary to develop a respective normative basis and create an effective system for protecting the trial participants. Obviously, at this stage it will not be possible to create a system of protection in Georgia as we have the witness protection program in the US, but the state should ensure the protection of the victim at least at some extent. On one hand, the person is victimized because there has been a crime committed against him/her, and on the other hand s/he is influenced to change his/her testimony, besides, the state threatens with punishing him/her for submitting perjured testimony or for changing the testimony, which means that the state failed to protect him/her from the crime, the state cannot protect him/her from compulsion, and the same state threatens to punish him/her.

იმპირიზმის პოლიტიკური ბუნებისათვის

ევა გოცირიძე

*სამართლის დოქტორი,
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი*

პროფესიული საქმიანობისას შესაძლებლობა მქონდა, ძირფესვიანად შემესწავლა იმპირიზმის ინსტიტუტის არსი, დანიშნულება და მიზანდასახულობა, გამომეკვლია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული იმპირიზმის მექანიზმი და მისი ღირსება-ნაკლოვანებები, შემედარებინა იგი იმ ქვეყნების (აშშ, ინგლისი) გამოცდილებასთან, სადაც იმპირიზმის კლასიკური ფორმით არსებობს. გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ იმპირიზმის ქართული მოდელი საჭიროებს ახლებურად გააზრებას და მისი იმ მიზნებისადმი დაქვემდებარებას, რასაც იგი უნდა ემსახურობდეს.

იმპირიზმმა უნდა შეიძინოს პოლიტიკური ხასიათი და შეასრულოს თავისი როლი ხელისუფლების დანაწილების, კონტროლისა და ბალანსის სისტემაში; უნდა შეიქმნას წინაპირობები კანონიერი და სამართლიანი იმპირიზმისათვის, დადგინდეს არსებითი და პროცესუალური სამართლიანობის გარანტიები, რათა იმპირიზმის არ გადაიქცეს არც არასასურველ თანამდებობის პირთა თავიდან მოშორების და არც ნდობადაკარგული თანამდებობის პირების ხელისუფლებაში უსაფუძვლო შენარჩუნების საშუალებად. უნდა დაიხვეწოს პროცედურა და მისი ეტაპები, დაწესდეს გონივრული ვადები; ახლებურად იქნას გააზრებული იმპირიზმის საფუძვლები იმ კრიტერიუმის გამოყენებით, თუ რამდენად უკარგავს თანამდებობის პირს შესაბამისი ქმედების ჩადენა ხალხის ნდობას, რითაც იგი უნდა სარგებლობდეს დემოკრატიულ სახელმწიფოში; ასევე, ახლებურად

უნდა იქნას გააზრებული იმპიჩმენტს დაქვემდებარებულ პირთა წრე და მოსალოდნელი სასჯელები; პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ უნდა გახდეს მიუღწევადი; შემოღებულ უნდა იქნას მეტი გარანტიები იმპიჩმენტის პროცესის გამჭვირვალობისათვის.

შემოთავაზებული ცვლილებები

- იმპიჩმენტისათვის პოლიტიკური ხასიათის მისანიჭებლად და ხელისუფლების კონტროლისა და ბალანსის სისტემაში თავისი როლის შესასრულებლად, იმპიჩმენტი მთლიანად საკანონმდებლო ხელისუფლებას უნდა დაექვემდებაროს. სასამართლო ხელისუფლება უნდა გამოირიცხოს არსებით საკითხებზე დასკვნის მიცემის ვალდებულებისაგან და მთელი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს პარლამენტმა, რომელიც პოლიტიკური კრიტერიუმებით შეაფასებს, ჩადენილია თუ არა პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირის მიერ ისეთი ქმედება, რომელიც ხალხის ნდობის დაკარგვას იწვევს და ამ თვალსაზრისით, რამდენად გამართლებულია მისი თანამდებობიდან გადაყენება ან მისი ხელისუფლებაში შენარჩუნება;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნას არსებითი სამართლიანობის გარანტია – გამოკვლეულ ფაქტებზე დაფუძნებული იმპიჩმენტი, ანუ ფაქტების ჯეროვნად გამოკვლევის ვალდებულება. ამისათვის უნდა განისაზღვროს ის სუბიექტი, ვისაც ფაქტების დადგენის მოვალეობა დაეკისრება და დადგინდეს ამ სუბიექტის უფლება-მოვალეობები. ამ მიზნით დაწესდეს სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნა საქმის გამოსაძიებლად, რომელიც აღიჭურვება საგანგებო უფლებამოსილებით, ასევე, შემოღებულ უნდა იქნას საგანგებო პროკურორის დანიშვნა ბრალდების მხარდასაჭერად, იმპიჩმენტის საქმის არსებითი განხილვა პარლამენტში და მტკიცების ის სტანდარტი, რომელიც უკეთ შეესატყვისება იმპიჩმენტის პოლიტიკურ ბუნებასა და მის მიზანდასახულობას;
- საგამოძიებო კომისიის უფლებები და პასუხისმგებლობა განისაზღვროს კანონით. მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოძიების ჩატარების, მოწმეთა დაკითხვის, შესაბამისი უწყებებიდან საჭირო ინფორმაციის გამოთხოვის ან სხვაგვარად მოძიების, მტკიცებულებების მოპოვებისა თუ გამოთხოვის და სხვა უფლებები. იმავდროულად, უნდა განისაზღვროს და კანონში აისახოს ყველა სახელმწიფო თუ სხვა უწყების, დაწესებულების, კერძო სტრუქტურისა და ცალკეული პირების იურიდიული თუ სამოქალაქო მოვალეობა, არ შეუქმნას დაბრკოლება იმპიჩმენტის საქმის გამოძიებულ სუბიექტს, ითანამშრომლოს მასთან, მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია თუ სხვა მასალა, მისცეს ჩვენება იმპიჩმენტის საქმის გარემოებებზე;
- უზრუნველყოფილი იქნას პროცედურული სამართლიანობის გარანტია – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასკვნის მომზადება, დაცული იყო თუ არა კონსტიტუციის მოთხოვნები იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებისას. ასეთი დასკვნა პარლამენტს უნდა ჰქონდეს საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე;
- მკვეთრად უნდა განისაზღვროს პროცედურის ეტაპები. იმპიჩმენტი უნდა გულისხმობდეს ხუთ გამოკვეთილ სტადიას – იმპიჩმენტის ბრალდების წაყენებას (პარლამენტის წევრთა არანაკლებ, ერთი მესამედის მიერ), იმპიჩმენტის საქმის გამოძიებას (პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ), იმპიჩმენტის განხილვას (პარლამენტის მიერ), ჩატარებული პროცედურის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებას (საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ) და საბოლოო ვერდიქტის მიღებას (პარლამენტის მიერ). ამასთან, თუ შემოღებული იქნება ორპალატიანი

პარლამენტი, ცხადია, იმპიჩმენტის საკითხის აღძვრისა და იმპიჩმენტური ბრალდების წაყენების უფლება ქვედა პალატას უნდა გადაეცეს, ხოლო იმპიჩმენტის განხილვის – ზედა პალატას.

- იმპიჩმენტის საქმის გამოძიებისა და განხილვისას, შემოღებული უნდა იქნას „აშკარა და დამაჯერებელი მტკიცების სტანდარტი“, ანუ ფაქტების ცხადად და დამაჯერებლად დადგენის მოთხოვნა;
- დაწესდეს იმპიჩმენტის საქმის არსებითი განხილვა პარლამენტში მხარეთა სავალდებულო მონაწილეობითა და თანასწორუფლებიანობის გარანტიებით;
- უნდა დაწესდეს ვადები, რომლებიც გონივრულია იმპიჩმენტის საქმის ჯეროვანი გამოძიებისა და განხილვისათვის;
- უნდა დაწესდეს ფიცის ქვეშ ჩვენების მიცემის ვალდებულება საქმის გამოძიების თუ პარლამენტში საქმის განხილვის დროს;
- უნდა აღმოიფხვრას იმპიჩმენტის საფუძვლების ფორმულირებისას დაშვებული შეუსაბამობა;
- დაწესდეს იმპიჩმენტის ახალი საფუძველი – იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბრკოლება;
- დაწესდეს იმპიჩმენტის ახალი საფუძველი პრეზიდენტისათვის – პრეზიდენტის ფიცის ლაღატი;
- დაწესდეს უფრო დაბალი სტანდარტი პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის. მისი გადაყენებისათვის საკმარისი უნდა იყოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის 3/5-ის თანხმობა, ნაცვლად 2/3-ისა;
- უზენაესი სასამართლოს წევრები უნდა დაექვემდებარონ იმპიჩმენტს;
- დაშვებულ უნდა იქნას იმავე ბრალდებით იმპიჩმენტის აღძვრა ახლად აღმოჩენილი გარემოებისა თუ მტკიცებულების საფუძველზე;
- უნდა დადგინდეს იმპიჩმენტის საკითხზე სხდომის საჯაროობა, გარდა შემთხვევისა, თუ სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე სხდომის დახურვა მიზანშეწონილია;
- უნდა დაწესდეს ღია კენჭისყრა პარლამენტში საბოლოო ვერდიქტის მიღებისას;
- უნდა აიკრძალოს პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის აღძვრა, როდესაც პრეზიდენტის მიერ ინიცირებულია პარლამენტის დათხოვნის პროცედურა.

შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონსტიტუციის იმპიჩმენტთან დაკავშირებული მუხლების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი X

1. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის მიერ შეიძლება გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით – პრეზიდენტის ფიცის ლაღატის, დანაშაულის ჩადენის, კონსტიტუციის დარღვევისა და მის წინააღმდეგ აღძრული იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბრკოლებისათვის.
2. საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ, ერთ მესამედს, რომელიც პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის ბრალდებას წარუდგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს. იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის შემდეგ, პარლამენტი 10 დღის ვადაში ქმნის იმპიჩმენტის ბრალდებაში მითითებული ფაქტების დამდგენ სპეციალურ საგამოძიებო კომისიას პარლამენტის წევრებისა და სპეციალისტების შემადგენლობით და აღჭურავს მას საგანგებო უფლებამოსილებით. კომისიაში პარლამენტის წევრთა შემადგენლობა ყალიბდება საპარლამენტო ფრაქციებიდან, მასში გაერთიანებულ პარლამენტის წევრთა პროპორციულად. პარლამენტის თავმჯდომარე ნიშნავს საგანგებო პროკურორს.

3. საგამოძიებო კომისია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს თავის დასკვნას 60 დღის ვადაში წარუდგენს. თუ საგამოძიებო კომისიის დასკვნით დადასტურდება პრეზიდენტის მიერ იმპიჩირებადი ქმედების ჩადენა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დასკვნის მიღებიდან 7 დღის ვადაში ნიშნავს დებატებს იმპიჩმენტის ბრალდების განსახილველად. იმპიჩმენტის მუქარის ქვეშ მყოფ პრეზიდენტს აქვს უფლება იყოლოს დამცველი მისი იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის მომენტიდან. თუ კომისიის დასკვნით არ დადასტურდა ბრალდება, საკითხი მოხსნილად ითვლება და პროცედურა წყდება.
4. იმპიჩმენტის განხილვისას, პარლამენტი მოქმედებს როგორც სასამართლო. იგი უსმენს დაცვისა და ბრალდების მხარეებს. უფლება აქვს მოიწვიოს მოწმეები, ექსპერტები და სპეციალისტები, მოუსმინოს სახალხო დამცველს, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეებს ბრალდების ფაქტობრივ თუ სამართლებრივ საკითხებზე. იმპიჩმენტის საქმე განიხილება პლენარულ სხდომაზე. სხდომა ღიაა, თუ პარლამენტი, სახელმწიფო უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე, სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
5. საგანგებო პროკურორი უფლებამოსილია, პრეზიდენტის პარლამენტში არასაპატიო გამოუცხადებლობა ან იმპიჩმენტის საქმის გამოძიებისა და განხილვისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა შეაფასოს იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბრკოლებად, რაც წარმოადგენს იმპიჩმენტის ცალკე საფუძველს. ასეთ შემთხვევაში, იგი პრეზიდენტს დამატებით იმპიჩმენტურ ბრალდებას წარუდგენს.
6. პარლამენტში იმპიჩმენტის განხილვის დასრულების შემდეგ, 7 დღის ვადაში, იმპიჩმენტის საქმის მასალები ეგზავნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ჩატარებული პროცედურის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესამოწმებლად.
7. საკონსტიტუციო სასამართლო თავის დასკვნას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგენს საქმის მიღებიდან არაუმეტეს, 20 დღის ვადაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით დადასტურებულია ჩატარებული პროცედურის კონსტიტუციასთან შესაბამისობა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დასკვნის მიღებიდან 7 დღის ვადაში ნიშნავს კენჭისყრის დღეს. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა პროცედურის ისეთი კონსტიტუციური ნორმების დარღვევა, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელი არ არის, საკითხი მოხსნილად ითვლება.
8. კენჭისყრა იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე პარლამენტში გაიმართება საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღებიდან არაუმეტეს, ერთ თვეში. პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი, თუ მის მიერ იმპიჩირებადი ქმედების ბრალეულად ჩადენა აშკარად და დამაჯერებლად არის დადგენილი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული არანაკლებ სამი მეხუთედი. კენჭისყრა ღიაა.
9. პარლამენტი უფლებამოსილია გადაყენებულ პრეზიდენტს აუკრძალოს საქართველოში სახელმწიფო მოხელის თანამდებობის დაკავება 5 წლამდე ვადით, რასაც ცალკე კენჭისყრა ესაჭიროება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ, სამი მეხუთედი.
10. იმავე ბრალდებით იმპიჩმენტის აღძვრა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოვლინდა ახალი გარემოებები თუ მტკიცებულებანი.

11. დაუშვებელია იმპიჩმენტის პროცედურის აღძვრა და განხორციელება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, ანდა როდესაც პრეზიდენტის მიერ ინიცირებულია პარლამენტის დათხოვნის პროცედურა.

სხვა თანამდებობის პირთა იმპიჩმენტი:

მუხლი X

1. კონსტიტუციის დარღვევის, დანაშაულის ჩადენისა თუ მათ წინააღმდეგ აღძრული იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბრკოლებისათვის, იმპიჩმენტის წესით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების, მთავარი პროკურორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ, ერთ მესამედს.
2. პროცედურის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღების შემდეგ, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები.
3. პარლამენტი უფლებამოსილია გადაყენებულ თანამდებობის პირს აუკრძალოს საქართველოში სახელმწიფო მოხელის თანამდებობის დაკავება 5 წლამდე ვადით, რასაც ცალკე კენჭისყრა ესაჭიროება. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.
4. ამ მუხლში მოხსენიებული თანამდებობის პირების მიმართ გამოიყენება იმპიჩმენტის ის პროცედურა, რაც პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის არის დადგენილი.

შემოთავაზებული ცვლილებების დასაბუთება:

1. იმპიჩმენტის პროცესისათვის კოლიტიკური შინაარსის მინიჭება და სასამართლო ხელისუფლების ამორიცხვა იმპიჩმენტის პროცედურიდან

საზოგადოდ, იმპიჩმენტის არსი წმინდა პოლიტიკურია. იგი ემსახურება ხელისუფლების სიწმინდის დაცვას. პოლიტიკურია ის დარღვევები, რომელიც იმპიჩმენტს იწვევს¹ და ის „სასჯელიც“ (ხელისუფლებისაგან ჩამოცილება), რომელიც მას მოჰყვება. იმპიჩმენტი იმ მაღალ თანამდებობის პირთა ხელისუფლებისაგან ჩამოცილების მექანიზმია, რომლებიც თავიანთი საქციელის გამო აღარ იმსახურებენ ნდობას და მიზანშეწონილი აღარ არის მათი ხელისუფლებაში დატოვება. იმპიჩმენტის პროცესის მიზანიც სწორედ იმის გარკვევაა, დაკარგა თუ არა ჩადენილი დარღვევის გამო თანამდებობის პირმა ხალხის ნდობა და შესაბამის გარემოებებში რა უფრო მიზანშეწონილია – მისი თანამდებობაზე დატოვება თუ ხელისუფლებისაგან ჩამოცილება. ამის შეფასება კი, პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებას მოითხოვს. ჩვეულებრივ, ამიტომაც იმპიჩმენტი პოლიტიკური და წარმომადგენლობითი ხელისუფლების – პარლამენტის პრეროგატივა.²

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის როლიც, რომელიც იმპიჩმენტს ეკისრება ხელისუფლების განაწილების, კონტროლისა და ბალანსის სისტემაში. იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ბერკეტს

საკანონმდებლო ხელისუფლების ხელში დანარჩენი ორი ხელისუფლების წინააღმდეგ. იგი არის უმთავრესი დამაბალანსებელი მექანიზმი პრეზიდენტის ვეტოსა და სასამართლო კონტროლის წინააღმდეგ.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, იმპიჩმენტი მთლიანად საკანონმდებლო ხელისუფლების ხელში უნდა იყოს მოქცეული. იმპიჩმენტის პროცედურაში სასამართლო ხელისუფლების ჩართვა, მთლიანად უცვლის იმპიჩმენტს ხასიათს, ნიადაგს აცლის მის თანდაყოლილ „პოლიტიკურობას.“ სასამართლო ხელისუფლების მონაწილეობა უნდა ამოიწუროს ჩატარებული პროცედურის კონსტიტუციურობის შემოწმებით და იგი არსებით საკითხებზე არ უნდა ვრცელდებოდეს.

არსებით საკითხებზე სასამართლო ხელისუფლების ჩართვას იმპიჩმენტის პროცესში ერთგვარი გამართლება მხოლოდ მაშინ ექნებოდა, თუ ეს იმპიჩმენტის პროცედურის სამართლიანობასა და კანონიერებას მოემსახურებოდა. სამწუხაროდ, იმპიჩმენტის ქართული მოდელი ვერც ამ ამოცანას ასრულებს. იმპიჩმენტის ახლანდელი ქართული მოდელის მიხედვით, პირის ქმედებაში „დანაშაულის ნიშნების არსებობა“ ან „კონსტიტუციის დარღვევა“ დადასტურებული უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით. ეს წესი არსებულ მექანიზმში თითქოსდა ემსახურება, რომ კანონიერება და სამართლიანობა იყოს დაცული. მაგრამ სინამდვილეში, იგი პირიქით, სწორედ უსამართლობის ნებას რთავს პარლამენტს, ვინაიდან სასამართლოს პოზიტიური დასკვნის მიუხედავად, სადაც დადასტურებულია ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, პარლამენტი იტოვებს უფლებას, არ გადააყენოს პირი. სასამართლოს დასკვნების ასეთი უგულვებელყოფა ერთი მხრივ, აკნინებს სასამართლო დასკვნების როლსა და მნიშვნელობას, კანონიერებისა და სამართლიანობის იერს უკარგავს პარლამენტის გადაწყვეტილებას. მეორე მხრივ კი, აკანონებს პარლამენტის უფლებას ხელისუფლებაში შეინარჩუნოს „კონსტიტუციის დამრღვევი“ და (დიდი ალბათობით) დანაშაულის ჩამდენი პირი, რაც პოლიტიკურადაც და სამართლებრივადაც გაუმართლებელია. შესაბამისად, თუ იმპიჩმენტის ქართული მოდელის შემქმნელებს სასამართლო ხელისუფლების ჩართულობა იმპიჩმენტის პროცედურაში საჭიროდ მიაჩნდათ, მაშინ სასამართლოს დასკვნის სავალდებულო გათვალისწინების აუცილებლობა მაინც უნდა დაედგინათ.

გარდა ამისა, დიდ ეჭვებს წარმოშობს იმის მართებულობა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს მისი ფუნქციებისა და დანიშნულებისათვის უცხო, არაორგანულ საკითხზე – ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის თაობაზე, რისთვისაც მას შეიძლება არ გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია თუ გამოცდილება. ასეთი ფუნქციის მისთვის გადაცემა ხელოვნურია და თავსმოხვეული. ასევე, გასათვალისწინებელია, ხომ არ დააყენებს ეს ეჭვის ქვეშ სასამართლოს გადაწყვეტილების კომპეტენტურობას ან როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუ თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, პირის მიმართ იმავე ბრალდებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე კომპეტენტური ორგანოები – სისხლისსამართლებრივი გამოძიება თუ სასამართლო ველარ აღმოაჩენენ მის ქმედებაში „დანაშაულის ნიშნებს.“ ასეთ შემთხვევაში, დიდი ეჭვის ქვეშ დადგება არა მარტო საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მართებულობა, არამედ დიდი ალბათობით, თანამდებობიდან გადაყენების შესახებ პარლამენტის იმ გადაწყვეტილების ლეგიტიმურობაც, რომელიც სწორედ ამ დასკვნას ემყარებოდა.

მეორე მხრივ, ისიც დასაფიქრებელია, ხომ არ აღმოჩნდება ყოფილი პრეზიდენტის ან თანამდებობის პირის სისხლის სამართლის საქმის განმხილველი რომელიმე სასამართლო საკონსტიტუციო

სასამართლოს წინასწარი დასკვნის „ტყვეობაში“ და ხომ არ გამოიწვევს ეს საფუძვლიან ეჭვებს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან მიმართებაში. მაგრამ კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ, რომ სასამართლო სრული მიუკერძოებლობის დაცვას შეძლებს და გამამტყუნებელი განაჩენისაკენ არ იქნება მიდრეკილი, იმპიჩმენტით გადაყენებული თანამდებობის პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ახალ უხერხულობებს გააჩენს. საერთო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი თავისთავად, საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი დასკვნის და მის საფუძველზე მიღებული პარლამენტის გადაწყვეტილების მცდარობის დადასტურების ტოლფასი იქნება, რაც თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გადაყენებულ პირს სამართლიან პრეტენზიებს გაუჩენს.³ შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს გადაყენებული პირის თანამდებობაზე აღდგენის საკითხი, რაც თავის მხრივ, მრავალ სირთულესთან იქნება დაკავშირებული და ხშირად პოლიტიკურად მიზანშეუწონელიც, როგორც ამას „პოლიტიკური საკითხის დოქტრინა“ გვკარნახობს (მხედველობაშია პრინციპი, რომლის თანახმად, ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება, თუნდაც მცდარი, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სჯობს აღარ შეიცვალოს).

ასეთი მოსალოდნელი პრობლემების განჭვრეტამ, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად განაწყოს საიმისოდ, რომ სასამართლოს წინასწარი დასკვნისა და მის საფუძველზე მიღებული პარლამენტის გადაწყვეტილების შესაბამისი განაჩენი გამოიტანოს. ეს კი ისევ ადამიანების უფლებების საზიანოდ იმოქმედებს და საერთოდ, გაამრუდებს იმპიჩმენტის მექანიზმის მიზანდასახულებას. ეს განუკითხაობას უფრო დიდ გასაქანს მისცემს და თვით იმპიჩმენტის ინსტიტუტის დისკრედიტაციას მოახდენს. მექანიზმის მოუქნელობას ერთდროულად, საჯარო და კერძო ინტერესი ეწირება.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, გამართლებული არ არის სასამართლო ხელისუფლების მონაწილეობა იმპიჩმენტის პროცედურაში. ამან იმპიჩმენტის პროცესს დაუკარგა წმინდა პოლიტიკური ხასიათი და ვერც მის სამართლიანობასა და კანონიერებას ვერაფერი შემატა. პირიქით, არაერთი სირთულე, შეუსაბამობა თუ უხერხულობა შესძინა.

2. გამოკვლეულ ფაქტებზე დაფუძნებული იმპიჩმენტი – იმპიჩმენტის პროცესის არსებითი სამართლიანობის გარანტია

მეტი წინაპირობები უნდა შეიქმნას ფაქტებზე დაფუძნებული სამართლიანი იმპიჩმენტისათვის. კერძოდ, აუცილებელია:

- ა) დამკვიდრდეს ბრალდებაში მითითებული ფაქტების ჯეროვნად გამოკვლევის ვალდებულება;
- ბ) შემოღებულ იქნას იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის შემდეგ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა და საგანგებო პროკურორის დანიშვნა;
- გ) დადგინდეს საქმის არსებითი განხილვა პარლამენტში მხარეთა მონაწილეობით;
- დ) დადგინდეს „აშკარა და დამაჯერებელი მტკიცების სტანდარტის“ გამოყენება იმპიჩმენტის საქმის გამოძიებისა და განხილვისას;
- ე) დაწესდეს გონივრული ვადები, რაც აუცილებელია კომისიაში ფაქტების დადგენისა და პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას.

ა) ფაქტების ჯეროვნად გამოკვლევის ვალდებულება

არსებული მოდელის კრიტიკა

იმპიჩმენტის ქართული მექანიზმის ანალიზი მოწმობს, რომ არ არის განსაზღვრული ვინმეს პა-სუხისმგებლობა ფაქტების დადგენაზე. უფრო მეტიც, ისიც კი გაურკვეველია, არის თუ არა საერთოდ სავალდებულოდ მიჩნეული ფაქტების დადგენა. მით უფრო არაფერი ვიცით იმის შესახებ, მტკიცების რა სტანდარტი უნდა იქნას გამოყენებული.

განვიხილოთ ეტაპების მიხედვით:

პირველი ეტაპი – იმპიჩმენტის საკითხის აღძვრა. იმპიჩმენტის შესახებ ორგანული კანონის მე-4 მუხლში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ თანამდებობის პირის იმპიჩმენტის საკითხზე პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მოთხოვნაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს კონკრეტული ბრალდების სახე, ბრალდების შინაარსი, აგრეთვე შესაბამისი არგუმენტები და არსებული მასალები. დაახლოებით იგივეა ნათქვამი პარლამენტის რეგლამენტში. რეგლამენტის 248-ე მუხლის მიხედვით, პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის წარდგინება, რომელიც დასკვნისათვის გადაეცემა შესაბამის სასამართლოს, „უნდა შეიცავდეს კონკრეტულ ბრალდებას საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე.“ საუკეთესო შემთხვევაში, აქ შეიძლება ვიგულისხმოთ იმპიჩმენტის ინიციატორთა მიერ საკუთარი ძალისხმევით გარკვეული ინფორმაციისა და მასალების მოპოვება, რომელიც რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავეთანაბროთ ფაქტების საფუძვლიანად გამოკვლევასა და დადგენილად მიჩნევას, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ფაქტების დადგენა, უსათუოდ გულისხმობს ერთი მხრივ, სპეციალური გამოძიების ჩატარებას და მეორე მხრივ, განხილვის პროცედურას იმპიჩმენტის მუქარის ქვეშ მყოფი პირის მონაწილეობითა და სამართლიანობის გარანტიების დაცვით.

არც პარლამენტის რეგლამენტი, არც სხვა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნას იმპიჩმენტის შესაძლო საფუძვლების გამოსაძიებლად ბრალდების წარდგენის შემდეგ. ასე რომ, იმპიჩმენტის საქმის აღძვრის ეტაპი, კანონმდებლობაში კონსტიტუციის დასაზუსტებელი დებულებების გათვალისწინებით, ფაქტების სათანადო გამოკვლევის დადგენილად მიჩნევის პროცედურას არ გულისხმობს.

მეორე ეტაპი – სასამართლოს დასკვნით „კონსტიტუციის დარღვევის“ ან „დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადასტურება.“ პროცედურაში სასამართლო ხელისუფლების ჩართვით, ერთი შეხედვით, თითქოს მეტი წინაპირობა შეიქმნა იმპიჩმენტის პროცედურის სამართლიანობისა და კანონიერებისათვის, მაგრამ სინამდვილეში, ეს მხოლოდ ილუზიაა. არც ამ ეტაპზეა სავალდებულოდ მიჩნეული ფაქტების ჯეროვნად გამოკვლევის, განხილვისა და დადგენილად მიჩნევის პროცედურა. თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, უნდა დადასტურებულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, მაგრამ თუ რას უნდა დაეყრდნოს სასამართლოს დასკვნა, ცხადი არ არის.

გაურკვეველია, უნდა ეყრდნობოდეს თუ არა სასამართლოს დასკვნა დამტკიცებულ ფაქტებს. „იმპიჩმენტის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს არ დაუზუსტებია, უნდა ჩატარდეს თუ არა შესაბამისი სასამართლო გამოძიება, ფაქტების მოკვლევა, მტკიცებულებების მოპოვება, მოწმეთა დაკითხვა და ა. შ. კანონმა მხოლოდ ის მიუთითა, რომ სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ,

შესაბამისად – „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ რამდენიმე ზოგად დებულებას ითვალისწინებს. კერძოდ, 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი მიუთითებს, რომ „სასამართლო ადგენს კონსტიტუციის 63-ე და 64-ე მუხლებით გათვალისწინებულ პირთა ქმედების კონსტიტუციურობას,“ თუმცა უცნობია, ვინ და როდის უნდა დაადგინოს, რომ ეს „ქმედება“ მართლაც ჩადენილია. ამავე კანონის 41-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „დასკვნის მომზადებისას საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია მოიწვიოს შესაბამისი თანამდებობის პირები.“ ჯერ ერთი, ცხადია, რომ „მოწვევის უფლებამოსილება“ არ გულისხმობს „მოწვევის ვალდებულებას“ და ამ პირის აუცილებელ მონაწილეობას სასამართლო პროცესზე. მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს მაინც არ იქნება საკმარისი, რომ ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევის სავალდებულობა დადგენილად მივიჩნიოთ.

ასევე სკეპტიკურად განგვაწყობს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი. იგი აღნიშნავს, რომ იმპიჩმენტის საკითხზე კონსტიტუციურ წარდგინებას (როგორც წესი) საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განიხილავს წარდგინების ავტორთა და მათ წარმომადგენელთა გარეშე. თუმცა, უფლება აქვს მოიწვიოს წარდგინების ავტორები, შესაბამისი თანამდებობის პირები და მოისმინოს მათი განმარტება, მაგრამ ამ პირებს მხარედ არ აღიარებს. გარდა ამისა, ცხადი არ არის, შეუძლია თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს იმპიჩმენტური წარდგინების საფუძვლიანობის გამოსარკვევად მოიწვიოს და მოუსმინოს სხვა პირებს – მოწმეებს, ექსპერტებსა და სპეციალისტებს. მართალია, აღნიშნული კანონი ითვალისწინებს იმპიჩმენტთან დაკავშირებული წარდგინების არსებითად განხილვას, მაგრამ ცხადი არ არის, შეეხება თუ არა იმპიჩმენტსაც ამ კანონის 26-ე მუხლით დადგენილი საქმის არსებითად განხილვის წესები, რამდენადაც იგი ითვალისწინებს მტკიცებულებათა განხილვას, მოწმეების, ექსპერტებისა და სპეციალისტების დაკითხვას მხოლოდ „მხარეთა მოსმენის შემდეგ.“ „მხარეებად“ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონსტიტუციური წარდგინების ავტორები და შესაბამისი თანამდებობის პირები არ განიხილებიან.

კიდევ უფრო ბუნდოვანია ვითარება „დანაშაულის ნიშნებთან“ მიმართებაში. ერთი მხრივ, იმპიჩმენტის შესახებ ორგანული კანონი ითვალისწინებს ექსპერტების, მოწმეების, სპეციალისტებისა და სხვა პირების პლენუმის სხდომაზე მოწვევის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ თანამდებობის პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ან არარსებობის შესახებ თავის დასკვნაში უზენაესი სასამართლოს პლენუმი „შემოიფარგლება იმ ქმედების იურიდიული შეფასებით, რომელიც იმპიჩმენტის საკითხის აღმძვრელ პარლამენტის წევრთა მიერ მიჩნეულია დადგენილად“ (ხაზგასმა – ე. გ.). რაკი „დანაშაულთან“ მიმართებაშიც ახლა დასკვნა საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მისცეს, სავარაუდოდ, მანაც ზემოაღნიშნული პრინციპით უნდა იმოქმედოს. შესაბამისად, გაუგებარი რჩება, რას აფასებს სასამართლო – თავის მიერ გამოკვლეულ ფაქტებს თუ იმპიჩმენტის ინიციატორთა მიერ დადგენილად მიჩნეულ „ფაქტებს.“ თუ კანონის ტექსტს სიტყვასიტყვით გავიგებთ, გამოდის, რომ სასამართლოს არ ევალება თავად შეამოწმოს ბრალდების საფუძვლიანობა და იგი მხოლოდ სამართლებრივ შეფასებას აძლევს ქმედებას, რომელიც წარდგინების ავტორებს (და არა საკუთრივ სასამართლოს) დადგენილად მიაჩნიათ. ესე იგი, საქმე გვაქვს სასამართლოს მიერ სხვათა მიერ სათანადო სისხლისსამართლებრივი პროცედურის დაუცველად გამოკვლეული და დადგენილად ნაგულისხმევი, ანუ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების სამართლებრივ შეფასებასთან,

ფაქტობრივად – აბსტრაქტულ სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციასთან, რომელსაც დიდი ალბათობით შეიძლება მოჰყვეს სავსებით კონკრეტული შედეგი – კონკრეტული თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენება.

პრეზიდენტის იმპიჩმენტის შემთხვევაში კიდევ უფრო გართულდება ფაქტების დადგენა. იგი თითქმის მიუღწევადი გახდება. საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მიხედვით, მისი ხელშეუხებლობიდან გამომდინარე, შეუძლებელია პრეზიდენტის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მისი თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ მის მიმართ წინასწარი მასალები ერთობ მწირი შეიძლება იყოს. პრეზიდენტის იმპიჩმენტით დაინტერესებულ პირებს ძალზე გაუჭირდებათ მამხილებელი მასალების მოძიება. ხოლო სასამართლო, დაინტერესებულებს რომ იყოს სიმართლის დადგენაში, ვერაფერს მოახერხებს; რამდენადაც პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეუძლებელია, იმპიჩმენტით დაინტერესებულ პირებს იმის საშუალებაც კი არ ექნებათ, რომ გამოძიების ორგანოებიდან ან შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვონ ესა თუ ის ინფორმაცია, რათა მეტ-ნაკლებად დასაბუთებული დასკვნა დააფუძნონ მასზე. გარდა ამისა, ვის ექნება იმის უფლებამოსილება, სურვილი, რესურსი, შესაძლებლობა თუ გამბედაობა, რაიმე საკითხზე განმარტება მოსთხოვოს პრეზიდენტს და საერთოდ, დაუბრკოლებლად მოიპოვოს ინფორმაცია და მტკიცებულებები, როდესაც ორგანულმა კანონმა ისიც კი არ თქვა ცალსახად, რომ სასამართლოს დასკვნა დამტკიცებულ ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს და რომ იმპიჩმენტური უფლებამოსილების განხორციელება სასამართლოს შესაბამისი უწყებებიდან აუცილებელი ინფორმაციის გამოთხოვის უფლებით აღჭურავდა; ხოლო ამ უწყებებს კი, აკისრებდა ვალდებულებას, მათ ხელთ არსებული ინფორმაცია სასამართლოსათვის გადაეცათ.

ერთადერთ შესაძლებლობად რჩება სასამართლოში პრეზიდენტის „მოწვევის უფლება“, რომელიც სრულიადაც არ არის სასამართლოში გამოძახების იდენტური, რომლის შეუსრულებლობაც დემოკრატიულ ქვეყნებში „სასამართლოსადმი უპატივცემულობად“ განიხილება. იგი სრულიადაც არ გულისხმობს პრეზიდენტისათვის „ჩვენების ჩამორთმევის უფლებას“ და მით უმეტეს, პრეზიდენტის მოვალეობას, ფიცის ქვეშ ჩვენება მისცეს სასამართლოს იმპიჩმენტის საქმის გარემოებებზე ან გადასცეს მას მოთხოვილი ინფორმაცია ან სხვა მტკიცებულებები, რომელთა შეუსრულებლობასაც „სასამართლოსათვის ცრუ ჩვენების მიცემის“ ან „სასამართლოს კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობის“ კვალიფიკაცია ექნებოდა.

თავისთავად, ისიც ერთობ ბუნდოვანია, თუ არა იურიდიული ნონსენსი, სასამართლოს მიერ ამა თუ იმ პირის „ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის დადასტურება.“ თუ სასამართლოს დასკვნა სათანადო გამოძიების შედეგად დადგენილ ფაქტებს არ ეყრდნობა, მაშინ საერთოდ რაღა აზრი აქვს დაუდგენელი ფაქტების სამართლებრივ შეფასებას? თუ „პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადასტურება“ მხოლოდ იმის თეორიული შეფასებით ამოიწურება, შეიცავს თუ არა მართლაც, პარლამენტის შემადგენლობის ერთი მესამედის მიერ (ვინც იმპიჩმენტის მოთხოვნა დააყენა) ნაგულავები „დანაშაული“ ან თუნდაც „ქმედება,“ (რომლის ჩადენაც ჯერ დადასტურებული არ არის), კანონში აღწერილი დანაშაულის ნიშნებს, მაშინ სადღა მოვიძიოთ სასამართლოს დასკვნის სამართლიანობისა და კანონიერების რაიმე საფუძველი მიანიც?

საქმეში კარგად ჩახედვის გარეშეც დიდ ეჭვებს წარმოშობს იმპიჩმენტის შესახებ ორგანული კანონის მითითება, რომ სასამართლომ დასკვნის მომზადებისას სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობით უნდა ისარგებლოს. ძალზე სათუთა, მიესადაგება თუ არა სისხლისსამართლებრივი

პროცესუალური კანონმდებლობა სასამართლოში საკონსტიტუციო სასამართლოში იმპიჩმენტის საკითხის განხილვასა და მის სპეციფიკას; რამდენად გამოსადეგია ორდინარული სისხლისსამართლებრივი პროცედურა, რომელიც უტყუარი მტკიცებულების სტანდარტით ფაქტების დადგენასა და პირის დანაშაულებზე ან უდანაშაულოდ გამოცხადებას გულისხმობს, ისეთი არაორდინარული სამართლებრივი შემთხვევისათვის, რომელიც (თუნდაც უმდაბლესი მტკიცების სტანდარტით) ფაქტების დადგენასაც კი არ მოითხოვს, ხოლო სასამართლოს როლი კი, ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადასტურებით ან უარყოფით გამოიხატება. ამგვარად, კანონის მოთხოვნა „სისხლის სამართლის პროცესუალური კანონმდებლობის გამოყენების შესახებ“ ისედაც არ არის აღსრულებადი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც სასამართლო იძლევა დასკვნას ფაქტების შესახებ, რომლებიც არ არის სათანადოდ და ისეთი წესით გამოკვლეული და განხილული, როგორც აუცილებელია სასამართლოში ფაქტების დადგენისა და შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად; როდესაც ცხადი არ არის, აღჭურვილია თუ არა სასამართლო აუცილებელი უფლებამოსილებით, ისეთი დასკვნის გამოტანას რომ ესაჭიროება, რომელიც საკმაოდ სერიოზულ ბრალდებას – თანამდებობის პირის მიერ „დანაშაულის ჩადენას“ ან თუნდაც ისეთ ქმედებას რომ დაადასტურებს, რომელიც „დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს.“ ყველა შემთხვევაში ეს იქნება არასრული და სათანადო პროცესუალური გარანტიების დაუცველად ჩატარებული გამოკვლევა. სასამართლოს დასკვნა კი – დაყრდნობილი არასრულ მასალებზე, დაუსაბუთებელი და არაკომპეტენტური.

მესამე ეტაპი – სასამართლოს დასკვნის მიღების შემდეგ იმპიჩმენტის საკითხის პარლამენტში განხილვა. არც თავად კონსტიტუცია და არც იმპიჩმენტის შესახებ ორგანული კანონი არაფერს ამბობს პარლამენტში სასამართლოების იმპიჩმენტური დასკვნის განხილვის წესზე. ისინი არ შეიცავს არავითარ მითითებას, თუ რით გამოიხატება საკუთრივ „დასკვნის განხილვა“, გულისხმობს თუ არა ის იმპიჩმენტის ინიციატორთა, ანუ ბრალდების მომხრეთა მიერ საკუთარი ბრალდების ზეპირი წარმოდგენის უფლებას, სასამართლოს გამამტყუნებელი დასკვნის ავტორთა მოწვევის უფლებას ცალკეული სამართლებრივი საკითხების დასაბუთებლად ან კომენტარის მისაღებად, პოლიტიკურ დებატებს და ა. შ.; მით უმეტეს, არაფერია ნათქვამი მოწვევების, ექსპერტებისა თუ სხვა სპეციალისტების მოწვევის შესახებ ინფორმაციის მისაღებად თუ გადასამოწმებლად ან მათი აზრის შესატყობად.

ორგანული კანონის მე-20 მუხლი მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ ბრალდების განხილვაში პარლამენტის მოწვევით შეიძლება მონაწილეობდეს შესაბამისი თანამდებობის პირი, ხოლო მისი დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში კი – მისი წარმომადგენელი. იგივეს იმეორებს და ამით შემოიფარგლება პარლამენტის რეგლამენტი. ერთადერთი დამატებითი ინფორმაცია ის გახლავთ, რომ სასამართლოს დასკვნა განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რომელიც პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიძლება დახურულად გამოცხადდეს (მუხლი 248). შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სასამართლოს დასკვნის განხილვისას პარლამენტი აღარ შეეხება კონსტიტუციის დარღვევაში ან დანაშაულის ჩადენაში პრეზიდენტის ბრალეულობის საკითხს და ამ სფეროში მთლიანად სასამართლოების დასკვნას ეყრდნობა. პოლიტიკური დებატები კი, თუ იგი გაიმართა, შემოიფარგლული იქნება წმინდა პოლიტიკური საკითხით, მიზანშეწონილია თუ არა მისი თანამდებობიდან გადაყენება, მიუხედავად მის მიერ დანაშაულის ჩადენის ან კონსტიტუციის დარღვევისა.

ამ მიმართებით კიდევ უფრო მრავლისმეტყველია ის ვადები, რომელიც პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხის გადაწყვეტისათვის არის დაწესებული. კონსტიტუციის მოქმედი ნორმების შესაბამისად, თუ

სასამართლოს დასკვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში პარლამენტმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხზე არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია. შესაბამისად, წარმოუდგენელია, რომ ზემოაღნიშნულ ვადებში, სრულყოფილად მოხდეს იმპიჩმენტური საფუძვლების ყოველმხრივ შემოწმება და დადგენა (გავიხსენოთ, რომ აშშ-ის კონგრესში იმპიჩმენტის საქმის გამოძიება და განხილვა თვეობით გრძელდება). 15-დღიანი ვადა ნამდვილად ვერ ჩაითვლება გონივრულად იმისათვის, რომ პარლამენტის ყველა წევრი საგულდაგულოდ გაეცნოს პრეზიდენტისა თუ სხვა თანამდებობის პირის იმპიჩმენტის საქმეს, მოეწყოს დებატები პარლამენტში, სადაც მოუსმენენ პრეზიდენტს ან მის წარმომადგენელს, სადაც პარლამენტის წევრებს საშუალება ექნებათ გამოთქვან თავიანთი აზრი და მოუსმინონ სხვათა, შეაფასონ შესაბამის ვითარებაში იმპიჩმენტის პოლიტიკური მიზანშეწონილობა და საერთოდ, მიიღონ შინაგანი გადაწყვეტილება პრეზიდენტის ან სხვა თანამდებობის პირის გადაყენების ეგზომ მნიშვნელოვან საკითხზე.

ამგვარად, იმპიჩმენტის შესახებ კონსტიტუციური დებულებები არცერთ ეტაპზე, არც დასკვნისათვის საქმის სასამართლოში გაგზავნამდე (პარლამენტში), არც სასამართლოში (დასკვნის მომზადებისას) და არც დასკვნის მიღების შემდეგ (ისევე პარლამენტში), საქმის გამოძიებისა და ფაქტების დადგენის ვალდებულებას არავისთვის ცალსახად არ ითვალისწინებს. იმპიჩმენტის სფეროში ჯერ არავითარი პრეცედენტული სამართალი არ შექმნილა და როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ შეიქმნება. ასეთ პირობებში, აუცილებელია კონსტიტუციამ შეიმუშაოს ისეთი პროცედურა, რომელიც მინიმალურ გარანტიებს მაინც შექმნის სამართლიანი, ფაქტებზე დაფუძნებული იმპიჩმენტისათვის.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე შემოთავაზება იმპიჩმენტის პროცედურის დახვეწის, მისი სტადიების გამოკვეთის, ფაქტების დამდგენი საგამოძიებო კომისიის შექმნისა და სხვა ღონისძიებების შესახებ.

3. იმპიჩმენტის ძირითადი ეტაპები

იმპიჩმენტის ძირითადი ეტაპები უნდა გახდეს:

1. იმპიჩმენტის საკითხის აღძვრა და იმპიჩმენტის ბრალდების წარდგენა;
2. საგამოძიებო კომისიის შექმნა და ბრალდებაში მითითებული ფაქტების გამოძიება;
3. იმპიჩმენტის არსებითი განხილვა პარლამენტში;
4. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა ჩატარებული პროცედურის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესაფასებლად;
5. კენჭისყრა პარლამენტში საბოლოო ვერდიქტის მისაღებად.

საკითხის აღძვრა და ბრალდების წარდგენა

■ იმპიჩმენტის საკითხის აღსაძვრელად პარლამენტის წევრებისათვის მიმართვის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას – მოქალაქეებს, საზოგადოებრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ცალკეულ სახელმწიფო თუ კერძო უწყებებს, დაწესებულებებს და სხვ.; ამასთან, მათ უფლება უნდა ჰქონდეთ, საკუთარ განცხადებას თან დაურთონ სხვა წერილობითი, აუდიო თუ ვიდეომასალა, რომელიც მეტყველებს იმპიჩირებადი ქმედების ჩადენაზე. ასეთი მიმართვები და წარდგენილი მასალები

თავს უნდა იყრიდეს პარლამენტის რომელიმე შესაბამის კომიტეტში და ხელმისაწვდომი იყოს პარლამენტის ყველა წევრისათვის.

- თუ პარლამენტის საერთო შემადგენლობის ერთი მესამედი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ფაქტების გადამოწმების შემდეგ, მივა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს თანამდებობის პირის იმპიჩმენტის საფუძველი, იგი ჩამოაყალიბებს იმპიჩმენტურ ბრალდებას და მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარეს თხოვნით, შექმნას დროებითი სპეციალური საგამოძიებო კომისია იმპიჩმენტურ ბრალდებაში მითითებული ფაქტების გამოსაკვლევად.

საგამოძიებო კომისიის შექმნა

- საგამოძიებო კომისიის შემადგენლობა უნდა ჩამოყალიბდეს პარლამენტის წევრებისა და სპეციალისტებისაგან. მისი შემადგენლობის ნახევარს უნდა წარმოადგენდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები, საზოგადოებრიობისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სახალხო დამცველს უფლება უნდა ჰქონდეს, თავისი შეხედულებით, ჩაერთოს კომისიის მუშაობაში ან კომისიის წევრად მიავლინოს თავისი წარმომადგენელი. კომისიაში პარლამენტის წევრთა შემადგენლობა უნდა განისაზღვროს პარლამენტის ფრაქციების მიხედვით, ფრაქციებში შემავალი წევრების რაოდენობის პროპორციულად.
- შეიძლება შემოღებულ იქნას წესი, კომისიის თავმჯდომარედ პარლამენტის ერთ-ერთი იმ წევრ-თავანის არჩევა, რომელიც მხარს უჭერს იმპიჩმენტურ ბრალდებას.

კომისიის უფლებამოსილება

- იმპიჩმენტთან დაკავშირებული საგამოძიებო კომისიის უფლება-მოვალეობები უნდა განისაზღვროს კანონით.
- კანონის საფუძველზე პარლამენტმა კომისია უნდა აღჭურვოს იმპიჩმენტის საქმის გამოძიების განსაკუთრებული უფლებამოსილებით – განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, რაც აუცილებლად ესახება ბრალდებაში მითითებული ფაქტების დასადგენად – ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები, გამოკითხვა, დაკითხოს მოწმეები და პირი, ვისაც იმპიჩმენტის ბრალდება ეხება; ამა თუ იმ უწყებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია, დოკუმენტი, მოიძიოს ესა თუ ის მტკიცებულება, დანიშნოს ექსპერტიზა და სხვა. პარლამენტს უფლება უნდა გააჩნდეს, კომისიის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მიანიჭოს მას საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა და სხვა.
- კომისიას უნდა გააჩნდეს უფლება საჭიროების შემთხვევაში, ფიცის ქვეშ ჩამოართვას ჩვენება თანამდებობის პირს, ვისაც იმპიჩმენტის ბრალდება შეეხება.
- კომისიამ უნდა გააფრთხილოს პირი, ვისაც იმპიჩმენტი ემუქრება, რომ კომისიისათვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან ცრუ ჩვენების მიცემა, მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტის გადაუცემლობა, ცრუ ჩვენების მისაცემად ან ინფორმაციის დასაფარად ვინმეს დაყოლიება ან დაყოლიების მცდელობა, საგამოძიებო კომისიის წევრებზე არასათანადო გავლენის მცდელობა, ისევე როგორც გამოძიებისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა, შეიძლება წარმოადგენდეს მისი იმპიჩმენტის ცალკე საფუძველს. ასეთი შემთხვევების თაობაზე კომისია ვალდებული უნდა იყოს შეატყობინოს იმპიჩმენტის საქმეზე დანიშნულ საგანგებო პროკურორს, რომელიც იმპიჩმენტის ცალკე, დამოუკიდებელ ბრალდებას წაუყენებს თანამდებობის პირს იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბრკოლებისათვის.

- იმავდროულად, უნდა განისაზღვროს და კანონში აისახოს ყველა სახელმწიფო თუ სხვა უწყების, დაწესებულებისა თუ კერძო სტრუქტურის იურიდიული თუ სამოქალაქო მოვალეობა, არ შეუქმნას დაბრკოლება იმპიჩმენტის საქმის გამომძიებელ სუბიექტს, ითანამშრომლოს მასთან, მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია თუ სხვა მასალა, მისცეს ჩვენება იმპიჩმენტის საქმის გარემოებებზე.
- ამის უზრუნველსაყოფად, სხვა გარანტიებს შორის, შეიძლება დადგინდეს შესაბამისი წესი – სუბ-პენა (subpoena) – გამოძახება ან მტკიცებულებების წარდგენის მოთხოვნა სპეციალური უწყებით, შეუსრულებლობის შემთხვევაში სასჯელის ან ჯარიმის მუქარით.

საგანგებო პროკურორი

- საგამოძიებო კომისიის შექმნის შემდეგ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დანიშნავს საგანგებო პროკურორს იმპიჩმენტის საქმეზე, რომელიც ზედამხედველობს კომისიის საქმიანობის კანონიერებასა და მიუკერძოებლობას.
- მხარს დაუჭერდით იდეას, რომ საპარლამენტო ფრაქციებს ჰქონდეთ უფლება წამოაყენონ საგანგებო პროკურორის კანდიდატურები და შესაფერისი პირი პარლამენტის თავმჯდომარემ სწორედ მათი შემადგენლობიდან აარჩიოს და დანიშნოს. საგანგებო პროკურორის არჩევა პარლამენტის მიერ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. კონსენსუსის მიღწევა ძნელი (და იქნებ მიუღწევადიც) გახდებოდა. ეს კი, გაუმართლებლად დააბრკოლებდა პროცესს. ამიტომ საგანგებო პროკურორის დანიშვნის პრეროგატივა პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს.
- დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული საგანგებო პროკურორად საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლის დანიშვნა, რომელიც თავისი კომპეტენტურობით, მიუკერძოებლობითა და შეუბღალავი წარსულით, დიდი საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს. პრეზიდენტის იმპიჩმენტის შემთხვევაში, შეიძლება გამართლებული იყოს რამდენიმე საგანგებო პროკურორის დანიშვნა.

საქმის არსებითი განხილვა პარლამენტში

- კომისიის დასკვნა ფაქტების შესახებ წარედგინება პარლამენტის თავმჯდომარეს. იმპიჩმენტის ბრალდებაში მითითებული ფაქტების დამტკიცების შემთხვევაში, იგი დანიშნავს იმპიჩმენტის საქმის განხილვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე;
- იმპიჩმენტის განხილვა პარლამენტში უნდა გულისხმობდეს ფაქტისა და სამართლის საკითხების შემოწმებას;
- იმპიჩმენტის საქმის განხილვისას პარლამენტი უნდა მოქმედებდეს, როგორც სასამართლო ან კვაში სასამართლო. განხილვა უნდა ემყარებოდეს მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ბრალდების ფუნქციას შეასრულებს საგანგებო პროკურორი. პირს, ვისაც იმპიჩმენტი ემუქრება, უფლება ექნება იყოლიოს დამცველი. მხარეებს უფლება ექნებათ მოიწვიონ მოწმეები და სპეციალისტები, წარმოადგინონ დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი, გამოთქვან აზრი ფაქტებისა და სამართლის საკითხებზე;
- პარლამენტს უფლება უნდა ჰქონდეს, თავისი ინიციატივით მოიწვიოს და მოუსმინოს სხვა სპეციალისტებს, სახალხო დამცველს, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეებს;
- საგანგებო პროკურორს უფლება უნდა ჰქონდეს, იმპიჩმენტის მუქარის ქვეშ მყოფი თანამდებობის პირის პარლამენტში გამოუცხადებლობა ან საქმის განხილვისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა შეაფასოს პარლამენტისადმი უპატივცემულობად, იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბ-

რკოლებად და იმპიჩმენტის ცალკე ბრალდება წაუყენოს მას, რომელსაც ცალკე ეყრება კენჭი საბოლოო ვერდიქტის მიღებისას.

საქმის გაგზავნა საკონსტიტუციო სასამართლოში ჩატარებული პროცედურის კონსტიტუციასთან შესაბამისობის გადამოწმებისათვის – პროცედურული სამართლიანობის გარანტია

- შემოღებულ უნდა იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის კონსტიტუციურობის თაობაზე დასკვნის წარმოსადგენად.
- სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული, რომ საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე, პარლამენტს ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნა, რომ იმპიჩმენტის საქმეზე განხორციელებული პროცედურა, დღიდან იმპიჩმენტის საკითხის აღძვრისა, ვიდრე პარლამენტში იმპიჩმენტის საქმის განხილვის დასრულებამდე, კონსტიტუციის შესაბამისად განხორციელდა და რომ კონსტიტუციის პროცედურული მოთხოვნები და გარანტიები დაცული იყო (ვინაიდან, პარლამენტის იმპიჩმენტურ ვერდიქტზე შემდგომი სასამართლო კონტროლი არ ვრცელდება, წინასწარი პროცედურული კონტროლის დადგენა შეამცირებდა თვითნებობის შესაძლებლობას პარლამენტის მხრიდან იმპიჩმენტური უფლებამოსილების განხორციელებისას, ხოლო იმპიჩმენტს დაქვემდებარებულ პირს კი, შეუქმნიდა იმის გარანტიას, რომ მისი თანამდებობიდან გადაყენება კონსტიტუციის პროცედურული გარანტიების შესაბამისად ხორციელდება).
- თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით დადასტურდება კონსტიტუციით გაწერილი ისეთი პროცედურული ნორმის დარღვევა, რომელიც გამოსწორებადი არ არის, იმპიჩმენტის საკითხი მოხსნილად უნდა ჩაითვალოს.

კენჭისყრა პარლამენტში და ვერდიქტის დასაბუთება

- კანონით უნდა გაიწეროს, რომ პარლამენტი ცალ-ცალკე უყრის კენჭს თითოეულ იმპიჩმენტურ ბრალდებას. ამასთან, თითოეულ ბრალდებასთან მიმართებაში ცალკე ეყრება კენჭი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს, რათა საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს, კერძოდ რომელი დარღვევა იქცა თანამდებობიდან გადაყენების საფუძვლად.
- პარლამენტის ვერდიქტი უნდა დასაბუთდეს. ვერდიქტს ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე. ვერდიქტში მითითებული უნდა იყოს ის ბრალდება, რომელიც საფუძვლად დაედო თანამდებობიდან გადაყენებას და პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მას.

4. ცვლილებები იმპიჩირებად პირთა წრეში

უზენაესი სასამართლოს წევრები უნდა დაექვემდებარონ იმპიჩმენტს

უზენაესი სასამართლოს წევრების იმპიჩმენტისადმი დაქვემდებარება ერთდროულად გაზრდიდა ერთი მხრივ, მათი დამოუკიდებლობისა და მეორე მხრივ, მათი ანგარიშვალდებულების ხარისხს. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს თანამდებობაზე ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო მათი გათავისუფლება შესაძლებელია დისციპლინური პროცედურების მეშვეობით. უახლესი გამოცდილება ცხადყოფს, რომ დისციპლინური მექანიზმი არაერთხელ იყო გამოყენებული უზენაესი სასამართლოს არასასურველ მოსამართლეთა თავიდან მოცილების ინსტრუმენტად.

თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები დაექვემდებარებიან იმპიჩმენტს და ეს მათი თანამდებობიდან გათავისუფლების ერთადერთი გზა გახდება, და აქედან გამომდინარე, მათ გათავისუფლებას ხალხის წარმომადგენლების უმრავლესობის თანხმობა დასჭირდება, ამით მნიშვნელოვნად გაძლიერდება მათი დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, ეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის პრესტიჟს გაუსვამდა ხაზს, მათ თავიანთი დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, მათი თანამდებობის დიდ მნიშვნელობასა და მომეტებულ პასუხისმგებლობას აგრძობინებდა.

გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, საერთო სასამართლოს სხვა მოსამართლეებისაგან განსხვავებით, პარლამენტი ირჩევს. ამიტომ უფრო ლოგიკურიც იქნებოდა, მათი თანამდებობიდან გადაყენება საერთო სასამართლოების სხვა მოსამართლეებისაგან განსხვავებული ფორმით – სასამართლოს თავმჯდომარის მსგავსად, იმპიჩმენტის რთული პროცედურის გზით განხორციელებულიყო და მაშასადამე, ეს უფლებამოსილება მთლიანად ხალხისადმი პოლიტიკურად ანგარიშვალდებულები, წარმომადგენლობითი და კოლექტიური ორგანოს ხელში ყოფილიყო. იმავედროულად, ეს იქნებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საზოგადოების წინაშე ადეკვატური ანგარიშვალდებულების გამოხატველი, ვინაიდან ერთობ მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ბალანსი მოსამართლის დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის. საყოველთაოდ აღიარებული მიდგომების თანახმად, რაც მეტია მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხი, მით მეტია მისი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება.⁴

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტისადმი დაქვემდებარება საკმარისი არ არის საზოგადოების წინაშე სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. ვერ ერთი, აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, აქ არ არის სუბორდინაციული დაქვემდებარება. ზემდგომი სასამართლო არ აგებს პასუხს ქვემდგომი სასამართლოს შეცდომებისათვის. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტისადმი დაქვემდებარება ვერ ჩაითვლება წარმომადგენლობითი ხელისუფლების წინაშე სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკურ ანგარიშვალდებულებად ისეთ პირობებში, როდესაც სხვა დანარჩენი მოსამართლეები, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ჩათვლით, გამორიცხულნი არიან იმპიჩმენტიდან.

5. ცვლილებები იმპიჩმენტის საფუძვლებში

- უნდა აღმოიფხვრას იმპიჩმენტის საფუძვლების ბუნდოვანება და მათ შორის არსებული ლოგიკური შეუსაბამობანი;
- კანონით ზუსტად უნდა გაიწეროს ან განიმარტოს კონსტიტუციის ის დარღვევები, რომლებიც შეიძლება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი გახდეს. კონსტიტუციაში პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძვლად მოხსენიებულ იქნას პრეზიდენტის ფიცის დარღვევა;
- დაემატოს იმპიჩმენტის ახალი საფუძველი – იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბრკოლება.

ა) იმპიჩმენტის საფუძვლების ბუნდოვანება და მათ შორის არსებული შეუსაბამობანი

იმპიჩმენტის დღევანდელი კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქოსდა ზუსტად განსაზღვრავს იმპიჩმენტის საფუძვლებს („დანაშაული“ და „კონსტიტუციის დარღვევა“) არაერთ

ბუნდოვანებასა და გაუაზრებელ ფორმულირებას შეიცავს. მაგალითად, „დანაშაულთან“ მიმართებაში ბუნდოვანი რჩება, თუ კერძოდ რა არის იმპიჩმენტის საფუძველი შემდეგი 4 შესაძლებელი ვარიანტიდან: ა) ჩადენილი დანაშაული; ბ) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაული; გ) ქმედება, რომელიც კოდექსით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, თუ დ) ასეთი ქმედების სავარაუდოდ ჩადენა. აღარაფერს ვამბობთ იმ ბუნდოვანებაზე, თუ ვინ და როგორ უნდა დაადგინოს მათი ჩადენა (ან სავარაუდოდ ჩადენა), ანდა დაეთანხმოს მათ ჩადენილად მიჩნევას ანდა ვარაუდს მათი ჩადენის თაობაზე... იგივე შეიძლება ითქვას „კონსტიტუციის დარღვევასთან“ მიმართებაშიც.

გარდა ამისა, არსებობს ლოგიკური შეუსაბამობანი იმპიჩმენტის საფუძველების ფორმულირებებს შორის. ეს შეუსაბამობანი დღეს ორი მიმართებით არსებობს.

პირველი მათგანი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველებს შეეხება. პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველია „კონსტიტუციის დარღვევა“ და „ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა“ და არა „დანაშაულის ჩადენა.“ ეს, ერთი მხრივ, დისპროპორციულ ვითარებას ქმნის და მეორე მხრივ – აბსურდულს. როდესაც საქმე შეეხება კონსტიტუციის დარღვევას, გადაყენებისათვის სავალდებულოა, რომ ეს გარემოება (ანუ „კონსტიტუციის დარღვევა“) დადასტურებულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, რაც პრინციპულად, აღსრულებადია, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი დასკვნა საქმის არსებითად განხილვის შედეგად უნდა მოამზადოს. „დანაშაულთან“ მიმართებაში კი, პოზიცია გაცილებით უკანდახეულია. სასამართლოს დანაშაულის ჩადენის დადასტურება კი არ ევალდება, არამედ მხოლოდ და მხოლოდ – „ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობისა.“ წესით, „დანაშაულის ჩადენა“ მხოლოდ საქმის სათანადოდ გამოძიებისა და არსებითად განხილვის შედეგად შეიძლება დადგინდეს. მაგრამ ასეთ მოთხოვნას კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. იმპიჩმენტის ქართული მოდელი გულისხმობს სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვამდე ჩატარებული იმპიჩმენტის პროცედურას შეუფერებელ თანამდებობის პირთა ხელისუფლებისაგან ჩამოცილების უზრუნველსაყოფად. მეორე მხრივ, საკუთრივ სასამართლოს დასკვნას „ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შესახებ“, ვერაფრით შეესატყვისება „სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით“ (რაზედაც ორგანულმა კანონმა მიუთითა) ჩატარებული სათანადო პროცედურა. იგი ვერასდროს იქნება ასეთი პროცედურის ლოგიკური და კანონზომიერი სამართლებრივი შედეგი. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ვერც კონსტიტუციამ თქვა ცალსახად და ვერც სხვა კანონმა, რომ სასამართლოს თავისი დასკვნით სწორედ „დანაშაულის ჩადენა“ უნდა დაედასტურებინა.

შესაბამისად, გაუგებარი დარჩა, როგორ და რა კრიტერიუმით უნდა დადგინდეს, თუ როდის გვაქვს საქმე „დანაშაულის ჩადენასთან“ და როდის – „ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობასთან“, ან რა მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი განსხვავებული მიდგომების გამოყენება. ამაზე რაიმე განმარტება არც ორგანულ კანონს არ მოუცია და ეს საკითხი ბურუსით არის მოცული.

თუ „დანაშაულის ჩადენის“ ნაცვლად, „დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე“ მითითება კონსტიტუციურ ნორმაში იმ მოსაზრებებს ემყარებოდა, რომ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ შეიძლება იქნას დადგენილი, მაშინ როგორღა ავხსნათ მეორე შეუსაბამობა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ სხვა თანამდებობის პირებთან მიმართებაში სწორედ „დანაშაულის ჩადენა“ არის მოხსენიებული კონსტიტუციის 64-ე მუხლში? ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კონსტიტუციამ უნდა მიუთითოს ან „დანაშაულის ჩადენასა ან კონსტიტუციის დარღ-

ვევაზე“ ან „დანაშაულის ჩადენის ან კონსტიტუციის დარღვევის ნიშნებზე“ როგორც პრეზიდენტის, ისე სხვა თანამდებობის პირებთან მიმართებაში.

ბ) „კონსტიტუციის დარღვევის“ სფეროში პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძვლების დაკონკრეტება კანონში და პრეზიდენტის ფიცის დარღვევის მიჩნევა იმპიჩმენტის ახალ საფუძვლად ანდა „კონსტიტუციის დარღვევის“ ერთ-ერთ შემთხვევად

პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძვლები, ყველა შემთხვევაში მეტ განსაზღვრულობას მოითხოვს. მეტ სიცხადეს საჭიროებს, კერძოდ, რა დარღვევები ქმნის იმპიჩმენტის საფუძვლებს. ამოსავალი უნდა იყოს იმის შეფასება, თუ რამდენად აკარგვინებს მისი ჩადენა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი ხალხის ნდობას და რამდენად ააშკარავებს იგი ხელისუფლებისაგან მისი ჩამოცილების მიზანშეწონილობას.

ასე თუ ისე, თუკი ამოვალთ იქედან, რომ იმპიჩმენტის ფორმალური საფუძველი „დანაშაულია“, მასთან მიმართებაში შემდგომი განმარტებები ნაკლებად აქტუალური ხდება, რამდენადაც ყველა „დანაშაული“, როგორც იმპიჩმენტის შესაძლო საფუძველი, სისხლის სამართლის კოდექსშია თავმოყრილი და ზედმიწევნით აღწერილი, რასაც ვერ ვიტყვით „კონსტიტუციის დარღვევასთან“ მიმართებაში. იმპიჩმენტის საფუძვლების განმარტების აუცილებლობა უპირატესად, სწორედ „კონსტიტუციის დარღვევას“ უკავშირდება, ვინაიდან, საქართველოს კონსტიტუციის ტექსტიდან გამომდინარე, არცთუ იოლია იმის წარმოდგენა, თუ რა ტიპის, რა კატეგორიის დარღვევები შეიძლება მივიჩნიოთ იმპიჩმენტის უტყუარ საფუძვლად. კონსტიტუცია ხომ სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, დარღვევათა ჩამონათვალი არ არის. „კონსტიტუციის დარღვევა“, როგორც იმპიჩმენტის საფუძველი, შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო მის მუხლებში ცხადად და კონკრეტულად გაწერილი ვალდებულებებისა ან უფლებამოსილებების დარღვევით, არამედ კონსტიტუციის უმთავრესი პრინციპების დარღვევითაც. ამგვარად, ამა თუ იმ ქმედების „კონსტიტუციის დარღვევად“ იდენტიფიცირება ყოველთვის იოლი არ არის და იგი მასშტაბურ, კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. გამორიცხული არ არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ქმედება ერთობლიობაში წარმოადგენდეს „კონსტიტუციის დარღვევას“ ან ერთი რომელიმე მოქმედება ან უმოქმედობა აშკარად და უხეშად არღვევდეს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებს და გაცილებით უფრო მეტად წარმოადგენდეს იმპიჩმენტის საფუძველს, ვიდრე კონსტიტუციის რომელიმე მუხლით დადგენილი რაიმე უფლებამოსილების გადაჭარბება თუ მისგან გამომდინარე რაიმე კონკრეტული ვალდებულების დარღვევა. გონივრული არ იქნებოდა „კონსტიტუციის დარღვევა“, როგორც იმპიჩმენტის საფუძველი, დაგვენახა თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის რომელიმე მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობაში ან უფლებამოსილების გადაჭარბებაში და არ დაგვენახა მის ისეთ ქმედებასა თუ ქმედებებში, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენი კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებს, მის უმთავრეს ღირებულებებსა და სულისკვეთებას, რომელიც, ამის გამო, გაცილებით უფრო მეტად წარმოადგენს კონსტიტუციის ღალატს, ვიდრე კონსტიტუციის რომელიმე მუხლის ტექსტით ადვილად იდენტიფიცირებადი „კონსტიტუციის დარღვევა.“ სრულიად უდავოა, რომ თანამდებობის პირის ქმედებაში „კონსტიტუციის დარღვევის“, როგორც იმპიჩმენტის საფუძვლის დანახვა კონსტიტუციური ღირებულებების ჭრილში უნდა ხორციელდებოდეს და არა მისი კონკრეტული მუხლების ვიწრო, ჩინოვნიკური ინტერპრეტაციების შედეგად.

ჩვენი შეხედულებით, პრეზიდენტის მხრიდან „კონსტიტუციის დარღვევის“ შემთხვევები, როგორც იმპიჩმენტის შესაძლო საფუძვლები, შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს (შენიშვნა: დაჯგუფება ეყრდნობა კონსტიტუციის მოქმედ ნორმებს. ახალი კონსტიტუციის მიღებისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების სხვაგვარად გააზრების შემთხვევაში, ცხადია, კონსტიტუციის დარღვევები, როგორც პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძველი, განსხვავებულად ჩამოყალიბდება):

- კონსტიტუციის დარღვევები, რომლებიც უკავშირდება პრეზიდენტის მხრიდან მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტებას, მათ შორის, უფლებამოსილების განხორციელებისას კონსტიტუციის ტექსტით ცხადად განსაზღვრული პირობების დაუცველობას. ამ ტიპის დარღვევები კონსტიტუციის ყველაზე ადვილად იდენტიფიცირებად დარღვევებად შეიძლება მივიჩნიოთ. აქ, უწინარესად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონსტიტუციის ის მუხლები, (მაგალითად, 73-ე, 74-ე, მე-80, 81-ე, მე-100 და სხვ.), რომლებიც პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებს განსაზღვრავს.⁵
- ასევე ადვილად იდენტიფიცირებადი საფუძველია იმპიჩმენტისათვის პრეზიდენტის მიერ ინტერესთა შეუთავსებლობის დაშვება, რომელიც მას კონსტიტუციის 72-ე მუხლით აქვს აკრძალული. კერძოდ, თუ პრეზიდენტი იკავებს სხვა თანამდებობას ან ფარულად ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, იღებს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას სხვა საქმიანობისათვის, ეს მისი იმპიჩმენტის უდავო საფუძველად უნდა მივიჩნიოთ.⁶
- კონსტიტუციის დარღვევები, რომლებიც უკავშირდება იმ უმნიშვნელოვანესი პრინციპების ხელყოფას, რომლებსაც კონსტიტუცია ემყარება. მაგალითად, ქმედება, რომელიც აშკარად და უხეშად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პირველ თავში ჩამოყალიბებულ საქართველოს პოლიტიკური წყობილების, ხელისუფლების გამიჯვნის, კონტროლისა და ბალანსის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, თანასწორობის, წარმომადგენლობითი დემოკრატიის, თვითმმართველობის, თავისუფალი არჩევნების, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის, სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს, ხელისუფლების უკანონოდ მითვისებისა თუ მოპოვების აკრძალვასა და სხვა უმთავრეს ღირებულებებს. შესაბამისად, პრეზიდენტის ნებისმიერი ქმედება ან ქმედებათა ჯგუფი, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება აღნიშნულ პრინციპებს, წარმოადგენს „კონსტიტუციის დარღვევას“ კონსტიტუციის 63-ე და 75-ე მუხლების გაგებით და მაშასადამე, მისი იმპიჩმენტის საფუძველს. ასეთად აგრეთვე, შეიძლება ჩაითვალოს პრეზიდენტის მიერ თავისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების გამოყენება ბოროტად, უკანონო მიზნით, მათ შორის, რომელიმე პოლიტიკური პარტიისათვის, აშკარად თუ ფარულად, უკანონო უპირატესობის მინიჭებით.
- დარღვევები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებს, რომლებიც კონსტიტუციის მე-2 თავშია გადმოცემული. თუ პრეზიდენტის ქმედება (მოქმედება თუ უმოქმედობა) შეგნებულად და უშუალოდ იყო მიმართული კონსტიტუციით გაცხადებული ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლების შელახვისაკენ, ასეთი ქმედება „კონსტიტუციის დარღვევად“ უნდა შეფასდეს. ამავე ტრილში უნდა განვიხილოთ პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის 46-ე მუხლში მითითებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ადამიანის უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ადამიანთა მიმართ ამა თუ იმ ნიშნით დისკრიმინაციის დაშვება, ასევე, მედიის თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება.

- დარღვევები, რომლებიც უკავშირდება მოვალეობების შეუსრულებლობას და გამოიხატება უმოქმედობით ან არასათანადო მოქმედებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით მას შესაბამისი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება ან სხვაგვარი რეაგირება ევალებოდა. მაგალითად, უმოქმედობა მთავრობის მიერ საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადასტურების შემთხვევაში და სხვ.
- ქმედება, რომელიც შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც პრეზიდენტის მიერ თავისი საპრეზიდენტო ფიცის დარღვევა. მოცემულ შემთხვევებში იმპიჩმენტის საფუძველი შეიძლება გახდეს პრეზიდენტის არა მარტო ერთი რომელიმე ქმედება, არამედ ქმედებათა გარკვეული ერთობლიობა, რომლებიც ცხადს ხდიან, რომ პრეზიდენტმა არ შეასრულა ვალდებულებები, რომლებიც კონსტიტუციის 71-ე მუხლის საფუძველზე იკისრა. მაგალითად, ვალდებულება, რომ „იზრუნებდა ქვეყნის ერთიანობისა და განუყოფლობისათვის“, „კეთილსინდისიერად აღასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას“, „იზრუნებდა მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის“ და სხვა. საპრეზიდენტო ფიცის დარღვევის მიჩნევა იმპიჩმენტის საფუძვლად წარმოდგება საკუთრივ იმპიჩმენტის დანიშნულებიდან – ხელისუფლებას ჩამოაცილოს პრეზიდენტი, რომელსაც ხალხი აღარ ენდობა. პრეზიდენტის მხრიდან ფიცის დარღვევა უთუოდ იწვევს ხალხის ნდობის დაკარგვას და ლეგიტიმურობას უკარგავს მის პრეზიდენტობას. ამიტომ არის აუცილებელი, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძვლიანობის დადგენისას, მისი ნებისმიერი ქმედება თუ საქციელი კონსტიტუციური ფიცის კონტექსტში იქნას კარგად გააზრებული მათ მიერ, ვისაც იმპიჩმენტის უფლებამოსილება ეკუთვნის. ამიტომ, პრეზიდენტის მიერ დადებული ფიცის გატეხვა აუცილებლად უნდა იქნას კონსტიტუციაში მოხსენიებული, როგორც მისი იმპიჩმენტის საფუძველი.

გ) იმპიჩმენტის ახალი საფუძვლის – იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბრკოლების – შემოტანა

ვფიქრობთ, ასეთი ახალი საფუძვლის დაწესება გამართლებულია. როდესაც მაღალი თანამდებობის პირი ხელოვნურად უშლის ხელს მის წინააღმდეგ კანონიერად აღძრულ იმპიჩმენტის კონსტიტუციურ პროცესს, ამით იგი ავლენს კონსტიტუციისა და საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი უპატივცემულობას, არაფრად აგდებს კანონის უზენაესობის უმთავრეს დემოკრატიულ პრინციპს, საზოგადოების უფლებას, იცოდეს თანამდებობის პირთა საქმიანობის შესახებ და ჰყავდეს ხელისუფლება, რომლის პატიოსნებაშიც დარწმუნებულია და რომელსაც ენდობა. ასეთი ქმედებით თანამდებობის პირი პირდაპირ ადასტურებს ხელისუფლებასთან მის შეუფერებლობას და თავად ქმნის ხელისუფლებისაგან მისი ჩამოცილების სამართლებრივ თუ პოლიტიკურ საფუძველს. ეს მით უფრო შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის გარანტია.

იმპიჩმენტის კონსტიტუციური პროცესის დაბრკოლებად შეიძლება მიჩნეულ იქნას თანამდებობის პირის მიერ კომისიისათვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ან ცრუ ჩვენების მიცემა, მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტის გადაუცემლობა, ცრუ ჩვენების მისაცემად ან ინფორმაციის დასაფარად ვინმეს (მოწმეების, ექსპერტებისა და სხვა პირთა) დაყოლიება ან დაყოლიების მცდელობა, საგამოძიებო კომისიის ან პარლამენტის წევრებზე არასათანადო გავლენის მცდელობა, პარლამენტში არასაპატიო გამოუცხადებლობა, ისევე როგორც გამოძიებისა და პარლამენტში საქმის განხილვისათვის სხვაგვარად ხელის შეშლა.

6. მტკიცების სტანდარტები

კონსტიტუციამ უნდა მიუთითოს მტკიცების სტანდარტი, რაც გამოყენებული უნდა იქნას იმპიჩმენტის პროცესში ფაქტებისა თუ ბრალის დადგენილად მიჩნევისას და რომელიც იმპიჩმენტის პოლიტიკურ შინაარსს შეეფერება. ეს უნდა იყოს „აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების“ სტანდარტი. მოქმედი კონსტიტუცია და იმპიჩმენტის სხვა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მტკიცების სტანდარტს, რომელიც იმპიჩმენტის პროცესში უნდა იქნას გამოყენებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი თვით ფაქტების დამტკიცების ვალდებულებასაც კი არ ითვალისწინებს გამოკვეთილად. მით უფრო ბუნდოვანია, მტკიცების რა სტანდარტია ნაგულისხმევი დანაშაულის ჩადენის ან კონსტიტუციის დარღვევის დადგენილად მიჩნევისას. ამის გამო, აუცილებელია დაწესდეს, მტკიცების რა სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს საგამოძიებო კომისიამ, რომელმაც ფაქტები უნდა დაადგინოს, ხოლო შემდგომ კი პარლამენტმა, რომელმაც იმპიჩმენტის საქმე უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს.

უტყუარი მტკიცებულების („გონივრულ ეჭვს მიღმა“) სისხლისსამართლებრივი სტანდარტი, რომელიც ფაქტებისა და ბრალის დაახლოებით 95%-ით სარწმუნოდ დამტკიცებას გულისხმობს, იმპიჩმენტის პროცესისათვის შესაფერისი არ არის. ეს სტანდარტი სისხლის სამართლის პროცესში იმიტომ გამოიყენება, რომ მას შედეგად შეიძლება მოჰყვეს სერიოზული შედეგი პიროვნებისათვის – თავისუფლების აღკვეთა, მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი ან სხვა უფლების შეზღუდვა. იმპიჩმენტს კი, შედეგად შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ თანამდებობიდან გადაყენება, ხოლო თუკი გაზიარებული იქნება რეკომენდაცია დამატებითი ფაკულტატური სასჯელის შემოღებაზე – გარკვეული ხნით თანამდებობის დაკავების უფლებაც. გარდა ამისა, გონივრული არ იქნებოდა სისხლისსამართლებრივი სტანდარტის გამოყენება კონსტიტუციის დარღვევის დადგენისას.

მეორე მხრივ, არც „გადამწონი მტკიცებულების სტანდარტი“, რომელიც ფაქტების 51%-ით სარწმუნოდ დამტკიცებას გულისხმობს და სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამოიყენება, შეეფერება იმპიჩმენტის პროცესს. იგი ძალიან დაბალი იქნებოდა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების წინააღმდეგ იმპიჩმენტის გახმაურებული პროცესებისათვის, როდესაც პარლამენტმა თანამდებობასთან მათი შეუფერებლობის და ხალხის ნდობის დაკარგვის გამო, შეიძლება მათი გადაყენების გადაწყვეტილება მიიღოს.

სწორედ ამიტომ, იმპიჩმენტის პროცესს იდეალურად შეესაბამება „აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულების“ სტანდარტი, რომელიც პირობითად, ფაქტებისა და ბრალის 75%-ით სარწმუნოდ დადგენას გულისხმობს. თუ საგამოძიებო კომისიას, ხოლო შემდეგ პარლამენტის შემადგენლობის აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ აშკარად და დამაჯერებლად არის დადგენილი თანამდებობის პირის მიერ იმპიჩირებადი ქმედების ბრალეული ჩადენა, მას უფლება ექნება ხელისუფლებისაგან მისი ჩამოცილების გადაწყვეტილება მიიღოს. „აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულების სტანდარტი პოლიტიკური მიხედულების მეტ არეალს უტოვებს იმპიჩმენტის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს; შესაძლებლობას აძლევს, რომ პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებით შეაფასონ, რა უფრო გონივრულია, თანამდებობის პირის დატოვება ხელისუფლებაში, თუ მისი ჩამოცილება; რა უფრო სწორია ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი სტანდარტისაგან განსხვავებული, უფრო დაბალი სტანდარტის გამოყენება იმ უხერხულობასაც გამართლებას უძებნის, რომელიც შეიძლება ახლა იმპიჩმენტის და სისხლისსამართლებრივ პროცესებში განსხვავებული შედეგების დადგომისას წარმოიშვას.

კერძოდ, იმპიჩმენტის პროცესში გამართლებული პირის დამნაშავედ ცნობისას ორდინარული სისხლისსამართლებრივი პროცესის შედეგად ან იმპიჩმენტით გადაყენებული პირის მიმართ მომავალში გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას. მართლაც: თუ ფაქტებისა და ბრალის დადგენის საკითხში ამ განსხვავებულ პროცესებში გამოყენებული იქნება მტკიცების ერთი და იგივე სტანდარტები და კრიტერიუმები, მაშინ შედეგებიც ერთგვაროვანი უნდა იყოს. შესაბამისად, მტკიცების განსხვავებული სტანდარტებისა და განსხვავებული (პოლიტიკური და სამართლებრივი) კრიტერიუმების გამოყენება ველარ წარმოქმნის ლოგიკურ, სამართლებრივ თუ სხვაგვარ შეუსაბამობებს. ის, რაც მტკიცების შედარებით დაბალი სტანდარტით და პოლიტიკური კრიტერიუმების გამოყენებით დადგენილად შეიძლება იქნას მიჩნეული, მაღალი სტანდარტისა და სამართლებრივი კრიტერიუმების გამოყენებით შეიძლება აღარ იქნას დადგენილად მიჩნეული. კერძოდ, დანაშაულის ჩადენა იმპიჩმენტის პროცესის დროს სარწმუნოების 75%-იანი მტკიცებულების სტანდარტის გამოყენებით, შეიძლება დადგენილად იქნას მიჩნეული, ხოლო 95%-იანი სტანდარტის გამოყენებით, ორდინარული სამართალწარმოების შედეგად – დაუდგენლად.

თუმცა, მთავარი ამ არგუმენტთა შორის იმის განსაზღვრაა, თუ რა არის პრინციპულად სწორი. პრინციპულად სწორი კი ისაა, რომ იმპიჩმენტის პროცესში გამოყენებული იქნას სისხლისსამართლებრივი სტანდარტისაგან განსხვავებული, მასზე დაბალი მტკიცების სტანდარტი, რომელიც პოლიტიკური კრიტერიუმებით ოპერირების საშუალებას მისცემს პარლამენტის წევრებს – პოლიტიკოსებს, რომლებმაც აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების საფუძველზე უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება მაღალი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენებისა თუ ამისაგან თავის შეკავების თაობაზე.

7. მეტი გარანტია საიმიხოდ, რომ არც უსაფუძვლო გადაყენება მოხდეს და არც ხელისუფლებაში უსაფუძვლო შენარჩუნება

უნდა გაუქმდეს კონსტიტუციის დებულება, რომლის მიხედვითაც პარლამენტი ინარჩუნებს უფლებას, საკონსტიტუციო სასამართლოს გამამტყუნებელი დასკვნის მიუხედავად, არ გადააყენოს პირი თანამდებობიდან.

არსებული რეგულაციის სამართლიანობა და მიზანშეწონილობა ძალიან დიდ ეჭვებს აღძრავს: გაუგებარია, რა პოლიტიკური მოსაზრებებით შეიძლება იყოს ნაკარნახევი პრეზიდენტისა თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირების ხელისუფლებაში შენარჩუნება, როდესაც სასამართლოს დასკვნით დადასტურებულია მათ მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან მათ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა? ანდა რაღა აზრი აქვს სასამართლო ხელისუფლების ჩართვას იმპიჩმენტის პროცესში, თუ მის დასკვნას პარლამენტი მაინც არ გაითვალისწინებს? ეს პოლიტიკური მიხედულების ისეთ დიდ თავისუფლებას ანიჭებს პარლამენტს, რომელიც დიდ გასაქანს აძლევს არასახელმწიფოებრივი მიდგომების გამოყენებას, თვითნებობასა და არაჯანსაღ მანიპულაციებს.

თუ იმპიჩმენტის ქართული მოდელის შემქმნელებს სურდათ პარლამენტი ფაქტების დადგენისა და მათი სამართლებრივი შეფასების მოვალეობისაგან გაეთავისუფლებინათ, მაშინ უმჯობესი იქნებოდა, არჩევანი დანაშაულის ჩადენის ან კონსტიტუციის დარღვევის შემთხვევაში თანამდებობიდან ავტომატური გადაყენების წესზე შეეჩერებინათ. მართალია, იმპიჩმენტისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი პოლიტიკური ბუნება აქვს დაკარგული იქნებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, ისეთი

სიცხადე და გარკვეულობა იარსებებდა, რომელიც ხელისუფლების თვითნებური განხორციელების შესაძლებლობას მოსპობდა, არ დაუშვებდა პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყენებას ან პირიქით – ხელისუფლებაში უსაფუძვლოდ შენარჩუნებას; აღკვეთდა იმის შესაძლებლობას, რომ იმპიჩმენტის მექანიზმი, რომელიც ხელისუფლების დაცვის, ჯანსაღი ხელისუფლების შენარჩუნების მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, პოლიტიკურად არასასურველ თანამდებობის პირთა მოსაცილებლად ანდა პოლიტიკურად სასურველ პირთა შესანარჩუნებლად გამოეყენებინათ თვითნებურად, სასამართლოს დასკვნის იგნორირებით.

ეს პრობლემა დაძლეული იქნება, თუ შემოღებული იქნება იმპიჩმენტის საქმის არსებითი განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, რა დროსაც იგი იმოქმედებს როგორც სასამართლო (ან კვაზი-სასამართლო). იგი შეისწავლის იმპიჩმენტურ ბრალდებას, კომისიის დასკვნას, განიხილავს მტკიცებულებებს, მოუსმენს მხარეებს, მოწმეებს, ექსპერტებს, საგანგებო პროკურორს, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეთა მოსაზრებებს და საბოლოოდ, თავად მიიღებს გადაწყვეტილებას პირის ბრალეულობისა და თანამდებობიდან გადაყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ასეთი რეგულაცია უზრუნველყოფდა, პარლამენტს განეხორციელებინა ფაქტებზე დაფუძნებული იმპიჩმენტი, იმავდროულად ეხელმძღვანელა პოლიტიკური კრიტერიუმებით და მიეღო სამართლიანი და პოლიტიკურად გამართლებული გადაწყვეტილება.

8. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შედარებით გაიოლება

პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების მექანიზმი არ უნდა იყოს იოლი, მაგრამ ის არც ისეთი გართულებული უნდა იყოს, რომ მან საერთოდ შეუძლებელი გახადოს შედეგის მიღწევა. იმპიჩმენტის მექანიზმის ქმედითობისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იმპიჩმენტის საწყის სტადიებზე შემუშავდეს საზოგადოების მონაწილეობის ფორმები და მისი ჩართულობა, ხოლო დასკვნით სტადიაზე – პარლამენტში თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, დადგენილ იქნას ხმების საჭირო რაოდენობის უფრო დაბალი სტანდარტი. სასურველია, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის გზით თანამდებობიდან გადაყენებისათვის საკმარისად იქნას მიჩნეული არა პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის ორი მესამედის, არამედ სამი მეხუთედის თანხმობა. სამი მეხუთედის წესი უზრუნველყოფდა ერთი მხრივ, პრეზიდენტის იმპიჩმენტის გაიოლებას და მეორე მხრივ კი იმას, რომ შენარჩუნებულიყო სხვა იმპიჩირებად პირთათვის დადგენილ სტანდარტთან შედარებით უფრო მაღალი სტანდარტი, ვინაიდან პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის გადაყენება უფრო რთული უნდა იყოს, ვიდრე დანარჩენი მაღალი თანამდებობის პირებისა. ამ უკანასკნელთა იმპიჩმენტის გზით გადაყენებისათვის კონსტიტუციის მოქმედი ნორმებით აუცილებელია პარლამენტის უბრალო უმრავლესობის თანხმობა. ეს სტანდარტი გონივრულია და მისი შეცვლა საჭირო არ არის. ამიტომ პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის სამი მეხუთედის წესის შემოღება, ფაქტობრივად, ყველაზე უფრო სწორი გამოსავალი იქნებოდა.⁸

9. მეტი გამჭვირვალობა, ღია კენჭისყრა და სხდომის საჯაროობა პარლამენტში

ცალკე სამდურავი უნდა გამოვთქვას იმის გამოც, რომ პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას არ არის უზრუნველყოფილი საკმარისი საჯაროობა და საზოგადოების ინფორმირება

პროცესის მიმდინარეობისა თუ იმ პოლიტიკურ მოსაზრებათა შესახებ, რომლებიც საფუძვლად დაედო მიღებულ გადაწყვეტილებას თანამდებობიდან გადაყენებისა თუ თანამდებობაზე შენარჩუნების შესახებ. საქმე ისაა, რომ უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების დასკვნას პარლამენტი განიხილავს პლენარულ სხდომაზე,⁹ რომელიც პარლამენტის გადაწყვეტილებით, შეიძლება დახურულად გამოცხადდეს.¹⁰ პლენარული სხდომის დახურვა გამართლებულად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფო საიდუმლოების ან სხვა მნიშვნელოვანი კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას. სხვა შემთხვევებში, მაშინაც კი, როდესაც საქმე თანამდებობის პირის, მათ შორის პრეზიდენტის, პირადი ცხოვრებას ან სხვა დელიკატურ საკითხს შეეხება, განხილვა საჯარო უნდა იყოს, ვინაიდან იმპიჩმენტის პოლიტიკური პროცესის აზრი სწორედ ის არის, რომ ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს მის მიერ არჩეული პრეზიდენტისა თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენებისა თუ ხელისუფლებაში მისი შენარჩუნების სამართლიანობაში.

გარდა ამისა, იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტში ფარული კენჭისყრით მიიღება.¹¹ მართალია, ფარული კენჭისყრა საზოგადოდ, უფრო დემოკრატიულია, მაგრამ იმპიჩმენტის ბუნებიდან და მისდამი დიდი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აჯობებდა ღია, სახელობითი კენჭისყრის წესი შემოღებულიყო. ხალხის წინაშე პოლიტიკური ანგარიშვალდებულება მოითხოვს, ხალხისათვის ცნობილი იყოს, თუ ვინ დაუჭირა ან არ დაუჭირა მხარი პრეზიდენტისა თუ სხვა მაღალი თანამდებობის პირის იმპიჩმენტს, რომლის მიერ კონსტიტუციის დარღვევა ან რომლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობა სასამართლოს დასკვნით არის დადასტურებული. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მოქალაქეებს, როგორც ამომრჩევლებს, სწორი წარმოდგენა შეექმნათ პარლამენტში განხორციელებულ იმპიჩმენტის პროცესზე და ამ პროცესისადმი პოლიტიკური პარტიებისა თუ პარლამენტის ცალკეული წევრების დამოკიდებულებაზე. პარლამენტში იმპიჩმენტის საკითხის განხილვის საჯაროობა დამატებითი გარანტია იქნება, რომ ჩვენს პარლამენტარებს ხალხის წინაშე თავიანთი ანგარიშვალდებულება აგრძნობინოს.

10. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო იმავე ბრალდებით იმპიჩმენტის აღძვრის შესაძლებლობა

მოქმედი ნორმებით, შეუძლებელია პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის ხელახლა აღძვრა იმავე ბრალდების გამო, თუ პარლამენტმა ერთხელ უკვე უარი თქვა იმავე ბრალდების გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტზე. ეს წესი მოქმედებს იმის მიუხედავად, იარსებებს თუ არა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საფუძვლიანობის დამადასტურებელი ახალი მტკიცებულებანი. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ადრე მოქმედი ნორმებით (კონსტიტუციის ნ3-ე მოქმედი მუხლის მე-4 პუნქტი), იმავე ბრალდების გამო ახალი იმპიჩმენტის აღძვრის აკრძალვა შეეხებოდა მხოლოდ „მომდევნო ერთ წელიწადს.“ კონსტიტუციური კანონის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად კი, ამ აკრძალვამ აბსოლუტური ხასიათი მიიღო (ნ3-ე მუხლის მე-4 პუნქტის ახალი რედაქცია). იმავე ბრალდების გამო იმპიჩმენტის შესაძლებლობა საერთოდ გამოირიცხა.

იმავე საკითხზე პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის სამუდამო აკრძალვა დიდ ეჭვს იწვევს. გაცილებით გონივრული იქნებოდა, იმავე ბრალდებით იმპიჩმენტის ხელახალი აღძვრა დაშვებული იყოს, თუნდაც მხოლოდ ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოებების შემთხ-

ვევაში, რომლებიც პრეზიდენტის ბრალეულობაზე მეტყველებენ და ცხადს ხდიან ხელისუფლებაში მისი დატოვების მიზანშეუწონლობას. პარლამენტი არ უნდა იყოს შეზღუდული, ხელახლა აღძრას იმპიჩმენტი იმავე ბრალდებით, თუ ახლადადმოჩენილი გარემოებები თუ მტკიცებულებანი აშკარად მიუთითებენ პრეზიდენტის მხრიდან იმპიჩირებადი ქმედების ჩადენაზე და შესაბამისად, ხელისუფლებისაგან მისი ჩამოცილების აუცილებლობაზე.¹²

11. დამატებითი ფაკულტატიური სასჯელი – განსაზღვრული ვადით სახელმწიფო მოხელედ მუშაობის აკრძალვა

ასეთი დამატებითი ფაკულტატიური სასჯელის შემოღების მართებულობა უკავშირდება ხელისუფლების სიწმინდის დაცვისა და ხალხის ნდობით აღჭურვილი ხელისუფლების უზრუნველყოფის ინტერესს. მას პრევენციული მნიშვნელობაც ექნება და ამასთან, მთლიანად შეესაბამება იმპიჩმენტის პოლიტიკურ ბუნებასა და მის მიზანდასახულობას.

ჩადენილი ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე, მიზანშეუწონილად მიგვაჩნია, პარლამენტმა იმპიჩმენტით გადაყენებულ პირს 5 წლამდე ვადით აუკრძალოს მაღალ თანამდებობაზე სახელმწიფო მოხელედ მუშაობა. არჩევითი თანამდებობების მიმართ ეს სასჯელი შეიძლება არ გავრცელდეს. ასეთი სასჯელის შეფარდებას უნდა სჭირდებოდეს პარლამენტის წევრთა იმ რაოდენობის მხარდაჭერა, რაც თანამდებობიდან გადაყენებას.

შენიშვნები:

- 1 აშშ-ში იმპიჩმენტის წმინდა პოლიტიკური ბუნება, ერთი მხრივ, იმით ვლინდება, რომ იმპიჩმენტის საფუძველია პოლიტიკური ხასიათის „დანაშაული“ იმპიჩირებადია ქმედება, რომელიც ხალხის ნდობის ღალატს გულისხმობს (ცნებაში „მიძიე დანაშაული და მისდიმინო“ – გამოყენებული სისხლისსამართლებრივი ტერმინები აქ პირობითად იხმარება და არ ემთხვევა მათ კრიმინალურ გაგებას. მათი შინაარსი მთლიანად კონგრესზეა დამოკიდებული). მეორე მხრივ კი, იმით ვლინდება, რომ ფაქტების დადგენასა და შეფასებას ხელისუფლების პოლიტიკური განშტოება ახდენს თავისი პოლიტიკური კრიტერიუმებით.
- 2 აშშ-ში სწორედ იმიტომ თქვეს უარი იმპიჩმენტის პროცედურაში სასამართლო ხელისუფლების ჩართვაზე, რომ სასამართლო ბუნებრივია, სამართლებრივი კრიტერიუმებით იხელმძღვანელებდა და არა მისთვის უცხო და არაორგანული პოლიტიკური კრიტერიუმებით.
- 3 შესაბამის საქმეზე კონგრესისა და სასამართლო გადაწყვეტილებანი აშშ-შიც არ ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს. მაგრამ მათი თანხვედრა იქ სრულებითაც არ არის აუცილებელი, ლოგიკური თუ იურიდიული თვალსაზრისით. კონგრესის გადაწყვეტილება იურიდიულად არ ეყრდნობა სასამართლოს განაჩენს, არც ფაქტების დადგენის და არც მათი შეფასების საკითხში. მართალია, საპირისპირო გადაწყვეტილებების შემთხვევაში, ერთგვარი უხერხულობა მაინც წარმოიშობა, მაგრამ საქართველოს შემთხვევისაგან განსხვავებით, ის იურიდიულ შეუსაბამობას არ იწვევს. კონგრესს დამოუკიდებელი გამოძიება აქვს და თავის მიერ დადგენილი ფაქტების შეფასების გზით იღებს გადაწყვეტილებას. ამასთან, ის თავისი, სასამართლოსაგან განსხვავებულ პოლიტიკურ კრიტერიუმებს, მტკიცების უფრო დაბალ სტანდარტებს იყენებს და ამიტომ შედეგად განსხვავებული შეიძლება იყოს. კონგრესისეული შეფასებანი პოლიტიკურია და მთელი ძალისხმევა იმის დადგენისაკენაა მიმართული, უღალატა თუ არა თანამდებობის პირმა ხალხის ნდობას და რამდენად აუცილებელია მისი ხელისუფლებისაგან ჩამოცილება.
- 4 აშშ-ში იმპიჩმენტი კონგრესის მხრიდან სასამართლოს კონტროლის ერთადერთი ფორმაა. ფედერალური მოსამართლეების „კარგი ქცევის ვადით“ დანიშნით, „შეუმცირებადი კომპენსაციით“ და სხვა საშუალებებით შექმნილია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მყარი გარანტიები; მათი იმპიჩმენტისადმი დაქვემდებარებით კი, მიღწეულია მათი პოლიტიკური ანგარიშვალდებულება იმ ხარისხითა და იმ ზომით, რომელიც მათ დამოუკიდებლობას ზიანს არ აყენებს, ხოლო ამ დამოუკიდებლობით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობას კი, მინიმუმამდე ამცირებს.
- 5 ამ მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შემდეგი დარღვევები შეიძლება ჩაითვალოს „კონსტიტუციის დარღვევად“ და მაშასადამე, იმპიჩმენტის საფუძველად:
 - საქართველოს ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა პარლამენტის თანხმობის გარეშე;
 - მთავრობის გადაყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობდა კონსტიტუციით დაწესებული სამისო პირობები;
 - თანამდებობის პირის დანიშვნა ან გათავისუფლება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ;
 - საომარი მდგომარეობის გამოცხადება საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის არარსებობის მიუხედავად;
 - საომარი მდგომარეობის ან ზავის დადების შესახებ თავისი გადაწყვეტილების პარლამენტში წარუდგენლობა;
 - საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში მითითებული პირობების არარსებობისას;
 - თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის შეჩერება ან მათი დათხოვნა პარლამენტის თანხმობის გარეშე;
 - არჩევნების დანიშვნა კანონით დადგენილი წესის დარღვევით;
 - პარლამენტის ან არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის მოთხოვნის მიუხედავად კანონმდებლობით გათვალისწინებულ საკითხებზე რეფერენდუმის დანიშვნაზე უარის თქმა;
 - პარლამენტის დათხოვნა და რეგარეშე არჩევნების დანიშვნა კონსტიტუციის მე-80 მუხლში მითითებული წინაპირობების არარსებობისას;
 - მთავრობის ან პარლამენტის დათხოვნა და რეგარეშე არჩევნების დანიშვნა კონსტიტუციის 81-ე მუხლში მითითებული წინაპირობების არარსებობის მიუხედავად;

– სამხედრო ძალების გამოყენება კონსტიტუციის მე-100 მუხლში მითითებული წინაპირობების დაუცველად ან ქვეყანაში სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების შემოყვანა და გამოყენება პარლამენტის თანხმობის გარეშე ან კონსტიტუციის მე-100 მუხლში მითითებული პირობების დაუცველად და სხვა.

⁶ იხ: კონსტიტუციის 72-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც პრეზიდენტს პარტიული თანამდებობის დაკავების უფლებასაც უკრძალავს.

⁷ აშშ-ში იმპიჩირებადი ქმედებისათვის ჩადენილად მიჩნევა ავტომატურად გულისხმობს დამრღვევის თანამდებობიდან გადაყენებას, რადგანაც მიჩნეულია, რომ დაუშვებელია, ასეთმა პირმა გააგრძელოს ხელისუფლებაში ყოფნა. ასეთი მიდგომა ხელისუფლების სიწმინდის დაცვასა და საერთოდ ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის შენარჩუნებას ემსახურება. იმპიჩმენტის ქართული კონსტიტუციური მექანიზმი, როგორც ჩანს, არ არის ამისაკენ მოწოდებული.

⁸ ამერიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მაშინაც კი, როდესაც პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს მიეკუთვნებიან, ძალზე ჭირს თანამდებობიდან გადაყენების საკითხზე აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება კონგრესში და ფაქტობრივად (იქნებ ამიტომაც), ჯერ არ მომხდარა აშშ-ის ისტორიაში, რომ პრეზიდენტი იმპიჩმენტით გადაეყენებინათ.

⁹ იხ.: პარლამენტის რეგლამენტის 248-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰ იხ.: პარლამენტის რეგლამენტის 248-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

¹¹ იხ.: იმპიჩმენტის შესახებ ორგანული კანონის 32-ე მუხლი.

¹² შედარებისათვის: აშშ-ში ასეთი აკრძალვა არ არსებობს. ხელახალი იმპიჩმენტი იმავე ბრალდებასთან დაკავშირებით შესაძლებელია არა მარტო ახალი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში, არამედ იმავე მტკიცებულებათა საფუძველზეც, რაც უკვე იყო კონგრესის მსჯელობის საგანი. მთავარია, წარმომადგენელთა პალატაში კვლავ მოგროვდეს ხმათა საჭირო რაოდენობა პრეზიდენტის იმპიჩმენტის მხარდასაჭერად. ეს შესაძლებლობას იძლევა, რომ პოლიტიკური კონიუნქტურის ანდა მტკიცებულებათა ნაკლებობის გამო იმპიჩმენტს შემთხვევით გადარჩენილი პრეზიდენტი კვლავ დაექვემდებაროს იმპიჩმენტის კონსტიტუციურ პროცედურას, ხოლო კონგრესმენებმა თუ სენატორებმა კი, ხელახლა გაიზრონ თანამდებობიდან მისი გადაყენების მიზანშეწონილობა. კონგრესის იმპიჩმენტური პრაქტიკა მოწმობს, რომ ხელახალი იმპიჩმენტის შესაძლებლობა არასოდეს ყოფილა კონგრესმენტთა მიერ უგუნურად, ბოროტად ან უპასუხისმგებლოდ გამოყენებული.

IMPEACHMENT SHOULD ACQUIRE POLITICAL NATURE

EVA GOTSIRIDZE


Doctor of Law

Member of the High Council of Justice

Professor at the Saint Andrew the First-Called Georgian University of Patriarchate of Georgia

The article criticizes the Georgian model of impeachment introduced by the Constitution, and offers the whole series of amendments so that the impeachment acquires an inherent political nature and plays its role in the checks and balances of power; besides, the author thinks that there should be preconditions created for lawful and fair impeachment, safeguards established for substantial and procedural justice to make sure that the impeachment does not turn into an instrument for getting rid of unfavorable officials or for ungrounded retention of those officials in power whose confidence has been challenged. The article suggests improving the impeachment procedure and stages, having a new and different look at the impeachment grounds, group of impeachable persons and anticipated penalties, and introducing more safeguards for ensuring the transparency of impeachment process.

To this effect, the author thinks that the impeachment should be completely governed by the legislative power. The judiciary should not have an obligation to produce its opinion regarding the substantial issues; all the responsibility should be born by the parliament, which will use its political criteria to assess whether the President or another official demonstrated a behavior that results in losing the public confidence, and how justified it is in this respect to dismiss him/her or to keep him/her in this official office; the substantial fairness should be



guaranteed – obligation for due examination of facts. In this respect, a special investigation commission should be formed, which will be equipped with special authority; and at the same time the law should specify that every respective agency or official should not hinder the investigation of an impeachment case; institute safeguards for procedural justice – producing the opinion of a Constitutional Court whether the constitutional requirements were met or not while carrying out the impeachment procedure. Stages of the procedure should be clearly determined with fixed timeframes that are reasonable for investigating and hearing the impeachment cases with due diligence; a “clear and convincing” standard should be introduced while investigating and considering the impeachment case; impeachment case consideration on merits should be instituted at the Parliament with mandatory participation of parties, guaranteeing equal rights to them; besides, obligation to testify under oath while investigating the case or hearing the case at the Parliament, new ground of impeachment – hindering the constitutional process of impeachment; the new ground should be introduced for impeaching the president – breaking the presidential oath – and a lower standard: consent of 3/5 of the full composition of the members of the Parliament should be enough for dismissing the President instead of 2/3. Members of the Supreme Court should be subjected to impeachment; initiation of impeachment procedure should be possible with the same allegation based on newly discovered circumstances; sessions on impeachment should be public except the case when it is reasonable to close the session because of state security interests; and open voting should be established at the Parliament when passing the final verdict, etc.

სამართალურთიერთობების ობიექტის გაგების კონცეპტუალური მიდგომები – განახლებული შეხედულება პრობლემის გადასაწყვეტად

ნინა კამენსკაია

*კიევის სავაჭრო-ეკონომიკური უნივერსიტეტის დოცენტი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ადვოკატი*

სამართალურთიერთობების ობიექტების თეორიის მეცნიერული დამუშავება ნახევარ საუკუნეზე მეტია რჩება იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. ამ პრობლემატიკის დეტალური შესწავლის მიუხედავად, თემატურ წყაროთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამართლის ზოგადი თეორიისა და დარგობრივი იურიდიული მეცნიერებების თაობაზე სპეციალისტების (ნ. გ. ალექსანდროვი, ს. ს. ალექსევი, კ. გ. ვოლინკა, ი. ი. გრეცოვი, ო. გ. ბაიუკი, ს. ფ. კერეკიანი, მ. ნ. მარჩენკო, ნ. ნ. ონიშჩენკო, ი. კ. ტოლსტოი, ლ. ა. ჩეგოვაძე, რ. ო. ხალფინა და სხვ.) პოზიცია არ გამოირჩევა შეხედულებათა მსგავსებით, აღნიშნული ფუნდამენტური კატეგორიის არსის გაგებასთან დაკავშირებით. ამიტომაც, აქტუალურია სამართალურთიერთობების ობიექტის გაგებისათვის კონცეპტუალური მიდგომების გაანალიზება. ასევე, კვლევის აღნიშნულ საგანზე მეცნიერთა დღეისათვის არსებული პოზიციების გათვალისწინებით, გვავანალიზოთ ზემოთ მითითებულ ავტორთა დასკვნების ფორმულირება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

უმეტეს შემთხვევებში, სამართალურთიერთობების ობიექტი დისკუსიის მონაწილეთა მიერ ზოგადად, ისეთი პოზიციებიდან ხასიათდება, როგორებიცაა:

- სამართალურთიერთობების სუბიექტთა ქცევა, ქმედება;¹
- ფაქტობრივი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებზედაც გავლენას ახდენენ სამართალურთიერთობები;²
- მატერიალური და სულიერი კეთილდღეობები, რომელთა მინიჭებითა და გამოყენებით კმაყოფილდება უფლებამოსილი მხარის ინტერესები;³
- მატერიალური სამყაროს საგნები (მოვლენები), პირადი არამატერიალური კეთილდღეობა, სულიერი შემოქმედების შედეგები, ასევე, ამა თუ იმ სუბიექტების მოქმედება ან უმოქმედობა;⁴
- ესა თუ ის კეთილდღეობა: მატერიალური თუ არამატერიალური, რომელთა მიხედვითაც სუბიექტები შედიან სამართლებრივ ურთიერთობებში და ახორციელებენ საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებს⁵ და სხვა.

სამართალურთიერთობის ობიექტის მრავალრიცხოვანი განმარტებანი სამართლის თეორიაში ტრადიციულად, ორ ძირითად მიმართულებად ჯგუფდება ე.წ. „მონოსტიკური“ და „პლურალისტული.“ პირველს მიეკუთვნება თეორები, რომლებიც ყველა სამართალურთიერთობებში აღიარებენ ერთ საერთო ობიექტს. მეორეს – სამართალურთიერთობათა ობიექტების კონცეფციათა სიმრავლე.

გარკვეულწილად ცალკე დგას თეორიული მიდგომა მეცნიერებისა, რომლებიც საერთოდ ვერ ხედავენ აუცილებლობას, რომ ისეთი კატეგორია, როგორიცაა „სამართალურთიერთობის ობიექტი,“ ცალკე იყოს გამოყოფილი. მოცემული სამეცნიერო შრომების გულდასმით შესწავლის შედეგად, მივდივართ დასკვნამდე, რომ „სამართალურთიერთობის ობიექტის“ გაგება იურისტების მიერ ფაქტობრივად, ჩანაცვლებულია ტერმინით „სამართლის ობიექტი“ (რომელიც გულისხმობს საგნებს, სულიერი შემოქმედების პროდუქტს, უფლებამოსილი და ვალდებულების მქონე პირთა ქმედებებს, მათ უმოქმედობას – ნ. კ.).⁶ ამდენად, აღნიშნული თეორიული მიმდინარეობის ერთ-ერთი მხარდამჭერი პროფესორი ს. ფ. კეჩეკიანი საკმაოდ დიფერენცირებულად ახასიათებს სამართლის ობიექტს: „მიეკუთვნება სუბიექტურ სამართალს,“ „საძიებელი სამართლებრივი ეფექტი,“ „იმ სამართლებრივი კონტროლის საგანი, რომელიც განისაზღვრება სამართლის (ან სამართალურთიერთობის) შინაარსით,“ „ის, რაც შეადგენს უფლებამოსილი პირის სამართლებრივი დომინირების საგანს.“ გარდა ამისა, მეცნიერი აღნიშნავს, რომ „სინამდვილეში სამართალურთიერთობა ორ ან მეტ პირს შორის არ შეიძლება მოწყვეტილ იქნას არც ამ სამართალურთიერთობის შინაარსიდან (ამ შინაარსის გარეშე თავად სამართალურთიერთობა შეუძლებელი) და არც ობიექტიდან, რომლის გარეშეც შეუძლებელია გამოვლენილ იქნას სამართალურთიერთობის მხარეების როგორც უფლებები, ისე ვალდებულებები.“⁷ ჩვენი შეხედულებით, ასეთი დახასიათება ესადაგება ზემოთ მოტანილ თემისებს, რომლებიც სამართალურთიერთობის ობიექტს ეხება. ამიტომაც, განსახილველი კონცეფციის პოზიცია ფაქტობრივად ადასტურებენ, რომ აღნიშნული თეორიის წარმომადგენლები მხარს უჭერენ არა ერთეული სამართლის ობიექტის, არამედ სამართალურთიერთობის ობიექტთა სიმრავლის თეორიას.

სამართალურთიერთობის ობიექტის გარშემო გამართული სხვადასხვა შინაარსისა და მოცულობის მქონე ინტერპრეტაციების მომხრეთა მწვავე კამათმა მაინც ვერ მიგვიყვანა „სამართალურთიერთობის ობიექტის“ ზოგადი ცნების საბოლოო განსაზღვრამდე, ისევე როგორც მოვლენათა იმ წრემდე, რომელსაც იგი მოიცავს. თუმცა, დღეისათვის თანამედროვე იურიდიული მეცნიერების დადებით მიღწევად ითვლება ობიექტის ცნობა სამართალურთიერთობის ელემენტად. საბოლოოდ, მეცნიერთა

უმეტესობამ აღიარა, რომ ყველა სამართალურთიერთობას გააჩნია ობიექტი, რომელიც წარმოადგენს ამ კანონით დარეგულირებულ საზოგადოებრივ კავშირთა შემადგენელ სტრუქტურას.⁸

- სამართალურთიერთობის ობიექტის პრობლემატიკის ანალიზის დროს გონივრული ჩანს ამ საკითხზე პროფესორ ს. ს. ალექსეევის კონსტრუქციული შენიშვნების გათვალისწინება:
- სამართალურთიერთობის ობიექტი არ უნდა აგვერიოს სამართლებრივი რეგულირების ობიექტში (საგანში);
 - ობიექტი წარმოადგენს სამართალურთიერთობის ელემენტს მხოლოდ ამ უკანასკნელის ფართო ინტერპრეტაციის დროს, როცა სამართალურთიერთობა განიხილება როგორც იურიდიული ფორმისა და მატერიალური შინაარსის ერთობლიობა;
 - ადამიანთა ქცევა სამართალურთიერთობებში უკვე განსაზღვრულია: იგი ქმნის სამართალურთიერთობის მატერიალურ შინაარსს.⁹

გამოჩენილი მეცნიერის ციტირებული თვალსაზრისის გაზიარებისას, ვცადოთ შემდეგი: განვსაზღვროთ ზემოთ გადმოცემული თეორიის სუსტი ადგილები. დავყვარდნოთ საკუთარ წარმოდგენას, თუ რა გაგებითაა მიზანშეწონილი იურიდიულ მეცნიერებაში „სამართალურთიერთობის ობიექტის“ გამოყენება. უპირველესად, ანალიზი გავუკეთოთ იმ კონცეფციებს (ცნებებს), რომლებსაც ჩვენი შეხედულებით, აქვთ ხარვეზები ამ სამართლებრივი კატეგორიის შინაარსის საკითხის გადაწყვეტისას.

ამდენად, ქცევითი თეორია, აკეთებს რა დეკლარირებას პოზიციისას, რომ სამართალურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ „ქმედებები საგანთა ურთიერთობებში“,¹⁰ კრიტიკას ვერ უძლებს ქვემოთ წარმოდგენილი მიზეზების გათვალისწინებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამართალურთიერთობას, როგორც დინამიკურ სამართლებრივ ფენომენს, აქვს საკუთარი იურიდიული ფორმა და მატერიალური შინაარსი, რომელიც სამართალურთიერთობის სუბიექტთა ქცევას წარმოადგენს. ვითვალისწინებთ რა, საკანონმდებლო ნორმების საყოველთაო-სავალდებულო ხასიათს, ლოგიკურად ჩანს, რომ სამართალურთიერთობის სუბიექტების ქმედება (უმოქმედობა) კი არ ქმნის მათი უფლებებისა და მოვალეობების არსს, არამედ კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები განსაზღვრავენ აღნიშნული პირების ქმედებათა შესაძლო ვარიანტებს. თეორიას „ობიექტი – ქცევა“ შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა სამართალურთიერთობებში მატერიალური (ფაქტობრივი – ნ. კ.) შინაარსის იგნორირების შემთხვევაში.¹¹ გარდა ამისა, სამართლის სოციოლოგიის თვალსაზრისით, სამართლებრივი ურთიერთობა წარმოადგენს სამართლის სუბიექტთა სოციალური ურთიერთქმედების სპეციფიკურ ფორმას, რომლის მიზანია ინტერესების რეალიზაცია და ისეთი შედეგების მიღება, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან რომელიც მასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. ურთიერთქმედება სამართლებრივი საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურათა უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ურთიერთქმედების ფარგლებს გარეთ თითქმის არაფერი აღარ რჩება.¹² ამდენად, თუ ობიექტი წარმოადგენს სამართალურთიერთობის აუცილებელ ელემენტს, მაშინ ეს სამართლებრივი მოვლენები თანხმობაში მოდიან ერთმანეთთან როგორც ფილოსოფიური კატეგორიები, როგორც ცალკე აღებული, ისე მთლიანობაშიც. თავის მხრივ, მთელი და ცალკეული ნაწილი შინაარსით ერთი და იგივე არ არის. განვსაზღვრავთ რა, ობიექტს როგორც ქმედებას, ჩვენ მას ვათანაბრებთ სამართალურთიერთობასთან, ეს კი, მცდარი დასკვნაა როგორც სამართლებრივი, ისე სოციოლოგიურ-სამართლებრივი და ფილოსოფიური თვალსაზრისით.

თავის მხრივ, სამართალურთიერთობის გაგება, როგორც სამართლებრივი რეგულირების, ასევე საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ზემოქმედების საშუალებისა,¹³ „აღმოფხვრის განსხვავებას ნორმათა სისტემაში, სადაც გამოხატულია სახელმწიფოს ნება და კონკრეტულ საზოგადოებრივ დამოკიდებულებებს შორის, რომლებშიც ეს ნება რეალიზდება.“¹⁴ ძნელი არ არის აღვნიშნოთ, რომ ციტირებული მიდგომა არ ესადაგება საყოველთაოდ მიღებული „სამართლის“ აღქმის ფუნდამენტურ იურიდიულ კატეგორიას. იურიდიულ ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თავად სამართალი თავისი მთელი იურიდიული ბუნების ძალით ახორციელებს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირებას.

რაც შეეხება სამართალურთიერთობის ობიექტის განსაზღვრებას უფლებამოსილი პირის ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, ლ. ა. ჩეგოვადის შეხედულებას აღნიშნული მიდგომის გარკვეულ მონახევრობასთან დაკავშირებით. მეცნიერი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სამართალურთიერთობა მოიცავს ორ სუბიექტს (იგულისხმება სამართალურთიერთობის მხარეები – ნ. კ.), ამიტომაც არსებობს ობიექტური საფუძველი ჩავთვალოთ, რომ მათი აქ არსებობა განპირობებულია საერთო მიზნის მიღწევით, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი მათგანია მათ შორის ვალდებული და რომელი უფლებამოსილი.¹⁵ გავამახვილოთ ყურადღება იმაზეც, რომ უფლებებსა და ვალდებულებებს შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირის გაგება წარმოადგენს აუცილებელ პირობას სამართალურთიერთობის ობიექტის რაობის სწორად განსაზღვრისათვის. ეს აიხსნება იმით, რომ სამართალურთიერთობის სუბიექტების (მონაწილეების) უფლებებისა და მოვალეობების შინაარსი განისაზღვრება ერთი და იმავე ელემენტით – სამართალურთიერთობის ობიექტით.

გარდა ამისა, არადაამაჯერებლად ჟღერს სამართლის თეორეტიკოსების ისეთი მიდგომა, რომლის მიხედვითაც, სამართალურთიერთობის ობიექტებად მოიაზრებიან როგორც მატერიალური და არამატერიალური კეთილდღეობა, ისე სუბიექტთა ქმედებაც (უმოქმედობაც). სამართალურთიერთობის ობიექტებად ქმედების (უმოქმედობის) განხილვის არამართებულობა ჩვენს მიერ ზემოთ უკვე იყო არგუმენტირებული. ასეთი შეხედულების სასარგებლოდ დამატებით არგუმენტად შეიძლება გამოდგეს პროფესორ ნ. გ. ალექსანდროვის დასკვნა: „საგნები და ადამიანთა ქმედებები – ეს განსხვავებული მოვლენებია და სავსებით დაუშვებელია განვალაგოთ ისინი ერთ სიბრტყეზე, ერთნაირად განვიხილოთ როგორც „სამართალურთიერთობის ობიექტები.“¹⁶

ვითვალისწინებთ რა ზემოაღნიშნულს, მივდივართ დასკვნამდე, რომ მეცნიერთა თეორიული შეხედულებები, რომლებიც სამართალურთიერთობის ობიექტებად განიხილავენ მატერიალურ და არამატერიალურ კეთილდღეობას, ჩვენთვის უფრო მისაღებია.¹⁷ სამართალურთიერთობის ობიექტში ჩვენ ვგულისხმობთ მატერიალურ და არამატერიალურ კეთილდღეობებს, რომლებისკენაც არის მიმართული სამართალურთიერთობის მონაწილეთა ქცევა, განპირობებული მათი ინტერესებით, დაიკმაყოფილონ ესა თუ ის მოთხოვნები. ამასთან, საჭიროებები განსაზღვრავენ ასეთი სუბიექტების ინტერესებს. თავის მხრივ, ინტერესები მამოძრავებელი ძალაა, რომელიც აიძულებს სუბიექტებს შევიდნენ სამართალურთიერთობებში, მოახდინონ სუბიექტური უფლებების რეალიზება და შეასრულონ მათზე კანონით დაკისრებული იურიდიული ვალდებულებები. ასეთ გარემოებებში ობიექტი წარმოადგენს იმას, რომელზეც სამართალურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საკანონმდებლო ნორმებით რეგლამენტირებულ ფარგლებში.

ბუნებრივია, სამართალურთიერთობის ობიექტის წარმოდგენილი თეორიული რაკურსი წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო მიმართულებას ამ რთული პრობლემატური საკითხის შესასწავლად როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტში.

შენიშვნები:

- ¹ Александров Н. Г., Правовые отношения в социалистическом обществе: [монография] / Н. Г. Александров, М., Изд-во Московского университета, 1959, стр. 38.
- ² Толстой Ю. К., К теории правоотношения: [монография] / Ю. К. Толстой, Л., Изд-во Ленин-го ун-та, 1959, стр. 65.
- ³ Теория государства и права, Учебник / Под ред. М. Н. Марченко, М., Изд-во «Зерцало», 2004, стр. 713.
- ⁴ Теорія держави і права, академічний курс : Підручник / За ред. О. В. Зайчука, Н. М. Оніщенко, 2-е вид. перероб. і доп. К.: Юрінкомінтер, 2008, с. 446.
- ⁵ Алексеев С. С., Проблемы теории права, [курс лекций в 2 т.] / Науч. ред. Р. К. Русинов, Свердловск, Изд-во Свердл. юрид. ин-та, 1972, Т. 1, Основные вопросы общей теории социалистического права, 1972, стр. 329-340.
- ⁶ Кечекьян С. Ф., Правоотношения в социалистическом обществе: [монография] / С. Ф. Кечекьян, М., Изд-во Академии наук СССР, 1958, стр. 137-156.
- ⁷ Кечекьян С. Ф., Правоотношения в социалистическом обществе: [монография] / С. Ф. Кечекьян, М., Изд-во Академии наук СССР, 1958, стр. 137-146.
- ⁸ Волинка К. Г., Теорія держави і права : [навч. посібн.] / К. Г. Волинка, К., МАУП, 2003, стр. 154.
- ⁹ Алексеев С. С., Общая теория права, В двух томах / С. С. Алексеев, М., Юрид. лит., 1982, Т. II, 1982, стр. 154-156.
- ¹⁰ Магазинер Я. М. Объект права // Очерки по гражданскому праву: Сб. статей / Отв. ред. проф. О. С. Иоффе, Л., Изд-во ЛГУ, 1957, стр. 66-68.
- ¹¹ Алексеев С. С., Общая теория права, В двух томах / С. С. Алексеев, М., Юрид. лит., 1982, Т. II, 1982, стр. 156.
- ¹² Гревцов Ю. И., Социология права, курс лекций / Ю. И. Гревцов, СПб, Издательство «Юридический центр Пресс», 2001, стр. 163.
- ¹³ Толстой Ю. К., К теории правоотношения: [монография] / Ю. К. Толстой, Л., изд-во Ленин-го ун-та, 1959, стр. 65.
- ¹⁴ Халфина Р. О., Общее учение о правоотношении: [монография] / Р. О. Халфина, М., «Юридическая литература», 1974, стр. 100.
- ¹⁵ Чеговадзе Л. А., Структура и состояние гражданского правоотношения: [монография] / Л. А. Чеговадзе, М., «Статут», 2004, стр. 201.
- ¹⁶ Александров Н. Г., Законность и правоотношения в советском обществе: [монография] / Н. Г. Александров, М., Государственное издательство юридической литературы, 1955, стр. 120.
- ¹⁷ Алексеев С. С., Проблемы теории права: [курс лекций в 2 т.] / Науч. ред. Р. К. Русинов, Свердловск, Изд-во Свердл. юрид. ин-та, 1972, Т. 1, Основные вопросы общей теории социалистического права, 1972, стр. 329-340.

CONCEPTUAL APPROACHES FOR UNDERSTANDING THE OBJECTS OF LEGAL RELATIONSHIPS: UPDATED OPINION FOR SOLVING THE PROBLEM

NINA KAMENSKAYA

*Associate Professor of the Kyiv University of Trade and Economics
Candidate of Juridical Sciences, lawyer*

Scientific research of the theory on the object of legal relationship has been one of the topical problems of juridical sciences for about five decades. Despite this field has been studied quite profoundly, the scholars do not have any agreed position on the understanding of the essence of this category. The article analyzes the conceptual approaches to the concept of object of legal relationships, which are based on: conduct and activities of the subject of legal relationship; actual public attitudes that are influenced by legal relationships, analysis of material and non-material values, which satisfy the interests of authorized sides and which serve as tools for the subjects for entering legal relationships and carrying out their rights and obligations.

The author challenges the followers of different and content-based interpretation of the object of legal relationship, and offers her own vision of the general term – “object of legal relationship” and events comprising this concept. For us the object of legal relationship would mean the material and non-material values, which guide the conduct of the participants of legal relationships, and which are determined by them with the interest of satisfying a certain demand.

The author emphasizes that the demands determine the interests of such subjects. From its side, the interests are the driving force for the subjects to establish legal relationships and realize the subjective rights, and perform the legal obligations imposed on them by the law. In these circumstances, the object is something that the participants of legal relationships can influence within the frameworks of legal norms. The article points out that the presented theoretical perspective of the object of legal relationship represents only one of the possible directions for studying this complicated problem.

გონივრული ეჭვისა და შინაგანი რწმენის სამართლებრივი და ფილოსოფიური მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში

კობა ბუაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგადი ნაწილის პირველ თავში მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ამოცანებისა და მოქმედების სფეროს თაობაზე. მესამე მუხლით განსაზღვრულია ძირითად ტერმინთა განმარტება. აქვე მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე და მეთოთხმეტე პუნქტების თანახმად:

- ა) **დასაბუთებულია ვარაუდი** – ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი (სსსკ, მუხლი 3, პუნქტი 11).
- ბ) **ალბათობის მაღალი ხარისხი** – წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერ-

თობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი (სსსკ მუხლი 3, პუნქტი 12).

გ) გონივრულ ეჭვს მიღმა – სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში (სსსკ მუხლი 3, პუნქტი 13).

დ) განაჩენი – პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას (სსსკ მუხლი 3, პუნქტი 14).

ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის (c) ქვეპუნქტით, წინასწარი პატიმრობის ძირითადი პირობაა „სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ საფუძვლიანი ეჭვი („ან“) ფორმულირება შეიძლება გულისხმობდეს, რომ ეს არის დაკავების ალტერნატიული და არა სავალდებულო პირობა. თუმცა, პრეცედენტული სამართლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვი წინასწარი პატიმრობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

„საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობის დასამტკიცებლად ნაკლები მტკიცებულება საჭირო, ვიდრე მსჯავრდების დასაბუთებისას. თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი არსებობა ობიექტურ ფაქტებს უნდა ეფუძნებოდეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საფუძვლიანი ეჭვი „ვარაუდობს იმ ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირს შეეძლო დანაშაულის ჩადენა. ის, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „საფუძვლიანად“, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე“ (Fox v. U.K., 1990, § 32). სასამართლომ აღნიშნა, რომ 7 წლის წინანდელი მსჯავრდება მსგავსი დანაშაულისათვის (IRA-სთან დაკავშირებული ტერორისტული აქტი) ვერ იქნებოდა საფუძვლიანი ეჭვის ჩამოყალიბებისათვის ერთადერთი საკმარისი საფუძველი (იქვე, §35).

იმავე კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის თანახმად, დაკავებულ პირს უფლება აქვს „სასამართლომ მისი საქმე გონივრულ ვადაში განიხილოს ან გაათავისუფლოს საქმის განხილვის პროცესში.“ აღნიშნული ფორმულირებით თუ ვიმსჯელებთ, დაკავებულ პირს უფლება აქვს მისი საქმე გონივრულ ვადაში იქნას განხილული ან ამგვარი გარანტიის გარეშე იქნას გათავისუფლებული. მაგრამ, პრეცედენტული სამართლის მიხედვით, „სასამართლო განხილვა გონივრულ ვადაში“ ან „გათავისუფლება საქმის განხილვის პროცესში“ გულისხმობს, რომ დაკავების ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს გონივრულ ვადაზე მეტი და თუ გახანგრძლივებული პატიმრობა არაგონივრული იქნება, დაკავებული პირი უნდა გათავისუფლდეს. (აღნიშნული განმარტების მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ითვალისწინებს ყველას უფლებას, საქმის სასამართლო პროცესზე გონივრულ ვადაში განხილვაზე და უსაფუძვლო პატიმრობა წინააღმდეგობაში არ მოვიდოდა უდანაშაულობის პრეზუმეციასთან). ამგვარი განმარტების სასამართლო პრეცედენტია საქმე – Wemhoff v. West Germany 1968; A7.

სასამართლოს არ განუსაზღვრავს დაკავების „გონივრული“ თუ „არაგონივრული“ ვადა, მაგრამ ჩამოყალიბა მოთხოვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა თავად უნდა მოახდინონ დაკავების თითოეული საქმის გადაწყვეტა საქმის „განსაკუთრებული თავისებურებებიდან გამომდინარე“ და ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ დაკავებულთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურების გარეშე წარმოება.

მტკიცებულებისა და მტკიცების წესების ახლებური სისტემის ჩამოყალიბება მიჩნეულია საქარ-

თველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნოვაციად, რომელიც ეყრდნობა ძირითად მტკიცებულებით სტანდარტებს: დასაბუთებული ვარაუდის, ალბათობის მაღალი ხარისხისა და გონივრულ ეჭვს მიღმა (უტყუარი მტკიცებულების) სტანდარტები. თუ დავაკონკრეტებთ: ა) პირველადი „გონივრული ეჭვის“ სტანდარტი გამოიყენება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ „დაკავებისა და ზედაპირული შემოწმებისათვის; ბ) დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი (ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა) – გამოიყენება სსს საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, ბრალდების წაყენებისა და/ან აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისათვის; გ) „ალბათობის მაღალი ხარისხის“ სტანდარტი – მტკიცებულებათა ერთობლიობა კი, შესაძლებელს ხდის სასამართლოში საქმის წარმართვისა და მოსამართლის მიერ ვარაუდის მაღალი ხარისხით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

გონივრული ეჭვისა და ვარაუდის სტანდარტის გამოყენების პარალელურად, სისხლის სამართლის პროცესში ეფექტიანად მიმდინარეობს შინაგანი რწმენის საფუძველზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღება. უპირველესად, ეს ეხება ბრალდებას, რომელიც საფუძველს აძლევს სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობას თუმცა, ეს მტკიცება არ უკავშირდება პროცესის კონკრეტულ სტადიებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბრალდების ასეთი გაგება უნდა გავრცელდეს როგორც გამოძიების, ასევე საქმის სასამართლო არსებითი განხილვის სტადიაზე. გამოძიების სტადიაზე კი, სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობის ბიძგად გამოდის საქმის გამოძიების დაწყებისათვის გამოვლენილი გარემოებები. გამოძიების შედეგად შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე ხდება კონკრეტული პირის მიმართ ბრალდების ჩამოყალიბება და მისი ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რაც თავისთავად სისხლის საპროცესო საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს და არის ამ საქმიანობის გადაწყვეტი მიქანნიში. გამოძიების არსი ის კი არ არის, რომ ნებისმიერ დროს გამოკვეთოთ პირის ბრალეულობა, არამედ შევიცნოთ და მის საფუძველზე ჩამოვყალიბოთ ჩვენი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და მისი ჩამდენი პირის მიმართ. სასამართლო განხილვის სტადიაზე, ბრალდების, როგორც პროცესის მამოძრავებელი ძალის საკითხის გადაწყვეტა მჭიდრო კავშირშია პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორის საპროცესო მდგომარეობის განსაზღვრასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით წამოჭრილ ყველა საკითხზე პასუხის გაცემა შესაძლებელია სასამართლო განხილვის დროს პროკურორის საქმიანობის შეფასების ანალიზით. პროკურორი, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, სასამართლოში გამოდის როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი და მხარს უჭერს ბრალდებას, აქტიურ მონაწილეობას იღებს საქმის სასამართლო განხილვაში და ეხმარება სასამართლოს კონკრეტულ განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე ტემშარიტების დადგენაში, რეალური, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში. მაგრამ თუ სასამართლო საქმის განხილვის დროს დადგინდება ბრალდებულის უდანაშაულობა, იგი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე, რა დროსაც ხელმძღვანელობს კანონის მოთხოვნათა დაცვით და თავის შინაგანი რწმენით, რაც ემყარება სასამართლო გამოძიებისას განხილულ მტკიცებულებებს.

მიგვაჩნია, რომ გამოძიების პროცესში პროკურორს არ შეიძლება სრულად ჩამოუყალიბდეს შინაგანი რწმენა ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ. იგი შეიძლება მას შეექმნას მხოლოდ სასამართლო განხილვის, კერძოდ, სასამართლოში მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის დროს, რის შემდეგ იგი გადადის უკვე საბრალდებო ფუნქციაზე და ახორციელებს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას (გ. აბაშიძე, 2009, გვ. 18). სასამართლო განხილვის დროს განსახილველი საქმის

ძირითადი საკითხების გარშემო შინაგანი რწმენა უყალიბდება არა მარტო პროკურორს, არამედ სასამართლოსაც. ამ პოზიციამე კანონმდებელიც. კერძოდ, საქართველოს სსსს კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა... შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რომ პროკურორი, სასამართლო მტკიცებულებებს ასევე, აფასებს თავისი შინაგანი რწმენით. ამასთან, სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად შეფასება არის სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი. მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა პროკურორი უარს ამბობს ბრალდებაზე? აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსს კოდექსის 250-ე მუხლის შინაარსის საფუძველზე, „პროკურორი ვალდებულია უარი თქვას ბრალდებაზე, თუ მისი რწმენით იგი არ დასტურდება სასამართლო განხილვისას.“ ბრალდებაზე პროკურორის უარის შემთხვევაში კი, სასამართლო ვალდებულია განჩინებით მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.


თუმცა, მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, გონივრული ეჭვის, ალბათობის მაღალი ხარისხით, დასაბუთებული ვარაუდისა და შინაგანი რწმენის სამართლებრივი, პროცესუალური ფორმისა და შინაარსის ერთობლიობა, დაფუძნებულია ფილოსოფიურად კონსტრუირებული, ლოგიკური მეთოდოლოგიის საფუძველზე. ზოგადად, როგორც ეჭვს, ასევე რწმენას, ჯერ კიდევ, ანტიკური ფილოსოფიის ჩანასახშივე ჰქონდა სამყაროსა და ადამიანის არსების ონტოლოგიური და ანთროპოლოგიური შემეცნების მიზანშეწონილი ფუნქციები, რის გამოც მათი ურთიერთდაპირისპირებისა და იმავდროულად ურთიერთგანპირობებული მიმართებები და კავშირები გადამწყვეტ როლს ასრულებდა დიალექტიკური კონცეფციების ჩამოყალიბებაში, სადაც იკვეთებოდა მათი შესაბამისი ამროვნების წესის თავისებურებანი. ძირითადად, ეჭვის თვალსაზრისს ავითარებდა სკეპტიციზმისა და კრიტიციზმის მიმდინარეობები. აქ შეიძლება გამოვყოთ პროტაგორას, სექსტ ემპირიკოსის, მიშელ მონტენის, რენე დეკარტეს, დევიდ ჰიუმის, კანტისა და ჰეგელის შეხედულებები, რომელთაგანაც ზოგიერთი უკიდურეს აგნოსტიციზმამდე ავითარებდა განუსაზღვრელი სკეპტიციზმის, ანუ აბსოლუტური ეჭვის პოზიციას, ხოლო უფრო იშვიათ შემთხვევაში, დეკარტისა და ჰეგელის მიერ წარმოდგენილი იყო მეთოდოლოგიური სკეპტიციზმის დებულებები, რომლებიც საბოლოო ინსტანციის შინაგანი რწმენის გამომუშავების უმთავრეს მიზანს ემსახურებოდა. აქვე, რაკი ვახსენეთ შინაგანი რწმენის ფილოსოფიური კატეგორია, საჭიროა იგი გავმიჯნოთ ირაციონალურ-რელიგიური, ანუ მისტიკური რწმენის კატეგორიისაგან, რომლის თეორიული საფუძვლები ჩამოყალიბებული იქნა ადრეული საშუალო და გვიანი სქოლასტიკის პერიოდებში. ამ კუთხით საკმარისია დავასახელოთ ისეთი მსოფლიო ავტორიტეტები და ღვთისმეტყველები, როგორებიც არიან პავლე მოციქული, გრიგოლ ღვთისმეტყველი, გრიგოლ ნოსელი, დიონისე არეოპაგელი, ტერტულიანე, ნეტარი ავგუსტინე, ბასილი დიდი, ანსელმ კენტერბერიელი, ფსევდო დიონისე (პეტრე იბერი), იოანე პეტრიწი, თომა აქვინელი, ფრანცისკ ასიზელი და სხვები. ხსენებული ავტორები რწმენის მიმართ უპირატესობას ანიჭებდნენ (ტერტულიანეს ფენომენი რომ გამოვიყენოთ) აბსურდზე დამყარებულ მისტიკურ რწმენას, რასაც მეორენაირად გონებასთან, შედარებით, გულის აღმატებულ უფლებად მიიჩნევდნენ და მას არ სჭირდებოდა არავითარი დასაბუთება, ვინაიდან იგი ღვთაებრივი სასწაულის აღიარებას ექვემდებარებოდა, რისი გაზიარებაც ღვთისადმი ადამიანის უმაღლესი ნდობის გამოხატვას ნიშნავდა. რელიგიურ-ფილოსოფიური დოქტრინების ამგვარმა, არაერთგვაროვანმა ურთიერთდამოკიდებულებამ გარკვეული ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესშიც, სადაც გონივრული ეჭვისა და ალბათობის მაღალი

ხარისხით დასაბუთებული ვარაუდები თითქმის ერთიანად ემთხვევა ლოგიკური დამაჯერებლობის რაციონალურ კონცეფციებს, ხოლო უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება კი, თავისი არსით არავითარ განსჯასა და დავას აღარ ექვემდებარება მაშინაც კი, როცა აღნიშნული განაჩენი, არაკეთილსინდისიერი მიდგომის შემთხვევაში, შესაძლებელია სრულიად უსამართლო აღმოჩნდეს და მან საერთოდ უგულვებლყოს რეალური გარემოებანი, მოწმეთა სამხილები და სისხლის სამართლის საქმის მასალებში ფაქტობრივად არსებული ნივთმტკიცებულებანი.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით არსებული მდგომარეობის მიხედვით, როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეთა სამართალწარმოების პროცესში, აპრობირებული ზემოხსენებული კატეგორიები მოითხოვენ შემდგომ სრულყოფას და დახვეწას, რათა ისინი, რაც შეიძლება მაქსიმალურად მიუახლოვდნენ ობიექტურ და მიუკერძოებელ, უმაღლესი დონის სამართლებრივ კონდიციებს. ვფიქრობთ, აღნიშნული მისიის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ლოგიკური, სოციალურ-ანთროპოლოგიური თეორიებისა და მეთოდოლოგიების მიზანმიმართულმა ანალიტიკურმა კვლევებმა, აგრეთვე, მათზე დაყრდნობით მიღებული შედეგების გამოყენებითა ღონისძიებებმა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია (ცვლილებებით და დამატებებით), 2014;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2014;
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2014;
4. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი და კერძო ნაწილი) თბილისი, 2013;
5. საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ (ცვლილებებით და დამატებებით), თბილისი, 1997;
6. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, თბილისი, 1953;
7. კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004;
8. მ. ქურდაძე, ჭეშმარიტების დადგენის საკითხები გამოძიების პროცესში, თბილისი, 1991;
9. ი. გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბილისი, 1999;
10. გ. აბაშიძე, სახელმწიფო ბრალმძებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი, 2009;
11. Fox. v. U.K., 1990, № 12244/86;
12. Wemhoff v. West-Germany, 1968;
<http://www.nplg.gov.ge/dsd1/cgi-bin/library.exe> ბიზნესი და კანონმდებლობა, №22, 2010.



THE LEGAL SIGNIFICANCE AND PHILOSOPHICAL OF REASONABLE DOUBT AND PERSONAL CONFIDENCE IN THE CRIMINAL PROCESS

KOBA BUADZE

ATSU Associate Professor, Department of law

Confidence in the criminal justice system has emerged as a critical issue at the interface of the administration of justice and political pressures in western democracies. For more than a decade, governments in the West have felt acute pressure to make the criminal justice system more relevant, more transparent and more accountable. The “crisis of confidence”, particularly in judges and sentencing has led to a range of high profile policy announcements seeking to modernize the criminal justice system.

At the core of criminal jurisprudence in our time lurks a fundamental conceptual confusion. Stated succinctly, the notion of guilt of guilt “beyond a reasonable doubt” – the only accepted, explicit yardstick for reaching a just verdict in a criminal trial – is obscure, incoherent, and muddled. One symptom of the problem emerges out of recent research (discussed below) on mock juries that makes it vividly clear that jurors, ordinary citizens that they are, have only the haziest notion of what a “reasonable doubt” is. In theory, that difficulty could be resolved by having judges instruct juries about the meaning of reasonable doubt. Indeed, such instructions are already routine in some legal jurisdictions.

სისხლის- სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი

მაღნაგ ლომსაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი,
სსიპ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის დეკანი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება...“ როგორც საკანონმდებლო დეფინიციიდან ჩანს, დანაშაულის ცნების სტრუქტურა შედგება სამი ნიშნისაგან: 1. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, ანუ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი შემადგენლობის ნიშნებისადმი; 2. ქმედების მართლწინააღმდეგობა და 3. ბრალი. სამივე ნიშნის ერთიანობა ქმნის დანაშაულს, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელსაც სუბიექტი ეწოდება სისხლის სამართლის თეორიაში.

გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში უნდა დადგინდეს პირის მიერ ჩადენილი ქმედება შეესაბამება თუ არა კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლში აღწერილი შემადგენლობის ნიშნებს და არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული. სუბიექტი არ შეიძლება იყოს ქმედების შემადგენლობის ელემენტი. სუბიექტი ქმედების ავტორია. იგი შემადგენლობის გარეთ დგას.

სისხლის სამართლის თეორიაში თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, რომ სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან.¹

მოცემული შეხედულება აშკარად მცდარია. ჯერ ერთი, შერაცხადობა-შეურაცხაობის საკითხი მხოლოდ ფიზიკური პირის მიმართ დაისმის. მეორეც, შეურაცხაობა შეიძლება გამოწვეული იყოს პირის მდგომარეობით (ასაკით ან ფსიქიკური ავადმყოფობით). ადამიანი შეიძლება იყოს შერაცხვისუნარო ასაკის ან ფსიქიკური დაავადების გამო. ასევე, პირი შეიძლება იყოს შერაცხვისუნარიანი, მაგრამ არ შეერაცხოს ბრალად მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალის გამომრიცხველი გარემოებების (ასაკისა და ფსიქიკური დაავადების გარდა) გამო. ასეთი ადამიანიც შერაცხადია, ამიტომ შეურაცხაობაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც პირის ქმედებაში დადგინდება ბრალის გამომრიცხველი რომელიმე, თუნდაც ერთი გარემოება.

საერთოდ, ასაკი, ფსიქიკური დაავადება და ბრალის სხვა გამომრიცხველი გარემოება უნდა დადგინდეს ბრალის დადგენის დროს.

„საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს დანაშაულის სუბიექტი, – წერს ო. გამყრელიძე, – მთავრდება იქ, სადაც გადაწყდება, რომ ეს არის ადამიანი. ის ფაქტი, მიღწეულია თუ არა ადამიანი შესაბამის ასაკს, დაავადებულია თუ არა ფსიქიკურად და სხვა, დანაშაულის სუბიექტთან კავშირში არ არის. „მხოლოდ ადამიანი („ვიწ“), – წერს გერმანელი კრიმინალისტი ი. ბაუმანი, – შეიძლება იყოს დასჯადი ქმედების შემადგენლობის სუბიექტი.“

შერაცხვა-შეურაცხაობა, ასაკი, ფსიქიკური დაავადება თუ სხვა რამ მოვლენა დაკავშირებულია არა დანაშაულის სუბიექტთან, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხთან. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი, დანაშაულის სუბიექტს წინასწარვე გულისხმობს. სუბიექტი ე.ი. ადამიანი წინამძღვარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა.²

ვერ დავეთანხმებით ო. გამყრელიძის იმ მოსაზრებას, რომ დანაშაულის სუბიექტია ნებისმიერი ადამიანი. თუ პირმა ჩაიდინა კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედება, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მან დანაშაული ჩაიდინა. ამ ეტაპზე იგი ჯერ ქმედების სუბიექტია. ქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. თუ პირის ქმედებაში არ დადგინდება მართლწინააღმდეგობა და ბრალი, მაშინ დანაშაული არ გვექნება სახეზე. პირის დამნაშავედ ცნობა ხდება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენით ე.ი. იმ მომენტიდან, როდესაც მას სასამართლო ბრალად შეარაცხავს კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას.

აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტია ნებისმიერი ადამიანი, ხოლო ქმედების სუბიექტი გადაიქცევა დანაშაულის სუბიექტად მაშინ, თუ ბრალად შეერაცხება კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება გავიგოთ ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო გაგებით, დანაშაულის სუბიექტი მოიცავს დანაშაულის ამსრულებლობასა და თანამონაწილეობას.

დანაშაულის სუბიექტი ვიწრო გაგებით, „...უშუალო ამსრულებლის ცნება უნდა ემთხვეოდეს დანაშაულის სუბიექტის ცნებას.“³

კოდექსში მოგვეპოვება მთელი რიგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლის ჩადენისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს სპეციალურ პირს, რომელიც აღჭურვილია განსაკუთრებული ნიშნებით ან უკავიათ განსაკუთრებული მდგომარეობა ცხოვრებაში. ასეთ სუბიექტს სისხლის სამართლის თეორიაში უწოდებენ სპეციალურ სუბიექტს. სპეციალური სუბიექტისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშნები ან მდგომარეობა კოდექსის კერძო

ნაწილის მუხლშია მითითებული. თუ ადამიანს ცხოვრებაში განსაკუთრებული მდგომარეობა არ უკავია, მოცემული დანაშაულის სუბიექტი იგივე იქნება (ვიწრო გაგებით). მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს თანამონაწილის სახით ე.ი. ის შეიძლება იყოს ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე.

მაგალითად, სს კოდექსის 112-ე მუხლით (დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი უნდა იყოს მხოლოდ ახალშობილის დედა; 137-ე მუხლით (გაუპატიურება) გათვალისწინებული დანაშაულისა – მამაკაცი; 176-ე მუხლის (ალიმენტის გადახდისათვის თავის არიდება) მშობელი და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დანაშაულის ცნების სტრუქტურა სამი ნიშნისაგან შედგება. „დანაშაულის ცნების სტრუქტურის ამ სამივე ნიშნის თანაარსებობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და საკმარის საფუძველს.“⁴

სისხლის სამართლის თეორიაში ქმედების შემადგენლობის ცნების ქვეშ იგულისხმება ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა.

ქმედების შემადგენლობა ორი მხარისაგან შედგება: ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარე.

ქმედების ობიექტური მხარე შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: ობიექტი, ქმედება და შედეგი; მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის; ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ელემენტები (დრო, ადგილი, ვითარება). მ. ტურავას სუბიექტი შეჰყავს ქმედების ობიექტურ შემადგენლობაში.⁵ მოცემული დებულება რომ მცდარია, ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით.

ქმედების ობიექტი. სისხლის სამართლის თეორიაში ობიექტი არის სამართლის დაცული ის სიკეთე, რომელსაც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების შედეგად მიაღდა ზიანი ან დადგა ზიანის მიყენების საფრთხის წინაშე. არ არსებობს კოდექსის კერძო ნაწილში აღწერილი ქმედება ობიექტის გარეშე. მაგალითად, კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის შედეგად ზიანს განიცდის სხვა ადამიანის სიცოცხლის უფლება, 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობის შედეგად – სხვა პირის საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე და სხვა.

ზოგჯერ, კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთ მუხლში აღწერილი ქმედების ჩადენის შედეგად ზიანს განიცდის ორი სახის სამართლებრივი სიკეთე. მაგალითად, 179-ე მუხლით გათვალისწინებული ყაჩაღობით ზიანს განიცდის როგორც საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე, ისე სიცოცხლის ან ჯანმრთელობის უფლება. ასეთ ქმედებებს სისხლის სამართლის თეორიაში ორობიექტიან ქმედებებს უწოდებენ. ამრიგად, ქმედების ობიექტის აღქმა ხდება გონების თვალთვლით. ქმედების ობიექტი არ შეიძლება იყოს ადამიანი ან გარე სამყაროს მატერიალური საგანი. ამიტომ ქმედების ობიექტისაგან უნდა გავმიჯნოთ ქმედების საგანი.

ქმედების საგანი არის გარე სამყაროს ისეთი მატერიალური ნივთი, რომელზე ზემოქმედებითაც ქმედების სუბიექტი ხელყოფს ქმედების ობიექტს.

მაგალითად, ავტომობილის გატაცებისას, ქმედების საგანს წარმოადგენს თვით ავტომობილი, ხოლო ქმედების ობიექტს – ავტომობილის მფლობელის საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე.

ობიექტსა და საგანს შორის განსხვავება რომ უფრო ნათელი გახდეს, აუცილებელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. მათ შორის პირველი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ობიექტი ყველა ქმედებისათვის დამახასიათებელი ელემენტია, ხოლო საგანი არ არის. მაგალითად, მკვლელობისას, ობიექტია სხვა ადამიანის სიცოცხლის უფლება, ხოლო საგანი არ არის.

მეორე განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ქმედების ვნებას ყოველთვის განიცდის ობიექტი, ხოლო საგანი – ზოგჯერ შეიძლება უვნებელი დარჩეს. მაგალითად, ავტომობილის ქურდობისას ობიექტი – საკუთრების უფლება მოძრავ ნივთზე ვნებას განიცდის, ხოლო ავტომობილი შეიძლება უვნებელი დარჩეს.

ქმედების საგანი აგრეთვე უნდა გავმიჯნოთ ხელყოფის საშუალებისაგან. ეს უკანასკნელი არის ის, რასაც ქმედების სუბიექტი შედეგის მიღწევის გასაადვილებლად იყენებს.

ერთი და იგივე ნივთი შეიძლება იყოს როგორც ხელყოფის საშუალება, ისე ქმედების საგანიც სხვადასხვა შემთხვევაში. ასე მაგალითად, ფული ქრთამის მიცემისას ხელყოფის საშუალებაა, ხოლო გატაცების შემთხვევაში – ქმედების საგანი.

ქმედების საგანი აქვს მხოლოდ იმ დანაშაულებს, რომლის დროსაც ქმედების სუბიექტი ამ უკანასკნელზე ზემოქმედებით ხელყოფს შესაბამის ობიექტს ე.ი. ქმედების ობიექტის ხელყოფა ხდება გარე სამყაროს მატერიალურ საგანზე ზემოქმედებით. მაგალითად, ქმედების საგანი არ გააჩნიათ ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა გაუპატიურება, დებერტირობა და სხვა.

ქმედებით ზოგჯერ ადამიანი განიცდის ქონებრივ, ფიზიკურ ან მორალურ ზიანს. ასეთ პირს დაზარალებული ეწოდება. დაზარალებულის მდგომარეობას ხშირად ეძლევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის მნიშვნელობა. მაგალითად, გაუპატიურება არასრულწლოვანის ან იმ პირის, რომელსაც არ შესრულებია 14 წელი, უფრო ზრდის პასუხისმგებლობას.

ზოგჯერ დაზარალებულის პიროვნების გათვალისწინებით, სუბიექტს შეიძლება შეუმსუბუქდეს სასჯელი. მაგალითად, კოდექსის 111-ე მუხლი ამსუბუქებს პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, რომელიც ჩადენილია უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

ქმედება. ქმედება არის ადამიანის ქცევის გარეგნული გამოხატულება. ქმედება შეიძლება გამოიხატოს როგორც აქტიურ ქცევაში, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებაში – პასიურ ქცევაში. აქტიურობაში გამოხატულ ქცევას მოქმედება ეწოდება, ხოლო პასიურ ქცევას – უმოქმედობა.

უმოქმედობა მხოლოდ მაშინ შეიძინს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, როდესაც კაცს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და ასრულებდა სავალდებულო და შესაძლებელ მოქმედებას. შეიძლება შედეგი თავიდან ვერც კი იქნას აცილებული. მაგალითად, ექიმის გულმოდგინე ცდის მიუხედავად ავადმყოფი მაინც გარდაიცვალოს.

„მოქმედების ვალდებულება, – წერდა თ. წერეთელი, – შეიძლება გამომდინარეობდეს: ა) კანონიდან (მაგალითად, არასრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება (მუხლი 176); ბ) სამსახურებრივი ან პროფესიული მდგომარეობიდან (მაგალითად, ექიმი ვალდებულია დაეხმაროს ავადმყოფს (მუხლი 130)); გ) წინა მოქმედებიდან, რომლითაც შექმნილია მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობა (მაგალითად, მძღოლი ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვინც მანქანით დააზიანა (მუხლი 128)).⁶

მაგალითად, მამამ თავისი 8 წლის ბავშვი მეგობართან წვეულებაზე წაიყვანა, სადაც ბავშვმა ძვირფასი ნივთების მტვრევა დაიწყო, რითაც დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიაყენა მასპინძელს. მამა ბავშვის ასეთ მოქმედებას დიდი სიამოვნებით შესცქეროდა. დასჯადია თუ არა მამის ქმედება? დიახ, რადგან დანაშაული ჩადენილია უმოქმედობით. ქმედება წარმოადგენს თუ არა ნებელობით აქტს, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს ბრალის დადგენის დროს.

ამრიგად, უმოქმედობისათვის პასუხს აგებს ის, ვისაც აქვს მოქმედების სამართლებრივი ვალდებულება და ამ ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა.

წმინდა უმოქმედობა გვაქვს მაშინ, როდესაც სს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ უმოქმედობით. მაგალითად, დაუხმარებლობა (მუხლი 129).

შერეული უმოქმედობა გვაქვს მაშინ, როდესაც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. მაგალითად, განზრახ მკვლელობა (მუხლის 108).

შედეგი. კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილი ყოველი ქმედება იწვევს შედეგს. შედეგი არის ადამიანის ქმედებით გამოწვეული ცვლილება გარე სამყაროში. „...შედეგი როგორც გარე სამყაროში მომხდარი ცვლილება, – აღნიშნავს ო. გამყრელიძე, – ფაქტობრივი ხასიათის მოვლენაა, იგი რეალურ სამყაროში მომხდარი ფაქტია.“⁷

თ. წერეთლის აზრით, შედეგის ცნება ორი მნიშვნელობით გამოიყენება. ფართო მნიშვნელობით, შედეგი ყოველი ქმედების განუყრელი ნაწილია, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით შედეგი არ არის დამახასიათებელი ყველა დანაშაულისათვის, იგი დამახასიათებელია მხოლოდ მატერიალური, ანუ შედეგიანი დანაშაულისათვის. შედეგი ფართო მნიშვნელობით, ობიექტურ გარე სამყაროში განსაზღვრული ცვლილებაა. იგი არსებობს იმისაგან დამოუკიდებლად არის თუ არა იგი გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში. აქედან ცხადია, რომ ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშნის შესრულება ყოველთვის გულისხმობს შედეგს ფართო გაგებით. სასამართლოს არ მოეთხოვება შედეგის ფართო გაგებით დადგენა. ქმედება დამთავრებულია, თუ შემადგენლობის ყველა ნიშანი განხორციელებული. ვიწრო მნიშვნელობით, შედეგი არის ის ცვლილება გარე სამყაროში, რომელიც სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაშია აღნიშნული, როგორც ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი. როდესაც შედეგი შეტანილია კოდექსის მუხლის დისპოზიციაში როგორც მისი აუცილებელი ელემენტი, დანაშაული დამთავრებულად ითვლება მხოლოდ ამ შედეგის განხორციელების შემთხვევაში. თუ ეს შედეგი არ განხორციელდა, საქმე გვექნება დანაშაულის მომზადებასთან ან მცდელობასთან.⁸

მიზეზობრივი კავშირი. მიზეზობრივი კავშირის შესახებ საუბარია სს კოდექსის მე-8 მუხლში. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შეიქმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და შედეგს ან საფრთხეს შორის.

მიზეზობრივი კავშირი ნიშნავს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ მოვლენათა შორის ისეთ ობიექტურ კავშირს, როდესაც ერთ მოვლენას (შედეგს) იწვევს მეორე (მიზეზი). დროის მიხედვით, მოქმედება წინ უნდა უსწრებდეს მავნე შედეგს.

კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად, ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

ყოველი წინამორბედი მოვლენა როდი ჩაითვლება რომელიმე მოვლენის მიზეზად. მიზეზად ჩაითვლება მხოლოდ არსებითი მნიშვნელობის ისეთი წინამორბედი მოვლენა, ურომლისოდაც ეს შედეგი არ შეიძლებოდა დამდგარიყო ან საფრთხე არ შეიქმნილიყო.

მიზგობრივი კავშირის არსებობა აუცილებელია არა მარტო აქტიური მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისთვისაც, რამაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან კონკრეტული საფრთხე შექმნა.

ამაზე მიუთითებს კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ელემენტები. ქმედების ობიექტური მხარის სხვა ელემენტებია: დრო, ვითარება და საშუალება. „ამ ნიშნებს უწოდებენ ფაკულტატურს, – წერდა ბ. ფურცხვანიძე, – რადგან ისინი შეაქვთ მხოლოდ ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაში, სხვა დანარჩენისათვის კი, აუცილებელ ნიშნად არ ითვლება.“⁴⁹ ე. ი. ეს ელემენტები ქმედების ობიექტური მხარის ფაკულტატური ელემენტებია, ხოლო ზოგჯერ – აუცილებელი.

როცა ეს ელემენტები ქმედების ობიექტური მხარის ფაკულტატური ელემენტებია – ისინი არ ახდენენ გავლენას ქმედების კვალიფიკაციაზე, მაგრამ საჭიროა მათი დადგენა ჩადენილი ქმედების სწორი სურათის აღსადგენად.

როცა ეს ელემენტები ქმედების ობიექტური მხარის აუცილებელი ელემენტებია – მათი დადგენა სავალდებულოა ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის. მაგალითად, საომარი მოქმედების დროს საომარი მოქმედების ტერიტორიული ერთეულის გაძარცვა უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 178-ე მუხლით კი არა, არამედ, 413-ე მუხლის „ა“ პუნქტით (მაროდირობა).

ქმედების სუბიექტური მხარის ელემენტებია: განზრახვა, მოტივი და მიზანი, ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები.

განზრახვა. ქმედების უმრავლესობა შეიძლება მხოლოდ განზრახ იქნას ჩადენილი. ზოგჯერ, ქმედების აღწერისას ნორმა პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი შეიძლება ჩადენილ იქნას მართლოდენ განზრახ, ზოგჯერ კი, ასეთი დასკვნა ქმედების სუბიექტური მხარის აღწერიდან გამომდინარეობს. განზრახვა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა სუბიექტმა მიიღო ნებელობით გადაწყვეტილება – იმოქმედოს. მაგრამ სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას იგი მართლოდენ მაშინ იძენს, როცა პირი შეეცდება მის განხორციელებას.

განზრახვა ყოველთვის წინ უსწრებს სუბიექტის მოქმედებას. კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ე. ი. კოდექსის მე-9 მუხლი განასხვავებს განზრახვის ორ სახეს: პირდაპირს და არაპირდაპირს (ევენტუალურს).

სს კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი ან ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობას.

„ამ მუხლის მიხედვით, – წერს მ. ტურავა, – განზრახვა სამკომპონენტანია, რომელიც ზოგადად, შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოიხატოს: ცოდნა იმისა, რასაც ვაკეთებ, ნებელობა იმისა, რასაც ვაკეთებ და მართლწინააღმდეგობის შეგნება.“⁴⁰

პირდაპირი განზრახვის დროს, პირის ნება მიმართულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შედეგისაკენ – ანდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდუვალობისაკენ. პირი არა მარტო ითვალისწინებს ასეთ შედეგს, არამედ სურს კიდევაც იგი.

მაგალითად, კაცი ესვრის იარაღიდან სხვას, ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას მოჰყვება სიკვდილი და სურს კიდევაც იგი.

პირდაპირი განზრახვის დროს კაცს შეიძლება არც ჰქონდეს სურვილი შედეგის დადგომის განხორციელებისა, მაგრამ ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის დადგომის გარდუვალობას.

მაგალითად, კაცმა იცის, რომ მტერთან ერთად ავტომობილში იმყოფება სხვა კაციც, რომლის მოკვლაც სუბიექტს არ უნდა, მაგრამ ავტომობილს მაინც აფეთქებს. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს პირდაპირ განზრახვასთან, ვინაიდან ავტომობილში მყოფი სხვა კაცის სიკვდილი გარდაუვალია. მოვითანოთ მეორე მაგალითიც, იაშვილმა ააფეთქა თავისი სუპერმარკეტი დაზღვევის მიღების მიზნით. შენობის მეორე სართულზე ცხოვრობდა ლოგინად ჩავარდნილი მოხუცი, რომლის სიკვდილი იაშვილს არ სურდა, მაგრამ უშვებდა სიკვდილის გარდუვალობას. მოხუცი დაიღუპა.

შეაფასეთ იაშვილის ქმედება მკვლელობის ნაწილში. იაშვილმა ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობა პირდაპირი განზრახვით.

ქმედების ობიექტური მხარის ელემენტების ცოდნა და მისი განხორციელების სურვილი აქვს იმ პირსაც, ვინც მოქმედებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოებისას ე.ი. იმას, ვინც მართლზომიერად მოქმედებს.

დაბოლოს, „...განზრახვა ყოველთვის არ გულისხმობს ბოროტ განზრახვას, როგორც ამას გერმანელი იურისტი ჰ. ველცელი ამბობდა. განზრახვა ზოგჯერ კეთილია, ზოგჯერ ბოროტი და ეს უნდა გაირკვეს ბრალის მსჯელობის დროს. ბრალი შეფასებითი, ნორმატიული ცნებაა, ხოლო განზრახვა ფაქტობრივი გარემოება.“¹¹

განზრახვის მეორე სახეა არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვა. კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

არაპირდაპირი განზრახვის დროს კაცს არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელება, იგი მხოლოდ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას.

არაპირდაპირი განზრახვა ახასიათებს მხოლოდ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილ შედეგიან, მატერიალური შემადგენლობის მქონე ქმედებებს.

მაგალითად, კაცმა დანა ჩაართყა დაზარალებულს იმ იმედით, რომ არ მოკვდებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი სისხლისაგან დაიცალა და დაიღუპა.

კანონი არ ითვალისწინებს განსხვავებულ სასჯელს პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი სუბიექტისათვის, მაგრამ განზრახვის ამ ორი სახის გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ზოგჯერ ქმედების შეფასება სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა სუბიექტი თუ არაპირდაპირი განზრახვით. ზოგიერთი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ან თვით დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, ან იმიტომ, რომ

ასეთია მისი აღწერა კოდექსში. მაგალითად, თუ კანონი მიუთითებს მოქმედების მიზანზე, ასეთი დანაშაული მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნას ჩადენილი. ყაჩაღობა მიუთითებს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზანზე.

არაპირდაპირი განზრახვით მოქმედი სუბიექტი შეიძლება სხვადასხვა მიზნებს ისახავდეს. მიზანი, რომლითაც სუბიექტი მოქმედებს შეიძლება მართლზომიერიც იყოს. მაგალითად, მუშა სახლის დაშლისას ქუჩაში ისვრის აგურებს ყოველგვარი გამაფრთხილებელი წესების უგულებელყოფით, თანაც ითვალისწინებს, რომ ამით გამვლელი დააზიანოს. თუ ასეთი მოქმედებით ვინმეს ზიანი მიადგება, მუშა პასუხს აგებს არაპირდაპირი განზრახვით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებისათვის.

მიზანი, რომლისკენაც მისწრაფის ევენტუალური განზრახვით მოქმედი სუბიექტი, შეიძლება დანაშაულებრივ ხასიათს ატარებდეს. ასეთ შემთხვევაში გვეჩვენა ორი სახის განზრახვის კომბინაცია: პირდაპირი განზრახვა იმ ძირითადი მართლსაწინააღმდეგო შედეგის მიმართ, რომლის განხორციელებაც სურს ობიექტს და არაპირდაპირი განზრახვისა იმ თანამდევი შედეგის მიმართ, რომლის განხორციელებასაც სუბიექტი შეგნებულად უშვებდა.

მაგალითად, ხალხმრავალ ადგილზე სუბიექტი ესვრის იარაღს მსხვერპლს, თანაც ითვალისწინებს, რომ შეიძლება სხვებსაც მოახვედროს და შეგნებულად უშვებს ამას. თუ ასეთი შედეგი მართლაც განხორციელდა და გარეშე პირთაგან ვინმე მოკვდა, ეს თანამდევი შედეგი ჩადენილი იქნება პირდაპირი განზრახვით.

არაპირდაპირი განზრახვა მაშინაც გვაქვს სახეზე, როდესაც სუბიექტს აშკარად არ სურს თანამდევი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ სუბიექტს ეშინოდეს პასუხისმგებლობის.

მაგალითად, ექიმი გასამრჯელოს მიღების საფასურად უკეთებს უკანონო აბორტს ქალს, რომლისთვისაც აბორტის გაკეთება არ შეიძლება. ექიმს კარგად ესმის აბორტის შედეგად ქალის სიკვდილის შესაძლებლობა და რა თქმა უნდა, არ სურს ასეთი შედეგი, ვინაიდან იცის, რომ თუ ქალი მოკვდა, პასუხისგებაში მისცემენ.

სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ განზრახვის სხვა სახეებსაც: განსაზღვრულს, ანუ კონკრეტიზებულს, განუსაზღვრელს, ანუ არაკონკრეტიზებულს, წინასწარ მოფიქრებულს, უცრად წარმოშობილს და ალტერნატიულს.

ა) განსაზღვრული განზრახვის დროს, პირს სურს ან შეგნებულად უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს, რომელსაც ნათლად და მკაფიოდ ითვალისწინებს.

მაგალითად, პირი უმიზნებს რევოლვერს მსხვერპლს და ზუსტად ითვალისწინებს, რომ მის მოქმედებას შედეგად მოჰყვება სიკვდილი.

ბ) განუსაზღვრელი განზრახვის შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო შედეგი პირის შეგნებაში არ არის კონკრეტიზებული, სუბიექტი ზუსტად არ ითვალისწინებს მის ხასიათს და სიძიმეს. ასეთი განზრახვა ხშირად გვხვდება ჯანმრთელობის დაზიანების დროს, როდესაც სუბიექტს ზუსტად არა აქვს წარმოდგენილი, თუ რა ხასიათის დაზიანებას მიაყენებს იგი დაზარალებულს – მძიმეს, ნაკლებად მძიმეს თუ მსუბუქს.

გ) ალტერნატიული განზრახვის დროს, სუბიექტს შეიძლება წარმოდგენილი ჰქონდეს ერთ-ერთი ზუსტად განსაზღვრული შედეგის განხორციელება.

მაგალითად, პირი შურისძიების მიზნით, ხრამში გადაადგებს თავის მტერს, თანაც მკაფიოდ ითვალისწინებს, რომ ეს უკანასკნელი ან მოკვდება ან ჯანმრთელობის დაზიანებას მიიღებს.

დ) წინასწარ მოფიქრებული განზრახვა არსებობს მაშინ, როცა სუბიექტი მეტი ან ნაკლები დროის განმავლობაში ფიქრობდა დანაშაულის განხორციელების შესახებ, წინასწარ ამუშავებდა დანაშაულის ჩადენის გეგმას.

ე) უეცრად აღძრული განზრახვა გულისხმობს, რომ პირს განზრახვის წარმოშობისთანავე მოჰყავს იგი სისრულეში.

მაგალითად, შეურაცხყოფილ სუბიექტს უეცრად წარმოეშობა შეურაცხმყოფელის მოკვლის განზრახვა, რომელიც დაუყოვნებლივ გადადის მოქმედებაში.

გაუფრთხილებლობა. მოქმედი სისხლის სამართალი გაუფრთხილებლობის ორ სახეს იცნობს: ა) თვითიმედოვნებას და ბ) დაუდევრობას. გაუფრთხილებლობა უფრო მსუბუქია, ვიდრე განზრახვა. გაუფრთხილებლობის სფერო უფრო ვიწროა, ვიდრე განზრახვისა. რიგი ქმედებანი არ შეიძლება ჩადენილ იქნას გაუფრთხილებლობით კანონის პირდაპირი მითითების ან შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ბუნების გამო.

სს კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა.

თვითიმედოვნება უნდა განვასხვაოთ არაპირდაპირი განზრახვისაგან, დაუდევრობისაგან და ე. წ. „შემთხვევისაგან.“

არაპირდაპირი განზრახვის დროს სუბიექტი იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ ითვალისწინებს თანამდევი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, ხოლო თვითიმედოვნების დროს კი, პირიქით, სუბიექტი იღებს გადაწყვეტილებას იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით, რადგან დარწმუნებულია, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავიდან იქნება აცილებული.

არაპირდაპირი განზრახვის დროს პირი შედეგს შეგნებულად უშვებს, ხოლო თვითიმედოვნების დროს პირი შინაგანად დარწმუნებულია, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგს თავიდან აიცილებს.

„დარწმუნება, – წერდა ვ. მაყაშვილი, – რომელიც ასაბუთებს თვითიმედოვნებას და გამორიცხავს ევენტუალურ განზრახვას, არ შეიძლება გავაიგივოთ ლიტონ იმედთან, ვინაიდან იგი ემყარება არა გარემოებათა შემთხვევით დამთხვევას, არამედ კონკრეტულად განსაზღვრულ ფაქტორებს, სუბიექტის პირად თვისებებს ან გარეგან ძალებს, რომლებსაც დამნაშავის რწმენით შეუძლიათ ხელი შეუშალონ ზიანის რეალურად განხორციელებას.“⁴²

მაგალითად, მძლოლი აჭარბებს სიჩქარეს და დარწმუნებულია თუ ადამიანი წინ გადაურბენს, მოასწრებს დამუხრუჭებას და ზიანს თავიდან აიცილებს. ზოგჯერ ასეთი ვარაუდი ემყარება სხვა ადამიანის შესაძლებლობას. მაგალითად, ბავშვი გადარბის ქუჩაზე, მას უკან მისდევს დედა. მძლოლი დარწმუნებულია, რომ დედა დაეწევა ბავშვს და არ იღებს საჭირო გამაფრთხილებელ ზომებს, არ ანელებს სვლას, მაგრამ მძლოლის ვარაუდი არ გამართლდა, დედა ვერ დაეწია ბავშვს და ბავშვი ავტომობილის ქვეშ მოჰყვა. აი მეორე მაგალითიც, შუქის გათიშვის გამო სახელმწიფო მოხელემ სამუშაო კაბინეტში აანთო სანთელი. სამუშაოს დამთავრების შემდეგ არ ჩაუქრია, ვინაიდან ფიქრობდა, რომ ჩააქრობდა დამლაგებელი, რომელიც ჩვეულებრივ, საღამომობით მიდიოდა. იმ საღამოს დამლაგებელი სამსახურში არ მისულა. გაჩნდა ხანძარი და შენობა დაიწვა.

ქმედება ჩადენილია თვითიმედოვნებით – ნივთის განადგურება ცეცხლთან გაუფრთხილებელი დამოკიდებულებით.

თვითიმედოვნების დროს სუბიექტის ვარაუდი შეიძლება ბუნების ძალთა მოქმედებასაც ემყარებოდეს. მაგალითად, კაცი ტყეში ტოვებს ანთებულ ცეცხლს, დარწმუნებულია, რომ წამოსული წვიმა მას ჩააქრობს. კაცის ვარაუდი არ გამართლდა და ცეცხლმა ტყის მასივი გაანადგურა.

გაუფრთხილებლობის მეორე სახეა დაუდევრობა. კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა, ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ.

მაგალითად, მოქალაქემ ფანჯრიდან გადააგდო გადამწვარი უთო. გადაგდებად მან ფანჯრიდან გადაიხედა და ეზოში არავინ იდგა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეზოში აღარავინ გაივლიდა, მაგრამ ფანჯრიდან გადაგდებული უთო თავში დაეცა შემთხვევით გამგლეულს, რომელიც დაიღუპა. მოქალაქეს სასამართლომ დააკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.

მართებულია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება? დიახ, რადგან მოქალაქემ ჩაიდინა დაუდევრობით სიცოცხლის მოსპობა. მოვიტანოთ მეორე მაგალითიც, შპს „ოკრიბას“ გამყიდველმა საღამოს აანთო ნავთქურა, ვინაიდან არ იყო შუქი. მან 22 სთ-ზე დაამთავრა მუშაობა, დაკეტა მაღაზია და წავიდა შინ ისე, რომ ნავთქურის ჩაქრობა დაავიწყდა. გაჩნდა ხანძარი და ჯიხური დაიწვა.

არის თუ არა გამყიდველის ქმედება სისხლის სამართლის წესით დასჯადი? დიახ, რადგან მან ჩაიდინა დანაშაული დაუდევრობით.

დაუდევრობისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ პირმა დაარღვიოს წინდახედულობის ნორმა. ეს პირობა გამოხატულია სიტყვებით: „ამის გათვალისწინება მას ევალებოდა.“ „წინდაუხედაობა გულისხმობს, რომ პირი თავისი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულების ან პროფესიული საქმიანობის დროს, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იცავს გამაფრთხილებელ ზომებს, რომლებიც გამომდინარეობენ წერილობითი ან დაუწერელი, საყოფაცხოვრებო გამოცდილებაში შემუშავებული წესებიდან.“⁴³

მაგალითად, პირს ყოველ ღამით ეკარგებოდა ქათმები, დილით კი, ეზოს ბოლოს მათ ბუმბულს პოულობდა. ერთ ღამეს, მას საქათმიდან ხმაური შემოესმა. მას ეჭვი არ შეპარვია, რომ საქათმეში მელია იყო, გააღვიძა თავისი შვილი და ორივემ საქათმის მიმართულებით გაისროლეს. აღმოჩნდა, რომ საქათმის ახლოს, ეზოში შემთხვევით შემოსული მთვრალი მამაკაცი იმყოფებოდა, რომელიც სროლის გამო ადგილზე გარდაიცვალა. როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს მამა-შვილის მოქმედება? თითოეული პასუხს აგებს გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.

დაუდევრობისაგან უნდა განვასხვავოთ ე.წ. შემთხვევა. შემთხვევის დროს დამდგარი შედეგი, თუმცა გამოწვეულია სუბიექტის მოქმედებით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, იგი არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გათვალისწინებინა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობა.

მოტივი და მიზანი. ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ადამიანის მოქმედება განპირობებულია განსაზღვრული მოტივით და მიმართულია გარკვეული მიზნის მისაღწევად. ნებისმიერი მოქმედების შეფასება მოტივისა და მიზნის შესწავლის გარეშე, შეუძლებელია. ეს მოთხოვნები ვრცელდება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის ქცევაზე.

მოტივი არის პირის შინაგანი მამოძრავებელი გაცნობიერებული ძალა, რომელიც მას უქმნის დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას და რომლითაც ხელმძღვანელობს იგი დანაშაულის ჩადენისას.

მიზანი არის ქმედების სასურველი შედეგი, რომლის მიღწევაც სურს სუბიექტს. განსაზღვრული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადამიანი განიცდის ჯერ შეუცნობელ, ხოლო შემდეგ კი – გაცნობიერებულ სწრაფვას მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამის საფუძველზე ფორმირდება ქმედების მიზანი.

ამრიგად, ქმედების მოტივის საფუძველზე აღმოცენდება ქმედების მიზანი. მოტივი და მიზანი მხოლოდ განზრახ ქმედებას გააჩნია.

მოტივი და მიზანი ყოველთვის კონკრეტულია და იგი გათვალისწინებულია სს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში. ზოგიერთი განზრახი ქმედების აღწერისას, კერძო ნაწილის მუხლის დისპოზიციაში საერთოდ არ არის მითითებული მოტივსა და მიზანზე, მაგრამ ფაქტობრივად ასეთ შემთხვევაშიც არსებობენ ისინი, ვინაიდან ადამიანის ყოველი შეგნებული მოქმედება წარმოუდგენელია რაიმე მოტივისა და მიზნის გარეშე.

თუ კანონი მიუთითებს მოტივსა და მიზანზე, მისი დადგენა სავალდებულოა ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის. მაშინ კი, როდესაც მოტივი და მიზანი არ არის გათვალისწინებული ქმედების ძირითად ან მაკვალიფიცირებელ ნიშნად, მისი დადგენა მაინც საჭიროა, რადგან იგი გავლენას ახდენს სასჯელის ინდივიდუალიზაციაზე, მისი სახისა და ზომის განსაზღვრაზე.

მოტივსა და მიზანს შემდეგი ძირითადი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს:

ა) ისინი შეიძლება იყვნენ ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშნები, როდესაც კანონმდებელი მიუთითებს კოდექსის მუხლის დისპოზიციაში;

ბ) ისინი შეიძლება არ იყვნენ ქმედების შემადგენლობის აუცილებელი ნიშნები;

გ) როდესაც კანონმდებელი არ მიუთითებს მათზე, როგორც ქმედების აუცილებელ ნიშანზე და არ არის გათვალისწინებული კანონის კონსტრუქციაში, მისი დადგენა საჭიროა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, მისი სახისა და ზომის დადგენისათვის;

დ) თუ კანონში მითითებულია მოტივსა და მიზანზე, როგორც ქმედების აუცილებელ ნიშანზე, ასეთი ქმედება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება იქნას ჩადენილი.

ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები. ფაქტობრივი შეცდომა მდგომარეობს პირის (სუბიექტის) არასწორ წარმოდგენაში ქმედების ფაქტობრივი გარემოებების მიმართ.

„შინაარსის მიხედვით, განარჩევენ ფაქტობრივი შეცდომების შემდეგ სახეებს: შეცდომას ხელყოფის ობიექტში, ქმედებისა და შედეგის ხასიათსა და სიმძიმის ხარისხში, მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებში.“¹⁴ ზოგჯერ შეცდომის დასახელებულ სახეებს უმატებენ შეცდომას დანაშაულის საგანში, დაზარალებულის პიროვნებაში, დანაშაულის ჩადენის იარაღსა და საშუალებებში.¹⁵ ამის საპირისპიროდ აღინიშნა, რომ შეცდომის აღნიშნული სახეების ცალკე გამოყოფა მიზანშეუწონელია, რამდენადაც ისინი ფაქტობრივად წარმოადგენენ ან შეცდომას ობიექტში, ან დანაშაულს ობიექტურ მხარეში, ან საერთოდ არ აქვთ მნიშვნელობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის.¹⁶

ჩვენი აზრით, ქმედების ფაქტობრივი გარემოებებს მოიცავს ქმედების ობიექტური მხარე და ამიტომ შინაარსის მიხედვით უნდა გამოვყოთ ფაქტობრივი შეცდომის შემდეგი სახეები: შეცდომა ხელყოფის ობიექტში, შეცდომა ქმედების ხასიათში, შეცდომა შედეგში, შეცდომა მიზეზობრივ კავშირში.

ა) შეცდომა ობიექტში ეწოდება სუბიექტის არასწორ წარმოდგენას კანონით დაცული იმ სამართლებრივი სიკეთის შესახებ, რომელსაც იგი ხელყოფს. ამგვარი შეცდომა ორი სახით გვევლინება.

პირველი, როდესაც პირი ფიქრობს, რომ ხელყოფს განსაზღვრულ ობიექტს, სინამდვილეში კი, ვნებას განიცდის სულ სხვა ობიექტი. მაგალითად, სუბიექტი ფიქრობს, რომ იტაცებს ნარკოტიკულ საშუალებას, სინამდვილეში კი, გატაცებულია სამკურნალო წამალი, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებას არ შეიცავს. ასეთი შეცდომა უნდა დაკვალიფიცირდეს განზრახვის მიმართების მიხედვით, მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმასაც, რომ ობიექტი, რომელიც მოცემული იყო სუბიექტის განზრახვით, სინამდვილეში არ დაზიანებულა. რათა ეს ორი გარემოება მიყვანილ იქნას შესატყვისობაში, აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციისას, იურიდიულ ფიქციას მიმართავენ: მოქმედება ფასდება როგორც სასურველ ობიექტზე მცდელობა. მოცემულ მაგალითში სუბიექტმა პასუხი უნდა აგოს ნარკოტიკული საშუალების გატაცების მცდელობისათვის.

ობიექტში შეცდომისაგან უნდა გავმიჯნოთ შეცდომა ხელყოფის საგანსა და დაზარალებულის პიროვნებისაგან.

ხელყოფის საგანში შეცდომის დროს, ვნებას განიცდის სწორედ ნაგულისხმევი ობიექტი, თუმცა, უშუალო ზემოქმედება ხდება სხვა და არა სუბიექტის მიერ შერჩეულ საგანზე. ასეთი შეცდომა გავლენას არ ახდენს არც კვალიფიკაციაზე და არც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე.

დაზარალებულის პიროვნებაში შეცდომისას სუბიექტი ვნებას აყენებს არა ნაგულისხმევ, არამედ სხვა პიროვნებას. აქაც, ისევე როგორც ხელყოფის საგანში შეცდომის დროს, შეცდომა არ ეხება იმ გარემოებებს, რომელთაც ითვალისწინებს შესაბამისი ქმედება. ორივე შემთხვევაში ვნებას განიცდის ნაგულისხმევი ობიექტი და ამდენად, შეცდომა არავითარ გავლენას არ ახდენს არც ქმედების კვალიფიკაციაზე და არც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულის პიროვნების შეცვლით არ იცვლება ხელყოფის ობიექტიც.

ობიექტში შეცდომას ემსგავსება ე. წ. მოქმედების გადახრა ე.ი. ისეთი შემთხვევა, როდესაც სუბიექტის მოქმედება მიმართულია ერთი რომელიმე პირის ან საგნის მიმართ, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ზიანს აყენებს სხვა პირს ან საგანს.

მაგალითად, აბაზაძეს სურს ბერიძის მოკვლა, ესვრის მას რევოლვერს, მაგრამ უკანასკნელი გვერდზე გადაიხრება და ტყვია მოხვდება გოგიძეს და იქვე მოკლავს. ამ შემთხვევაში, აბაზაძის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ბერიძის განზრახ მკვლელობის მცდელობით და გოგიძის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.

ბ) შეცდომა ქმედების ხასიათში ნიშნავს, სუბიექტის არასწორ წარმოდგენას, რომ სჩადის კონკრეტულ ქმედებას, მაგრამ სინამდვილეში მისი ქმედება სულ სხვა ქმედების ნიშნებს შეიცავს. მაგალითად, როცა სუბიექტს ჰგონია, რომ მისი ქმედება მართლზომიერია, მაგრამ იგი პირიქით, მართლსაწინააღმდეგოა და ამასთან, ჰგონია, რომ მართლსაწინააღმდეგოა და სინამდვილეში მოკლებულია ასეთ ხასიათს.

გ) შეცდომა შედეგში შეიძლება დაშვებულ იყოს ამ ობიექტური ნიშნის როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მახასიათებლების მიმართ.

შეცდომა შედეგის ხასიათში შეიძლება გამოიხატოს ისეთი შედეგების გათვალისწინებაში, რომელიც ფაქტობრივად არ დამდგარა ან ისეთი შედეგის გაუთვალისწინებლობაში, რომელიც სინამდვილეში განხორციელდა. ასეთი შეცდომა გამოიხატება პასუხისმგებლობას ფაქტობრივად დამდგარი შედეგის განზრახ განხორციელებისათვის, მაგრამ შეიძლება გამოიწვიოს პასუხისმგებლობა შედეგის გაუფრთხილებლობით განხორციელებისათვის, თუ ასეთს კანონი ითვალისწინებს. ქმედება, რომელმაც გამოიწვია სხვა შედეგი, ვიდრე ის, რომელიც სუბიექტის განზრახვით იყო მოცემული, უნდა

დაკვალიფიცირდეს როგორც სუბიექტის მიერ ნასურვები დანაშაულის მცდელობა და ფაქტობრივად განხორციელებული გაუფრთხილებელი დანაშაული. მაგალითად, სხვისი სახლის გადაწვის განუხორციელებელი ცდა, თუ ამ დროს შემთხვევით, სახლში მყოფმა გაუფრთხილებლობით მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როდესაც შედეგის სიმძიმეზე დამოკიდებული, სუბიექტი, რომელიც ცდება შედეგში პასუხს აგებს განზრახვის მიმართულების მიხედვით: სუბიექტის მიერ გათვალისწინებულზე უფრო მძიმე შედეგის დადგომა (მაგალითად, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, რომელსაც მოჰყვა სიკვდილი), თუ ამ უკანასკნელის მიმართ მას განზრახვა არ ჰქონდა, ვერ გამოიწვევს პასუხისმგებლობას განზრახი დანაშაულისათვის (განზრახი მკვლელობისათვის). თუ უფრო მძიმე შედეგი გამოწვეული იყო გაუფრთხილებლობით, მაშინ სუბიექტმა პასუხი უნდა აგოს ძირითადი შედეგის განზრახ განხორციელებისათვის (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და უფრო მძიმე შედეგის გაუფრთხილებლობით განხორციელებისათვის (დაზარალებულის სიკვდილი).

დ) შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში ნიშნავს სუბიექტის არასწორ წარმოდგენას მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის განვითარების შესახებ. მართალია, სუბიექტს არ მოეთხოვება მიზეზობრივი კავშირის განვითარების ყველა დეტალისა და თავისებურების შეცნობა, მაგრამ მისი შეცნობა აუცილებლად უნდა მოიცავდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარების მთავარ, ზოგად კანონზომიერებას. ამიტომ შეცდომას ექნება ადგილი, როდესაც სუბიექტს ასეთი კანონზომიერების შესახებ არასწორი წარმოდგენა აქვს.

თუ განსხვავება სუბიექტის არასწორ წარმოდგენასა და სინამდვილეს შორის არა არსებითია და მას ზოგადი სახით მაინც სწორი წარმოდგენა ჰქონდა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაზე, იგი ვერ მოახდენს გავლენას პასუხისმგებლობაზე.

მაგალითად, ანდრიაძე ფიქრობდა, რომ ბუაჩიძეს მოკლავდა ტყვიის გულში სროლით, მაგრამ სინამდვილეში ბუაჩიძე მოკვდა ტყვიის ტვინში მოხვედრის გამო. ფაქტობრივად, აქ არ არის რაიმე არსებითი შეცდომა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში. ანდრიაძის არასწორი ვარაუდი ვერ იქონიებს გავლენის განზრახვაზე და პასუხისმგებლობაზე, რამდენადაც მას საერთოდ შეცნობილი ჰქონდა, რომ ბუაჩიძეს მოკლავდა რევოლვერიდან გასროლილი ტყვიით და სწორედ ასეც მოხდა სინამდვილეში.

მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეცდომის მაგალითია: გოგიძეს სურს დევაძის მოკვლა და გადაისვრის მას წყალში იმ ვარაუდით, რომ ის დაიხრჩობა, სინამდვილეში იგი მოკვდა წყალში ჩავარდნისას ქვაზე თავის დარტყმით. ასეთი შეცდომა ვერ შეცვლის გოგიძის განზრახვას – მოეკლა დევაძე, რამდენადაც დადგა სწორედ ის შედეგი, რაც სურდა გოგიძეს და რასაც მოიცავდა მისი ცნობიერება.

შეცდომამ მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში შეიძლება ზოგჯერ კავშირი იქონიოს სუბიექტის ქმედების დამთავრებულ განზრახ დანაშაულად არცნობის საკითხზე.

მაგალითად, თუ პირმა სახლის დაწვის მიზნით ცეცხლი წაუკიდა მას, მაგრამ ხანძარი სხვა პირებმა ჩააქრეს და სახლი დაწვას გადაურჩა, მან პასუხი უნდა აგოს მხოლოდ სხვისი ქონების განზრახ განადგურების მცდელობისათვის. ამ შემთხვევაში შეცდომა ის არის, რომ სუბიექტისათვის ცნობილი მიზეზობრივი კავშირის განვითარების მსვლელობა შეიცვალა და ამის გამო შედეგი არ დადგა.

დაბოლოს, შეცდომა შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ სუბიექტმა არ იცის, თუ რა შედეგს გამოიღებს მისი მოქმედებით გამოწვეული მიზეზობრივი კავშირი.

მაგალითად, გამოუცდელმა მძღოლმა მოყინულ ტროტუარზე დაამუხრუჭა მანქანა, ინერციის ძალამ მანქანა გადაისროლა ტროტუარზე და მოკლა მიმავალი მგზავრი. ამ შემთხვევაში, მძღოლს არ ჰქონდა წარმოდგენა მიზეზობრივი კავშირის ასეთ განვითარებაზე და იგი პასუხს აგებს მხოლოდ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის და არა განზრახ მკვლელობისათვის.

ქმედების მართლწინააღმდეგობა. ქმედების მართლწინააღმდეგობა დანაშაულის დამახასიათებელი ნიშანია. „ქმედების მართლწინააღმდეგობა ნიშნავს, – წერს მ. ტურავა, – ქმედების წინააღმდეგობას პოზიტიური სამართლის (კანონის), ზნეობისა და კულტურის ნორმებისადმი.“⁴⁷ ქმედების მართლწინააღმდეგობა შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან ან სხვა ნორმატიული აქტიდან, ზნეობის ან კულტურის ნორმიებიდან.

„ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასების დროს მხედველობაშია მისაღები ამ ქმედების ჩადენის აკრძალვა, – წერს ო. გამყრელიძე, – რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა. მართლწინააღმდეგობის დადგენა ნიშნავს იმის დადგენას, დაარღვია თუ არა კაცმა აკრძალვა. დანაშავე ასრულებს (და არ არღვევს) სისხლის სამართლის კანონს, ანუ ქმედების შემადგენლობას და არღვევს ნორმას, აკრძალვას, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა.“⁴⁸ ამიტომ ვერ დავეთანხმებით ა. კვაშილავას მოსაზრებას, რომ „სისხლის სამართლის კანონი კრძალვას დანაშაულის ჩადენას მისი ჩამდენის მიმართ კანონით გათვალისწინებული სასჯელის გამოყენების მუქარით.“⁴⁹ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში მითითებული სასჯელი ამკრძალავი ხასიათის კი არაა, არამედ იგი ნორმის დისპოზიციისაში აღწერილი ქმედების შესრულების შემთხვევაში სახელმწიფო რეაგირების ფორმას წარმოადგენს. სასჯელი გამაფრთხილებელი და არა ამკრძალავი ხასიათისაა. სასჯელი კი არ კრძალავს ქმედების ჩადენას, არამედ კაცს აფრთხილებს, რომ ქმედების ჩადენის შემთხვევაში, თუ იგი დაარღვევს აკრძალვას, მის მიმართ გამოიყენება შესაბამისი სასჯელი.

აკრძალვა რომ კანონს გარეთ დგას, ამის შესახებ შეგვიძლია მოვიტანოთ მაგალითები. კოდექსის 276-ე მუხლით, პასუხისმგებლობას იწვევს ავტომობილის მოძრაობის წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. ამ შემთხვევაში აკრძალვა გამომდინარეობს კანონიდან „საგზაო მოძრაობის წესების შესახებ;“ კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობის აკრძალვა მოდის კონსტიტუციის მე-15 მუხლიდან (სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი), 143-ე მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების უკანონო აღკვეთისა – კონსტიტუციის მე-18 მუხლიდან (ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე), 154-ე მუხლით გათვალისწინებული ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის აკრძალვა – კონსტიტუციის 24-ე მუხლიდან (ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით) და ა.შ.

ქმედების მართლწინააღმდეგობის ნიშნის დადგენისას, სასამართლო უნდა მივიდეს გადაწყვეტილებამდე, რომ ქმედება არ წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებას (იხ.: კოდექსის მე-8 თავი).

საბჭოთა პერიოდში, დანაშაულის განმარტებისას ყურადღება იყო გამახვილებული ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც დანაშაულის მატერიალურ ნიშანზე. ამ ნიშნის შეტანა დანაშაულის ცნებაში პრაქტიკული თვალსაზრისით, მოუხერხებელი იყო. „საქმე ის არის, – წერს ო.

გამყრელიძე, – მართლწინააღმდეგობის (აკრძალვის) ნიშანი უფრო მოხერხებულია გამოსაყენებლად, ვიდრე საზოგადოებრივი საშიშროების ცნება. პრაქტიკულად, უფრო ადვილია მოთხოვო კაცს, რომ „არ დაარღვიოს აკრძალვა“, ვიდრე – „არ იმოქმედოს საზოგადოებრივად საშიშად.“ საზოგადოებრივი საშიშროება აკრძალვისა ე. ი. მართლწინააღმდეგობის შინაარსია და მოითხოვს მოვლენის არსში წვდომას, რაც ყველას არ შეუძლია. მაგალითად, ზოგჯერ რომელიმე დაწესებულების ოთახის კარზე წერია: „უცხო პირის შესვლა აკრძალულია.“ რა საშიშროებას ქმნის ოთახში უცხო კაცის შესვლა, ამას მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია ვიცით, რომ ოთახში შესვლა აკრძალულია.“

1958 წლამდე საბჭოთა სისხლის სამართალში მოქმედებდა ანალოგია. ამის გამო მოსამართლეს შეეძლო დანაშაულად ჩაეთვალა და სასჯელი დაედო ისეთი ქმედებისათვის, რომელიც პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით, მაგრამ თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობითა და გვარით ემსგავსება კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებას.

ამჟამად ანალოგია გაუქმებულია და არავინ არ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება გათვალისწინებული არ არის სისხლის სამართლის კანონით. ამით სისხლის სამართალში დაკანონებულია პრინციპი: „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე.“

ბრალი. დანაშაულისათვის დამახასიათებელი მესამე ნიშანია ბრალი. ბრალის ცნების სამგვარი გაგება არსებობს სისხლის სამართლის თეორიაში: 1. წმინდა ფსიქოლოგიური, 2. შერეული, ანუ ფსიქოლოგიურ–ნორმატიული და 3. წმინდა ნორმატიული.

წმინდა ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ბრალი არის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი.

ფსიქოლოგიურ–ნორმატიული თეორიის მიხედვით, ბრალი არის სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი.

ფსიქოლოგიურ–ნორმატიული თეორიის მიხედვით, ბრალი არის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება კანონით გათვალისწინებული ქმედებისა, მისი შედეგისადმი.

წმინდა ნორმატიული თეორიის მიხედვით, ბრალი არის ადამიანის სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის.

სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალეულია, თუ იგი ჩადენილი არ არის ბრალის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებაში. ბრალი დგინდება ე.წ. გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით. თუ არ არის ბრალის გამომრიცხველი გარემოება, მაშინ ბრალი ავტომატურად დადგენლია. ამით სისხლის სამართალში დაკანონებულია პრინციპი: არ არსებობს დანაშაული ბრალის გარეშე.

ქმედების მცირე მნიშვნელობა. ზოგჯერ ქმედება შეიძლება ფორმალურად შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ნიშნებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, იმდენად მცირემნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, რომ სასამართლოებმა დანაშაულად არ მიიჩნიონ. ამაზე მიუთითებს კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა, ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო, არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდოდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

შენიშვნები:

- ¹ ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971, გვ. 109-117; ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბილისი, 1997, გვ. 148-176.
- ² ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, #3-4, 2002, გვ. 16.
- ³ ო. გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა, თბილისი, 1974, გვ. 48.
- ⁴ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 77.
- ⁵ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (თანდართული ტესტების ნიმუშებითა და კაზუსის ამოხსნის მეთოდით), მე-7 შესწორებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 81.
- ⁶ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 41.
- ⁷ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 79.
- ⁸ ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 1971, გვ. 106.
- ⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 129.
- ¹⁰ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 99.
- ¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 65.
- ¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 70.
- ¹³ ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, დანაშაული (ლექციები), თბილისი, 1997, გვ. 211.
- ¹⁴ Янушин В. А., Ошибка и ее уголовно-правовое значение, Насань, 1988, ст. 54.
- ¹⁵ Уголовное право, Общая часть, Учебник, Москва, 1994, ст. 190.
- ¹⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-7 გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 79.
- ¹⁷ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2008, გვ. 83-84.
- ¹⁸ ა. კვაშილავა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილი კომენტარებით, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2009, გვ. 36.

BASIS OF CRIMINAL RESPONSIBILITY

MALKHAZ LOMSADZE

Doctor of Law, Professor


Dean of the Law Faculty of LEPL Samtskhe-Javakheti University

The crime – as a ground for criminal liability – has been a subject of studies for law scholars.

There have been many papers dedicated to the issues of the elements of crime in the legal literature. During the Soviet period, the signs and elements of crime were: the object of the crime, the objective element of the crime (*actus reus*), subject of the crime and subjective element of the crime (*mens rea*). Many scholars still maintain this position. The criminal legislation of Georgia has determined that there are three elements of crime: the act envisaged in the criminal code, i.e. the conduct envisaged in the article or any part of the article of the private part of the code, the violation of law and the guilt.

The paper discusses the following elements of the act: *actus reus* and *mens rea*. While discussing the elements of conduct, we first discussed the objective side of conduct according to the following elements: object, conduct, result, causal relationship between the conduct and the outcome, and other elements of the *actus reus*.

The object, which determines the nature of conduct and the level of its offence, occupies an important place among the elements of *actus reus*. The object is separated from the subject of conduct. The object of conduct is the legal good, which is damaged as the result of the conduct, or is facing the treat of such damage; however, the subject of conduct is a thing, an item of the material world, and affecting this item inflicts damage to the object of crime. The subject of conduct is placed outside the elements of the conduct.



Mens rea is a very important and problematic image of the elements of conduct and it is represented with the following elements:

a) intent and negligence; b) other elements: motivation and goal; c) factual mistakes.

The signs of unlawful conduct and offence are determined through the so-called exclusion method.

There is a question that should be asked during the investigation and trial: is there any condition of lawfulness of any circumstance in the conduct of the person that excludes the offence? If there is no such thing, then the conduct automatically becomes an offence. Same happens when deciding the issue of guilt. The guilt is considered to be established unless there is any circumstance excluding the guilt.

There is a whole range of provisions provided in this paper regarding the issue of criminal liability, and many scientific opinions are criticized. Besides, the paper provides well-grounded ideas and offers the rule for determining the elements of guilt and offence.

კრიმინოლოგია და აზარტული თამაშები

მიხეილ გაბუნია

*სამართალმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი*

შესავალი

ძველი რომაელები ამბობდნენ, რომ „სამართალმა პატივი უნდა სცეს სამართლიანობას.“ უსამართლო კანონი მხოლოდ ზიანის მომტანია სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. აზარტული თამაშების დაკანონება უკანონობის დაკანონებად მიგვაჩნია.

როგორც ცნობილია, კრიმინოლოგია შეისწავლის უარყოფით სოციალურ-სამართლებრივ მოვლენებს, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით გამოირჩევიან. აზარტული თამაშები თავიანთი მნიშვნელობითა და შინაარსით ნარკომანიას, მემთვრალეობასა და თვითმკვლელობას უთანაბრდება. ამასთან, აღნიშნული მოვლენები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან და ხშირად, ერთი მოვლენა მეორის გამომწვევი მიზეზი ხდება. კაცობრიობის ისტორიაში აზარტული თამაშები ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც უარყოფითი სოციალური მოვლენა. სახელმწიფოსა და საზოგადოების პირდაპირი მოვალეობა არის მისი პრევენცია, რათა ავიცილოთ მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდობის მასობრივი ჩართვა ამ პროცესში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება დადგენილია ავადმყოფურ პათოლოგიად და განისაზღვრება როგორც: „დარღვევა, გამობატული ხშირ და რეგულარულად განმეორებად აზარტულ თამაშში, რომელიც დომინირებს პაციენტის ცხოვრების წესზე და მიჰყავს იგი სოციალური, პროფესიული და მატერიალური ფასეულობებისა და მოვალეობების დაკარგვამდე.“⁴¹ აზარტული თამაშებისაგან მიღებული უარყოფითი შედეგები პირდაპირ აისახება მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობაზე და სახელმწიფოში

კრიმინოგენურ ვითარებაზე. ამიტომ, ეს თემა აქტუალურია კრიმინოლოგიის მთელი ისტორიის განმავლობაში. კრიმინოლოგთა მოსაზრებით, ყველა ქალაქის მოსახლეობის 5-7 პროცენტი ითვლება პათოლოგიურ მოთამაშედ.² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 4 მილიონ ადამიანზე მეტი არის აღწერილი.³ ამის საფუძველზე, სავარაუდოა, რომ აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებით მხოლოდ თბილისში დაავადებული იყოს ათიათასობით ადამიანი, რაც უდავოდ დიდი პრობლემაა. ზუსტი სტატისტიკური მონაცემებისათვის სასურველი იქნებოდა კრიმინოლოგიური კვლევების ჩატარება. განსაკუთრებით საშიშია ის მდგომარეობა, რომ აზარტულ თამაშებზე ინტერნეტის საშუალებით ხელი მიუწვდებათ არასრულწლოვანებსაც. კრიმინოლოგიაში დადასტურებულია აზარტული თამაშების (იქნება ეს კანონიერი თუ უკანონო) კავშირი დანაშაულობასთან.

ქართული კრიმინოლოგიის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ძეგლს **მცირე სჯულის კანონი** წარმოადგენს (მაგალითად, ბრალი და მისი ფორმები – განზრახვა და გაუფრთხილებლობა, შემაძსუბუქებელი გარემოებანი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებული თავისებურებანი და ა. შ.), რომელიც მე-11 საუკუნეში ძველი ბერძულიდან თარგმნა, ახსნა-განმარტებები და მოსაზრებები დაურთო დიდმა ქართველმა მეცნიერმა და საეკლესიო მოღვაწემ წმიდა ექვთიმე მთაწმინდელმა. საქართველოს საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ბრალის ცნება და მისი ფორმები ქართველი მეცნიერის მიერ არის შემოტანილი, ახსნილი და განმარტებული (ბერძულ დედანს იგი არ მოეპოვება), რაც იმ პერიოდის ევროპული და მთლიანად მსოფლიო კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის ისტორიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ამ უნიკალურ ძეგლში ვხვდებით აზარტული თამაშების შესახებ ცნობებს ქართულ ენაზე, კერძოდ, ძეგლის პირველ თავში, რომელსაც 692 წლის „ტრულის კანონები“ ეწოდება და V და VI მსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებულ დადგენილებებს შეიცავს, 24-ე, 51-ე, 62-ე და 65-ე კანონების მიხედვით, იკრძალება, მაგალითად, „ცხენზე ჯირითი“ და სხვა „მაცდუნებელი თამაშები“, რომელთა დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო საშუალო საუკუნეების საქართველოსთვის დამახასიათებელი უმკაცრესი სხვადასხვა სასჯელი – ეკლესიიდან განკვეთა და უზიარებლობა.

აზარტული თამაშები უარყოფით და საშიშ სოციალურ მოვლენად იყო მიჩნეული სპარტაში (ძვ. წ. აღ. IX საუკუნე). ასევე, იგი მიუღებელი იყო ძველი რომაელებისათვის, აზარტული თამაშით წაგებული მატერიალური სიკეთე მოსარჩელის მოთხოვნით მას უკან უბრუნდებოდა. შუა საუკუნეებში, კერძოდ, მე-14 საუკუნეში ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში აიკრძალა სამორინეების არსებობა (პირველი სამორინეები იტალიაში მე-12 საუკუნეში გაჩნდა).⁴ მოგვიანებით, ევროპაში კიდევ უფრო გამკაცრდა ბრძოლა აზარტული თამაშების წინააღმდეგ. ხოლო მე-19 საუკუნიდან, მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობით, 1868 წლის 1 ივლისის კანონით „სამორინეების დახურვის შესახებ“ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მოედნებსა და გზებზე აზარტული თამაში ისჯებოდა ჯარიმით 1500 მარკის ოდენობით ან პატიმრობით 6 თვემდე ვადით (21-ე საუკუნის საქართველოში ეს მოვლენა არათუ აკრძალული, წახალისებულაც კი არის, სხვა შეფასებას ამას ვერ მოვუძებნით, ვინაიდან ასეთი თამაშები კანონით არის ნებადართული, საზოგადოება შეგუებულია როგორც სოფლად, ისე ქალაქებში – სკვერებში, გზებზე, უბნებში არსებულ „ბირჟებზე“ ამგვარ სანახაობებს). უფრო მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული ბანკირებისათვის და უცხოელი მოქალაქეებისათვის – თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით, 300-დან 6000 მარკამდე ჯარიმა. ასევე, უცხოელი მოქალაქეებისათვის

ზემოაღნიშნულ სასჯელთან ერთად დაწესებული იყო იმპერიის საზღვრებს გარეთ გაძევება. ვაჭრებს, რომლებიც მიმართავდნენ თავიანთი საქონლის გასაღების მიზნით ლატარეის გათამაშებას, გერმანიის 1883 წლის სავაჭრო წესდების 148-ე მუხლის საფუძველზე, ეკისრებოდათ ფულადი ჯარიმა 150 მარკამდე ან პატიმრობა 4 კვირამდე.⁵ 1882 წლის 29 აპრილის იმპერიის სასამართლოს დადგენილებით, ამ პერიოდში გავრცელებული თამაში – „ცხენზე ჯირითი“ მიჩნეული იქნა აზარტულ თამაშად და მასში ჩადებული თანხები დაექვემდებარა კონფისკაციას (საქართველოში იგი გაცილებით უფრო ადრე – მე-11 საუკუნიდან „მცირე სჯულის კანონით“ წარმოადგენდა საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ).

ინგლისში აზარტული თამაშები ასევე, მკაცრად იყო აკრძალული და მოგებულს არ ჰქონდა უფლება, სარჩელი შეეტანა წაგებულის წინააღმდეგ. მე-19 საუკუნეში, სხვა ყველა ევროპულ სახელმწიფოში, მონაკოს გარდა, სამორინეების არსებობა აკრძალული იყო.⁶

აზარტული თამაშების ცნება

აზარტი (ფრანგულად – hasard, არაბულად – az-zahr) ნიშნავს რაიმეთი (მაგალითად, ფულზე თამაშით, ნადირობით და სხვ.) თავდავიწყებით გატაცებას; ასევე, „შემთხვევას“, „რისკს“, „კამათელს“,⁷ ხოლო თამაში – ადამიანის საქმიანობის არაპროდუქტიულ სახეობას, რომლის მოტივაცია მდგომარეობს არა მის შედეგებში, არამედ პროცესში. კაცობრიობის ისტორიაში იგი გადაჯაჭვული იყო მაგიასთან, საკულტო რიტუალებთან, მჭიდროდ უკავშირდება სპორტს, სამხედრო და სხვა ვარჯიშებს, ხელოვნების ცალკეულ დარგებს.⁸

კრიმინოლოგიის მოსაზღვრე მეცნიერებებში – სოციოლოგიაში, სამართალსა და ფსიქოლოგიაში არსებული ლიტერატურის ანალიზისა და შედარების საფუძველზე, **აზარტული თამაშის კრიმინოლოგიური ცნება ჩამოყალიბდება „როგორც განსაკუთრებით საშიში უარყოფითი სოციალური მოვლენა, რომელიც იწვევს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მძიმე სამართლებრივ და ეკონომიკურ შედეგებს, ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით, ეწინააღმდეგება კომერციას, ხოლო შედეგი სრულიად დამოკიდებულია შემთხვევაზე და არა პიროვნების მოხერხებულობას ან ხელოვნებაზე.“** ასეთ თამაშებს განეკუთვნება: ბანქო, კამათელი (გარდა ნარდისა), სათამაშო ბორბალი (რულეტი), შტოსი, ფარო, ლანდსკნეხტი, ბაზეტი, რულეტი, სამართლიანი იქნება რომ ამ კონტექსტში განვიხილოთ ტოტალიტატორი, გარდა წამახალისებელი ლატარიისა. ცალკე გამოყოფას იმსახურებს და დიდ პრობლემას წარმოადგენს ინტერნეტით აზარტული თამაშები, რომელზედაც, რაც მეტად სავალალოა, ხელი მიუწვდებათ არასრულწლოვნებსაც.

საქართველოს კანონმდებლობა აზარტულ თამაშს განმარტავს, როგორც „თამაშს, რომლის შედეგია ფულის, საკუთრების, საკუთრების უფლების წაგება ან მოგება, რაც მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე.“⁹ ამ საკანონმდებლო განმარტებას, ისევე როგორც მთლიანად კანონს „აზარტული თამაშების შესახებ“ არავითარი კავშირი არა აქვს სამართლიანობასთან და მნიშობასთან, ხოლო სამართალთან მისი კავშირი უნდა განვიხილოთ, როგორც **უკანონობის დაკანონება**. კანონს, უპირველეს ყოვლისა, მორალთან უნდა ჰქონდეს თანაფარდობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმსაჯულება ვერ იქნება სამართლიანი და შეიქმნება ისეთი ვითარება, რაზედაც კრიმინოლოგიის უდიდესი მეცნიერი ჩეზარე ლომბროზო მე-19 საუკუნის ბოლოს, „ანარქისტებში“ წერდა – „მართლმსაჯულება სჯის მხოლოდ 20 პროცენტს ნამდვილი დამნაშავეებისას. სასჯელს

ექვემდებარებიან მხოლოდ სულელები, ხოლო ვინც შედარებით ჭკვიანია – რჩება თავისუფლებაზე.“

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ბიუჯეტის შევსების მეტად კარგი საშუალება არის სათამაშო ე. წ. „აზარტული ბიზნესი.“ სახელმწიფო ბიუჯეტი უპირველესად, მოსახლეობის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს, გამოსაკვლევია, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მატერიალური სიდუხჭირის, დაავადებისა და მორალური დეგრადაციის (რასაც აზარტული თამაშები იწვევს) ხარჯზე შესული საბიუჯეტო თანხები როგორღა უნდა მოხმარდეს მისსავე კეთილდღეობას? ეს თითქმის იგივეა, რომ დავაკანონოთ ნარკოტიკების რეალიზაცია და მოხმარება, წავახალისოთ მემთვრალეობა, მამათმაგლობა, პროსტიტუცია და სხვა განსაკუთრებით საშიში დევიაციები. საქმე ის არის, რომ ალკოჰოლი და ნარკოტიკი სამკურნალო მიზნით დიდად სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისათვის. პირველს ექიმები სამკურნალო მიზნებისათვის იყენებენ, ხოლო მეორეს – უმძიმეს ავადმყოფებს უნიშნავენ იმავე მიზნით. მაგრამ ეს მოვლენა – აზარტული თამაშები, თავისი არსით, სრულიად უარყოფითი მოვლენაა საზოგადოებისათვის.

აზარტული თამაშების გამომწვევი მიზეზები

საქართველოში აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას 5 ძირითადი მიზეზი იწვევს. ამათგან პირველი და უმთავრესია სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები. კერძოდ, მძიმე მატერიალური მდგომარეობა, უმუშევრობა და სიღარიბე. ადამიანი ფინანსური პრობლემების მოგვარების გზად ხედავს აზარტულ თამაშს, განსაკუთრებით ტოტალიზატორს და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, იწყებს თამაშს. ფსიქოლოგია გასაგებია – მცირე თანხის წაგებით არაფერს კარგავს, მოგებით კი, შეუძლია მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა. შედეგად, სისტემატური თამაშისას, პიროვნების ფსიქიკა განიცდის ცვლილებებს და რამდენიმე თვეში ხდება ფსიქოლოგიურად დამოკიდებული აზარტულ თამაშზე, რისგანაც დამოუკიდებლად თავის დაღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, მისი განკურნება მხოლოდ კვალიფიციური ექიმების დახმარებით არის შესაძლებელი. ფსიქოლოგიური მიზეზებიდან აღსანიშნავია ისეთი ფსიქიკური აშლილობათა მდგომარეობა, როგორც არის დეპრესია და მელანქოლია, მარტოობის შეგრძნება. ასეთ ადამიანებს მნიშვნელოვნად აქვთ დაქვეითებული სისხლში ენდორფინები (ენდორფინები მიეკუთვნება ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც გამოუშვავდება თავის ტვინში, ახდენენ მტკივნეული შეგრძნებების ბლოკირებას და ადამიანის ემოციური მდგომარეობის განსაზღვრას).¹⁰ აზარტული თამაშის პროცესში შექმნილი ეიფორიის მდგომარეობით და გამოუშვავებული ადრენალინის საშუალებით, ადამიანი ხანმოკლე დროით გამოდის მძიმე დეპრესიული მდგომარეობიდან, შემდგომში ეს იწვევს მის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას აზარტული თამაშებისადმი. პოლიტიკური მიზეზებიდან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფომ არ უნდა განიხილოს აზარტული თამაშების ბიზნესი როგორც ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო. თუ ამოვალთ იმ უმთავრესი და უმაღლესი კანონიდან, რომელსაც ხალხის კეთილდღეობა ჰქვია, სახელმწიფო ვალდებულიც კი არის, აკრძალოს აღნიშნული უზნეო და უსამართლო საქმიანობის სახეობა. სამართლიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ აზარტული თამაშების განვითარებას იწვევს საკანონმდებლო ფაქტორები. საქართველოში აზარტული თამაშები ნებადართულია კანონით „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში დაკანონებულია უკანონობა. კაცობრიობის ისტორიაში ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც ენახოს რაიმე სახის სარგებელი აზარტული თამაშის დაწესებულებისაგან.

არაოფიციალური, ანუ ე. წ. საინფორმაციო საშუალებათა სტატისტიკა (რომელიც მიღებულია კრიმინოლოგიაში საზოგადოებრივად საშიში მოვლენის შესწავლის მიზნით) მოწმობს რამდენი პიროვნება და ოჯახი არის სრულ დეგრადაციამდე მისული კაზინოებისა და ტოტალიზატორების მოხმარებით. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აზარტული თამაშები აკრძალვის შემთხვევაში გადაინაცვლებს იატაკქვეშეთში და გამოიწვევს მძიმე შედეგებს, რეალობასთან ახლოს ვერ მივიჩნევთ. იმისათვის არსებობს სამართალდამცავი ორგანოები, რომ მოახდინონ მსგავსი ხასიათის ქმედებების პრევენცია. აზარტული ბიზნესის აკრძალვით სახელმწიფო და საზოგადოება გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე მისი ნების დართვით. ევროპული პრაქტიკის თვალსაზრისით, აზარტული თამაშები კანონით არის აკრძალულია ნორვეგიაში, ვატიკანში, ანდორის სამთავროსა და სან-მარინოში. აზარტული თამაშების პროპაგანდა და რეკლამა მკაცრად იკრძალება შვედეთში, პოლონეთსა და ლატვიაში. ინტერნეტით აზარტული თამაშები აკრძალულია ესტონეთში, ლიტვასა და საბერძნეთში. მართალია, არის ევროპული ქვეყნები, სადაც აზარტული თამაშები ნებადართულია (მაგალითად, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში), თუმცა, ვფიქრობთ, ქართული რეალობის გათვალისწინებით, ჩვენ უნდა ავიღოთ მაგალითი იმ ქვეყნებიდან, სადაც მსგავსი მოვლენა აკრძალულია. მით უმეტეს, რომ ნორვეგიის სამეფო დანაშაულობის პრევენციის მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანაა მთელ მსოფლიოში. ზნეობის დისფუნქცია, ასევე, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რაც იწვევს აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულებას. რაც უფრო ახლოს იქნება ერთმანეთთან სამართალი და ზნეობა, მით უფრო მიგუახლოვდებით სახელმწიფოს საქმიანობის უმთავრეს მიზანს – სამართლიანობის დამკვიდრებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. როდესაც აზარტულ თამაშს სახელმწიფო აკანონებს, ამით ის ირიბად ახალისებს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას. მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის შინაარსობრივად არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, სად ითამაშებს ადამიანი აზარტულ თამაშს: სამორინეში, ტოტალიზატორსა თუ გზებსა და ჩიხებში... რაც შეეხება არასრულწლოვნებს, მართალია, მათ ეკრძალებათ სამორინესა და ტოტალიზატორებში თამაში, თუმცა, ერთი ასაკი, რომელსაც კანონმდებლობა მიიჩნევს სრულწლოვნებად და მეორეა ახალგაზრდობის ასაკი. პიროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ამ ორ მოვლენას შორის არსებობს დიდი კავშირი. კანონი კრძალავს 18 წლამდე აზარტულ თამაშებში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ კრიმინოლოგიაში მიღებული ახალგაზრდობის ასაკი – 7-30 წელი არის ის დრო, რაც ზნეობრივი აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდად ითვლება. ძველი ბერძენი ფილოსოფოსები (პლატონი, არისტოტელე...) ახალგაზრდობის აღზრდას სახელმწიფოს განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საშუალებად და, შესაბამისად, პოლიტიკურ კატეგორიად მიიჩნევდნენ. დაკანონებული აზარტული თამაშებით, რაც პირდაპირ მოქმედებს მოზარდ-ახალგაზრდობის ზნეობრივ დეგრადაციაზე, გამოდის, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს მისსავე დასუსტებას. თუ სახელმწიფო ძირითადად, ორიენტირებული იქნება მატერიალურ ღირებულებებზე და ხალხის ზნეობრივ ღირებულებებზე ზრუნვას არ მიექცევა მთავარი ყურადღება, ახალგაზრდობის ზნეობრივი განვითარება შეფერხდება, რაც ბუნებრივია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

აზარტული თამაშების პრევენცია

აზარტული თამაშების პრევენცია, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარიმართოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ღონისძიებებით. ფაქტია, რომ საზოგადოების ეკონომიკური

მდგომარეობის გაუმჯობესება პირდაპირ აისახება აზარტული თამაშებზე და გამოიწვევს მათ თავიდან აცილებას. რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, მძიმე მატერიალური მდგომარეობა განაპირობებს აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულებას, მაგრამ ვინაიდან მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მომავლის პერსპექტივად უნდა მივიჩნიოთ, მოცემულ ვითარებაში, ყველაზე ეფექტიანი ნაბიჯი იქნებოდა სამართლებრივ ღონისძიებათა განხორციელება. კერძოდ, ყველა სახის აზარტული თამაშის აკრძალვა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით, ყველაზე მკაცრი სახდელის – ადმინისტრაციული პატიმრობის გათვალისწინება სამართალდარღვევისათვის, ხოლო დანაშაული უნდა მიეკუთვნოს ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიას. კონკრეტული მუხლის ფორმულირება პოლიტიკური ნების საფუძველზე, სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. საგანმანათლებლო სამართლებრივ ღონისძიებათაგან აღსანიშნავია აზარტული თამაშების საწინააღმდეგო პროპაგანდა ლექციების სახით მე-9-მე-11 კლასის სკოლის მოსწავლეებში, ხოლო მასმედიის საშუალებებით აზარტის საწინააღმდეგო გადაცემების ორგანიზება და გაშუქება. აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება კრიმინოლოგთა მონაწილეობით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში დანაშაულობის პრევენციის საქმეში.

შენიშვნები:

- ¹ <http://ru.pokerstrategy.com/strategy/psychology/695/1/>
- ² <http://www.nnre.ru>
- ³ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo
- ⁴ об.: Энциклопедический Словарь Ф.А.Брокгауза и И.А.Ефрона, С.-Петербург, 1890–1907, стр. 203–204.
- ⁵ იქვე.
- ⁶ იქვე.
- ⁷ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=2258>
- ⁸ <http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98>
- ⁹ საქართველოს კანონი „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, 2001 წლის 28 სექტემბერი, მუხლი 3.
- ¹⁰ <http://www.thefreedictionary.com/Endorfin>

CRIMINOLOGY AND GAMBLING GAMES

Lex respicit aequitatem

Old Roman Proverb

MIKHEIL GABUNIA

Doctor of Law,

Professor

Gambling games is a negative social event, which is tightly linked to the crime. This is why we think it is reasonable to enhance the study and research of this event from the criminology point of view. We should regard gambling to be an especially dangerous and negative social event, which results in heavy legal and economic consequences for the state and the public, and is characterized with high degree of danger to the public. Gambling games, according to the definition of this concept, completely contradicts to commerce, as the outcome depends on a chance and not on the aptitude or skills of a person. This concept already implies the signs of injustice and immorality. The state and public should exercise social control of this conduct, so that to prevent crimes on one hand, and to prevent massive involvement of adolescents and youth in this process on the other hand, as we see the signs of it in the state. Prevention of gambling games, as other social events of high public danger (alcohol abuse, drug abuse, suicides) will greatly contribute to the social control of criminal conduct in Georgia.

უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო, საკონსულტაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებისა და სამსახურების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

ნათალია კოვალი

უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დოქტორანტი

უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოები და სამსახურები ვერ განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას მათი ორგანიზაციის, შემადგენლობის, სტრუქტურის, კომპეტენციისა და ფუნქციების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრის გარეშე.

ასეთი განსაზღვრა შეიძლება განხორციელდეს ორ ავტონომიურ დონეზე – საკანონმდებლო (თუ ორგანოს საქმიანობა რეგულირდება უშუალოდ უკრაინის კონსტიტუციით ან/და უკრაინის კანონით, მაგალითად, უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო, უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლობა ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში) და კანონქვემდებარე (როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიერ უკრაინის ძირითადი

კანონის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის 28-ე პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა რეალიზაციას, მის მიერ შესაბამისი განკარგულებების გაცემის გზით).

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ უკრაინაში არ არსებობს ერთიანი ნორმატიული აქტი, რომელიც კომპლექსურად განსაზღვრავს უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებისა და სამსახურების ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმებს.

უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებისა და სამსახურებისათვის იურიდიული პირის სტატუსის არსებობა უფრო გამონაკლისს წარმოადგენს, ვიდრე წესს. როგორც ნიმუში, ნორმატიულად მითითებული სტატუსი გამოყენებულია უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლობაზე ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში (უკრაინის კანონის მე-5 მუხლი „ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლობის შესახებ“ № 1524-III, 2000 წ. 02 მარტი), სახელმწიფო საქმეთა სამმართველოს მიერ (უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული საქმეთა სახელმწიფო მართვის შესახებ დებულების მე-13 მუხლი, 2002 წ. 17 დეკემბერი № 1180/2002).²

უკრაინის მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებსა და სამსახურებს აქვთ შემდეგი ორგანიზაციულსამართლებრივ ფორმები:

1. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაცია

2010 წლის 2 აპრილს, უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ №504/2010³ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიერ უკრაინის კონსტიტუციის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის 28-ე პუნქტის შესაბამისად შექმნილ მუდმივად მოქმედ დამხმარე ორგანოს, ადმინისტრაციის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს უკრაინის პრეზიდენტის მიერ უკრაინის კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების ორგანიზაციული, სამართლებრივი, საკონსულტაციო, ინფორმაციული, საექსპერტო-ანალიტიკური და სხვა უზრუნველყოფა. ადმინისტრაციის ფუნქციები აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარეობს.

2. საქმეთა სახელმწიფო სამმართველო

საქმეთა სახელმწიფო სამმართველო არის უკრაინის პრეზიდენტის მიერ შექმნილი და დაქვემდებარებული დამხმარე ორგანო. ეს ორგანო იურიდიული პირის უფლებებით ახორციელებს უკრაინის პრეზიდენტის, უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და უკრაინის პრეზიდენტის მიერ შექმნილი სხვა საკონსულტაციო, სათათბირო და დამხმარე ორგანოებისა და სამსახურების მატერიალურ-ტექნიკურ, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფას (უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული საქმეთა სახელმწიფო მართვის შესახებ დებულების მე-3 მუხლი, „საქმეთა სახელმწიფო მართვის საკითხები“ 2000 წ. 21 მარტი, № 474/2000).⁴

3. საბჭო

საბჭო არის მუდმივ ან დროებით საფუძველზე მოქმედი კოლეგიალური ორგანო. აღნიშნულ ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის ორგანოზე დაკისრებულია სხვადასხვა ფუნქციების განხორციელება, კერძოდ:

- საკოორდინაციო-საკონტროლო (მაგალითად: ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლის განხორციელება);
- ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული (მაგალითად: ჰუმანიტარულ განვითარების სფეროში რე-ფორმების საკითხებზე საჯარო განხილვების, სამეცნიერო კონფერენციების, მრგვალი მაგიდების ჩატარების უზრუნველყოფა, ამ სფეროში ადამიანისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, საბჭოს მიერ განხილული საკითხების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა);
- ნორმატიული (მაგალითად: სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობის კონცეპტუალური მიმართულებებისა და მექანიზმების შემუშავება, უკრაინაში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის კანონპროექტთა მომზადება, განხილვა, რომლებიც შემოთავაზებულია უკრაინის პრეზიდენტის მიერ უკრაინის უზენაეს საბჭოში განსახილველად შეტანის მიზნით, ამ სფეროში უკრაინის პრეზიდენტის აქტების პროექტებისა და საპროექტო წინადადებების შემუშავება).

4. უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლობა

აღნიშნული ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმა აქვს ისეთ სახელმწიფო ორგანოს, როგორცაა უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლობა ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში (შემდგომში – წარმომადგენლობა), რომლის საქმიანობის მიზანია ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკრაინის პრეზიდენტზე დაკისრებული უფლებამოსილებების აღსრულების ხელშეწყობა.

5. უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელი

უკრაინაში მოქმედებს უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელთა ინსტიტუტი, რომელიც შედგება:

- უკრაინის პრეზიდენტის მუდმივი წარმომადგენელი ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკრაინის პრეზიდენტზე დაკისრებული უფლებამოსილებების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით;
- უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელი უკრაინის უზენაეს საბჭოში და უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელი უკრაინის მინისტრთა კაბინეტში – სახელმწიფოს ხელმძღვანელის შესაბამისად, პარლამენტსა და მთავრობასთან ურთიერთობის უზრუნველყოფისათვის;
- უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელი უკრაინის საკონსტიტუციო სასამართლოში;
- უკრაინის პრეზიდენტის, როგორც უფლების სუბიექტის საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში კონსტიტუციური წარდგენა და მონაწილეობა, კონსტიტუციური იურისდიქციის ერთიან ორგანოში მუდმივ საფუძველზე წარმომადგენლობისათვის.

პრეზიდენტის წარმომადგენელი არის ერთპიროვნული ორგანო.

6. უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებული

სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიერ შემოღებულ იქნა შედარებით ახალი ერთპიროვნული ორგანო – უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი, რომელიც შედგება (შემდგომში მითითებულია მოქმედი თანამდებობები შექმნის თანმიმდევრობის მიხედვით):

- უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებული უკრაინის უშიშროების სამსახურის საქმიანობის კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით;
- უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებული ენერგეტიკული უსაფრთხოების საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით;
- უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებული ბავშვთა უფლებების საკითხებთან დაკავშირებით;
- უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებული დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში სიტუაციის მშვიდობიანი რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით;
- უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებული ყირიმის თათართა საკითხებთან დაკავშირებით;
- უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებული შებენი უფლებების შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებთან დაკავშირებით.

უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებულები ასრულებენ სხვადასხვაგვარ ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი დებულებებით და ამა თუ იმ სფეროში კონკრეტული რწმუნებულის თანამდებობის შემოღების მიზნებიდან გამომდინარე.

7. უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი

აღნიშნული ინსტიტუტი პირველად დაფუძნდა „უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველის შესახებ“ უკრაინის პრეზიდენტის 2009 წლის 01 დეკემბრის № 988/2009⁵ ბრძანებულებით. უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველის შესახებ დებულების მოქმედი რედაქცია დამტკიცებულია „უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველის შესახებ“ უკრაინის პრეზიდენტის 2014 წლის 12 ნოემბრის, №870/20146⁶ ბრძანებულებით. მრჩეველი თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება უკრაინის პრეზიდენტის მიერ, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის წინადადებით, მრჩეველის თანამდებობა მიეკუთვნება სახელმწიფოს ხელმძღვანელის პატრონატის სამსახურის თანამდებობებს. მრჩეველი ინიშნება უკრაინის პრეზიდენტის უფლებამოსილებების მოქმედების ვადით და თავის მოვალეობებს ახორციელებს მუდმივ (ამ შემთხვევაში ის არის სახელმწიფო მოსამსახურე) ან ნებაყოფლობით საფუძველზე (უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შტატის გარეთ).

უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებისა და სამსახურების ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ შექმნილი საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებისაგან განსხვავებით, რომელთა საქმიანობის საერთო პრინციპები და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები განსაზღვრულია მთავრობის კანონქვემდებარე აქტით, უკრაინაში არ


არსებობს ნორმატიული აქტი, რომლითაც შეიძლება კოდიფიცირებულად განისაზღვროდეს უკრაინის პრეზიდენტთან არსებული ასეთი ორგანოებისა და სამსახურების ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმები. ასეთი აქტის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობა უაღრესად აქტუალურია. ასეთი აქტი შეიძლება იყოს უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის მახასიათებლები განხილულია გამოკვლევის შემდგომ ნაწილში.

2. რადგანაც უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებსა და სამსახურებზე, მათი ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმების მიუხედავად, შესაძლებელია ერთი და იგივე ფუნქციების დაკისრება შექმნის მიხედვით, ამა თუ იმ ორგანოებისა და სამსახურების ფუნქციური დანიშნულება არ ახდენს გადაწყვეტ გავლენას სახელმწიფოს ხელმძღვანელის მიერ მათი შექმნის ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის არჩევანზე.
3. სახელმწიფოს ხელმძღვანელის კანონქვემდებარე აქტების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია უკრაინის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო, საკონსულტაციო, სათათბირო და სხვა დამხმარე ორგანოებისა და სამსახურების ისეთი ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმების გამოყოფა, როგორცაა: უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქმეთა სახელმწიფო სამმართველო, საბჭო, უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლობა, უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენელი, უკრაინის პრეზიდენტის რწმუნებული, უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი, სახელმწიფოს ხელმძღვანელის თანაშემწეების ჯგუფი (პირველი თანაშემწე და უკრაინის პრეზიდენტის თანაშემწეები), ეროვნული კოორდინატორი, კომიტეტი, კომისია, კონსტიტუციური ასამბლეა, საკოორდინაციო ცენტრი, საკოორდინაციო შტაბი, სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმების სია არ არის ამომწურავი.
4. ჩვენი კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელის განკარგულების თანავე ყოველთვის არ ხდება დამხმარე ორგანოების პერსონალური შემადგენლობის ოპერატიული ცვლილებები.

მაგალითად, „საზოგადოებრივი ჰუმანიტარული საბჭოს შესახებ“ უკრაინის პრეზიდენტის 2010 წლის 02 აპრილის, №469/2010⁷ ბრძანებულების პ.2 და „ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული პრემიის შესახებ კომიტეტის საკითხები“ უკრაინის პრეზიდენტის 2010 წლის 12 ივლისის, №764/2010⁸ ბრძანებულების მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული ორგანოების პერსონალურ შემადგენლობაში შეყვანილ იქნა მსახიობი, ივანე ფრანკოს სახელობის ეროვნული აკადემიური დრამატული თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი, ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული პრემიის ლაურეატი ბოგდან სილივესტრეს ძე სტუპკა. ვინაიდან ბ. ს. სტუპკა 2012 წლის 22 ივლისს გარდაიცვალა, ვთვლით, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელის აღნიშნულ აქტებში შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს არა მხოლოდ ფორმალური მიზეზების გამო, არამედ მორალური და ეთიკური მოსაზრებებით.

შენიშვნები:

- ¹ უკრაინის კანონი „ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში უკრაინის პრეზიდენტის წარმომადგენლობის შესახებ“, 02 მარტი, 2000, №1524-III // უკრაინის ოფიციალური მაცნე, 21.04.2000, № 14, მ. 552, გვ. 1.
- ² უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქმეთა სახელმწიფო მართვის საკითხები“, 21 მარტი, 2000, №474/2000 // უკრაინის ოფიციალური მაცნე, 12.02.2010, № 7, მ. 306, გვ. 46.
- ³ უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება „უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ დებულება“, 02 აპრილი, 2010, №504/2010 // უკრაინის ოფიციალური მაცნე, 16.04.2010, № 25, მ. 978, გვ. 21.
- ⁴ უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება „საქმეთა სახელმწიფო მართვის საკითხები“, 21 მარტი, 2000, №474/2000 // უკრაინის ოფიციალური მაცნე, 12.02.2010, № 7, მ. 306, გვ. 46.
- ⁵ უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება „უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველის შესახებ“, 01 დეკემბერი, 2009, №988/2009 // უკრაინის ოფიციალური მაცნე, 14.12.2009, №94, მ. 3205, გვ. 26.
- ⁶ უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება „უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველის შესახებ“, 12 ნოემბერი, 2014, №870/2014 // უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალური მაცნე, 19.11.2014, № 43, მ. 1960, გვ. 42.
- ⁷ უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება „სამოგადოებრივი ჰუმანიტარული საბჭოს შესახებ“, 02 აპრილი, 2010, №469/2010 // უკრაინის ოფიციალური მაცნე, 16.04.2010, № 25, მ. 974, გვ. 11.
- ⁸ უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებულება „ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული პრემიის შესახებ კომიტეტის საკითხები“, 12 ივლისი, 2010, №764/2010 // უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალური მაცნე, 20.07.2010, № 22, მ. 743, გვ. 15.



ORGANIZATIONAL- LEGAL FORMS OF COORDINATION, CONSULTATION, ADVISORY AND OTHER SUPPORT BODIES AND SERVICES UNDER THE PRESIDENT OF UKRAINE

NATALIA KOVALI

*Doctoral Student of the Institute of State and Law of
the Academy of Sciences of Ukraine*

The article discusses the forms of organizational-legal activities of coordination, consultation, advisory and other support bodies and services under the President of Ukraine, also functional duties of certain bodies and services irrespective of how much decisive impact they may have on the choice of organizational-legal form at the moment of their establishment by the head of state.

მოქალაქეთა მონაწილეობა თვით- მმართველობის განხორციელებაში

(სოციოლოგიური ასპექტი)

ქეთევან ჩიჩელაშვილი

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დოქტორანტი*

შესავალი

სახელმწიფოში თვითმმართველი ერთეულების არსებობა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა წარმოადგენს თანამედროვე ეპოქაში ყველაზე გავრცელებული სახელმწიფო მმართველობის – დემოკრატიის საფუძველს. ვინაიდან დემოკრატიის დროს ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით შესაბამისად, მისი უმთავრესი მოთხოვნაა მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.

როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია განსაზღვრავს:

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი, მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.
2. ამ უფლების განხორციელება ხდება საბჭოების ან ასამბლეების მიერ, რომლებიც შედგებიან პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით

არჩეული წევრებისაგან და რომლებთანაც შეიძლება არსებობდნენ მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები. ეს დებულება არანაირ გავლენას არ მოახდენს მოქალაქეთა მონაწილეობაზე ასამბლეებში, რეფერენდუმებში და ნებისმიერი სახის პირდაპირ მონაწილეობაზე იქ, სადაც ეს კანონით ნებადართულია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი და არ შედიან ცენტრალური ხელისუფლების სისტემაში, მათ აქვთ საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებები და დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, თვითმმართველობა წარმოადგენს თითოეული მოქალაქის უფლებასა და შესაძლებლობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობის საშუალებით გადაჭრას თავისთვის პრიორიტეტული პრობლემები. მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივ თვითმმართველობაში ხდება ორი გზით. პირველი, ეს არის არჩევნები, მეორე გზა კი, მმართველობით პროცესებში მოქალაქეთა უშუალო ჩართულობა. მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი გადაწყვეტილების მიღებისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის საფუძველს და მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დემოკრატიული კურსის განვითარებისათვის.

სტატიის მიზანია აღწეროს საქართველოში თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკა, დაადგინოს მონაწილეობის შემაფერხებელი ფაქტორები და შეიმუშაოს ადგილობრივ გადაწყვეტილებებში მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესების რეკომენდაციები. სტატიაში აღწერილია თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები. სტატიის შედეგები ასევე, აანალიზებს მოქალაქეთა მონაწილეობის დამაბრკოლებელ ფაქტორებსა და გვთავაზობს რეკომენდაციებს. ყოველივე ამის გათვალისწინება, ჩვენი აზრით, უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა აქტიურ ჩართულობას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, რომელიც წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ეფექტური ფუნქციონირების წინაპირობას.

დემოკრატიული პრინციპების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

დემოკრატიული სახელმწიფოს სტრუქტურული პრინციპი ადგენს ფორმას, რომლის მიხედვით, ხორციელდება ადმინისტრაციული ორგანოს ნების ჩამოყალიბება და გადაწყვეტილების მიღება. თვითმმართველობის განხორციელების დროს, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების პარამეტრებს მნიშვნელოვნად აფართოებს თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯაროობის, საქვეყნოობის, კოლეგიურობისა და ანგარიშვალდებულობის პრინციპები. შესაბამისად, მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ ზოგადი წარმოდგენა სწორედ ამ პრინციპთა განხილვის მეშვეობით არის მართებული.

საქვეყნობისა და საჯაროობის პრინციპი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა სისტემატურ ინფორმირებულობას გულისხმობს. საქვეყნობის პრინციპი მოიცავს მოქალაქეთა უფლებას, ფლობდნენ ინფორმაციას თვითმმართველობის ორგანოთა სხდომებზე განსახილველ საკითხებზე, დაესწონ სხდომებს, გაეცნონ განსახილველ საკითხებს, მიეცეთ საკმარისი დრო, წარადგინონ მოსაზრებები და წინადადებები. ასეთ უფლებათა კატალოგმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ქმედითი მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა.

თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კოლეგიურობის საფუძველი მისი ფორმირების წესია. საკრებულოს თითოეული წევრი წარმოადგენს კონკრეტულ ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფს – გამოხატავს და იცავს მათ ინტერესებს. შესაბამისად, წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს მხოლოდ მოქალაქეებთან კომუნიკაციის, მათი ხედვებისა და მოსაზრებების გაგების შემდეგ შეუძლია ამ უკანასკნელთა ინტერესების არტიკულირება.

თვითმმართველობის ორგანოების მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ინსტიტუტმა უნდა უზრუნველყოს ურთიერთკავშირი და დიალოგი. აღნიშნული მოიცავს მოქალაქეთა უფლებას, მოისმინონ, განიხილონ და შეაფასონ თვითმმართველობის ორგანოთა თუ თანამდებობის პირთა ანგარიშები. გასათვალისწინებელია, რომ ანგარიში შესაძლოა, ეხებოდეს არა მარტო შესრულებულ სამუშაოს, არამედ მომავალი საქმიანობის ძირითად მახასიათებლებსაც.

საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქცია¹ აწესებდა უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ფასეულობას, რომლის მიხედვით თვითმმართველობის უფლების სუბიექტად გვევლინებოდა საქართველოს მოქალაქე, რომელიც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს აწესრიგებდა ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით. თვითმმართველობის არსის ამგვარი დეფინირება თვითმმართველობის საფუძვლად აცხადებდა მოქალაქის საყოველთაო და იმანენტურ უფლებას, რომლის წარმოშობა არ იყო დამოკიდებული გარკვეული პირობებისა თუ მოცემულობების არსებობაზე. შესაბამისად, თვითმმართველობა, საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის მიხედვით, შეგვეძლო მიგვეჩინა მოქალაქეთა თვითორგანიზების ფორმად.

მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში ჩატარებული კვლევების მაგალითზე

რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ მოქალაქეთა მონაწილეობას? მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოიცავს ცალკეული პიროვნებების ან ჯგუფების მონაწილეობის იმ შესაძლებელ ფორმას, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქის მიერ საკუთარი ნების დაფიქსირებასა და ზემოქმედების მოხდენას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და მათი განხორციელების პროცესზე. მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის პროცესში ხდება ორი გზით. პირველი, მონაწილეობის ფორმალური, კანონით განსაზღვრული პროცედურა, არჩევნები და მეორე, მონაწილეობის არაფორმალური, ნებაყოფლობითი პროცედურები.

მოქალაქეთა ინტერესის დადგენა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ, თუ რამდენად არის საზოგადოება მზად, რომ მიიღონ მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. უამრავი კვლევა ჩატარდა იმისათვის, რომ დაედგინათ მოქალაქეთა ინტერესი თვითმმართველი ორგანოს მიმართ. საბოლოოდ, კვლევის შედეგი არაზუსტი აღმოჩნდა.

მის უზუსტობაში დაგვარწმუნა მთავარმა ფაქტორმა – რეალურმა შედეგმა. ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ინტერესი ყველაზე კარგად განისაზღვრა არა ამ გამოკითხვის დროს მიღებული ვერბალური პასუხებით, არამედ უშუალოდ რესპონდენტების ქცევით, რაშიც იგულისხმება მოქალაქეთა მონაწილეობა არჩევნებში. ცნობილი ფაქტია, რომ სოციოლოგიური გამოკითხვისას, მოსახლეობის არჩევნებში მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე რეალური შედეგი (იხ.: ცხრილი 1):

ცხრილი 1. საქართველოს ამომრჩეველთა მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში

2006 წელი/მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში	2010 წელი/მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში
47%	49%

საქართველოში არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს მოსახლეობის 50%-ზე ნაკლები იღებს მონაწილეობას. 2006 წელს, ეს მაჩვენებელი არის 47%, ხოლო 2010 წელს – 49%. ამ შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი არ არის დაინტერესებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ჩართულობით. ამ შედეგების მიხედვით, საქართველო დიდად არ ჩამოუვარდება კარგად ჩამოყალიბებული ადგილობრივი დემოკრატიის მქონე ქვეყნების მაჩვენებელს. მაგალითად: პოლონეთსა და უნგრეთში, მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში 40%–50%-ია. საქართველო უსწრებს ამ მაჩვენებლით დიდი ბრიტანეთს, სადაც ეს მაჩვენებელი 40%-ზე ნაკლებია (იხ.: ცხრილი 2)

ცხრილი 2. ევროპის ქვეყნებში ამომრჩეველთა მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში

უნგრეთი	40%–50%
პოლონეთი	40%–50%
დიდი ბრიტანეთი	40%-ზე დაბალი მაჩვენებელი

იქიდან გამომდინარე, რომ სოციოლოგიური კვლევა არაზუსტია და რეალური შედეგისგან რადიკალურად განსხვავებულია (იხ.: ცხრილი 3), უმჯობესია დავეყრდნოთ რეალურ შედეგს და ანალიზი გავაკეთოთ რეალური ფაქტებიდან გამომდინარე.

ცხრილი 3. სოციოლოგიური გამოკითხვისა და რეალური შედეგის მაჩვენებლების შედარება

ამომრჩეველთა მონაწილეობა არჩევნებში	სოციოლოგიური კვლევის შედეგი
47%	54%
49%	80%

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მიუხედავად დაბალი შედეგისა, საქართველოს თუ შვედარებთ სხვა ევროპულ ქვეყნებს, მიღებული მაჩვენებელი საგანგაშოდ დაბალი არ არის. რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებელი არ არის არჩევნებში მონაწილეობის სტატისტიკის მიხედვით მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მაგრამ მისი გაუმჯობესება შესაძლებელია სხვადასხვა გზებით.

პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ვისაუბროთ არაფორმალურ გზაზე და განვიხილოთ კვლევის შედეგი, რომელიც თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ მოგვაწოდა.

თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებლისა და რაოდენობის შესახებ ნაძალადევის გამგეობა გვაცნობებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, ადგილობრივი საკითხების მოწესრიგების მიზნით, თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, თბილისის მერიისა და მის სისტემაში შემავალი თბილისის რაიონების გამგეობების მიერ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 დეკემბრის N14-78 გადაწყვეტილების შესაბამისად, ხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების აღრიცხვა. დღეისათვის, ნაძალადევის რაიონის გამგეობაში 697 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა რეგისტრირებული, რომლებსაც მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენენ ამხანაგობების თავმჯდომარეები. მათთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხელი შეეწყო მოსახლეობის მონაწილეობას გამგეობის სხვადასხვა პროექტებში, მათ აქტივობასა და ჩართულობას ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში, რის საფუძველზეც გამგეობას საშუალება ეძლევა დააფინანსოს ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობი და ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების (საცხოვრებელი კორპუსი) ექსპლუატაციისა და განვითარების აუცილებელი სამუშაოები.

გემოაღნიშნული წარმოადგენს მოსახლეობის თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის ერთ-ერთ გზას. ასეთი პროექტების სიმრავლე საბოლოოდ, გაზრდის მოსახლეობის აქტიურობის მაჩვენებელს. გარდა იმისა, რომ მოქალაქეები თავად უზრუნველყოფენ აქტუალური პრობლემების მოგვარებას თვითმმართველი ორგანოების დახმარებით, ასევე, უკეთ იქნებიან ინფორმირებულნი მათი საქმიანობის შესახებ და ყოველივე ამის შედეგი იქნება საქართველოს მოსახლეობის თვითმმართველობის განხორციელებაში ჩართულობის მაჩვენებლის ზრდა.

მოქალაქეთა პასიურობის ძირითადი მიზეზები თვითმმართველობის განხორციელებაში

თვითმმართველობაში მოსახლეობის მონაწილეობა ჯერ კიდევ, არ არის სასურველ დონეზე უზრუნველყოფილი. ჩვენი აზრით, აღნიშნული განპირობებულია 4 ძირითადი ფაქტორით: ადგილებზე ჩართულობის ინსტიტუციური მექანიზმების სიმწირე, მოსახლეობის პასიურობა, ინფორმირებულობისა და კომპეტენციის დაბალი დონე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების არეალი და ეფექტიანობა და თვითმმართველი ორგანოების დაბალი ინტერესი ამ საკითხის მიმართ.

კანონმდებლობა როგორც თვითმმართველი ორგანოების ხელმძღვანელ პირებს, ისე მოქალაქეებს მეტ-ნაკლებად, საშუალებას აძლევს იმუშაონ ურთიერთინფორმირებულობის პირობებში და ხელი შეუწყონ ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობას. თუმცა, აქვე

უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში, კანონმდებლობა აგებულია იმ პრინციპით, როდესაც მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს და მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება როგორც ინფორმაციის საჯაროობა, ისე გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობა. რაც შეეხება თვითმმართველობის მოხელეთა ვალდებულებას გადაწყვეტილების მიღებამდე, პროექტის მომზადებისას თუ სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყონ მოქალაქეთა თანამონაწილეობა კანონმდებლობაში სრულყოფილად არ არის ასახული, არ არის დახვეწილი ორგანიზების წესები და სტატუსი. დასახვეწია ადგილობრივი ნორმატიული აქტები ჩართულობის მიმართულებით.

მეორე ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის მოქალაქეთა ჩართულობის მაღალ დონეს, მოსახლეობის პასიურობა და ინდიფერენტულობაა, რასაც ბუნებრივია, თავისი გამომწვევი ფაქტორები აქვს. კერძოდ, ე. წ. საბჭოთა მენტალობა, ინფორმირებულობის დაბალი დონე, არასათანადო კომპეტენცია და უნდობლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ.

მოსახლეობის დიდ ნაწილს იმ ეპოქაში მოუწია ცხოვრება, როდესაც გადაწყვეტილებებს „მესაჭე“ პარტია იღებდა. ეს სტერეოტიპი რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ისევ მუშაობს. ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული ტერმინი ქვეყანაში არის „პატრონი არ გვყავს“ ან „ქვეყანას პატრონი არ ჰყავს.“ იმის გააზრება, რომ საკუთარი თავისა და საკუთარი ქვეყნის პატრონები ჩვენვე ვართ – მოსახლეობაში ჯერ ისევ დაბალ დონეზეა. მართალია, გარკვეული პროგრესი ამ მიმართულებით არის, მაგრამ პრობლემა ჯერ ისევ სახეზეა. საზოგადოებრივი აზრის ფორმირება მიმდინარეობს სახელმწიფოებრიობის გააზრების პარალელურად, საკუთრებითი ურთიერთობების, მმართველობითი სტრუქტურებისა და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების ფონზე. ამიტომ ძნელია ითქვას, რომ დღეს ჩვენ მოვიძიებთ მეტ-ნაკლებად კრისტალიზებულ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გააზრებულია ახალი რეალობების შესაბამისი განწყობით, ემოციებით, სტერეოტიპული რეაქციებით. უფრო მეტიც, სოციოლოგიური თუ სხვა გამოკითხვისას, ადამიანები პასუხობენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ კითხვა დაუსვავს და არა იმიტომ, რომ მათ ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე აქვთ ჩამოყალიბებული აზრი.

მოქალაქეთა პასიურობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ინფორმირებულობის დაბალი დონეა. მოსახლეობის უმეტესობა დედაქალაქის ან რომელიმე გაპიარებული რეგიონის პრობლემებში უფრო კარგად ერკვევა, ვიდრე საკუთარი რაიონისა თუ მეზობელი სოფლის პრობლემებში. მოსახლეობამ ხშირ შემთხვევაში, არ იცის საკუთარი უფლებები, მათი რეალიზაციის გზები, კერძოდ, ვინ არის პასუხისმგებელი –სახელმწიფო თუ თვითმმართველობის ორგანოები. ამას ემატება ჩვენი მოქალაქეების კომპეტენციისა და უნარ-ჩვევების დაბალი დონე ისეთ საკითხებში, რომელთა გარეშე შეუძლებელია არსებობდეს აქტიური მოქალაქე. მაგალითად, იმისათვის, რომ საკრებულოში შეიტანო წინადადება ბიუჯეტის შესახებ, ჯერ ხელი უნდა მიგიწვდებოდეს ამ ბიუჯეტზე და შემდეგ უნდა შეგეძლოს მისი წაკითხვა და გაგება (რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ის გასაგები უნდა იყოს და არა თვით პროფესიონალი ფინანსისტისთვისაც კი, რთულად გასაგები). უნდა იცოდეს სად და ვის უნდა მიმართო ამა თუ იმ საკითხზე და შემდეგ უნდა იცოდეს, როგორ მოითხოვე საკუთარი თუ შენი სოფლის ინტერესების დაცვა და ადვოკატირება.

ბუნებრივია, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ეს უნარები, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. სოციოლოგიური კვლევები მოწმობენ, რომ ნებისმიერ სოციალურ ჯგუფში გაცნობიერებული, აქტიური და ქმედითი ადამიანების რაოდენობა 3-7%-ს არ აღემატება.

ყველა დანარჩენი ინერტულია და მოქმედებას იწყებს მატერიალური დაინტერესების ან ლიდერის გამოჩენის შემთხვევაში. ამდენად, ადგილებზე ქმედითი ლიდერების დეფიციტი მოქალაქეთა ჩართულობის კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორია. ლიდერებზე საუბრისას, ჩვენ არ ვგულისხმობთ მხოლოდ ინდივიდებს. აქ ასევე და შესაძლოა უპირველესადაც კი, მოვიაზრებთ ლიდერთა ჯგუფებს ან გაერთიანებებს და მათ შორის, პრიორიტეტულად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ყველა არსებული კვლევა ადასტურებს პირდაპირ კორელაციას რეგიონში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების დონესა და მოსახლეობის აქტივობას შორის. ნებისმიერი ემპირიული დაკვირვება წარმოაჩენს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს მოსახლეობაში, სადაც საზოგადოებრივ ორგანიზაციას უმუშავია, იმ მოსახლეობისაგან, სადაც ასეთი აქტივობა მწირია ან საერთოდ არ ყოფილა.

რეკომენდაციები

1. თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხის პოლიტიკური აქტივიზაციის ხელშეწყობა. ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონის ასამაღლებლად მეტად მნიშვნელოვანია ამ საკითხის პოლიტიკური აქტივიზაციის ხელშეწყობა. აუცილებელია, საკითხი კვლავ დადგეს ხელისუფლების პოლიტიკური დღის წესრიგში. ამისათვის საჭიროა აქტიური თანამშრომლობა ხელისუფლების როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ შტოსთან, ამასთან, პოლიტიკურ პარტიებსა და თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
2. საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესება საზოგადოების მონაწილეობის სფეროში. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა დასახვეწია საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფის ნაწილში. მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ერთი მხრივ, განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში საზოგადოების ჩართვის სხვადასხვა ფორმებსა და პროცედურებს, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მონაწილეობის ფორმების ალტერნატიულობის პრინციპს.
3. თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა მოხელეთა მომზადება-გადამზადების სფეროში. მნიშვნელოვანია შეიქმნას ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა თვითმმართველობის მოხელეთა მომზადება-გადამზადების სფეროში, განისაზღვროს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე არასახელმწიფო ინსტიტუტების როლი მოხელეთა მომზადება-გადამზადების სფეროში. მნიშვნელოვანია, რომ თვითმმართველობის მოხელეთა მომზადება-გადამზადების პოლიტიკა განხილულ იქნას უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ტრილში და განისაზღვროს უმაღლესი სასწავლებლების როლი ამ მიმართულებით, შეიქმნას თვითმმართველობის მოხელეთა მომზადება-გადამზადების პროგრამები.
4. ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. ცალსახაა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში ახალგაზრდების ჩართულობის პროცესის გასააქტიურებლად, აუცილებელია, მათ ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია, უნარ-ჩვევები და ცოდნა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მომავალში მათი სამოქალაქო აქტივობის ზრდას, რაც აუცილებლად იქცევა ადგილებზე დემოკრატიის განვითარებისა და თვითმმართველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ერთ-ერთ წინაპირობად. ამდენად, აუცილებელია ახალგაზრდობის

სამოქალაქო განათლება ადგილობრივი თვითმმართველობის არსის, ფუნქციებისა და მის განხორციელებაში მოსახლეობის უფლებებისა და როლის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით სკოლების გააქტიურება. ამდენად, ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ასევე ამ სფეროთი დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

5. ამ მიმართულებით მომუშავე დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია. დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინაცია ხელს შეუწყობს არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტურ და ეფექტიან გამოყენებას. კერძოდ, უზრუნველყოფს ქვეყნის თანაბარ გეოგრაფიულ დაფარვას, არსებული რესურსებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ასევე გადაფარვების თავიდან აცილებას, რაც თავის მხრივ, უფრო ეფექტიანს გახდის დონორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერვენციას ამ მიმართულებით.
6. ზოგადად, თვითმმართველობისა და კერძოდ, თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხის პოპულარიზაცია საზოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით. უდავოა, რომ აუცილებელია საინფორმაციო კამპანიებში მედია-საშუალებების ჩართულობის ხარისხის გაზრდა. ამ თვალსაზრისით, სერიოზულ რესურსს წარმოადგენს საზოგადოებრივი ტელევიზია და რადიო, რომელთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ საზოგადოების სამოქალაქო განათლებაა. მეტად მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ამ უწყებების პარტნიორული თანამშრომლობა თვითმმართველობის საკითხებზე მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლების ერთიანი პოლიტიკის შემუშავების საკითხზე.
7. ჟურნალისტების განათლების დონის ამაღლება თვითმმართველობის სფეროში. აუცილებელია ყურადღება დაეთმოს ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას თვითმმართველობის სფეროში, რათა საზოგადოებამ მიიღოს მაღალკვალიფიციურ დონეზე მომზადებული ინფორმაცია. ამ კუთხით, აუცილებელი იქნება როგორც მოქმედი ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე მიზანმიმართული მუშაობა მედია-სკოლებთან.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებული ზოგადი ვითარებიდან გამომდინარე, თვითმმართველობის ორგანოები პრაქტიკულად, არ უქმნიან ბარიერებს მოსახლეობის თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართულობას, თუმცა, არც აქტიურები არიან ამ მიმართულებით. თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები მოსახლეობის პასიურობას აბრალებენ თვითმმართველობის საქმიანობაში მათი ჩართულობის მექანიზმების პრაქტიკაში გამოუყენებლობას, თუმცა, მხოლოდ მოსახლეობის პასიურობაზე აპელირება მართებული არ არის. თვითმმართველობის ორგანოები არც თავად არიან პროაქტიურები, რადგან პრაქტიკულად არ იყენებენ მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმებს (საკრებულოს „ღია კარის“ სხდომა, საკრებულოს გასვლითი სხდომა და ა. შ.)

ასევე დაბალია მოსახლეობასთან მათი პროაქტიური კომუნიკაციის დონე. აქედან გამომდინარე, საჭიროა ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება და აქტიური სამუშაო მექანიზმის შემუშავება, რომელიც გააქტიურებს როგორც თვითმმართველი ორგანოების მუშაობასა და საკუთარი

საქმიანობით, პროექტებით მოსახლეობის დაინტერესებას, ასევე, საქართველოს მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას. საქართველოში ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ იმდენი რესურსი, რომ განახორციელონ ყველაფერი, რისი გაკეთებაც მათ სურთ. მათ გამუდმებით უწევთ რთული საბიუჯეტო არჩევნის გაკეთება. შესაბამისად, უნდა ეცადონ, რომ შეარჩიონ საუკეთესო ვარიანტი, რომლის საბოლოო შედეგიც ეფექტიანი იქნება.

ვინაიდან საქართველო დემოკრატიულ ქვეყანას წარმოადგენს, დემოკრატიის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობა გამოსატაც მსოფლიოში ინტერესებს. დემოკრატია გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მოქალაქეებს მისცე უფლება აირჩიონ ხელისუფლების წარმომადგენლები. ადგილობრივი თვითმმართველობა საუკეთესო დონეა მოქალაქეთა მონაწილეობისათვის, რადგან ყველა გადაწყვეტილება ამ დონეზე გავლენას ახდენს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მეტი ჩართულობის მიზნით, ხელისუფლებამ მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს და უფრო გააქტიურდეს.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები და პრობლემატურ საკითხებზე ხაზგასმა ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მეტი ჩართულობას, მონაწილეობას. მოქალაქეთა ჩართვა თვითმმართველი ორგანოს გადაწყვეტილების პროცესში არის საუკეთესო გზა, რომელსაც მივყავართ ეფექტიან შედეგამდე. იგი უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობას, ღიაობას, გახსნილობასა და მოქალაქეთა მხრიდან აღიარებას, რაც საბოლოოდ ხელს შეწყობს ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფოს განვითარებასა და გაძლიერებას.

შენიშვნა:

¹ საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის ოქტომბერში ცვლილებები შეიტანა საქართველოს კონსტიტუციაში. განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ადგილობრივი თვითმმართველობის ახლებური კონსტიტუციური რეგლამენტაცია ჩაითვალა. განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის ინსტიტუციური მოწყობა, მათი არჩევის წესი, თვითმმართველობის ორგანოთა ანგარიშვალდებულების, ფინანსური დამოუკიდებლობისა და უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები. აღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2011 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, წინამდებარე დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში, ეყრდნობა კონსტიტუციის ახალ რედაქციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, ძველი რედაქცია, 1995 წელი;
2. საქართველოს კონსტიტუცია, ახალი რედაქცია, 2012 წელი;
3. საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ;
4. ევროპული ქარტია თვითმმართველობის შესახებ, სტრასბურგი, 1985 წელი;
5. „თვითმმართველი ერთეული ქონების შესახებ“ კანონი 2005 წლის 25 მარტი;
6. პაველ სვიანიციჩის ანგარიში „საზოგადოებრივი აზრი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოში,“ 2009-2010 წელი;
7. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის 2009 წლის კვლევა „მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობაში;“
8. საია-ს 2012 წლის კვლევა „საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ;“
<http://www.matsne.gov.ge>
<http://www.parliament.ge>

PARTICIPATION OF CITIZENS IN LOCAL GOVERNANCE

SOCIOLOGICAL ASPECT

KETEVAN CHECHELASHVILI

Doctoral Student at the Georgia Davit Aghmashenebeli University

Existence of local government units in the state and participation of citizens in administering the local governance represents the bedrock of democracy – the most widespread form of state governance in the modern world. Implication of the democratic governance is that the power belongs to the people or their representatives. Correspondingly, its main demand is to see active involvement of citizens in local governance, which let the local government units manage public affairs right in accordance with the interests of the local population.

The article speaks about what the citizen engagement means and how they should participate in making decisions of the local governance, and also in their implementation process.

This article aims at describing the practice of citizen involvement in administering the local governance, identifying the factors that hinder their engagement and developing recommendations for improving the citizen participation in local decisions. The article describes the statutory mechanisms of citizen involvement.

Findings of the article also analyze the factors hindering citizen participation and offer not only recommendations, but also ways of their implementation. Namely: 1. to support more political activity regarding the citizen participation in local governance, improve legislative environment in the field of civic engagement, upgrade qualification of local civil servants, elaborate unified state policy in the field of training the servants, raise awareness of the youth about local governance, coordinate the activities of donors and NGOs working in this field, in general – promote local governance, and namely, promote the issue of citizen engagement in local governance via the public television and radio. It is also important to raise the awareness of journalists in the field of local governance.

All the abovementioned will provide us with an opportunity to find an optimal solution in order to enable active engagement of Georgian citizens in administering the local governance, which is a precondition of effective functioning of a local government unit.

მოურავის სამოსამართლო კომპეტენცია გვიანფეოდალური საქართველოს სამართლის მიხედვით

თორნიკე ნემსწვირიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის VII სემესტრის სტუდენტი*

საქართველოს მოსამართ-
ლეთა ასოციაციის მიერ,
საქართველოს პრეზიდენტის
სარეზერვო ფონდის დაფი-
ნანსებით განხორციელებუ-
ლი პროექტის – „მართლ-
მსაჯულების გაძლიერება“
ფარგლებში ჩატარდა
სტუდენტური კონფერენცია
– „აღმოაჩინე შენი მართლმ-
საჯულების ისტორია,“ სადაც
მონაწილეობდნენ სხვადასხ-
ვა უმაღლესი სასწავლებლის
სტუდენტები. კონფერენციამ
დიდი დაინტერესება გა-
მოიწვია სტუდენტებს შორის
და საინტერესო ნაშრომები
წარმოადგინეს. გთავაზობთ
კონფერენციაში გამარჯვებ-
ული სტუდენტის, თორნიკე
ნემსწვირიძის ნამუშევარს.

შესავალი

შუა საუკუნეებში მონარქიულ სახელმწიფო მექანიზმს ახასიათებ-
და მეფე, როგორც უზენაესი სუბერენი, რომელიც საკანონმდებლო,
აღმასრულებელი და სასამართლო სახელისუფლო ძალაუფლების
რეალიზების სუბიექტად გვევლინებოდა. აქედან გამომდინარე,
ისტორიულად, საქართველოში მართლმსაჯულების განმახორ-
ციელებელი ერთი სპეციალიზებული ორგანო არ არსებობდა.
ფეოდალური სახელმწიფოს ბუნების მახასიათებელი იყო, რომ
სასამართლო სახელისუფლებო ძალაუფლება სხვადასხვა სახელმ-
წიფო თუ ადგილობრივ მოხელეებს შორის იყო განაწილებული,
რომლებიც მათთვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში
ახორციელებდნენ ამ უფლებამოსილებას.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება მოურა-
ვის სამოსამართლო უფლებამოსილების, ფუნქციებისა და კომპე-
ტენციის მოცულობის განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ მოურავი
ადმინისტრაციული აპარატის მოხელე იყო, რომლის კომპეტენციის
ფარგლებს იმ პერიოდის სამართლის წიგნები ადგენდნენ, უთუოდ
მნიშვნელოვანია, მისი სამოსამართლო უფლებამოსილებას დაქ-
ვემდებარებული სადავო საქმეების განხილვა. კერძოდ, შევხებით

მოურავის სამოსამართლო უფლებამოსილებებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, მისი კომპეტენციის ფარგლებს, მოურავის როლსა და ფუნქციებს სხვა მოხელეთა მიერ საქმის გარჩევისას, სამოურავო სასამართლოს შემადგენლობასა და კონფლიქტს მოხელეთა შორის ანუ მოურავთა კომპეტენციაში ჩარევის შემთხვევებს.

ამ საკითხების განხილვისას უმთავრესად დავეყრდნობით „დასტურლამალის“, დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნისა და გვიანფეოდალური პერიოდის სხვადასხვა იურიდიული საბუთის ცნობებს. ნაშრომი ეფუძნება შედარებითსამართლებრივ, ნორმატივისტულ და ლოგიკური ანალიზის კვლევის მეთოდებს.

I. მოურავი და სამოურავო სასამართლო

ადგილობრივი მმართველობის ერთ-ერთ მთავარ მოხელეს გვიანფეოდალურ საქართველოში მოურავი წარმოადგენდა, რომელიც სახელოს სტატუსიდან გამომდინარე – მამასახლისსა და ნაცვალზე მაღლა იდგა.¹ თავისი გავლენითა და ფართო კომპეტენციით იგი აღნიშნული პერიოდის საქართველოში, სასურველი სახელო იყო. პროფესორ მესხიას ცნობით, მოურავის თანამდებობას მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში ძირითადად, მსხვილი არისტოკრატები იკავებდნენ.²

დავით ბატონიშვილის „სამართლის“ მიხედვით, ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ მოხელეს მოურავი წარმოადგენდა; ამავდროულად, ეს სახელო მისი მატარებლისათვის დიდი და საპატიო თანამდებობა გახლდათ, ვინაიდან თავად მეფე უბოძებდა კონკრეტულ პირს ამ სახელოს (იგულისხმება სამეფო, იგივე სახასო, დომენის მოურავები – თ.ნ.).³

მოურავის მრავალფეროვან კომპეტენციათაგან იურისტებისათვის უდავოდ საინტერესოა მისი სამოსამართლო უფლებამოსილება, ვინაიდან მოურავის ერთ-ერთ მოვალეობას ქალაქში „სამართლის ქმნა“ წარმოადგენდა. იგი არ იყო უმაღლესი მსაჯული და სტატუსიდან გამომდინარე, სამოხელეო იერარქიულ კიბეზე მეფეზე, დედოფალზე, უფლისწულებზე, მდივანბეგებზე, როგორც მოსამართლეებზე, დაბლა იდგა.

II. მოურავი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი დავის განმხილველი მოსამართლე და მისი კომპეტენციის ფარგლები

ქართული სამართლის ისტორიაში მოურავის უფლებამოსილებად უპირველესად, მიიჩნევა სამოქალაქო საქმეების გარჩევა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მოურავები არჩევენ ვალდებულებითი და სანივთო სამართლის ხასიათის დავებს: მიწაზე, „სამძღვარზე“, ვალსა და ნივთის მიუცემლობაზე, ურთიერთშორის უთანხმოების აღმოფხვრასა და ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაზე. აქვე ხაზგასასმელია, რომ მოურავები საქმეებს უპირატესად, მეფის დავალებით იხილავდნენ. თუმცა, თვითონაც გააჩნდათ საჩივრების მიღებისა და განხილვის უფლება.⁴

მოურავის სასამართლოს ექვემდებარებოდა ყმა-მამულთან დაკავშირებული სადავო საქმეები.⁵ ისინი განიხილავდნენ სასაზღვრო დავებს მიჯნაზე, მაგრამ ისევ და ისევ კოლეგიური პრინციპის საფუძველზე. კერძოდ, 1711 წლის ჯანდიერიშვილების, ვაჩნაძეებისა და ახურელთა მამულის საზღვართან დაკავშირებულ საქმეს განიხილავდნენ ალავერდელი ბატონი ჩოლოყაშვილი, რევამ მოურავი, მერაბ მოურავი, სახლთუხუცესი და ბოქაულთუხუცესი.⁶

1756 წლის სასამართლო განჩინების მიხედვით, დავა ეხებოდა „კრწანელებისა და თელეთელე-ბის“ სამამულო მიწებზე მიჯნის საკითხს. განჩინებიდან ჩანს, რომ საქმეს განიხილავდა ამილახორი ამირინდო, სახლთუხუცესი გიორგი მაღალაძე, მოლარეთუხუცესი პაატა გედეონის ძე და კრწანისის მოურავი პაატა თაბიშვილი. საქმის სამართლიანად გასარჩევად მათ ეხმარებოდათ „უფროსნი კაცნი კრწანელები და ეგრეთვე თელეთელები.“⁴⁷ მხარეებს შორის დავა სასაზღვრო მიჯნაზე იყო. განჩინები-დან ჩანს, რომ ამ პროცესში ერთ-ერთ აქტიურ როლს მოურავიც ასრულებს, რომელიც პირადად მიდის სადავო ტერიტორიაზე და ზედმიწევნით ეცნობა საზღვართან დაკავშირებულ სადავო გარემოებებს.

მოურავს ექვემდებარებოდა „მიწა-წყალთან“ დაკავშირებული სადავო საქმეები, რომლის განხილვაც კოლეგიურობის პრინციპზე დაყრდნობით მიმდინარეობდა. 1700 წლის სასამართლო განჩინებით „კაკაბელთა და შიბლიანელთა“ მამულის საქმეზე, აღნიშნულია, რომ საქმე გაარჩია ალავერდელმა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა, რევამ ქიზიყის მოურავმა, ყორჩიბაშმა, მოურავისშვილმა და სახლთუხუცესმა.⁴⁸

ასევე საინტერესოა ერეკლე II-ის სახელზე დაწერილი ვაჩნაძეების საჩივარი (დათარიღებულია 1770 წლის 10 იანვარით), სადაც ისინი მეფეს თავის გასაჭირს აცნობენ: „ჩვენს მთაში ორიოდ სამი ღორი მოკვალით. მოგეხსენებათ, საბალახე მუდამათ აგვილია; მოვიდნენ ნუკრიანელნი და ჭო-ტორელნი. მოვიდნენ ჩალუბანს სოფლის პირში, მელორეც დაიჭირეს ტყვის მსგავსად, მელორეც წაიყვანეს და ღორიც წაასხეს. მისახეს სოფელში და ათი ღორი გამოარჩიეს, დახოცეს და სხვა ღორი და მელორე გამოეშოთ ჩვენს მამულში. ეს დაგვემართა, მთა აღარ შეგვრჩა და ბარი წაურთმეველი ჩვენი მემიჯნებისაგან.“⁴⁹ აქედან გამომდინარე, მოსარჩელები მეფისაგან ითხოვდნენ „სამართლის ქმნას.“ სარჩელზე მიწერილი მეფის რეზოლუციის თანახმად, ქიზიყის მოურავს დაევალა ამ დავის გადაწყვეტა. მეფე მიმართავს ქიზიყის მოურავს, რომ სავაჩნაძეო შენი სასარდლო არის და „თუ შენ უზამ მანდ ამათ სამართალს, ხომ კარგია და გაარიგებ, თუ არა და ორნივე კარზე ჩვენს სამართალში გამოგზავნე.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში ქიზიყის მოურავი, მოურავობასთან ერთად, სარდლის სახელოსაც ფლობდა და სარდალ-მოურავად იწოდებოდა. აქედან გამომდინარე, პროფე-სორი მ. კეკელია ამ დავას მოურავის განსჯად საქმედ თვლის.¹⁰ ლოგიკურია, როდესაც სუბიექტი ორ სახელოს ფლობდა, ორივე სახელოს სამოსამართლო კომპეტენციას იგი განახორციელებდა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, მეფემ ეს დავა მას სარდლის სტატუსიდან და ტერიტორიული იურისდიქციის პრინციპის გათვალისწინებით დაუქვემდებარა.

„ქალაქის მოურავის სარგოს“ მიხედვით, საგამყრელო საქმეები იყო მოურავთა განსჯადი. ერთ-ერთი სასამართლო განჩინება 1705 წელს, ჩოლოყაშვილების გაყრის საქმეს ეხება, რომელსაც განიხილავდნენ კახეთის ჯანიშინი, მოურავი რევამი, მოურავი მერაბი, თუშეთის მოურავი მამუკა, ჭიაურთ მოურავი ქაიხოსრო და ქალაქის მოურავი ჩოლოყაშვილი ფირანი.¹¹ ხუთი მოურავის მიერ საქმის გარჩევა, ერთი მხრივ, მანიშნებელია, რომ ჩოლოყაშვილები მაღალი სოციალური სტატუსის მატარებელნი იყვნენ და მეორე მხრივ, აღნიშნული სადავო საქმე გარკვეული სირთულით ხასიათ-დებოდა (ამავდროულად, დაცულია საქმის კოლეგიურად განხილვის პრინციპი).

მეფის (იგულისხმება ერეკლე II – თ.წ.) ძის გიორგის ბრძანებით (მოგეხსენებათ, ერეკლე II-ის ზეობაში ქართველი უფლისწულებიც იყვნენ სამოსამართლო ფუნქციით აღჭურვილნი და მათაც ჰქონდათ კონკრეტული დავის განხილვის სხვა მოხელისათვის დავალების უფლებამოსილება – თ.წ.) ბებურიანების გაყრის საქმის განხილვა დაევალა კახეთის მდივანბეგ რამაზს, სახლთუხუცესს გრი-

გოლს და საგარეჯოს მოურავ რამაზს.¹² ამ განჩინების საფუძველზე ჩანს, რომ მოურავი კოლეგიური სასამართლო განხილვის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო, მაგრამ მაღალი სტატუსიდან გამომდინარე, სასამართლო პროცესს მდივანბეგი წარმართავდა. მოურავის სახელოს მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ განჩინება ორი ბეჭედიტაა დადასტურებული, რომელთაგან პირველი – მდივანბეგ რამაზს ეკუთვნის, ხოლო მეორე – მოურავ რამაზს.

ქიზიყის სარდალ-მოურავის უფლებამოსილებაში შედიოდა ქიზიყის მოსამართლეობა, თავისი სარგებლით. კერძოდ, თუ კაცი გაიყრებოდა, აქედან საგამყრელო საქმისათვის მოურავს ერთი ხარი ეკუთვნოდა.¹³ ერთ-ერთი იურიდიული საბუთის მიხედვით, თუ აზნაურების სურვილი იქნებოდა, მათი გაყრაც შეეძლო გაერჩია მოურავს, „ხოლო გლეხთა კაცთა გაჰყრიდენ მოურავნი, ნაცვალნი და ქედხუდანი.“¹⁴

დავით ბატონიშვილი წერს, რომ „თუ პირუტყვი მეზობლის (ან სხვის) მოსავალს, თუ სხვა რაიმე ჭირნახულს ზიანს მიაყენებს, არ უნდა მოკლან ეს პირუტყვი, პირიქით, მათ ის უნდა მიიყვანონ და სარჩელი შეიტანონ მოურავთა, ნაცვალთა და მამასახლისთა წინაშე.“ რომლებიც დასხდებიან „სამართალში“ და ისე გადაწყვეტენ დავას.¹⁵ ამასთან დაკავშირებით, სამართლის წიგნში აღნიშნულია, რომ „მათ ჰსწუართონ, რომელ არღარა იკადროს კვალად შეუხება და ზიანის მიცემა მეზობელთა თვისთა,“¹⁶ რითაც კანონმდებელი ხაზს უსვამს სანქციის უმთავრეს მიზანს – პრევენციას, რომ უკეთესად მოეგლო პირუტყვის პატრონს მისი საკუთრებისათვის. ამავდროულად, პატრონს ჯარიმა უნდა გადაეხადა, ხოლო თუ აღნიშნული ოთხი-ხუთჯერ განმეორდებოდა, ჯარიმა ორმაგდებოდა.¹⁷

დასტურლამალის „ყაიყულის სამოურავოს გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ „რომელიც სოფლის კაცი ერთი-მეორეს უჩიოდეს, იმისი სამართალი მოურავმან ქნას: და რომელიც სოფელი და სოფელი ერთმანეთს უჩიოდეს, იმისი სამართალი ბატონის მოსაქმემ ქნას. იქნების ასეთი საჩივარი: ან კაცის სიკვდილი ან დიდი რამ საქმე, იმისი სამართალი კარზედ უნდა იქნას.“¹⁸ ეს ჩანაწერი ნათლად განსაზღვრავს მოურავის სამოსამართლო კომპეტენციის ფარგლებს. კერძოდ, თუ მომჩივანიც და მოპასუხეც მოურავის იურისდიქციაში შემავალი ერთი სოფელიდან იყვნენ, მათ შორის დავას ავტომატურად მოურავი განიხილავდა, გარდა მკვლელობისა და „დიდი რამ საქმისა,“ ხოლო ორ სოფელს შორის დავის შემთხვევაში, მართლმსაჯულებას ბატონი (ან მისი უფლებამოსილი პირი) ახორციელებდა.

თბილისის მოურავ ევსტათი ციციანოვის მიერ პავლე ციციანოვისადმი მინაწერ წერილში ვკითხულობთ, რომ თუ მოქალაქე მოურავთან იჩივლებდა, მას სადიაბეგო ერგებოდა – თუმანზე ხუთი აბაზი, რაც მცირე, უფრო სწორად არასტაბილური რაოდენობის თანხა იყო, ვინაიდან მოურავი შენიშნავს, რომ „არც ამას დაედება ფასიო, ბევრჯერ ბევრი მოვიდოდა, ბევრჯერ – ცოტაო.“¹⁹

„ქიზიყის მოურავის სარგოს“ მიხედვით, „ქიზიყში რომ კაცი ამოსწყედეს, რომ არა დარჩეს რა, მამულს გარდა რაც ნივთი დარჩება, სამად გაიყოფა: ერთი წილი მკვდრის სამარხად მიეცემა, ერთი წილი ბატონისა სარქარში მივა და ერთი წილი მოურავს მიეცემა.“²⁰ ანუ, ამ ცნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარდაცვლილი ადამიანის ქონების მოძიების, მისი გაყოფის და განაწილების პროცესში მოურავი იყო ჩართული, რისთვისაც განსაზღვრული ოდენობის სარგო იყო გათვალისწინებული.

რიგი სამოქალაქო დავები ამოღებული იყო თბილისის მოურავის იურისდიქციიდან. კერძოდ, მელიქ დარჩიას მიერ ციციანოვისადმი მიწერილი მოხსენებითი ბარათის მიხედვით „რაც ტფილისში მამულის სადავო ან ვაჭრის სამართალი მოხდებოდა, ყველა მელიქ მამასახლისთან, ქედხუდების თანდასწრებით უნდა მოხდეს.“ ანუ გამოდის, რომ ამ კატეგორიის საქმეები ამოღებული იყო მო-

ურავთა იურისდიქციიდან.²¹ ამის სამტკიცად ასევე, შეიძლება მოვიტანოთ ერთ-ერთი მოქალაქის მიერ მეფისადმი მიმართვა, სადაც იგი ითხოვს, რომ მეფის დანაწესის მსგავსად, ქალაქის მამულის სადავო საქმე მელიქისა და მოქალაქეების კომპეტენციაშია და დაავალეთ მათ, რომ „სამართალი გვიყონო.“ ასევე პროფესორი მ. კეკელია აღნიშნავს, რომ ვაჭართა შორის დავასთან დაკავშირებით მოურავის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები არ გვხვდება.²²

თბილისის მოურავს შეეძლო გაერჩია ისეთი დავა, როცა სოფლელი კაცი უჩიოდა მოქალაქეს. მართალია, ამ ხასიათის დავები, როგორც წესი, მდივანბეგს უნდა მოესმინა, მაგრამ თუ ის ადგილზე არ იყო, კანონი ამის უფლებას მოურავს ანიჭებდა. ამ შემთხვევაში, კანონმდებელი, როგორც ჩანს, სოფლიდან ქალაქში „სამართლისათვის“ ჩამოსული კაცის ინტერესებიდან გამოდის, რომ მას დრო არ დაეკარგა მდივანბეგის დაბრუნებამდე.²³

III. შედიოდა თუ არა მოურავის სამოსამართლო კომპეტენციაში სისხლის სამართლის სადავო საქმეები?

დავით ბატონიშვილის სამართლის (მსგავსი შინაარსის დანაწესს შეიცავს მისივე „მიმოხილვა“) მიხედვით, „მოურავთა ძალ-უძსთ სამართლისა ქმნად, ვინაიდან იგინი არიან პირველნი წევრნი სასამართლოსანი სამოურავთა მათთა, თანდასწრებითა ბჭეთა, მეფისა ნაცვლისა, მამასახლისისა, ქევხთა და ქედხუდათა, თვინიერ სისხლისა, რომელიცა ესე სამართალი დაეტევების მეფეთა და მდივანბეგთა.“²⁴ დასტურლამალში აღნიშნულია, რომ „იქნების ასეთი საჩივარი, ან კაცის სიკუდილი, ან დიდი საქმე რამე, იმისი სამართალი კარზედ უნდა იქნას.“²⁵ ამ დანაწესით, კანონმდებელმა ადგილობრივი ხელისუფლების იურისდიქციიდან მთლიანად ამოიღო მკვლელობის საქმე და იგი ცენტრალური ხელისუფლების სამოსამართლო იურისდიქციას დაუქვემდებარა. ამავე ნორმაში კანონმდებელი ახსენებს „დიდ საქმეს“, რომელიც ასევე, სამეფოს კარზე უნდა გაირჩეს.²⁶ პროფესორი ივ. სურგულაძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „დიდი საქმე“ შეიძლება ყოფილიყო, როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმე, რომლის უმეტესობის გარჩევის უფლებამოსილება, უპირველესად, მეფესა და დარბაზს, ასევე ნაწილი ამ საქმეებიდან, მდივანბეგის სასამართლოს გააჩნდა.²⁷ პროფესორი სურგულაძე აღნიშნავს, რომ დიდ საქმეებად ითვლებოდა მსხვილი ფეოდალების გაყრა, რასაც ხშირად მეფე ან საბჭო ან კიდევ მდივანბეგი არჩევდა, ხოლო ყველა ის საქმე, რომელიც არ ითვლებოდა „დიდ საქმედ“, როგორც წესი, ადგილობრივ ფეოდალებსა და მათ მოხელეებს ექვემდებარებოდა,²⁸ მათ შორის – უპირველესად მოურავს.

პროფესორი შ. მესხია მტკიცებითი ფორმით მიუთითებს, რომ ქალაქის მოურავს მხოლოდ სამოქალაქო დავების განხილვის უფლებამოსილება გააჩნდა.²⁹ ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან უფრო სარწმუნოდ მივიჩნევთ პროფესორ მ. კეკელიას შენიშვნას, რომ მხოლოდ ოთარ ამილახვრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც ეს უკანასკნელი წერს, რომ „მსუბუქი სამართალი“ მის იურისდიქციაში შედიოდა, ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ სამოქალაქო დავები შედიოდა მოურავის კომპეტენციაში, თანაც რიგი სისხლის სამართლის საქმეები უფრო მსუბუქია, ვიდრე ზოგიერთი სამოქალაქო დავები. ასევე, XVIII საუკუნის II ნახევრიდან ყველა სასჯელი როდის ატარებდა საჯარო ხასიათს (ყველა დანაშაულებრივი ქმედების მიღმა სახელმწიფო მისი ინტერესის ხელყოფას როდის ხედავდა), რათა ამ სუბსტანციური ელემენტის არსებობისას, დავა მეფის მოსამართლეებს

– მდივანბეგებს გაერჩიათ და არა შედარებით დაბალი რანგის მოსამართლეებს (მათ შორის, მოურავებს – თ.ნ.).³⁰

მოურავთათვის ჩხუბისა და მცირე სისხლის სამართლის საქმეების განხილვის უფლებამოსილება გათვალისწინებული იყო კანონპროექტ „სამოქალაქო სჯულვილებაში.“³¹ ამის მიზეზად მოურავის მიერ ამ უფლებამოსილების ეფექტიანად რეალიზება შეიძლება დავასახელოთ. მსგავსი დავების გადასატრელად აუცილებელი იყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება, რაც საფიქრებელია, რომ სამოურავო სასამართლოს კარგად გამოსდიოდა, ვინაიდან იგი იყო სახელისუფლო სამოხელეო იერარქიაში ხალხთან ყველაზე ახლო მდგომი თანამდებობის პირი. ასევე, სწორედ მოურავის კომპეტენციაში შედიოდა რიგი სამართალდამრღვევათა გამოვლენა და დასჯა.³²

„ქალაქის მოურაობის სარგოს“ მიხედვით, მოურავს როგორც წესრიგის დამცველ ადგილობრივ მოხელეს, უფლება ჰქონდა დაეჯარიმებინა სამართალდამრღვევნი, უფრო მეტიც, მის ვალდებულებას წარმოადგენდა მათი გამოვლენა. კერძოდ, „ქურდსა და ბოზს, როდესაც მოურავი დაიჭერს, ამის ჯარიმას მოურავი (...) გამოართმევს (...)“³³ დასტურლამალის „ყაიყულის სამოურავო გარიგების“ მიხედვით, თუ ქურდობა „საქართველოს მამულში შეაჩნდეს, შვიდეულად აზღვევინოს მოურავმან და ერთი-ორად პატრონს მისცეს, და სხვა საბატონოდ, მოვიდეს.“³⁴

„კახეთის ბაჟების გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ ვინც ჩხუბის დროს თავს გაუტეხავდა მოწინააღმდეგეს, ერთი ხარი უნდა მიეტანა მოურავისათვის. ასევე, საინტერესოა შემთხვევა, როდესაც როგორც ბატონის, ასევე მოურავის კომპეტენციიდან ამოღებული იყო ხუცესის მიერ სხვისი ცემის ან თავის გატეხვის საქმე, რომელიც ბოდბელის სასამართლოს განსჯადი იყო, მაგრამ თუ თავად ხუცესს სცემდნენ ან თავს გაუტეხავდნენ, ბატონი და მოურავი განიხილავდა დავას და შესაბამისად, ჯარიმიდან ბატონის ორი წილი იყო, ხოლო მოურავის – მესამედი.³⁵ ამასთან დაკავშირებით, პროფესორი მ. კეკელია მართებულად სვამს კითხვას, თუ რამ განაპირობა მოურავის გაფრთხილება, რომ ხუცესის მიერ სხვისი ცემის ან თავის გატეხვის საქმე მას არ განეხილა? – გამოდის, რომ მოურავი განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეებს, რომელთაც მცირე მნიშვნელობა ჰქონდა, კონკრეტულ შემთხვევებში კი, მითითებული იყო, რომ ამ დავის გარჩევის უფლებამოსილება მოურავს არ გააჩნდა.³⁶ მსგავსი დანაწესი აუცილებელი იყო, რათა არ მომხდარიყო სხვადასხვა მოხელეების კომპეტენციათა დაუბლირება და ერთმანეთის უფლებამოსილებებში ჩარევა.

IV. მოურავის ფუნქციები სხვა მოსამართლეთა მიერ სასამართლო პროცესის წარმართვისას

მთელი რიგი იურიდიული საბუთების მიხედვით, მოურავს ხშირად ვხვდებით სხვა მოსამართლეთა მიერ გამოტანილ განჩინებებში, როგორც აღმასრულებელს, რაც განაჩინის აღსრულების საიმედოობის გარანტიად უნდა მივიჩნიოთ.³⁷ ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ, მეფე იმამყული-ხანის მიერ თავისი განჩინების (1715 წლის 2 იანვრის განჩინება – თ.ნ.) აღსრულების დავალება თიანეთის მოურავ გარსევანისა და სუფრაჯი რამაზისათვის.³⁸ ამ კუთხით, ასევე საინტერესოა, სოლომონ I-ის მიერ 1766 წელს მიღებული სასისხლო განჩინება, რომლის მიხედვითაც, მეფემ განიხილა ჩხუბის, დაჭრის და მკვლელობის ფაქტები და „მიცემული სამართლის“ აღსრულების ვალდებულება დააკისრა თავად წერეთელსა და მოურავ გიორგი აბდუშელიშვილს.³⁹

1634 წლით დათარიღებული განჩინების მიხედვით, საქმეს განიხილავდა ქართლის მეფე როსტომი, კათალიკოსი ევდემოზი, ზალიბეგ ერისთავი, იოთამ ამილახორი, მდივანბეგი ყაფლან ბარათაშვილი და სარდალი ზურაბ ბარათაშვილი. მათ დასაფიცებლად გაგზავნეს მოსარჩელე, რომელსაც თან გააყოლეს ეპისკოპოსი, ბოქაულთუხუცესი როინ ჯავახიშვილი(...) და ატენის მოურავი გიორგი.⁴⁰ ამ საბუთით ჩანს, რომ მოურავი პროცესის მიმდინარეობისას, საკმაოდ საპასუხისმგებლო ფუნქციის მატარებელია (რაც გამოიხატება დაფიცების, როგორც საპროცესო მტკიცებულების მოპოვებაში) და ამავდროულად, იგი ისეთი სამოსამართლო ფუნქციის მატარებელი სუბიექტების მიერ საქმის გარჩევის პროცესში მონაწილეობს, როგორცაა მეფე, კათალიკოსი და ა.შ., ანუ ამ დროს, მართალია, მოურავს არ გააჩნია განჩინების კოლეგიურად გამოტანის შესაძლებლობა, რადგან მასზე უფრო გავლენიანი სასამართლო მოხელენი განიხილავენ საქმეს, პირიქით, მას მხოლოდ ერთ საპროცესო სტადიაზე იწვევდნენ სასამართლოში, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელოვან სტატუსს.

V. სამოურავო სასამართლოს შემადგენლობა

„ქალაქის მოურავის სარგოში“ აღნიშნულია, რომ მოქალაქეს, რომელსაც სხვასთან რაიმე სადავო აქვს, მოურავს უნდა მიმართოს დავის გასარჩევად. აქვე კანონმდებელი იმპერატიული ფორმით შენიშნავს, რომ „მოურავმა ქეთხუდები უნდა დაისწრას და სამართალი ისე უნდა ქნას.“⁴¹ ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „ქალაქის მოურავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქე თან ახლდეს სამართლის ბჭობაში, და მოურავი თუ უნდა მელიქ-მამასახლისს და ნაცვალს სამართალში დაისწრებს და თუ უნდა, არ დაისწრებს, ქედხუდები ახლდებიან. ამაში აქვს სარგო თუმანზედ სამდივანბეგო ხუთი აბაზი მოურავს და ამ სამდივანბეგოში ხელი არა აქვს მელიქ-მამასახლისს, ნაცვალს და ქედხუდებს,⁴² ისრე უნდა ახლდნენ.“⁴³ აღნიშნულთან დაკავშირებით, დოქტორი ჯ. კოპალიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ დანაწესით სავალდებულო იყო მოურავის მიერ საქმის გარჩევისას, „სამი-ოთხი სარწმუნო მოქალაქისა“ ან/და ქედხუდების მონაწილეობა.⁴⁴ „ქალაქის მოურავობის სარგოს“ მიხედვით კი, შესაძლებელი იყო, რომ მეფის ბრძანებით, ქალაქის მოურავსა და მდივანბეგს ერთად გაერჩიათ სადავო საქმე.⁴⁵

მეფის დავალებით შესაძლებელი იყო, რომ რამდენიმე მოხელეს გაერჩია სადავო საქმე. კერძოდ, როსტომ მეფემ თბილისის მოურავ მანუჩარსა და მდივან თუმანიშვილს – ბირთველს დაავალა მდივანბეგისა და მისი განაყოფის – ფარეშთუხუცესის – პაატა ჯავახიშვილისა მამულის გაყოფა.⁴⁶ ზოგადად, მდივანბეგსა და სხვა მოსამართლეებს, არ შეეძლოთ სადავო საქმე გაერჩიათ თავისი თუ მისდამი მიმართული სარჩელის გადაწყვეტისას, ანუ როდესაც ისინი პროცესში მონაწილე მხარეებად გამოდიოდნენ.⁴⁷ ამ შემთხვევაში საკითხავია, თუ რამ განაპირობა, რომ სწორედ მოურავს ავალეხს მეფე მასზე მაღლა მდგომი სასამართლო მოხელის სადავო საქმის გარჩევას? – უპირველეს ყოვლისა, მეფეს არ ესაჭიროებოდა იმის ახსნა, თუ რატომ ამოიღო საკუთარი კომპეტენციიდან ეს კონკრეტული დავა და მოურავს, მდივანთან ერთად, გადასცა განსახილველად (ვფიქრობთ, ამას რეგულარული ხასიათი არ უნდა ჰქონოდა); მეორეც, შესაძლოა ეს გამოიწვია მეფის, როგორც უმაღლესი მსაჯულის გადატვირთულობამ და ვინაიდან მოთხოვნა იყო მართლმსაჯულების დროულად განხორციელებისა, ამიტომაც მიანიჭა მოურავს ამ დავის გადაწყვეტის უფლებამოსილება; მესამეც, მდივანბეგი ვერ განიხილავდა იმ დავას, სადაც თავად იყო ერთ-ერთი მოდავე სუბიექტი. როგორც

ჩანს, მეფემ დავის გადაწყვეტის ეფექტიან მექანიზმად მოურავის მიერ მისი განხილვა მიიჩნია და ამითაა განპირობებული უმაღლესი სუბერენის გადაწყვეტილება.

პროფესორი მ. კეკელია მოურავთა მიერ საქმეების სხვისი მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტის იმპერატიულ დანაწესს, კოლეგიალურობის პრინციპის მოქმედებად თვლის, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება ისეთი საქმეები, სადაც რამდენიმე მოურავი ერთად განიხილავს სადავო ურთიერთობას.⁴⁸

ქართული სამართალი მოურავს ანიჭებდა უფლებამოსილებას, რომ არ განეხორციელებინა მისი სამოსამართლო უფლებამოსილება კონკრეტულ დავასთან მიმართებით, მაგრამ ამავდროულად, მას კანონმდებლობა ავალდებულებდა, რომ მისი იასაული გაეყოლებინა მოდავეებისათვის და ისინი ორ ან სამ მოქალაქესთან ერთად გაარჩევდნენ დავას, მაგრამ ეს მხარეებს არ ათავისუფლებდათ სადავო თანხიდან თუმანზე ხუთი აბაზი მოურავისათვის გადაეცათ, ვინაიდან მოურავის მიერ იყვნენ ისინი გაგზავნილი სამართალში, სადაც „სამართალს მოქალაქენი იქმონენ.“⁴⁹ როგორც ჩანს, ეს მცირე მნიშვნელობის, სამოქალაქოსამართლებრივი დავები უნდა ყოფილიყო, რომლის მოგვარების უნარი და შესაძლებლობა მოქალაქეებისაგან შემდგარ მედიატორ მოსამართლეებს შესწევდა.⁵⁰

VI. მცდელობა მოურავთათვის ფუნქციების წართმევისა

ზოგადად, დადგენილია, რომ ნებისმიერ ახლადშექმნილ სამოხელეო ინსტიტუტს სამართლებრივი უზრუნველყოფა ესაჭიროება. ამავე მოთხოვნას აყენებდა მოურავის კომპეტენციის ზუსტი განსაზღვრა, რათა არ მომხდარიყო მოხელეთა წინასწარგანსაზღვრულ კომპეტენციაში სხვა მოხელეების ჩარევა.⁵¹

თბილისის მელიქ-მამასახლისის მიერ შეზღუდული თბილისის მოურავი მეფეს წერს საჩივარს და ითხოვს, რომ მას, როგორც მეფის სამსახურში მყოფ მოხელეს, დაეხმაროს უზენაესი სუბერენი. მეფე ამ საჩივარს რეზოლუციას ადებს და ბრძანებს, რომ როგორც წინათ ყოფილა მოურავობის წესი, „ახლაც ისე უნდა, და ამრიგად კიდევ უნდა ისამართლოს(...) უიმისოდ არ იქნება.“⁵² ეს ფაქტი იმის თქმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ მოურავს სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებაში მელიქ-მამასახლისის ეცილებოდა, რაც თვითნებურად განახორციელა ამ უკანასკნელმა.

პროფესორი კეკელია სხვადასხვა საბუთებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მოურავთა სასამართლო იურისდიქციის შემცირება, რისი მიზეზიც მდივანბეგთა სასამართლოს ფუნქციების გაზრდა უნდა ყოფილიყო. ამის დასამტკიცებლად, მ. კეკელიას მოაქვს თბილისის უკანასკნელი მოურავის ევსტათი ციციშვილის წერილი ციციანოვისადმი, სადაც ის წერს, რომ წელიწადში სადიაბეგო (სასამართლო ფუნქციების განხორციელების შედეგად მიღებული თანხა – თ.ნ.) ერგებოდა ათი თუმნის ოდენობით, რასაც მის შემოსავლებს შორის უმნიშვნელო ადგილი ეჭირა,⁵³ ეს მაშინ, როდესაც თბილისის მოურავი სხვა მოურავებს შორის, ყველაზე ძლიერი და გავლენიანი მოხელე იყო.

VII. მოურავთა პასუხისმგებლობა

ქართული სამართლის წიგნები მოურავს მოუწოდებდა, რომ დაეცვა კანონი და სამართლებრივ ფარგლებში განეხორციელებინა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობანი.

კანონმდებლობა იცნობდა დანაწესს, რომლის თანახმადაც, „მოურავთა, ნაცვალთა, მოსამართლეთა და მდივანბეგთა, უსამართლოდ გამჭრელთა სამართლისათა, მიესაჯოს თუმანზედ ათი შაური.“⁵⁴

დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით, ბჭე-მოსამართლეების, მოურავების, ნაცვლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების უკმაყოფილო ადამიანს შეეძლო სარჩელი მდივანბეგთან შეეტანა, მდივანბეგთა სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარებოდა სენატში, ხოლო სენატის კი, მეფის კარზე.⁵⁵ აქვე კანონმდებელი აღნიშნავს, რომ თუ სარჩელის ფასი ათ თუმანზე ნაკლები იქნებოდა, იგი სააპელაციო წესით სენატში ვერ გასაჩივრდებოდა.⁵⁶ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დავით ბატონიშვილი მოურავებს მოუწოდებს, კანონმდებლობის სრული დაცვით იმოქმედონ და არ გადაუხვიონ მის დანაწესს, ხოლო თუ მაინც იქნება შემჩნეული მოსამართლეთა საქმიანობაში სამართლის დანაწესის დარღვევა, მას სენატი დააჯარიმებდა, ხოლო თუ ეს ხშირად იქნებოდა განმეორებული – მეფეს მოახსენებდნენ და სამართალდამრღვევს დაკავებული თანამდებობიდან გადააყენებდნენ.⁵⁷

VIII. დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის საგამონაკლისო დანაწესი

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მოურავთა ერთ, მეტად საინტერესო სამოსამართლო უფლებამოსილებაზე, რომლის მიხედვითაც, „მოურავთა ძალ-უძსთ განჩხრეკად, რომელიცა მიუვათ მათ განაჩენნი მდივანბეგთანი, და უკეთუ ჰპოვოს მას შინა უკანონობა რამე, წარუდგინოს მეფესა, ხოლო თვით ნუ იკადრებს ხელყოფად დარღვევასა მისსა.“⁵⁸ დავით ბატონიშვილის „მიმოხილვაც“ მსგავს დანაწესს ადგენს, რომლის მიხედვითაც, „მოურავი ვერ შეცვლის მდივანბეგის განაჩენს თუ გადაწყვეტილებას, მაგრამ მეფესთან გასაჩივრებს და ამით შეაჩერებს მდივანბეგის განაჩენისა თუ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.“⁵⁹ ამასთან დაკავშირებით პროფესორი სურგულაძე წერს, რომ მოურავის ეს უფლებამოსილება – „ერთგვარი რევიზია გაუკეთოს მდივანბეგის მუშაობას“ – „(...სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს,“ ვინაიდან ეს ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება.⁶⁰ გვინდა აღვნიშნოთ, რომ დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნი კანონპროექტი იყო, რომელსაც სამეფო ხელისუფლებისაგან სანქცირება არ მიუღია (რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიის გამო, სამეფო კარს ამის განხორციელება არ დასცალდა); აქედან გამომდინარე, სავალდებულოდ არ გვესახება, რომ ეს დანაწესი სხვა წყაროებით დადასტურდეს ან/და მანამდე ყოფილიყო გაწერილი კანონმდებლობით. ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლოა დავით ბატონიშვილის სურვილი იყო, რომ ახალი რეგულაცია დაემკვიდრებინა, მაგრამ ლოგიკურად კითხვის ნიშნებს აჩენს ფაქტი – თუ რატომ ანიჭებს იგი მდივანბეგთა გადაწყვეტილების ერთგვარი რევიზიის – მეფესთან მისი კანონიერების მოტივით გასაჩივრების უფლებამოსილებას მდივანბეგზე დაბალ საფეხურზე მდგომ მოურავს. ასევე, შეიძლება გაჩნდეს კითხვა – თუ საიდან შეიძლებოდა მოურავის ხელში აღმოჩენილიყო მდივანბეგის მიერ გამოტანილი განაჩენი? როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვხვდება შემთხვევები, როდესაც მოურავი გვევლინება, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების აღმასრულებელი. მიგვაჩნია, რომ მდივანბეგის განჩინება მოურავთან, როგორც აღმასრულებელთან, სწორედ ამ გზით უნდა მოხვედრილიყო და აღსრულების პროცესში შეიძლებოდა გასჩენოდა მას განჩინების კანონიერების შესახებ კითხვები, რის გამოც გადაწყვეტილების მეფესთან გასაჩივრების მექანიზმს ანიჭებდა კანონმდებელი. ასევე, მოურავისათვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭების, რაც გამოიხატება სხვისი დარღვეული უფლებისათვის საჩივრის შეტანაში, მიზანი მოსახლეობის უფლებების უფრო ეფექტიანი დაცვის მექანიზმის

არსებობით შეიძლება გავამართლოთ. მოურავი, როგორც ადგილობრივი მოხელე, რომელიც აღ-
ჭურვილი იყო „სამეურნეო, ადმინისტრაციული, სასამართლო და სამხედრო ფუნქციებით,“⁶¹ უნარიანი
იყო კანონმდებლობით მინიჭებული ეს უფლებამოსილება პრაქტიკულად განხორციელებინა, რისი
სამართლებრივი მექანიზმებიც გააჩნდა ამ სახელოს მატარებელ სუბიექტს.

ძირითადი დასკვნები

წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ განგვიხილა მოურავის სამოსამართლო უფლებამოსილება
გვიანფოდალური პერიოდის საქართველოში. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე,
შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- მოურავი სასამართლო პროცესს უპირატესად, კოლეგიურობის პრინციპის საფუძველზე ახორ-
ციელებდა და სადავო საქმეებს სხვა მოხელეებთან ერთად განიხილავდა; მას აგრეთვე, უფლება
ჰქონდა თავისი ნებით მოეწვია სხვა მოხელეები „სამართლის ქმნის“ პროცესში. ამის მიზეზად
შესაძლოა დავასახელოთ მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელება, სწორი მართლმსაჯუ-
ლების უზრუნველყოფა და ა. შ.;
- მეფის ბრძანების საფუძველზე, მოურავი უფლებამოსილი იყო, რომ თავისი კომპეტენციიდან
ამოღებული სადავო საქმე გაერჩია. ამ დროს მეფე, როგორც უზენაესი სუბერენი ერთჯერადად,
საკუთარი უფლებამოსილების დელეგირებას ახორციელებდა მოხელეზე;
- სამოქალაქო საქმეებიდან მოურავის განსჯადი იყო დავები – მიწაზე, სასაზღვრო მიჯნაზე, ვალზე,
ზიანის ანაზღაურებაზე და ა. შ. მასვე ექვემდებარებოდა ოჯახის შეყრისა და გაყრის საკითხები.
გლეხების გაყრისას საქმე ცალსახად მოურავის განსჯადი იყო, ხოლო აზნაურების შემთხვევაში, ამ
უკანასკნელის სურვილზე იყო დამოკიდებული, რამდენად დაექვემდებარებოდა საქმე მოურავის
სამოსამართლო იურისდიქციას;
- მოურავი უფლებამოსილი იყო, რომ განეხილა წვრილი სისხლისსამართლებრივი საქმეები (თავის
გატეხვა, კბილის ჩაგდება და სხვა მსუბუქი დამიანებები), რითაც დასტურდება, რომ სისხლისსა-
მართლებრივი დავების განხილვის უფლებამოსილება ცალსახად არ იყო ამოღებული მოურავთა
კომპეტენციიდან;
- მოურავი უფლებამოსილი იყო, რომ მეფის ბრძანების საფუძველზე, მიეღო მონაწილეობა სასა-
მართლო პროცესის კონკრეტულ სტადიაზე. ამ შემთხვევაში, საქმის გადაწყვეტასთან მას ხელი
არ ჰქონდა, ვინაიდან მასზე უფრო გავლენიანი სასამართლო მოხელენი განიხილავდნენ დავას;
- ზოგ შემთხვევაში, მოდავეთა სოციალური სტატუსი იყო იმის საფუძველი, რომ დავა მოურავის
კომპეტენციაში აღარ ყოფილიყო და იგი უფრო მაღალი სტატუსის მოსამართლეს (მეფე, მდივან-
ბეგი და ა. შ.) განეხილა;
- მოურავის სამოსამართლო იურისდიქციის ფარგლები ტერიტორიულობის პრინციპით იყო სა-
მართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული; მოურავი მისი საგამგებლოს ტერიტორიაზე ახორციელებდა
სამოსამართლო უფლებამოსილებას, რაც თავისთავად ლოგიკურია, რათა მოხელეთა შორის არ
მომხდარიყო კონფლიქტი კომპეტენციების თაობაზე;
- მოურავს, დავით ბატონიშვილი საგამონაკლისოდ ანიჭებს მდივანბეგის გადაწყვეტილების კანო-
ნიერების მოტივით მეფესთან გასაჩივრების უფლებამოსილებას, რაც მოსახლეობის უფლებების
დაცვის სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

შენიშვნები:

- 1 კოპალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982, გვ. 40.
- 2 მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტომი II, თბილისი, 1983, გვ. 402.
- 3 გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 2004, გვ. 77-78.
- 4 კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 176.
- 5 კოპალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982, გვ. 45.
- 6 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1972, გვ. 236-237.
- 7 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), წიგნი I, ნ. ბერძენიშვილისა და მ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1962, გვ. 271.
- 8 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1972, გვ. 181.
- 9 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV-XIX სს.), წიგნი II, ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1953, გვ. 73.
- 10 შეაძ., კეკელია მ., ზოგი რამ სარდალთა უფლებებზე საქართველოში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, ტომი IV, თბილისი, 1986, გვ. 149.
- 11 კოპალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982, გვ. 44-45.
- 12 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1972, გვ. 622.
- 13 საქართველოს სიძველენი, ტომი III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1910, გვ. 139.
- 14 ფურცელაძე დ., სამართალი ბატონისშვილის დავითისა, თბილისი, 1964, გვ. 207.
- 15 იქვე, გვ. 213.
- 16 იქვე.
- 17 იქვე.
- 18 ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1970, გვ. 617.
- 19 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, შ. მესხიას რედაქტორობით, თბილისი, 1948, გვ. 92.
- 20 ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1965, გვ. 560.
- 21 კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 179.
- 22 იქვე.
- 23 იქვე.
- 24 ფურცელაძე დ., სამართალი ბატონისშვილის დავითისა, თბილისი, 1964, გვ. 207.
მსგავსი შინაარსის დანაწესი იხ.: Царевича Д., Обозрение Грузии по части прав и законовведения, Санкт-Петербург, 1813, §657. წიგნში: ბაგრატიონი დ., საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქტორობით, თბილისი, 1959, გვ. 331.
- 25 ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1970, გვ. 636.
- 26 სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1952, გვ. 322.
- 27 იქვე.
- 28 იქვე.
- 29 Месхиа Ш., Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII века, Тбилиси, 1959, стр. 308.
- 30 კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 181-182.
- 31 ფურცელაძე დ., სამოქალაქო სჯულფილება, თბილისი, 1960, გვ. 75.
- 32 მოურავი ვალდებული იყო ყველა სახის სისხლის სამართლის დამნაშავე უსწრაფესად გამოეველინა და კერძონთა მეშვეობით შეეპყრო, რათა ისინი გადაეცა მართლმსაჯულებისათვის. იხ.: გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 2004, გვ. 78. მოურავი ვალდებული იყო, რომ მოეტყვნა დამნაშავეები (ქურდები, მძარცველები, ყჩაბები, მკვლელები და სხვა), დაეტყრა იგი და მეთვალყურესთან ერთად საჭირო ადგილას გაეგზავნა. იხ.: ფურცელაძე დ., სამართალი ბატონისშვილის დავითისა, თბილისი, 1964, გვ. 207; Царевича Д., Обозрение Грузии по части прав и законовведения, Санкт-Петербург, 1813, §648-663. წიგნში: ბაგრატიონი დ., საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქტორობით, თბილისი, 1959, გვ. 330-333.

- ³³ საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 527.
- ³⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1970, გვ. 611.
- ³⁵ საქართველოს სიძველენი, ტომი III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1910, გვ. 133-138. მსგავს დანაწესს შეიცავს დასტურლამალი, სადაც გასამყრელოდ და თავისგასამტეხლოდ მოურავისათვის მისაცემად ერთი ხარი იყო გათვალისწინებული. იხ.: ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1970, გვ. 599.
- ³⁶ კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 183.
- ³⁷ იქვე.
- ³⁸ საქართველოს სიძველენი, ტომი III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1910, გვ. 410.
- ³⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1972, გვ. 540.
- ⁴⁰ საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 231.
- ⁴¹ იქვე, გვ. 530.
- ⁴² ქედხუდას სახელო ქართულ სამართლის ისტორიაში ნაკლებადაა შესწავლილი. პროფესორი მესხია მას მოქალაქეების წარმომადგენელს უწოდებს ქალაქის მმართველობაში, იგივე რჩეულ უხუცესს, ქალაქის რჩეულ მამასახლისს. იხ.: Месхиа Ш., Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII века, Тбилиси, 1959, გვ. 299.
- ⁴³ საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 523.
- ⁴⁴ კობალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982, გვ. 48; გარნიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 2004, გვ. 78.
- ⁴⁵ საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 523.
- ⁴⁶ კობალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982, გვ. 45.
- ⁴⁷ ლეკვიშვილი მ., სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1963, გვ. 19.
- ⁴⁸ კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 180.
- ⁴⁹ საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909, გვ. 523.
- ⁵⁰ ამ აზრს გამოვთქვამთ პროფესორ კეკელიას საფუძვლიან მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ვერ ვხვდებით ფაქტებს იმის შესახებ, რომ ბჭე-მედიატორთა სასამართლოს სისხლის სამართლის ხასიათის საქმე გაერჩიოს. იხ.: კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 252. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ სისხლისსამართლებრივ დავათა ჩამონათვალი, რომელსაც მოურავი განიხილავდა, რაოდენობრივად და მნიშვნელობიდან გამომდინარე მცირე იყო, ჩვენი მოსაზრება მართებულიად შეიძლება ჩაითვალოს.
- ⁵¹ კობალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982, გვ. 40.
- ⁵² კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970, გვ. 178.
- ⁵³ იქვე, გვ. 175.
- ⁵⁴ ფურცელაძე დ., სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბილისი, 1964, გვ. 217.
- ⁵⁵ იქვე, გვ. 155.
- ⁵⁶ იქვე, გვ. 155-156.
- ⁵⁷ იქვე, გვ. 196-197.
- ⁵⁸ იქვე, გვ. 208.
- ⁵⁹ სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1952, გვ. 334.
- ⁶⁰ იქვე.
- ⁶¹ კობალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982, გვ. 41.

ბიბლიოგრაფია

1. გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 2004;
2. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), წიგნი I, ნ. ბერძენიშვილისა და მ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1962;
3. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV-XIX სს.), წიგნი II, ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1953;
4. კეკელია მ., ზოგი რამ სარდალთა უფლებებზე საქართველოში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, ტომი IV, თბილისი, 1986;
5. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წიგნი I, თბილისი, 1970;
6. კობალიანი ჯ., მოურავის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1982;
7. ლეკვიშვილი მ., სასამართლო პროცესი XVII-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 1963;
8. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, შ. მესხიას რედაქტორობით, თბილისი, 1948;
9. მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტომი II, თბილისი, 1983;
10. საქართველოს სიძველენი, ტომი II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1909;
11. საქართველოს სიძველენი, ტომი III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1910;
12. სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1952;
13. ფურცელაძე დ., სამართალი ბატონიშვილის დავითისა, თბილისი, 1964;
14. ფურცელაძე დ., სამოქალაქო სჯულთა შესახებ, თბილისი, 1960;
15. ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის რედაქტორობით, თბილისი, 1970;
16. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1965;
17. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი IV, ი. დოლიძის რედაქტორობით, თბილისი, 1972;
18. Месхиа Ш., Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII века, Тбилиси, 1959;
19. Царевича Д., Обзорение Грузии по части прав и законовещения, Санкт-Петербург, 1813. წიგნი I: ბაგრატიონი დ., საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქტორობით, თბილისი, 1959.

JUDICIAL AUTHORITY OF MOURAVI ACCORDING TO THE LAW OF LATE FEUDAL GEORGIA

TORNIKE NEMSTSVERIDZE

VII-term semester student of the Law Faculty of the Tbilisi Ivane Javakishvili State University

This article discusses the judicial authority of a mouravi (administrative officer) during the period of late feudalism in Georgia according to “Dasturlamali”, Davit Batonishvili’s Book of Law and various legal documents of this period.

The research results suggest us that the administration of justice by the mouravis was characterized with the following features:

1. The mouravis conducted trials mostly based on the principle of collegiality, and heard the cases together with other officers; a mouravi was also authorized to invite other officers based on his will in the process of “doing the justice”. The following reasons can be provided here: speedy administration of justice, ensuring that the justice is done the right way, etc.;
2. Based on the King’s order, the mouravi was authorized to examine some other disputable cases that were usually beyond his scope of expertise. At this time the king, as a supreme sovereign, would delegate one-time authority to this officer;
3. As for the civil cases, the mouravi was authorized to hear the disputes on: land, borderline, debt, damage compensation, etc. He would also judge the cases on merging and splitting the families. The case of splitting the families of peasants would clearly fall under the authority of the mouravi, but if such cases involved the

aznauris (noblemen), it was up to the latter to have the case heard under the judicial authority of the mouravi;

4. The mouravi was authorized to hear minor criminal cases (intentional head injuries or smashing the teeth, or other minor injuries), which proves that the authority of hearing criminal disputes fell under the authority of mouravis indeed.
5. The mouravi was authorized to get involved at a particular stage of the trial based on the King's order. In this case he had nothing to do with case resolution, as far as the dispute would be heard by other and more influential court officials;
6. In some cases the dispute resolution would be beyond the authority of the mouravi because of the social status of disputing parties, and such disputes were supposed to be heard by the judges of higher status (the Mdivanbegi (a senior judge), the King, etc.);
7. Scopes of mouravis' jurisdiction was determined based on the territorial principle; the mouravi exercised his judicial authorities within the designated territory, which is logical and aimed at avoiding any conflict about competences among officers.
8. As an exception, Davit Batonishvili grants the mouravi with the authority to appeal the legality of the Mdivanbegi's decision to the King, which should have been stemmed from the desire to protect the right of the population.

მთკიცების ძვირთი სამოქალაქო პროცესში და მისი სუბიექტები – მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები

ქეთევან კვინიკაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულების მაგისტრანტი*

გრიგოლ ჩხაიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულების მაგისტრანტი*

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობა სამართლებრივი წესრიგისათვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია და დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და სწრაფ მართლმსაჯულებაში პოულობს თავის გამოხატულებას. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, რომლის ვალდებულებასაც საქმის დამოუკიდებლად განხილვა წარმოადგენს. დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად საქმის განხილვა არა მხოლოდ სასამართლოს ვალდებულება, არამედ ამავდროულად, მოქალაქეთა უფლებაცაა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი სამოქალაქო პროცესში განამტკიცებს დისპოზიციურობის პრინციპს, რომელიც დაკავშირებულია მხარეთა თავისუფლებასთან – განკარგონ თავიანთი უფლებები როგორც მატერიალური, ასევე საპროცესო სამართლის კუთხით. სამოქალაქო პროცესის დისპო-

ზოციური ბუნებიდან გამომდინარე, პროცესში მხარეები ფართო უფლებებით სარგებლობენ, რაც აშკარაა პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ასე ვთქვათ, აღნიშნული დაკავშირებულია სასამართლოს საზღვრებთან, არ გასცდეს დავის საგანს და არ მიაკუთვნოს მხარეს იმაზე მეტი, ვიდრე ის თავისი სასარჩელო განცხადებით ითხოვდა (სსსკ, მ. 248).

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ სარჩელის მომზადებისა და მისი სასამართლოში წარდგენის ეტაპი უმნიშვნელოვანესია და მოსარჩელე სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე ყოველთვის უნდა ცდილობდეს ყველა იმ მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვებას, რომელიც მის მიერ წარდგენილ სარჩელს უფრო პერსპექტიულს გახდის. სარჩელის მომზადების ეტაპზე მოსარჩელეს ამოწურული უნდა ჰქონდეს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რომელიც დაკავშირებული იქნება მტკიცებულებების მოპოვებასთან, რათა სასამართლომ შეძლოს მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემოწმება მტკიცებულებების გამოთხოვასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, უფლებადარღვეულ პირად გვევლინება, აქტიური სუბიექტის სტატუსით მონაწილეობს პროცესში და ყოველმხრივ ცდილობს მის ხელთ არსებული ყველა კანონიერი საშუალებით მოიპოვოს მისი პოზიციის მხარდასაჭერი მტკიცებულებები.

რაც შეეხება მოპასუხეს, პროცესში იგი წარმოადგენს პირს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია სარჩელი და ვინც სავარაუდოდ პასუხი უნდა აგოს მასზე. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხე ყოველთვის უფლების დამრღვევ სუბიექტად წარმოგვიდგება, რომელმაც თავისი მოქმედებითა თუ უმოქმედობით მოსარჩელე დააზარალა. თუ მოსარჩელე პროცესის აქტიური სუბიექტის სტატუსით სარგებლობს, უპირიანი იქნება, მოპასუხისათვის პროცესის პასიური სუბიექტის სტატუსის მინიჭება.

მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეს შესაძლებელია პროცესში რამდენიმე პირი მონაწილეობდეს, თუმცა, ეს გავლენას ვერ ახდენს პროცესის მხარეთა რაოდენობაზე. პროცესში მონაწილე პირების რაოდენობის ზრდა არ გულისხმობს მხარეთა რაოდენობის ზრდას. მხარეები ისევ ორი რჩება – მოსარჩელე და მოპასუხე, უბრალოდ იზრდება მოდავე პირთა რაოდენობა, რაც მათ პროცესულურ სტატუსზე არანაირ გავლენას არ ახდენს. საპროცესო თანამონაწილეობა გვევლინება სწორედ იმ საპროცესო ინსტიტუტად, რომელიც შესაძლებლობას იძლევა პროცესში კონკრეტული მხარის – მოსარჩელის ან მოპასუხის სტატუსით წარმოდგენილი იქნას რამდენიმე პირი, რაც მიიღწევა ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობით.

მოსარჩელისა და მოპასუხის გარდა, მხარეთა შორის დავის გადაწყვეტით შეიძლება დაინტერესებული იყოს და შესაბამისად, შესაძლებელია პროცესში მონაწილეობა მიიღოს აგრეთვე, სხვა ისეთმა გარეშე პირმაც, რომლის ინტერესსაც შეეხება საქმე. ეს იქნება მესამე პირის მონაწილეობა. მესამე პირების ინსტიტუტი სამოქალაქო პროცესის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. იგი არის სპეციფიკური პროცესულური საშუალება, რომელიც მოქმედებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ პროცესის მხარეებს, თუმცა, შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით განესაზღვროთ გარკვეული უფლებები და მოვალეობები.¹ მათი მთავარი დამახასიათებელი თავისებურებაა, რომ მესამე პირები არასოდეს არ აღძრავენ საქმეს, თავად არ იწყებენ პროცესს, არამედ ყოველთვის შედიან უკვე დაწყებულ პროცესში. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მესამე პირებს ყოველთვის აქვთ მატერიალური ინტერესი მოცემულ საქმეში.² მესამე პირები შესაძლებელია არსებობდნენ როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისე მის გარეშე. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა ვალდებულება,

თუმცა, მისთვის ასეთი უფლებების მინიჭება არ აქცევს მას პროცესის მხარედ. მისი სამართლებრივი მდგომარეობა სამოქალაქო პროცესში მხოლოდ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე პირის სტატუსით შემოიფარგლება.

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არის პირი, რომელიც არ აცხადებს დავის საგანზე ან მის ნაწილზე რაიმე სახის პრეტენზიას, მისი განზრახვა პროცესში მესამე პირად ჩართვის თაობაზე, მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვის სურვილით შემოიფარგლება. ეს არის შემთხვევა, როცა პირმა იცის, რომ თუ იგი კონკრეტული საქმის მიმდინარეობისას არ ჩაერთვება პროცესში, მაშინ სასამართლო გადაწყვეტილებას შემდგომ პრეიუდიციული ძალა ექნება მის მიმართ რეგრესის წესით მოთხოვნის შემთხვევაში. ამდენად, დაინტერესებული პირის სახელით, იგი განცხადებით მიმართავს სასამართლოს, რათა დაუშვას საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რამეთუ სასამართლოს გადაწყვეტილებას შეუძლია ამ საქმეზე შემდგომში მის უფლებებსა და მოვალეობებზე გავლენა მოახდინოს.

პროცესში მესამე პირთა მოწვევის ერთადერთ მიზეზად შესაძლებელია ამ პირთა ინტერესების დაცვა დასახელდეს. პროცესში მესამე პირის ჩართვის აუცილებლობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა არსებობს რეალური საფრთხე, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უარყოფითად შეეხება ამ პირის ინტერესებს. მისი მხრიდან პროცესში მესამე პირად ჩართვაზე უარი და შემდგომ ახალი პროცესის დაწყება დავაზე, რომელსაც კავშირი ჰქონდა სასამართლოს მიერ უკვე განხილულ იმ საქმესთან, რომელშიც მესამე პირად ჩაბმის პერსპექტივა არსებობდა, იქნებოდა დროისა და ენერჯის უზაროდ ხარჯვა მაშინ, როცა შესაძლებელია მხოლოდ ერთ პროცესზე გადაწყდეს ყველა სადავო საკითხი. აღნიშნული მიდგომა პროცესის ეკონომიურობის პრინციპის რეალიზების მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღინიშნა, უმნიშვნელოვანესია მოსარჩელის მიერ სარჩელის მომზადების ეტაპი, რომლის დროსაც მოსარჩელე განსაზღვრავს დავის საგანსა და მოპასუხეთა წრეს, რომელებიც მისი მითითებით მის უფლებას ან კანონით დაცულ ინტერესს არღვევენ. ყოველივე ამის შემდეგ კი, იწყება დავა დარღვეული თუ სადავო უფლებების დასაცავად.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი სარჩელი სასამართლოს მიერ დეტალურად ფასდება დასაბუთებულობის კომპონენტის მიხედვით. მოსამართლემ უნდა შეამოწმოს იძლევა თუ არა მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები იმ დასკვნის შესაძლებლობას, რომ მას მართლა აქვს მოთხოვნის დაყენების უფლება, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არის თუ არა რეალური და ამ ფაქტების მტკიცების ტვირთს რამდენად სწორად ათმევს მოსარჩელე თავს. იმისათვის, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოსამართლემ სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე დასაბუთებულად მიიჩნიოს აუცილებელია, რომ მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები სამოქალაქო კოდექსის ნორმასთან ერთად ქმნიდეს საფუძველს, რომ პირის სამართლით გათვალისწინებული უფლება დაირღვა და შესაბამისად, მას აქვს უფლება იდავოს ამ დარღვეული უფლების შესახებ სასამართლოში.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასამართლო სარჩელის დასაშვებობის ეტაპის შემოწმებისას, მითითებული ფაქტებისა და გარემოებების გადამოწმებას არ ახდენს, სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები ითვლება რომ მართალია.

სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი მტკიცების ტვირთის სუბიექტად თანაბრად ასახელებს როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს და ამბობს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს

გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შესაბამისად, პროცესზე ორივე მხარემ უნდა წარმოადგინოს საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერი მტკიცებულება. მოსარჩელე ვალდებულია თავისი მოთხოვნა მის ხელთ არსებული მტკიცებულებებით გაამყაროს. თავის მხრივ, მოპასუხეც წარადგენს მისი „უდანაშაულობის“ დამამტკიცებელ შესაბამის მტკიცებულებებს. შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას თვითონვე განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები (სსსკ მ.4. ნ.1) უტრირებული არ იქნება იმის აღნიშვნა თუ ვიტყვით, რომ მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრას ხშირ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სარჩელის მომზადების ეტაპზე, მხარის მიერ ხდება ისეთ ფაქტებზე მითითება, რომლებსაც საერთოდ არა აქვთ შემხებლობა საქმესთან. მხარემ სარჩელში უნდა მიუთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის. სასამართლომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს სტანდარტით, რომელიც დაკავშირებულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების შეფასებასთან. ნებისმიერი მტკიცებულება უნდა შეფასდეს საქმესთან კავშირის კუთხით, იმის მიხედვით თუ რამდენად აქვს შემხებლობა კონკრეტულ საქმესთან და რამდენად საჭიროა მისი გამოკვლევა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში, გამოკვლევას დაქვემდებარებული მტკიცებულება აუცილებლად კანონის დაცვით უნდა იყოს მოპოვებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ (სსსკ. მ. 103. ნ.3).

მოსარჩელე მხარის მიერ სარჩელში წარმოდგენილი ფაქტების მტკიცების ტვირთთან ერთად აუცილებელია მხარემ დაასაბუთოს ყველა ის გარემოება, რაც მისი მოთხოვნის საფუძველია. ამასთან, აუცილებელი არ არის ისეთ დეტალებზე მითითება როგორც არის დრო, მიმდინარე მოვლენები და მსგავსი სახის ფაქტები, თუ ამ ფაქტებს არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნიათ საქმისათვის. დასაბუთების ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ფაქტებისა და მტკიცებულებების ურთიერთშეჯერება და ამ არგუმენტების სწორად წარმოდგენა. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სარჩელის მომზადების ეტაპზე არ იცის მოპასუხე მხარის პოზიცია, არ იცის სამართლებრივი შეფასებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც ის აქცენტს აკეთებს სარჩელში. თუ მოხდება ისე, რომ მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი შესაგებელით მხარის სარჩელი დაუსაბუთებელი გახდება ან მოპასუხე თავისი შესაგებელით გააბათილებს მოსარჩელის დასაბუთებას, საჭირო იქნება დამატებითი დასაბუთება და განმარტებების გაკეთება.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარჩელის სტადიაზე დადგინდება, რომ მისი ახსნა-განმარტებები სრული და გამართულია, ანუ მოპასუხის სათანადო შეპასუხების გარეშე სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას, უკვე მოპასუხის სტადიაზე მოწმდება მეორე მხარის, ანუ მოპასუხის შესაგებელი, თუ რამდენად აბათილებს და არყევს იგი (მოსარჩელის განმარტებების საფუძველზე შექმნილი) მოთხოვნის წარმოშობის ვარაუდს.³

მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, ცალსახად დგინდება, რომ შესაგებლის წარდგენა მოპასუხის ვალდებულებაა, რომლის შეუსრულებლობასაც შედეგად მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვება. ეს ნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის

წარუდგენლობა საფუძველშივე გამორიცხავს მის სასარგებლოდ სამართლებრივი დავის გადაწყვეტის შესაძლებლობას. მოპასუხე ვალდებულია შესაგებლის სახით წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ რელევანტურ გარემოებებთან დაკავშირებით და შეძლებისდაგვარად, დაასაბუთოს საკუთარი პოზიცია. ამასთან, მოპასუხის შესაგებელი უნდა იყოს პასუხი მოსარჩელის სარჩელზე, რაც გულისხმობს, რომ შესაგებელში წარმოდგენილი უნდა იყოს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისაგან განსხვავებული სურათი, რომ შესაგებელს ჰქონდეს სამართლებრივი ღირებულება საქმისათვის მნიშვნელოვანი მომენტების დადგენის კუთხით. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოების უარყოფა მოპასუხის მხრიდან უნდა მოხდეს არა მხოლოდ წერილობითი უარყოფით, არამედ შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენითაც. მხოლოდ შესაბამისი მტკიცებულებით გამყარებულ ფაქტს შეუძლია გავლენა მოახდინოს საქმის საბოლოო შედეგზე. შესაბამისად, მოპასუხემ განსხვავებული აზრი მხოლოდ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს. ნებისმიერი გარემოება, თუნდაც შესაბამისი მტკიცებულებით დადასტურებული, სასამართლოს მიერ ცნობილი იქნება დაუშვებლად, თუ მას არ აქვს საქმესთან შემხებლობა და არ შეიცავს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას.

მოპასუხის შესაგებელი შედაგების ნაწილში შესაძლებელია რამდენიმე ელემენტს შეიცავდეს. შესაძლებელია, მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდეს როგორც ე. წ. მარტივ შედაგებას, ასევე ე. წ. კვალიფიციურ შედაგებასაც. მარტივი შედაგების შემთხვევაში, მოპასუხის მხრიდან შესაგებელში მხოლოდ სარჩელში მითითებულ გარემოებებზე ხდება შედაგება, მაშინ როცა კვალიფიციური შედაგების დროს, შედაგება ხორციელდება მოპასუხის მიერ საწინააღმდეგო გარემოებებსა და მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობის შემაფერხებელ სამართლებრივ ნორმებზე მითითებით. როგორც აღინიშნა, შედაგება უნდა მოხდეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ შედაგება არ იყოს ზოგადი, აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული შესაბამისი მტკიცებულებაზე მითითებით.

თუ დაშვებული იქნებოდა ასეთი ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათის შედაგება, მოსარჩელეს არ ექნებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე და შესაბამისად, რომელი გარემოებების მტკიცება მოუწევს მას მისივე მითითებული გარემოებებიდან. საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, აღნიშნული მას არასათანადოდ ჩააყენებდა არახელსაყრელ მდგომარეობაში, ვინაიდან ამით ხელი შეეშლებოდა მის მიერ სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, მტკიცების ტვირთის (რომელიც პროცესში მომეტებულად მოსარჩელეს აკისრია) განხორციელებას. იმის დადგენა და გამოვლენა თუ რომელი გარემოებაა სადავო ანუ რომელი ფაქტის დამტკიცება უწევს მოსარჩელეს, შესაძლებელი ხდება მხოლოდ მოპასუხის მიერ თავისი პასუხის სათანადოდ დაზუსტების/დაკონკრეტების შემდეგ. ამრიგად, დაუშვებელია მხოლოდ ზოგადი და აბსტრაქტული შედაგება და იგი უნდა განვიხილოთ, როგორც უპასუხოება ანუ დასტური (აღიარება).⁴

შედაგებისათვის თავიდანვე აბსტრაქტული ხასიათის მინიჭება არ იქნება სწორი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიდგომა განსხვავებული უნდა იყოს. თუ მოსარჩელე შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე აბსტრაქტულად მიუთითებს რომელიმე ფაქტობრივ გარემოებაზე, მაშინ მოპასუხის მხრიდან განხორციელებული ზოგად-აბსტრაქტული შედაგება არ უნდა ჩაითვალოს უპასუხო-

ბად. ასეთ შემთხვევაში, დაკონკრეტების ვალდებულება ისევ მოსარჩელეს ეკისრება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მოპასუხე ვალდებული შედავებისას გამოიყენოს კონკრეტულის ის ხარისხი, რომელიც საჭიროა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი გარემოების გასაბათილებლად. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ მოპასუხე ერთგვარად მოსარჩელეზე და მოკიდებული.

მოპასუხის შესაგებელი უნდა იყოს იმდენად კონკრეტული, რამდენადაც კონკრეტულია მოსარჩელის მოხსენება. ეს ნიშნავს, რომ მოპასუხემ თავისი შესაგებელი უნდა მოარგოს და შეუსაბამოს მოსარჩელის მოხსენების აბსტრაქციის ხარისხსა და დონეს.⁵

საინტერესოა, თუ როგორ უნდა მოხდეს თანამოპასუხეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება, გამომდინარე იქიდან, რომ ერთიანი უფლება, რომელიც მოსარჩელეს სადავოდ აქვს გახდილი ეხება რამდენიმე პირს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული უფლება კავშირშია მოპასუხეების ინტერესებთან, ეს ინტერესები კი, ყველა მოპასუხედ დასახელებული მხარისათვის ღირებულია და შესაბამისად, მათ ერთობლივად უნდა მოახდინონ სადავოდ ქცეული უფლების დაცვა, მათ შორის მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებით.

რაც შეეხება უშუალოდ მტკიცების სტადიას, ამ ეტაპზე დგინდება დამტკიცებულია თუ არა მტკიცებასავალდებულო გარემოებები. მხარეები ვალდებულნი არიან დაამტკიცონ ის გარემოებები, რომლებსაც ისინი უდავო ფაქტობრივი გარემოებების სტატუსით წარმოადგენენ სასამართლოში. შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედების ფართო შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, რაც უპირველესად, გამოიხატება მხარეთა უფლებაში – თავად განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტებით გაამყარებენ მათ მოთხოვნებს. სსსკ-ის 102-ე მუხლი მტკიცების ტვირთის სუბიექტად თანაბრად ასახელებს მხარეებს და იმ გარემოებების დამტკიცებას ავალდებულებს, რომლებზეც მათ თავიანთი მოთხოვნები და შესაგებელი დააფუძნეს. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეული მხარე ვალდებულია, მტკიცების ტვირთის ნაწილში, სწორად უზრუნველყოს მისი საპროცესო ვალდებულების შესრულება. გამონაკლისია მხოლოდ სსსკ-ის 106-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევები, რომლებიც მათი საყოველთაო ხასიათიდან გამომდინარე, მტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს და ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. აღნიშნული სახის მტკიცებულებები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, იმდენად ნათელია, რომ არ არსებობს მათი მტკიცების არათუ ვალდებულება, არამედ საჭიროებაც კი.

მტკიცების ეტაპზე, მნიშვნელობა არა აქვს თუ რომელი სახის მტკიცებულებას წარადგენს მხარე – პირდაპირს თუ ირიბს. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი მტკიცებულება მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუ იგი შეძლებს დაარწმუნოს სასამართლო წარმოდგენილი მტკიცებულების რელევანტურობაში. თავის მხრივ, მოწინააღმდეგე მხარე სასამართლოს საპირისპირო მტკიცებულებას წარუდგენს, რომლის მიზანიც მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულების ეჭვქვეშ დაყენებაა.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გაცვას ხაზი შემდეგ მომენტს: მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).⁶

აქედან გამომდინარე, ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის მოსარჩელე ან მოპასუხე ვალდებული მტკიცების ტვირთი მხოლოდ საკუთარ თავზე აიღოს. მხარის როლი პროცესში ყოველთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ასრულებს მტკიცებით მომენტში.

საინტერესოა დაყადაღებული ქონების ყადაღის აქტიდან ამორიცხვასთან დაკავშირებული დავა ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ავტოსატრანსპორტო საშუალება წარმოადგენს მოძრავ ნივთს და შესაბამისად, მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლი. თუმცა, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლი შეიცავს შემდეგი სახის ჩანაწერს: „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე პირის საკუთრების უფლების წარმოშობა იურიდიულ ძალას იძენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციის მომენტიდან.“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაკეთებულ ჩანაწერში კი, ფიქსირდება მესაკუთრე.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლი, რომელიც შეიცავს ზოგად ჩანაწერს მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით და გვაქვს სპეციალური ნორმა, რომელიც განსაზღვრავს საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტს მექანიკურ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე. საინტერესოა, სასამართლოში დავის წარმოშობის შემთხვევაში, მოსარჩელემ უნდა წარადგინოს უბრალოდ ნივთის ფლობის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება (ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაწეული რემონტის ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებები, დაჯარიმების ქვითრები და ა. შ.), რაც ნივთის ფლობას დაადასტურებს, თუ აუცილებელია წარდგინო იქნას ამონაწერი შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან, რომელიც დაადასტურებდა მხარეთა შორის წარსულში დადებული გარიგების ნამდვილობას? სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დასაბუთებისას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის ზოგადი ჩანაწერი უნდა გამოიყენოს და ამ კუთხით დაასაბუთოს მის მიერ სარჩელის დაკმაყოფილება თუ მოსარჩელეს უარი უნდა უთხრას სარჩელის დაკმაყოფილებაზე და მიუთითოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად: „საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.“

რასაკვირველია, აღნიშნული შემთხვევა ეხება ისეთ საკითხს, როდესაც ერთი მხრივ, პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების ფლობა ფიქსირდება ზემოაღნიშნული გარკვეული სახის მტკიცებულებებით, მაგრამ მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ამონაწერში მესაკუთრედ ფიქსირდება პირი, რომლის შეუსრულებელი ვალდებულების გამოც დაყადაღებულია ქონება.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც განმარტავს „ავტოსატრანსპორტო საშუალების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9¹ მუხლს და აკეთებს განმარტებას, რომ აღნიშნული მუხლის დანაწესი ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოსდა თუ პირს არა აქვს რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალება მომსახურების სააგენტოში – ეს ავტომატურად იწვევს მხარეთა შორის გარიგების ბათილობას. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება იმთავითვე ნამდვილია, ხოლო აღნიშნული კანონის ჩანაწერის მიზანი კი, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაა და მას სხვა რაიმე მიზანი არ გააჩნია.⁷

ჩვენი პირადი მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილებით უგულებელყოფილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ უთითებს ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ბათილობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლით, მხარეთათვის განსაზღვრულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი. თუმცა, ხელშეკრულების თავისუფლება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამ პრინციპის სახელით შესაძლებელია ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ნამდვილად გამოცხადება. არსებობს კანონის იმპერატიული დანაწესები, რომელთა გვერდის ავლაც არ წარმოშობს იმ სამართლებრივ შედეგებს, რა სამართლებრივი შედეგებიც, ჩვეულებრივ, უნდა დამდგარიყო. არსებობს ფორმასავალდებულო გარიგებები, რომელთა ნამდვილობასაც საფუძველშივე განსაზღვრავს კანონით იმპერატიულად დადგენილი ფორმა. ფორმის დაუცველობა კი, ფორმადუცველი გარიგების ბათილობას იწვევს.

სახელშეკრულებო სამართალში ხელშეკრულების თავისუფლების გვერდით უნდა არსებობდეს იძულება და ნორმები, რომელთა საფუძველზე ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად ან შეიძლება ასეთად გამოცხადდეს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხელშეკრულება შედგენილია გულდასმით და მისდამი დაინტერესება არსებობს.⁸

საინტერესოა თუ არსებობს საზღვარი, რომლის იქითაც მხარეს უკვე აღარ ეკისრება რაიმე ფაქტების მტკიცების ტვირთი. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა, განვიხილოთ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების რეალური აღსრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც პირს გამოყენებული არა აქვს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები და მისი მოთხოვნა დაუცველია. მხარის შუამდგომლობით კი, სასამართლოს შეუძლია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება და ამით სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების რეალური უზრუნველყოფა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მიხედვით, აუცილებელია, მხარემ დაამტკიცოს ის გარემოებები, რაც სასამართლოს გაუჩინს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აუცილებელია მოცემულ საქმესთან დაკავშირებით. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში ეკისრება განმცხადებელს და მასვე აქვს ვალდებულება წარუდგინოს სასამართლოს სათანადო ფაქტები და ინფორმაცია. თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფის დასაბუთების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პირმა უნდა ამტკიცოს ის ფაქტები, რაც ჯერ არ მომხდარა და სავარაუდოდ, შესაძლებელია მომავალში მოხდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, მხარეს უფრო მაღალი სტანდარტის მტკიცება მოეთხოვება. თუმცა, სასამართლომ მხარეს უარი არ უნდა უთხრას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე იმ საფუძველით, რომ მხარემ ზუსტად ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა და დასაბუთებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას. მაგალითად, პირს არ უნდა მოეთხოვოს საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის დადების მოთხოვნის შესახებ განცხადებაში, წარმოადგინოს მტკიცებულება (მაგალითად, გაზეთის ამონაწერი ან ინტერნეტ სივრცეში განთავსებული განცხადება ბინის გაყიდვასთან დაკავშირებით) და აღნიშნულის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, უარი ეთქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე.⁹ მხარეს არ შეიძლება დაეკისროს მომეტებული მტკიცების ტვირთი, ისეთი, რომლისთვისაც მას არ შეუძლია თავის გართმევა.

დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო პროცესში რთულია ცალსახად იმის დადგენა, თუ რომელი მხარეა ყოველთვის მტკიცების ტვირთის მატარებელი. სსსკ-ის 102-ე მუხლი მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით იძლევა მითითებას და ამბობს, რომ მხარე ვალდებულია ამტკიცოს ყველა ის ფაქტი, რაზედაც ამყარებს თავის სარჩელსა და შესაგებელს. მხარეებში კი, თანაბრად იგულისხმება როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე. ეს ნიშნავს, რომ თითოეული მხარე ვალდებულია მტკიცების ტვირთის ნაწილში, სწორად უზრუნველყოს მისი საპროცესო ვალდებულების შესრულება. თუმცა, არის შემთხვევებიც, როდესაც მატერიალურსამართლებრივი ნორმები პირდაპირ განსაზღვრავენ მტკიცების ტვირთის მატარებელ სუბიექტს. ამის მაგალითად შესაძლებელია დასახელდეს შემთხვევა, როცა მოსარჩელე სასამართლოს წინაშე ვინდუკაციური სარჩელით წარსდგება. ასეთ დროს, იგი ვალდებულია ამტკიცოს სადავო ნივთზე მისი საკუთრების უფლება და მესამე პირის მხრიდან უკანონო ფლობის ფაქტი. აღნიშნული, გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც, ივარაუდება რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. ასევე, სამოქალაქო კოდექსის 687-ე მუხლი, რომელიც ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიუთითებს გადაამზიდველის მტკიცების ვალდებულებაზე. შესაძლებელია დასახელდეს სსსკ-ის 1007-ე მუხლი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დავაზე, მტკიცების ტვირთს ზიანის მიმყენებელს აკისრებს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ეს არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მტკიცების ვალდებულება მომეტებულად ყოველთვის რომელიმე მხარესაა. ზოგადი წესის მიხედვით კი, თითოეული მხარე ვალდებულია წარმოადგინოს მისი პოზიციის მხარდასაჭერი მტკიცებულება.

შენიშვნები:

- ¹ ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, მაია კობაღიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, გვ. 232, თბილისი, 2008.
- ² სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, შალვა ქურდაძე, გვ. 191, თბილისი, 2006.
- ³ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, გვ. 14, 2013.
- ⁴ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, გვ. 17, 2013.
- ⁵ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, გვ. 18-19, 2013.
- ⁶ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შტეფან შმიტი, ჰარალდ რიჰტერი, გვ. 27.
- ⁷ იხ.: უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #ას-290-276-2013, 23 დეკემბერი, 2013.
- ⁸ შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, ტომი II, გვ.11, თბილისი, 2001.
- ⁹ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ.: უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება #ას-511-821-09, 22 ივნისი, 2009 წ. (აღნიშნული გადაწყვეტილება საერთო სასამართლოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებას წარმოადგენს და განსახილველი ნაშრომისათვის საინტერესოა, გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა შეიძლება დაუდგეს ნებისმიერ მხარეს და ამ შემთხვევაში, მათ სწორად უნდა განსაზღვრონ მტკიცების ტვირთი, თუ რისი მითითების ვალდებულება აქვთ ასეთი განცხადების სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში).

BURDEN OF PROOF IN CIVIL PROCEEDINGS AND ITS SUBJECTS – CLAIMANT, RESPONDENT, OTHER PARTIES

KETEVAN KVINIKADZE

*Master's Student of Private Law at the Law Faculty of
the Tbilisi Ivane Javakhishvili State University*

GRIGOL CHKHAIDZE

*Master's Student of Private Law at the Law Faculty of
the Tbilisi Ivane Javakhishvili State University;*

This paper provides an overview of the issue, which is very topical for civil procedural law, such as the burden of proof and its subjects in civil proceedings. We cannot explicitly say that it is always the claimant or respondent who should bear the burden of proof alone. The particular party's role is not always decisive in the proceedings in regards to proving the case. The burden of proof depends on the grounds of demand and not on the party's role in the proceeding. The party, which requests performance of obligations, should also prove that there are grounds for this kind of demand. This paper deals with the problem of right distribution of the burden of proof among the parties.

საინვესტიციო ფონდების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში და მისი სრულყოფის ზოგიერთი საკითხი

ლევან კოკია

*საქართველოს სამოგადობრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA)
მოწვეული ლექტორი*

საინვესტიციო ფონდი, როგორც განსაზღვრული ორგანიზაციული სუბიექტი ქართულ საკანონმდებლო სივრცეში პირველად, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში 2008 წლის 14 მარტს დამატებული VI¹ თავის – „საინვესტიციო ფონდი“ მოქმედებით აისახა. 2013 წლის 24 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული თავი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოიღო და სანაცვლოდ, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ სრულიად ახალი კანონი მიიღო. ძველი რეგულაციისგან განსხვავებით, ახალი კანონით დეტალურად განისაზღვრა საინვესტიციო ფონდების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივი საშუალებები, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტის მნიშვნელობას.

სამოგადოდ, საინვესტიციო ფონდი არის ინვესტორთა გაერთიანება, რომელიც კოლექტიურად ახორციელებს კომპანიის აქციათა შესყიდვას, რის შედეგადაც თითოეული ინვესტორი მოიპოვებს საკუთრების უფლებას შენაძენზე და გააჩნია საკუთარი ფასიანი ქაღალდების კონტროლის უფლება.¹

განზოგადებული განმარტების გათვალისწინებით, საინვესტიციო ფონდებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სახის ფინანსური

საშუალების გაერთიანება, რისი მეშვეობითაც შემდგომში შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ კომპანიაში გარკვეული მონაწილეობის მიღება, რაც სამომავლოდ მიზნად ისახავს ფონდის მონაწილეთათვის ფინანსური მოგების მიღებას.

საინვესტიციო ფონდების ძირითადი ფუნქციებია:

- ინდივიდუალური ინვესტორების დანაზოგების აკუმულირება;
- საინვესტიციო რესურსების ეფექტიანი მართვა;
- ინდივიდუალური ინვესტორების აქტივების განთავსება ფინანსურ ინსტრუმენტებში, რისკების დივერსიფიკაციის მიზნით;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განხორციელებული ოპერაციებისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება.²

საინვესტიციო ფონდის დეფინიცია მისი თითოეული სახისათვის ზოგადია. ფონდები, მათი მრავალფეროვანი დანიშნულებისა და ოპერირების პრინციპის განმასხვავებელი ნიშნების გათვალისწინებით, შეიძლება დაიყოს საპაიო საინვესტიციო ფონდებად, ურთიერთფონდებად, ბირჟებზე სავაჭრო სპეციალურ ფონდებად, ჰეჯ-ფონდებად, სააქციო საინვესტიციო ფონდებად და სხვა.

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, არსებობს საპაიო საინვესტიციო ფონდი, ღია საპაიო საინვესტიციო ფონდი, ინტერვალური საპაიო საინვესტიციო ფონდი, დახურული საპაიო საინვესტიციო ფონდი, სააქციო საინვესტიციო ფონდი, ვენჩერული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი და კერძო კაპიტალის საინვესტიციო ფონდი (მე-2 მუხლის 2–8 პუნქტები).³ ასევე, ამავე კანონის მე-3 მუხლი – „საინვესტიციო ფონდები და მათი სახეები“ განსაზღვრავს რეგულირებადი საინვესტიციო ფონდების შემდეგ სახეებს: საპაიო საინვესტიციო ფონდი, გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი (გისფ), სააქციო საინვესტიციო ფონდი და სხვა სახის საინვესტიციო ფონდები (მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტები).⁴ საინვესტიციო ფონდის თითოეული სახე უკეთ განსაზღვრავს აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ სპეციფიკას.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის საინვესტიციო კანონმდებლობით განსაზღვრულია ე. წ. „გერმანული“ და „არაგერმანული“ საინვესტიციო ფონდების ნაირსახეობა, რაც მოიცავს რეგულირებულ ღია გერმანულ ფონდებს, რეგულირებულ გერმანულ საინვესტიციო კორპორაციებსა და განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტების გაერთიანებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარეთ. აღნიშნული მიზნად ისახავს რისკის გადააწილებას და პირდაპირ ან არაპირდაპირ ინვესტირებას გერმანულ ან არაგერმანულ ფასიან ქაღალდებში ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში, რაც გერმანიის საინვესტიციო კანონმდებლობის მიხედვით, სალისტინგო ფასიან ქაღალდებადაა აღიარებული (მაგალითად, სავალუტო ბაზრები, დერივატივები, საბანკო დეპოზიტები და უძრავი ქონება).⁵

საინვესტიციო ფონდის სხვადასხვა ტიპი გამოირჩევა გარკვეული სპეციფიკურობით, მაგრამ სხვაობის მიუხედავად, ნებისმიერი სახის ფონდი საერთო ნიშნებს მოიცავს. ესენია: ფინანსური წყაროების მოზიდვა და მათი აკუმულირება სხვადასხვა ინვესტორის მიერ, მოზიდული და დაგროვილი მატერიალური საშუალებების მენეჯმენტი, კერძო პროექტების დაფინანსების შესახებ კოლექტიური ან/და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება და მათთან დაკავშირებული პოტენციური

ფინანსური, საწარმოო, სამართლებრივი და სხვა რისკების დონის განსაზღვრა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება და გამოყენება.

საინტერესოა, საინვესტიციო ფონდების ქართული საკანონმდებლო განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ახალი სპეციალური კანონი ამოქმედდა, მასში უშუალოდ „საინვესტიციო ფონდის“ სამართლებრივი დეფინიცია განმარტებული არ არის. თუმცა, ახალი კანონისაგან განსხვავებით, „საინვესტიციო ფონდის“ საკანონმდებლო განმარტება მოცემულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 55-ე პუნქტში, რომლის მიხედვით: „საინვესტიციო ფონდი არის იურიდიული პირი ან კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც იქმნება ინვესტორის ფულის აკუმულირებისა და განთავსების მიზნით.“⁴⁶

გამომდინარე იქიდან, რომ „საინვესტიციო ფონდების“ შესახებ საქართველოს კანონი ფონდის ერთ-ერთ ნაირსახეობად მხოლოდ ანგარიშვალდებულ საწარმოს აღიარებს (კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის მეორე წინადადება), უმჯობესი იქნებოდა, რომ ზემოხსენებულ დეფინიციაში „იურიდიული პირი,“ ჩანაცვლდეს „ანგარიშვალდებულ საწარმოთი.“ ასევე საგულისხმოა, რომ ყველა ტიპის კერძოსამართლებრივი იურიდიული პირი ვერ იქნება ანგარიშვალდებულ საწარმო.

საყურადღებოა განსახილველი კანონის პირველი მუხლი: „კანონის რეგულირების სფერო,“ რომლის მიხედვით: „ამ კანონის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდების სახეების განმარტება, მათი შექმნისა და საქმიანობის განსაზღვრა.“⁴⁷ კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ მისი მთავარი დანიშნულებაა საკანონმდებლო დონეზე საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრა, ხოლო კანონი უშუალოდ იმის განმარტებას არ იძლევა, თუ რას შეიძლება წარმოადგენდეს ამ სამართლებრივი ურთიერთობის მთავარი ობიექტი – „საინვესტიციო ფონდი.“

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება, თუ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლის ის ნაწილი, რომელიც იძლევა საინვესტიციო ფონდების ერთგვარ დეფინიციას, ამოღებულ იქნას და საინვესტიციო ფონდის სათანადო განმარტება გაიწეროს „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის პირველ მუხლში. მას მერე, რაც კანონით რეგლამენტირებული იქნება მისი მოქმედების მთავარი ობიექტის სამართლებრივი დეფინიცია, საკანონმდებლო დონეზე უფრო მარტივი იქნება საინვესტიციო ფონდების სახეების განმარტება და მათი შექმნისა და ოპერირების სამართლებრივი რეგლამენტაციის განსაზღვრა.

საინვესტიციო ფონდის სპეციფიკის უკეთ დახასიათებისათვის საგულისხმოა ფონდის მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების გამოვლენა კლასიკური კერძოსამართლებრივი იურიდიული პირისაგან და ერთობლივი საწარმოსგან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებსა და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.“⁴⁸

ერთი შეხედვით საინვესტიციო ფონდი იურიდიული პირის ნიშნებს მოიცავს, რაც გამოიხატება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად მის შექმნასა და საქმიანობაში, საკუთარი კაპიტალის კონცენტრირებასა და ორგანიზაციის სახელით განსაზღვრული გარიგებების დადებაში. ფონდის სპეციფიკა

ვლინდება იმაში, რომ მასში გაერთიანებულია ინვესტორთა გარკვეული ჯგუფი, სადაც შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური პირები, ასევე მსხვილი კომპანიები. თუმცა, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონი არ იძლევა განმარტებას, პასუხისმგებლობის თუ რა მოცულობაზე შეიძლება იყოს საუბარი ფონდის კრედიტორთა წინაშე. ასევე, განსახილველი კანონით დაურეგულირებელია პასუხისმგებელი სუბიექტი და პასუხისმგებლობის შეზღუდვის მასშტაბები.

იურიდიული პირი, მისი მრავალფეროვანი ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაცილებით ტევადი ინსტიტუტია, ვიდრე საინვესტიციო ფონდი.

განსახილველი კანონით რეგულირებული საინვესტიციო ფონდებისა და ამავდროულად, იურიდიული პირის ერთ-ერთ სახეს მხოლოდ ღია სააქციო საზოგადოება წარმოადგენს. კერძოდ, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით განისაზღვრება: „სააქციო საინვესტიციო ფონდი – სააქციო საზოგადოება, რომელსაც შეიძლება მართავდეს პირი ან პირთა ჯგუფი და რომლის ერთადერთი საქმიანობაა აკუმულირებული ფინანსური აქტივების ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირება და მასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების განხორციელება. სააქციო საინვესტიციო ფონდი ანგარიშვალდებული საწარმოა.“⁴⁹ აღნიშნული დებულებით დასტურდება საინვესტიციო ფონდისა და იურიდიული პირის განსაზღვრული ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმისა და სპეციფიკური ტიპის (ანგარიშვალდებული საწარმო) იგივეობა.

საინვესტიციო ფონდისა და იურიდიული პირის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია, რომ აქციონერის მსგავსად, ფონდის მონაწილეთა ინდივიდუალური/კორპორაციული მიზანი მოგების მიღებაა, თუმცა, საინვესტიციო ფონდი, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია არ არის მოგებაზე ორიენტირებული, რასაც ვერ ვიტყვით სააქციო საზოგადოებაზე.

საპაიო საინვესტიციო ფონდის სახეებისაგან განსხვავებით, რომელიც თავისი სტრუქტურული მოწყობისა და ფუნქციური დატვირთვით აბსოლუტურად ემიჯნება კლასიკურ კერძოსამართლებრივ იურიდიულ პირს, განსახილველი კანონის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილი საინვესტიციო ფონდთა ერთ-ერთ სახედ სააქციო საინვესტიციო ფონდს აღიარებს, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლით რეგულირებული ჩვეულებრივი სააქციო საზოგადოებაა. იმისათვის, რომ სააქციო საზოგადოება იწოდებოდეს სააქციო საინვესტიციო ფონდად, იგი ორი მნიშვნელოვანი ნიშნით უნდა გამოირჩეოდეს: 1. მისი ერთადერთი საქმიანობა უნდა შემოიფარგლებოდეს აკუმულირებული ფინანსური აქტივების ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებითა და მასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების განხორციელებით. 2. ასეთი ტიპის სააქციო საზოგადოება აუცილებლად ანგარიშვალდებული საწარმო უნდა იყოს. „ანგარიშვალდებული საწარმოს“ დეფინიცია კი, წარმოდგენილია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის მიხედვით: „ანგარიშვალდებულ საწარმოდ (საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტად) მიიჩნევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები (გარდა, სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდებისა).“¹⁰

ღია და დახურული ტიპის საწარმოს შორის არსებობს რამდენიმე არსებითი სხვაობა, რომელიც ვლინდება აქციათა ემისიისა და აქციათა გადაცემის წესში, საწარმოს მართვის ორგანოების სტრუქტურირების პრინციპში, გარე აუდიტის მოწვევის ვალდებულებაში, კორპორაციული ინფორმაციის მოცულობის გამჟღავნების თავისებურებებსა და აღნიშნული ინფორმაციის ადრესატთა ვინაობის

დადგენაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ანგარიშვალდებული საწარმოების მიმართ კანონმდებლობა უფრო მეტ მოთხოვნას აწესებს, ვიდრე არაანგარიშვალდებული საწარმოს მიმართ, რაც განპირობებულია საწარმოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ არსებული და პოტენციური ინვესტორების სრული და ობიექტური ინფორმირებით, მათი სამართლებრივი ინტერესების დაცვითა და გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორთა მხრიდან პოტენციური სამართლებრივი და ფინანსური რისკების შემცირებით.

ქართული კანონმდებლობა და საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ ანგარიშვალდებულ საწარმოებს კორპორაციული მართვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, სამართვად და მისი განვითარებისათვის მოეთხოვებათ უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ეს არაანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაშია მოთხოვნილი. მეტწილად, გამართული კორპორაციული მართვის სისტემა განაპირობებს ანგარიშვალდებული საწარმოს წინაშე წარდგენილი საკანონმდებლო მოთხოვნების სრულად და უპირობოდ შესრულების მნიშვნელოვან წინაპირობას.

იმისათვის, რომ ახალი კანონის ძალით შენარჩუნდეს საინვესტიციო ფონდის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის თვითმყოფადობა და არ მოხდეს მისი არევა იურიდიულ პირთან (სპეციფიკური ანგარიშვალდებული საწარმოს გარდა), უმჯობესი იქნება ამა თუ იმ ინიციატივის დაფინანსება ფონდის მიერ ბენეფიციარი კომპანიის კერძო კაპიტალში დროებითი ინვესტირების გზით მოხდეს, რაც გულისხმობს შესაბამისი მოგების/წაგების არსებობისას, საკუთარი წილის გასხვისების სავალდებულოობის იმპერატიული მოთხოვნის კანონმდებლობაში ასახვას.

რაც შეეხება საინვესტიციო ფონდსა და ერთობლივ საწარმოს შორის არსებულ მსგავსებას და განსხვავებას, საყურადღებოა უშუალოდ ერთობლივი საწარმოს დეფინიცია, რომელიც გულისხმობს ორ ან მეტ კომპანიას შორის არსებულ პარტნიორულ ურთიერთობას ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, რისთვისაც მხარეები კაპიტალის გაერთიანების შედეგად, ახალ საზოგადოებას აყალიბებენ და შესაბამისად, საწარმოს შემოსავლები, ხარჯები და კონტროლის მასშტაბები მხარეთა შორის ადეკვატურად ნაწილდება.¹¹

ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებული მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ როგორც ერთობლივი საწარმოს, ასევე საინვესტიციო ფონდის სტრუქტურული მოწყობა გამოირჩევა ორგანიზაციული სუბიექტების, მონაწილეების სიმრავლით, მაგრამ მრავალფეროვან სუბიექტთა გაერთიანების მიზნები თითოეული მათგანისათვის განსხვავებულია. კერძოდ, საინვესტიციო ფონდი იქმნება ფინანსური აქტივების ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირების ერთადერთი მიზნით, რაც დასტურდება „საინვესტიციო ფონდების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის მიხედვით: „საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, გარდა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებისა და მათთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების განხორციელებისა. მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა. ამ პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება საინვესტიციო ფონდზე, რომელიც რეგისტრირებულია იურიდიულ პირად და არის ანგარიშვალდებული კომპანია.“¹² სამეწარმეო საქმიანობის ფართო არეალის გათვალისწინებით კი, ერთობლივი საწარმოს შექმნის მიზანი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს და ჩვეულებრივ, სააქციო საზოგადოების მსგავსად, როგორც ერთობლივი საწარმო მთლიანობაში, ასევე მისი მონაწილე თითოეული სუბიექტი ცალ-ცალკე მოგების მიღებაზეა ორიენტირებული.

ახალი კანონის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მხოლოდ რეგულირებადი საინვესტიციო ფონდების საქმიანობის საკანონმდებლო განსაზღვრა. („საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი). „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 43¹-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, საშუალებას იძლეოდა, რომ საინვესტიციო ფონდები შექმნილიყო როგორც რეგულირებადი, ასევე არარეგულირებადი ფორმით. არარეგულირებადი ფონდები ძველი რეგულაციით შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმით. აღნიშნული სიახლით ხაზი გაესვა საინვესტიციო ფონდების სახელმწიფოებრივი რეგულაციის სტანდარტს, რომელიც მათი შექმნის, საქმიანობისა და გაუქმების უფრო მნიშვნელოვან საკანონმდებლო ჩარჩოებს აწესებს და რაც თავის მხრივ, უფრო აქტუალურს ხდის საინვესტიციო ფონდების ინსტიტუციურ მნიშვნელობას. თუმცა, ახალი კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მე-3 წინადადებით შესაძლებელია, რომ საინვესტიციო ფონდი იურიდიულ პირად იყოს რეგისტრირებული, მაგრამ აღნიშნული ნორმა პირდაპირ აპელირებას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონზე არ აკეთებს.

საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებული ძველი საკანონმდებლო მიდგომით რეგულირებადი საინვესტიციო ფონდის ერთადერთ სახეს გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი (გისფ) წარმოადგენდა. ფაქტობრივად, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის ახლა უკვე ამოღებული 43²-43⁵-ე მუხლები („გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის შემქნის პროცედურა“, „გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის განაცხადი,“ და „გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მონაწილე (ინვესტორი)“ მხოლოდ საინვესტიციო ფონდების ერთადერთ და არა ერთ-ერთ სახეს „გისფ“-ს შეეხებოდა. ეს შეიძლება მივიჩნიოთ ძველი რეგულაციის ნაკლოვანებად, რომლისგან განსხვავებით, გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი რეგულირებადი საინვესტიციო ფონდის მართლაც ერთ-ერთი სახეა საპაიო, სააქციო და სხვა სახის საინვესტიციო ფონდებთან ერთად. („საინვესტიციო ფონდების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი). აღსანიშნავია, რომ გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდთან დაკავშირებით ძველი რეგულაციის 43⁵-ე მუხლი და ახალი კანონის მე-7 მუხლი: „გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მონაწილე (ინვესტორი)“ შინაარსობრივად თითქმის იდენტურია. ახალი კანონით რეგულირებული საინვესტიციო ფონდების რამდენიმე სახის საკანონმდებლო განმტკიცებას მოჰყვა მისი მე-5 მუხლის „საინვესტიციო ფონდის განაცხადი“ აშკარა განსხვავება ძველი რეგულაციის იდენტურ მუხლთან („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ადრე მოქმედი 43³-ე მუხლთან „გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის განაცხადი“). საგულისხმოა, რომ ახალი რეგულაციის ხსენებული ნორმა მოიცავს ამავე კანონით განსაზღვრული ყველა ტიპის საინვესტიციო ფონდის დაფუძნებისათვის წარსადგენი განაცხადის ატრიბუტიკას, რასაც ვერ ვიტყვით ძველ რეგულაციაზე, იმ მართივი მიზეზის გამო, რომ მასში მხოლოდ გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდთან დაკავშირებული საკითხები იყო რეგულირებული.

ახალი კანონის მე-4 მუხლი: „საინვესტიციო ფონდის შექმნის პროცედურა“ ასახავს ყველა ტიპის საინვესტიციო ფონდის დაფუძნებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პროცედურებს. სტანდარტულ დებულებებთან ერთად აღსანიშნავია მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები: ა) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის საწყისი კაპიტალი არ შეიძლება იყოს 500 000 (ხუთასი ათას) ლარზე ნაკლები. აღნიშნული მინიმუმი მიღწეული უნდა იქნას

საზედამხედველო ორგანოში ფონდის რეგისტრაციიდან 1 წლის განმავლობაში; ბ) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის მონაწილეთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს 50-ზე მეტი. აღნიშნული მაქსიმუმის გადაჭარბების შემთხვევაში, ფონდი უნდა დარეგისტრირდეს სააქციო საინვესტიციო ფონდად.⁴³ ციტირებული დებულებებით ხაზი გაესვა (გისფ)-ის ოპერირების მნიშვნელობას, მით უფრო, რომ ძველი რეგულაცია მხოლოდ (გისფ)-ს განიხილავდა ერთადერთ საინვესტიციო ფონდად. საგულისხმოა, რომ ძველი რეგულირებით დადგენილი არ იყო (გისფ)-ის საწყისი კაპიტალისა და მისი მონაწილეების რაოდენობის ლიმიტები. აღნიშნული სიახლით კი, გამოიკვეთა და დაიხვეწა გამოცდილ ინვესტორთა საინვესტიციო ფონდის შექმნისა და საქმიანობის საკანონმდებლო სტანდარტები.

გარკვეული შინაარსობრივი ურთიერთწინააღმდეგობა შეინიშნება განსახილველი კანონის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილის პირველ წინადადებაში. კერძოდ, მე-7 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით: „საინვესტიციო ფონდის წილის, აქციების ან პაის მფლობელის ინვესტირებულ თანხაზე ნამატი (ამონაგების, დივიდენდის, (გარდა, საინვესტიციო ფონდიდან მიღებული დივიდენდისა) ან სხვა სახით) საინვესტიციო ფონდიდან ამ პირის გასვლამდე (წილის, აქციების ან პაის რეალიზაციამდე) განიხილება დამატებით ინვესტირებულ თანხად.“ კანონი ღიად ტოვებს კითხვას, თუ რომელ „ამონაგებზე, დივიდენდზე“ საუბარია, ვინაიდან იქვე უთითებს „(გარდა საინვესტიციო ფონდიდან მიღებული დივიდენდისა).“ ასევე გაურკვეველია „ინვესტირებულ თანხაზე ნამატის“ გაიგვიება „ამონაგებთან, დივიდენდთან,“ ვინაიდან ინვესტირებულ თანხაზე ნამატი შეიძლება განხორციელდეს საინვესტიციო ფონდის წილის, აქციების ან პაის მფლობელის ინდივიდუალური გადაწყვეტილებით, როგორც დამატებითი ინვესტიცია ფონდში საკუთარი წილის მასშტაბის გაზრდის მიზნით. აღნიშნული კი, არ გულისხმობს მის მიერ ამ დივიდენდით საინვესტიციო ფონდში „დამატებით ინვესტირებად,“ რაც სცილდება განსახილველი კანონის რეგულირების მიზნებს. დასმული პრობლემის საფუძველს ფონდის წილის, აქციების ან პაის მფლობელის მიერ საინვესტიციო ფონდის საქმიანობიდან მიღებული დივიდენდისა და ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული დივიდენდის არევა წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ განსახილველი კანონის მე-3 მუხლის მე-7 ნაწილის პირველი წინადადება საერთოდ ამოღებული იქნება, ვინაიდან საინვესტიციო ფონდის წილის, აქციების ან პაის მფლობელის შემოსავლის წარმოშობას ისედაც ადასტურებს მუხლის მე-7 ნაწილის მეორე და მესამე წინადადება და ნორმის პრობლემური პირველი წინადადება გაუგებარს და ბუნდოვანს ხდის ფულადი ამონაგების, დივიდენდის მნიშვნელობას და ასევე ართულებს საინვესტიციო ფონდში დამატებით ინვესტირებული თანხის წარმოშობის წყაროს დადგენას.

საინტერესოა, თუ ვინ მოიაზრება კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის პირველ წინადადებაში აღნიშნული „დაკავშირებული პირის“ ქვეშ („საინვესტიციო ფონდი ვალდებულია ჰყავდეს აუდიტი, რომელიც არ უნდა იყოს დაკავშირებული პირი“).¹⁴ ქართულ კანონმდებლობაში „დაკავშირებული პირის“ ჩამონათვალს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი იძლევა, რომლის მიხედვით, დაკავშირებული პირი არის: „ა) ფიზიკურ პირთან ნათესაური კავშირის მქონე ის პირი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ირიცხება კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან I და II რიგში; ბ) საწარმო, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს არსებითი ზემოქმედება მოახდინოს

ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე; გ) იმ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ისეთ წილს, რომელიც მას პრაქტიკულ საშუალებას აძლევს, არსებითი ზემოქმედება მოახდინოს ამ საწარმოს გადაწყვეტილებებზე; დ) იურიდიული პირის შემთხვევაში: დ.ა) პირის მმართველი ორგანოს წევრი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი; დ.ბ) პირის პარტნიორი ან დამფუძნებელი, რომელსაც პრაქტიკული საშუალება აქვს, ზემოქმედება მოახდინოს ამ იურიდიული პირის გადაწყვეტილებებზე.⁴⁵

როგორც აღინიშნა, კლასიკური გაგებით, საინვესტიციო ფონდი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს (სააქციო საინვესტიციო ფონდის გარდა) და ამიტომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის“ შესახებ საქართველოს კანონის ციტირებული ნორმის შინაარსმა საინვესტიციო ფონდის რეგულირების მიზნებისათვის შესაძლოა სრულად ვერც მოიცავს „დაკავშირებული პირის“ განმარტება. ასევე, „დაკავშირებული პირის“ ჩამონათვალში შეინიშნება საწარმოს/იურიდიული პირის ფაქტორი და მათთან დაკავშირებული პირები. აქვე აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო ფონდის შემთხვევაში დაკავშირებული პირი უფრო მრავალრიცხოვანი შეიძლება იყოს, ვიდრე ჩვეულებრივ, იურიდიული პირის შემთხვევაში, ვინაიდან საინვესტიციო ფონდის წილის, აქციების ან პაის მფლობელი თავის მხრივ, შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური ინვესტორი, ასევე მსხვილი საწარმო, რომელსაც შეიძლება არა ერთი შვილობილი კომპანია ჰყავდეს. ასეთი კომპანია შეიძლება იყოს საინვესტიციო ფონდის რომელიმე ინვესტორის შვილობილი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ან/და დირექტორთა საბჭოს წევრის განსაზღვრული პროცენტულობით პირდაპირ საკუთრებაში არსებული კომპანია. შესაბამისად, რთულია განსახილველი კანონის ფარგლებში ნახსენები ტერმინის – „დაკავშირებული პირი“ პირდაპირი იდენტიფიცირება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინოლოგიასთან. ამიტომ სასურველია, რომ ან განსახილველი კანონის მიზნებისათვის ცალკე გაიწეროს „დაკავშირებული პირის“ ჩამონათვალი ან შესაბამისი ცვლილება შევიდეს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტში და აღნიშნული ნორმის გამოყენების თაობაზე მინიშნება გაკეთდეს „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში.

იმის გამო, რომ საინვესტიციო ფონდი სხვადასხვა მსხვილ ინვესტორს აერთიანებს, დიდია იმის ალბათობა, რომ ფონდის მმართველად ან მმართველებად წარმოდგენილი იყვნენ მისი რომელიმე მონაწილე კორპორაციის წარმომადგენლები (ეს შეიძლება იყვნენ მონაწილე კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრები, შვილობილი კომპანიის მმართველები და სხვა). ცხადია, რომელიმე მონაწილე ინვესტორთან დაკავშირებული პირის წარმოდგენა საინვესტიციო ფონდის მენეჯმენტში პოტენციურად საფრთხეს შეუქმნის ფონდის დანარჩენი ინვესტორების ინტერესს, რაც შესაძლოა გამოვლინდეს ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენებასა და მისგან დამდგარი ზიანის მიყენებაში. იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაცული იყოს საინვესტიციო ფონდის წილის, აქციების ან პაის მფლობელი თითოეული ინვესტორის ინტერესი, უმჯობესია განსახილველ კანონში წარმოდგენილი იყოს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს მსგავსი რისკების წარმოქმნის ალბათობას. კერძოდ, საზედამხედველო ორგანოში საინვესტიციო ფონდის განაცხადის აუცილებელი რეკვიზიტების ჩამონათვალში (კანონის მე-5 მუხლი) უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ ფონდის მმართველი ან მმართველები არ უნდა წარმოადგენდნენ მის არცერთ მონაწილესთან დაკავშირებულ პირს/პირებს.

ასევე, დაკავშირებულ პირებთან მიმართებაში აღსანიშნავია განსახილველი კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვით: „თუ გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდს მომსახურებას უწევს დაკავშირებული პირი ან ამ ფონდის მმართველი ან რეგისტრირებული მესაკუთრე არის დაკავშირებული პირი, საინვესტიციო ფონდი ვალდებულია ეს ინფორმაცია საჯარო გახადოს.“¹⁶ გაუგებარია, თუ რატომ არ ვრცელდება აღნიშნული წესი საინვესტიციო ფონდების სხვა სახეებზე და რატომ შეეხება იგი მხოლოდ გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდს. ინვესტორთა უფრო მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უმჯობესი იქნება, თუ ციტირებული ნორმა საინვესტიციო ფონდის ყველა სახეზე გავრცელდება და აღნიშნულის შესახებ განსახილველ კანონში სათანადო ცვლილება შევა.

ნებისმიერი სახის საინვესტიციო ფონდის გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, რომ საინვესტიციო ფონდის განაცხადის ჩამონათვალში აღნიშნულ პირველ მოთხოვნასთან – „კომპანიის რეკვიზიტები“ (კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) წარმოდგენილი იყოს შესაბამისი მონაწილე კომპანიის წესდებაც, ვინაიდან სამომავლოდ, ფონდის კაპიტალის გაფართოების მიზნებისათვის ნებისმიერი ინვესტორის ინტერესის სფერო იქნება მონაწილე კომპანიისათა კორპორაციული მართვის თავისებურებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება. ასევე საგულისხმოა, რომ ფონდის მონაწილე ინვესტორის წესდების წარმოდგენის ვალდებულებას არც განსახილველი კანონის საფუძველზე შემუშავებულ „საინვესტიციო ფონდების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 14 თებერვლის #22/04 ბრძანებაში არის წარმოდგენილი.¹⁷ ამიტომ მივიჩნევთ, რომ მარეგისტრირებელ ორგანოში აღნიშნულის თაობაზე დეტალური ინფორმაციის წარდგენა პოზიტიურად აისახება როგორც საინვესტიციო ფონდზე, ასევე პოტენციური ინვესტორების ინტერესებზე.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, მიუხედავად იმისა, რომ „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი უამრავ შინაარსობრივ ხარვეზს მოიცავს, სათანადო საკანონმდებლო ცვლილებებით შესაძლებელია მათი გამოსწორება. არსებული ხარვეზების არსებობა არ არის გასაკვირი, ვინაიდან როგორც წინამდებარე ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, საქართველოში პირველად შემუშავდა მსგავსი კანონი და ბუნებრივია, მას სრულყოფილებაზე პრეტენზია ვერ ექნება. ხარვეზების გამოსწორება დროსა და საინვესტიციო ფონდების სამუშაო პრაქტიკაზე დამოკიდებული. თუმცა, მათი არსებობის მიუხედავად, მისასაღმებელია ქართულ კანონმდებლობაში საინვესტიციო ფონდებისათვის დამოუკიდებელი კანონის შემუშავება, ვინაიდან ამით აღნიშნული ფინანსური ინსტიტუტის დიდ საჭიროებას გაესვა ხაზი. სამომავლოდ კი, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ფონდების წარმატებული საქმიანობა მნიშვნელოვანი საწინდარი იქნება საქართველოში კაპიტალის ბაზრების განვითარების მიმართულებით.

შენიშვნები:

- ¹ <http://www.investopedia.com/terms/i/investment-fund.asp>
- ² სოლომონ სონლულაშვილი, საინფორმაციო ფურცელი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტისთვის, საქართველოს პარლამენტი, 2013.
- ³ საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
- ⁴ იქვე.
- ⁵ http://www.ashurst.com/doc.aspx?id_Content=3626 გვ. 3.
- ⁶ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
- ⁷ საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
- ⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა
- ⁹ საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
- ¹⁰ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
- ¹¹ <http://ja-ye.eu/f/d/ewb-joint-venture-definition.pdf>
- ¹² საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
- ¹³ საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა
- ¹⁴ იქვე.
- ¹⁵ საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
- ¹⁶ საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
- ¹⁷ იხ.: საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 14 თებერვლის №22/04 ბრძანება „საინვესტიციო ფონდების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ, კომპიუტერული პროგრამა „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
2. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 14 თებერვლის #22/04 ბრძანება „საინვესტიციო ფონდების საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ, „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა.
5. სოლომონ სონლულაშვილი, საინფორმაციო ფურცელი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტისთვის; საქართველოს პარლამენტი, 2013.
<http://www.investopedia.com/terms/i/investment-fund.asp>.
http://www.ashurst.com/doc.aspx?id_Content=3626.
<http://ja-ye.eu/f/d/ewb-joint-venture-definition.pdf>.

LEGAL REGULATION OF INVESTMENT FUNDS IN GEORGIA AND SOME ISSUES FOR IMPROVING THEM

LEVAN KOKAIA

Invited Lecturer at the Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

The paper highlights important aspects of the new law of Georgia on Investment Funds, which regulates one of the financial institutes – investment funds.

The author provides an overview of the definitions stipulated in the Law of Georgia on Investment Funds and Securities Market, also the universally recognized definitions, common features of investment funds and various kinds of funds as well.

Significant emphasis is laid on the determination of similar and differentiating institutional signs of investment funds, legal entities and joint enterprises. Besides, the specificities of “accountable company” is also described, as one of the types of an investment fund – equity fund.

Besides, the author discusses several differentiating signs of principle between the old and new regulations of investment funds, and speaks about the importance of an investment fund of experienced investors. The article presents various formats to stress the necessity of integrating the institute of stakeholders in the law of Georgia on Investment Funds based on a new approach.

In conclusion, the author shares the opinion about importance of addressing the gaps in the new legislative regulation of investment funds and developing the capital markets in Georgia due to the effects of improved legislation.

მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის თავისებურებანი

დავით ლობჯანიძე

კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტი

მშობელთა უფლება, რომ მონაწილეობა მიიღონ შვილის აღზრდაში „აბსოლუტურ“ უფლებას წარმოადგენს და არავის შეუძლია ხელყოს მათი განხორციელება. ამიტომ, კანონით უზრუნველყოფილია აღნიშნული უფლების დაცვა კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. შვილების აღზრდის საკითხის გადაწყვეტა მშობელთა შეთანხმების საფუძველზე ხდება. დამოუკიდებლად ვერც ერთი მშობელი ვერ გადაწყვეტს შვილის აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხს. განქორწინების შემთხვევაშიც კი, ორივე მშობელს თანასწორი უფლებები აქვთ შვილების მიმართ. განქორწინების შემდეგ, მშობელთა ურთიერთობა შვილების მიმართ გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც განაპირობებს დედისა და მამის ცალ-ცალკე ცხოვრება. ამ დროს, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული თუ რომელი მშობელთან უნდა ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი შვილები, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შვილების აღზრდის საკითხს წყვეტს სასამართლო. აღნიშნული საკითხი შეიძლება მაშინაც იქნას განხილული, როდესაც მშობლები განქორწინებულნი არ არიან, მაგრამ ცალ-ცალკე ცხოვრობენ და ვერ თანხმდებიან შვილისათვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე. საკითხის გადაწყვეტაში სასურველია, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართვა.

შვილების აღზრდის საკითხის გადაწყვეტა და მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპს და ამან ხელი უნდა შეუწყოს მშობელთა მიერ მათი უფლებამოსილების დაცვას.

სასამართლო პრაქტიკაში დავებს ბავშვის აღზრდისა და მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც განქორწინება რეალურად არ შემდგარა, მაგრამ ინიცირებული იყო ერთ-ერთი მხარის მიერ. ანუ მხარე მიმართავს სასამართლოს მოთხოვნით, რომ ბავშვს განესაზღვროს საცხოვრებელი ადგილი და ეს მოთხოვნა დაყენებულია ქორწინების შეწყვეტის (განქორწინების) მოთხოვნასთან ერთად.

ამ მოთხოვნის უფლებით სარგებლობს ორივე მეუღლე, მაგრამ ზოგადად, ბავშვისათვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას ყველაზე ხშირად ითხოვენ ქმრები, რომელთა ცოლებმაც მიმართეს სასამართლოს განქორწინებისა და ალიმენტის გადახდევინების დაკისრების მოთხოვნით. სამწუხაროდ, იშვიათი არ არის შემთხვევა, როდესაც პირი მიმართავს სასამართლოს ასეთი სარჩელით და მას არ გააჩნია სურვილი, რომ ბავშვი საცხოვრებლად თავისთან დაიტოვოს. როდესაც მხარე სასამართლოს მიმართავს სარჩელით, სასამართლომ არ უნდა გამოეყოს ცალკე წარმობად ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის (ანუ ბავშვთან ურთიერთობის საკითხის) მოთხოვნა.

მიჩნეულია, რომ აღნიშნული დავის ცალკე წარმობად გამოყოფა დაუშვებელია, რადგან თუ აღნიშნულ დავასთან ერთად განიხილება საკითხი ალიმენტის გადახდევინების შესახებ, მაშინ გადაწყვეტილების გამოტანამ ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის აღზრდის საკითხის გადაწყვეტაზეც. თუმცა, სასამართლოში მიმართვის მთავარ მოტივს წარმოადგენს, ვარაუდი, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ გააჩნია შესაძლებლობა აღზარდოს და უზრუნველყოს შვილი ნორმალური პირობებით.

აღნიშნულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნები იყოფა ორად:

1. მშობელს უნდა, რომ წამოიყვანოს თავისი შვილი მოწინააღმდეგე მხარისაგან და ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს მისი საცხოვრებელი ადგილი.
2. მხარე, რომელიც მიმართავს სასამართლოს, მოწინააღმდეგე მხარისაგან ითხოვს განსაზღვრულ დროს ბავშვთან საცხოვრებლად.

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, სასამართლოსათვის მეტად რთულია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ამასთან, არ დაირღვეს მშობლის და რაც მთავარია, ბავშვის ინტერესები.

საბჭოთა პერიოდში, სასამართლო პრაქტიკა ბავშვის აღზრდის საკითხს ხანდახან რადიკალური გზით წყვეტდა. სასამართლო არ იღებდა მხედველობაში მშობელთა უფლებებს და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, შეეძლო ბავშვი ჩამოერთმია მშობლებისათვის და სააღმზრდელო დაწესებულებისათვის გადაეცა.¹

ამის შემდეგ საოჯახო კანონმდებლობამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დღეს თუ წარდგენილ იქნა სასარჩელო განცხადება ბავშვისათვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ, სასამართლოს არა აქვს უფლება გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, ბავშვს განესაზღვრება საცხოვრებელი ადგილი იქ, სადაც არ არის მშობელთა საცხოვრებელ ადგილი.

მთავარი კრიტერიუმი, რათა დადგენილ იქნას ბავშვის საცხოვრებელი ადგილი და პირი, თუ ვისთან ერთად უნდა იცხოვროს მან, არის ბავშვის ინტერესებისა და უფლებების დაცვის კრიტერიუმი.

როდესაც სასამართლო იხილავს მშობელთა დავებს, თუ ვისთან ერთად უნდა აღიზარდონ არასრულწლოვანი შვილები, მან უნდა გაითვალისწინოს ბავშვების ინტერესები, ის თუ როგორ შეასრულებენ მშობლები ბავშვების აღზრდის მოვალეობას და საზოგადოებისათვის რამდენად სასარგებლო პიროვნებებს აღზრდიან ისინი.

ამასთან, გასათვალისწინებელია გარემოებები, რაც პირადად ეხება მშობელს: მორალური თვისებები, მატერიალური მდგომარეობა და სხვ. ასევე გარემოებები, რომელიც ეხება ბავშვებს: ასაკი, სურვილი და რამდენად მიჯაჭვულია იგი ერთ-ერთ მშობელთან.²

თუ ცალ-ცალკე მცხოვრებ მშობლებს შორის შვილის აღზრდაში მონაწილეობაზე დავაა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია განსაზღვროს თუ რა ვითარებაში, რა დროით და წესით უნდა ჰქონდეს ცალკე მცხოვრებ მშობელს ურთიერთობა შვილთან. ამან შეიძლება დადებითი შედეგი გამოიღოს. მაგრამ ზოგჯერ, მშობელი რომელიც მეუღლისადმი შურისძიების გრძნობით არის განწყობილი, ცალკე მცხოვრებ მშობელს არ აძლევს შვილთან ურთიერთობის შესაძლებლობას. ამის უფლება მას არა აქვს. ერთი მშობლის მიერ მეორისათვის შვილთან ურთიერთობის აკრძალვა არა მარტო ასეთი მშობლის უფლების დარღვევაა, არამედ იგი მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესებს. ამიტომ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, ცალკე მცხოვრებ მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

დღეს არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვს 10 წლის ასაკიდან შესაძლებლობა ეძლევა გამოხატოს ნება, თუ ვისთან ერთად უნდა იცხოვროს მშობლების განქორწინების შემდეგ. ადრე ამ საკითხზე მიმდინარეობდა მსჯელობა და ბევრი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ ბავშვს არ შეუძლია განსაზღვროს რომელიმე მშობელთან ცხოვრების უარყოფითი ან დადებითი მხარე. თუმცა, დღეს, ბავშვმა, რომლის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე მიმდინარეობს დავა, მიაღწია 10 წლის ასაკს, მან თვითონ უნდა გამოთქვას აზრი, თუ ვისთან ერთად სურს ცხოვრება და სასურველია, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს მისი ნება.

ამ საკითხის განხილვისას ყოველთვის საჭირო იყო განსაკუთრებული ყურადღება, როგორც მოსამზადებელ, ისე მთავარ სხდომაზე. ნებისმიერი ასაკისა და სქესის ბავშვი საჭიროებს ორივე მშობელთან ურთიერთობას. შესაბამისად, რთულია ბავშვის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ საქმის განხილვა მშობელთა შორის არსებული დავის დროს.

იმისათვის, რომ სასამართლომ ბავშვი აღსაზრდელად გადასცეს ერთ-ერთ მშობელს, მან უნდა გაარკვიოს ორივე მშობლის ცხოვრების პირობები, მათი დამოკიდებულება ბავშვის აღზრდის საკითხისადმი, ამასთან საჭირო არ არის მშობელთა ცხოვრების ინტიმური მხარის გარკვევა, რომელიც არ ეხება მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის საკითხს.

სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დედის მიერ შვილის მოვლა შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, სასამართლოს არ გააჩნია საფუძველი დააკმაყოფილოს მამის სარჩელი, რომლითაც ის ითხოვს შვილის მისთვის აღსაზრდელად გადაცემას. სხვაგვარად წყდება საკითხი, თუ სასამართლო დაადგენს, რომ დედა არ ასრულებს თავის მოვალეობებს და სათანადოდ არ უვლის შვილს.

ბავშვი მამას მაშინ უნდა გადაეცეს აღსაზრდელად, როდესაც დედა ეძალევა სპირტიან სასმელებს

ან ნარკოტიკულ საშუალებებს და არ გააჩნია სურვილი ნორმალურ გარემოში აღზარდოს შვილი ან თუ ათ წელს მიღწეულ ბავშვს სურვილი არ გააჩნია იცხოვროს დედასთან.

როდესაც სასამართლო იხილავს ბავშვის აღზრდის საკითხს, მან უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: მონაცემები, რომლებიც ეხება პირადად მშობლებს; მშობლის შესაძლებლობა, რომ ბავშვს დაუთმოს მაქსიმალური დრო; აქვთ თუ არა ნათესავებს ინტერესი მონაწილეობა მიიღონ ბავშვის აღზრდაში, თუ მშობელი დაკავებულია; სასიცოცხლო და მატერიალურ-საარსებო პირობები. რაც შეეხება მონაცემებს, რომელიც ეხება პირადად მშობლებს, აქ შედის პიროვნების დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური მონაცემები.

მონაცემებს, რომელიც ეხება მშობლის პიროვნებას, ასევე, განეკუთვნება ფსიქიკური და ნარკოლოგიური სტატუსი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მშობელი, რომელიც იმყოფება აღრიცხვამე ნარკოლოგიურ ან ფსიქო-ნარკოლოგიურ დისპანსერში, იშვიათად მიმართავს სასამართლოს ბავშვის აღზრდის მოთხოვნით.

უფრო რთულია ერთ-ერთ მშობელთან ბავშვის აღზრდის შესახებ საკითხის განხილვა, თუ ის ფსიქიკურად დაავადებულია ან ნერვული სისტემა აქვს დარღვეული. იმისათვის, რომ სასამართლომ დაადგინოს ბავშვის აღზრდა ასეთ მშობელთან, აუცილებელია მოწვეულ იქნას სპეციალისტი – ექიმი ან ფსიქოლოგი და ხანდახან რამდენიმე სპეციალისტიც კი. ამ სპეციალისტებმა უნდა მისცენ დამოუკიდებელი შეფასება მშობლის ფსიქიკურ სტატუსს და რაც მთავარია, თუ როგორ აისახება ეს სტატუსი ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე, იმ შემთხვევაში თუ სასამართლო გადაწყვეტილებით ბავშვი აღსაზრდელად დარჩება ამ მშობელთან.

თუ მშობელთაგან ერთ-ერთი სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის ადგილას და მისი განაჩენი არ არის შესული კანონიერ ძალაში, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განსაზღვროს იმ მშობლის საცხოვრებელი ადგილი, რომელიც არ იმყოფება თავისუფლების აღკვეთის ადგილას. მაგრამ შესაძლოა საქმე სხვაგვარადაც წარიმართოს. ბავშვი შეიძლება დარეგისტრირდეს თავისუფლებააღკვეთილი მშობლის საცხოვრებელ ადგილას, თუ ამის წინააღმდეგი არც ერთი მხარე არ არის.

აღნიშნულის გარდა, მსგავსი დავის განხილვისას სასამართლოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს მშობლის მორალურ-ეთიკური სახე, მაგრამ ამგვარი შეფასება სუბიექტურია და ის არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება სასამართლოს შეფასების კრიტერიუმს, თუ რამდენად მაქსიმალურად დაუთმობს მშობელი დროს თავისი შვილის აღზრდას, ამას სასამართლო დაადგენს წარდგენილი მტკიცებულების მიხედვით. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მშობელთა დიდ ნაწილს დრო არ რჩება საკუთარი შვილებისათვის. ამასთან, ბავშვს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ მას პირადად მშობელი აღზრდის და არა მოწვეული ძიძა.

მართალია, საცხოვრებელ პირობებს ენიჭებათ არა გადაამწყვეტი, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი იმ საკითხში, თუ რომელ მშობელთან დარჩება ბავშვი აღსაზრდელად, სასამართლოს გადაწყვეტილებით. ამ პირობებს განეკუთვნება: საცხოვრებელი ფართის ოდენობა, ბინაში არსებული კომუნიკაციები, რაც მნიშვნელოვანია საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად, რამდენად გამოსადეგია საცხოვრებელი ადგილი ბავშვის სიცოცხლისათვის და განვითარებისათვის.

საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, როდესაც მშობელს არ შეუძლია მატერიალურად

უზრუნველყოს თავისი შვილი. აღსანიშნავია, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს ბავშვის მეორე, უფრო შეძლებული მშობლისათვის აღსაზრდელად გადაცემა.

ამასთან, ბავშვის რჩენის ვალდებულება ეკისრება ორივე მშობელს, იმისგან დამოუკიდებლად თუ ვისთან ცხოვრობს ბავშვი და აქედან გამომდინარე, მატერიალურად უზრუნველყოფა შეუძლია იმ მშობელსაც, რომელიც არ ცხოვრობს ბავშვთან ერთად, ეს შეიძლება გამოიხატოს ალიმენტის დროული გადახდით.

სასამართლომ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს, რომ საკითხი მატერიალური მდგომარეობის შესახებ დამოკიდებული უნდა იყოს არა მშობლის ფინანსურ მდგომარეობაზე, ვისთანაც რჩება ბავშვი საცხოვრებლად, არამედ მის სურვილზე, რომ მიმართოს ყველანაირ კანონიერ მეთოდს ბავშვის რჩენა-აღზრდის მიზნით.

მსგავსი ხასიათის არც ერთი სასამართლო საქმის განხილვა არ უნდა მიმდინარეობდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების დასწრების გარეშე. საქმის წარმოებაში მიღებისას, სასამართლო ავალებს აღნიშნულ ორგანოებს, რომ შეამოწმონ მშობლის საცხოვრებელი ადგილის პირობები.

აღნიშნული შემოწმების განხორციელებისას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი ინახულებს ბავშვისა და მშობლების საცხოვრებელ ადგილს. ამის საფუძველზე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ადგენს დასკვნას, რომლის წარდგენა მოხდება სასამართლო სხდომაზე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ფართოდ იყენებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციას ზედამხედველობის შესახებ ან პროცესში მონაწილეობისას იძლევიან დასკვნას საკითხის განხილვისას.

იმ საქმეებში, სადაც მიმდინარეობს დავა, ბავშვის უფლებების შესახებ და სადაც ბავშვის ინტერესები არ შეესაბამება მშობლის ინტერესებს, მშობლებს ყოველთვის არ შეუძლიათ შეასრულონ თავიანთი ვიღების კანონიერი წარმომადგენლის ფუნქცია. აქ საჭირო ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს საქმეში ჩართვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198¹-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანს აქვს დაცვის უფლება მშობელთა ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობელთა (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან, განათლებასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არასათანადოდ შესრულებისას, ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს უფლება აქვს დამოუკიდებლად მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს, 14 წლის ასაკიდან კი – სასამართლოს.

ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებისთვისაც ცნობილი გახდა არასრულწლოვანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევები, ვალდებული არიან შეატყობინონ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს არასრულწლოვანის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები, ამგვარი შეტყობინების მიღებისთანავე, ვალდებული არიან განახორციელონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

არსებული აზრის მიხედვით, საოჯახო კანონმდებლობა არ იცნობს საოჯახო უფლების თვითდაცვას, რადგან მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვა საქორწინო-საოჯახო სფეროში ხორციელდება პირველ რიგში, ოფიციალური წესით.

შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ ისეთ საკითხზე, როგორცაა მაგალითად, ყოფილი მეუღლის ოჯახიდან ბავშვის ჩამორთმევა, რაც საოჯახო სამართალში უფლების დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

ეს მოქმედება შეიძლება განხორციელდეს, თუ მეუღლეს, რომელიც არ ცხოვრობს თავის შვილთან, უნდება ეჭვი, რომ ბავშვს არ ექცევა სათანადო ყურადღება და მისი ცხოვრება მეორე მეუღლის ოჯახში შეიძლება სახიფათო იყოს მისი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის. ასეთი ფაქტების აღმოჩენა მოითხოვს ოპერატიულ მოქმედებას, ამიტომ ის მშობელი, რომელიც სათანადო ზომას იღებს შვილის დასაცავად, უფლებამოსილია მოქმედებდეს დამოუკიდებლად და ამის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს სამართალდამცავ ორგანოებს.

აღსანიშნავია, რომ დისპოზიციურობის პრინციპი გამოიყენება ისეთ სასამართლო პროცესშიც, რომელიც უკავშირდება ბავშვის აღზრდას. აქედან გამომდინარე, მშობელთა შორის არსებული შეთანხმება წარმოადგენს ერთ-ერთ იურიდიულ ფაქტს, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის აღზრდის სფეროში სამართალურთიერთობის განვითარებას, მას შემდეგ რაც მოხდება განქორწინება.

მშობელთა შეთანხმება იყოფა ორ ჯგუფად: 1) შეთანხმება, იმ უფლებების განხორციელების თაობაზე, რომლითაც სარგებლობენ თვითონ მშობლები; 2) მშობელთა შეთანხმება მათი როგორც კანონიერი წარმომადგენლების მიერ ბავშვის უფლებების განხორციელების თაობაზე.³

პირველი ჯგუფი განსაზღვრავს ბავშვის ყოფნის პირობებს ერთ ან მეორე მშობელთან. მშობელთა შეთანხმება განქორწინების შემდგომ შვილების აღზრდისა და საცხოვრებელი ადგილის თაობაზე, მიზნად ისახავს მიღწეულ იქნას ოპტიმალური რეჟიმი ბავშვის ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

ზოგიერთ შემთხვევაში, როცა მშობლებს არ შეუძლიათ ან არ სურთ განახორციელონ შვილის აღზრდასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები, მაშინ ბავშვები აღსაზრდელად გადაეცემათ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებს. აღნიშნული ორგანოები თხოვნით მიმართავენ ბავშვების ბებიას და პაპას, რომ აღზარდონ თავიანთი შვილიშვილები. ამასთან, პაპა-ბებიას არ შეიძლება დაეკისროთ ვალდებულებად ბავშვის აღზრდა. თუმცა, მათ შორის არსებული ტრადიციული ურთიერთობის საფუძველზე საოჯახო კანონმდებლობა ბებიას და პაპას მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს ანიჭებს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პაპას და ბებიას იმ შემთხვევაშიც აქვთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ შვილიშვილის აღზრდაში, როცა მათ ასეთი მონაწილეობა ადრე არ მიუღიათ. თუ მშობელი ხელს შეუშლის პაპას ან ბებიას განახორციელოს თავისი უფლება, ამ უკანასკნელთა მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია დაავალდებულოს მშობლები საშუალება მისცენ პაპას და ბებიას ურთიერთობები იქონიონ თავიანთ შვილიშვილებთან, თუ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვის სწორად აღზრდას.

შენიშვნები:

¹ Определение Гражданской коллегии Верховного Суда РСФСР по делу № 32157, «Судебная практика» 1927, № 19.

² Нечаева А. М., Споры о детях, Москва, Юридическая литература, 1989.

³ Ворожейкин Е. М., Семейные правоотношения в СССР, Юридическая литература, Москва, 1972.

PECULIARITIES OF CHILD UPBRINGING

DAVID LOBZHANIDZE

Doctoral Student of the Law School of the Caucasus University

Nowadays it is important to study the peculiarities of child upbringing, as far the divorce is often followed by the claims of spouses who request involvement in child upbringing. The children are brought up equally and none of the parents can decide the child upbringing issue. Consequently, when the court hears the case on child custody, it should take all measures to ensure that the rights are not violated for any parent.

It is difficult for the court to determine the child custody issue, and it should take into account the best interests and rights of the child in this respect.

While discussing the parents' dispute on child custody, the court should also consider how the parents are going to carry out their parenting obligations, also other circumstances pertinent to the parents.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და მედია

ელენე კავთუაშვილი

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

*„მიეცით ხალხს თავის უფლება იცოდეს ფაქტები და
ქვეყანა უსაფრთხო იქნება“
აბრაამ ლინკოლნი*

საქართველოში მიმდინარე რეფორმების დღის წესრიგში დგას დემოკრატიის პრინციპზე დაფუძნებული მმართველობის უზრუნველყოფა და სწორედ ამიტომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები – მედია (როგორც მას ხშირად უწოდებენ) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს განვითარებას ამ მიმართულებით.

განვითარებულმა კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა, ერთიანი ინფორმაციული სივრცისა და რესურსების შექმნამ გამოიწვია არა მარტო მრავალი სამართლებრივი ნორმის, არსისა და მიმართულების შეცვლა, არამედ ახალი სამართლებრივი ურთიერთობის – მედიასამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა.

ჟურნალისტიკის სამართლებრივი საფუძვლები მჭიდროდ არის დაკავშირებული მასმედიის შესახებ კანონმდებლობასთან. სამართალი ამ სფეროში უნდა შეეხოს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, როგორც მინიმუმ, ორიენტირებული იყოს ისეთ სოციალურ ღირებულებებზე, როგორცაა აზრის თავისუფლად გამოხატვა, ინფორმაციის თავისუფლება, პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი, პიროვნების პატივი და ღირსება, კრიტიკის თავისუფლება და ა. შ. გამოხატვის თავისუფლება კონკურენტული უფლებათა, შეიძლება ითქვას, რომ მისი ძირითადი კონკურენტია

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. გამოხატვის თავისუფლების შესახებ ნორმები მხოლოდ ერთ რომელიმე საკანონმდებლო აქტში არ არის კონცენტრირებული. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია როგორც კონსტიტუციითა და საერთაშორისო დოკუმენტებით, ისე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. ამ თვალსაზრისით კი, უდიდეს როლს ასრულებენ ნორმა-პრინციპები, რომლებსაც შეიცავს ქვეყნის ძირითადი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულია სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. კონსტიტუციის 24-ე მუხლში კი, ნათქვამია: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით ამასთან, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ცენზურა – დაუშვებელი.“

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი კი, არეგულირებს პოზიტიური ვალდებულებების საკითხს, კერძოდ, „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაცენოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას.“

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (შემდგომ „მედიის“) საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ასევე, არეგულირებს საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ.“ მასში ასახულია თითქმის ყველა ის ძირითადი პრინციპი, რაც შექმნილია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. კანონი ფაქტობრივად, ფართოდ მიმოიხილავს იმ სფეროებს, რომლებსაც მოიცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება და რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

ინფორმაციისა და პრესის თავისუფლებას საერთაშორისო ნორმებიც იცავენ. მათგან აღსანიშნავია 1966 წელს, გაეროს მიერ მიღებული „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“, რომლის მე-19 მუხლის თანახმად, „თითოეულ ადამიანს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი ვინმეს ჩარევის გარეშე.“ თუმცა, იგივე მუხლი განმარტავს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს აზრის გამოთქმის თავისუფლება. ეს უფლება გულისხმობს, რომ შეუზღუდავად მოხდეს ყველა ინფორმაციისა და მოსაზრების მიღება-გავრცელება როგორც ზეპირად, ასევე წერილობითი და ნაბეჭდი სახით.

„ინფორმაცია ჰაერია, რომლითაც სუნთქავს ადამიანი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – მით უმეტეს, აქტუალურია ეს გამონათქვამი ინტერნეტის ხანაში, როდესაც უახლესი ინფორმაცია მოქალაქეს უშუალოდ პერსონალური კომპიუტერით ან მობილურ ტელეფონზე მიეწოდება.

მედიის როლი მეტად საპასუხისმგებლოა ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ გათვითცნობიერებული იყოს ძირითადი მისია, რაც თავისუფალ მედიას ეკისრება ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების, ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების დამკვიდრების, მართლმსაჯულების განვითარების, სამოქალაქო შეგნებისა და ინსტიტუტების განვითარების, თავისუფალი აზრის პატივისცემის, პატრიოტიზმის გაღვივების, განათლებული თაობების აღზრდის, სახელმწიფოს საყრდენის – კანონის უზენაესობის პატივისცემისა და პოპულარიზაციის მხრივ.

პრესა – პერიოდულ გამოცემათა (ჟურნალ-გაზეთების) ერთობლიობა მედიის მნიშვნელოვანი ნაწილია. „პრესა ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია კანონის უზენაესობა.“ მართალია, მისი თავისუფლება არ არის აბსოლუტური, მაგრამ ძნელია აიძულო მედია

არ გამოაქვეყნოს და არ გაავრცელოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, მით უმეტეს, თუ ის ექსკლუზიურ ინფორმაციას შეიცავს და ისეთ საკითხებთანაა დაკავშირებული, რომლებიც საზოგადოების მძაფრ ინტერესს იწვევს. რეალობაა, როცა დანაშაული მოხდება, მის გაშუქებას მედიას ვერავინ აუკრძალავს. ჟურნალისტის სტატიისადმი ან სატელევიზიო სიუჟეტისადმი ინტერესი კი, საგრძნობლად მცირდება, როდესაც ყოვნდება ინფორმაცია რეზონანსული შემთხვევის შესახებ. მედიას, ფაქტობრივად, დაკისრებული აქვს საზოგადოების „მხედველობისა და სმენის“ ორგანოს ფუნქცია. მედიას შეუძლია მოახდინოს ადამიანის ცნობიერებაზე გავლენა, დაეხმაროს ადამიანს გააკეთოს სწორი არჩევანი. ამიტომ მნიშვნელოვანია მედიამაც გაითავისოს ეს დიდი პასუხისმგებლობა და მაქსიმალურად შეეცადოს პროფესიონალიზმიდან არ გადაუხვიოს.

მედიის მიერ სასამართლო პროცესების გაშუქებამ არ უნდა დააზიანოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები. გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სისტემაში, რადგან სწორედ ის განაპირობებს სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას. სწორედ ამიტომაც, გამოხატვის თავისუფლება განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს.

ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში არაერთხელ აღნიშნა, რომ საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაცია, საიდანაც გამომდინარეობს მასმედიის უფლება მიიღოს ინფორმაცია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე და მოსახლეობის უფლება, მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია მასმედიის მეშვეობით (Sunday Times v. UK).

ცალსახაა, რომ მედიის საქმიანობა არ არის შეუზღუდავი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემოღებული სტანდარტის მიხედვით, პრესამ უნდა დაიცვას გამოხატვის თავისუფლების დადგენილი საზღვრები, განსაკუთრებით სხვების რეპუტაციისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, ამასთან, მის მოვალეობად რჩება ინფორმაციისა და იდეების გავრცელება საჯარო ინტერესების ნებისმიერ საგანზე, თავის ვალდებულებებთან შესაბამისი ფორმით.

მნიშვნელოვანია, მედიამ მუდმივად იზრუნოს სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებაზე, გარდა ამისა, მედიის მიმართ ნდობის ამაღლების ერთ-ერთ ნაბიჯად შესაძლოა მიჩნეულ იქნას ჟურნალისტების მიერ შიდა ეთიკური სტანდარტების აღიარება – ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი, რომელიც გამოიყენება როგორც შიდა რეგულაციის მექანიზმი, ერთგვარი სახელმძღვანელო, რომელიც ემყარება მორალურ პრინციპებსა და საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს.

თანამედროვე, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საზოგადოება საჭიროებს ისეთ სასამართლო სისტემას, რომელიც არა მხოლოდ დაფასებული და მისაღები უნდა იყოს მისთვის, არამედ გამჭვირვალე და სამართლიანი. ჟურნალისტებს შეუძლიათ სწორედ ამგვარი სისტემის ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას შეუწყონ ხელი სასამართლო და საკანონმდებლო საკითხების სისტემური გაშუქებით.¹

ჟურნალისტებს ხშირად საყვედურობენ არაობიექტურობასა და არაკომპეტენტურობას. უნდა გვახსოვდეს, რომ აბსოლუტურად ობიექტური არაფერია მით უმეტეს, ინფორმაცია. ჟურნალისტიკაში არსებობს სისწორისა და ობიექტურობის უტყუარი ბარომეტრი, ინფორმაცია მაშინ ითვლება მისაღებად და გავრცელების ღირსად, თუ მისი სისწორე დაგიდასტურათ სულ მცირე სამმა დამოუკიდებელმა წყარომ. სასამართლო საქმეების განხილვისას ყოველთვის უნდა იქნას დაცული მხარეთა პარიტეტი. ყოველთვის აუცილებელია გამოქვეყნებამდე იურიდიული ნიუანსები დამოუკიდებელ ექსპერტთან გადამოწმდეს. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებში მედიის ყველა

საშუალებას ჰყავს სპეციალური იურისტი, რომელთანაც ჟურნალისტი მასალის გამოქვეყნებამდე გადის კონსულტაციას.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, არასრულწლოვანი რესპოდენტების იდენტიფიცირება, ძალოვანი უწყებების პოზიციებისა და ვერსიების გაზიარება, არაეთიკური ეპითეტები, არაკვალიფიციურობა და ზედაპირულობა – ეს არის ის ძირითადი დასკვნები, რაც საქართველოში ადამიანის უფლებათა ცენტრმა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემისა და ბეტლური მედიის კვლევისას გამოიტანა.²

მედიასაშუალებებს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას პროფესიული სტანდარტის დაცვა უჭირთ. გაზეთებში გამოქვეყნებული თუ ტელევიზიით გადაცემული მასალა ხშირად, დაუბალანსებელი და მიკერძოებულია, არ ხდება ერთმანეთის მოსაზრებების გამიჯვნა. პრობლემას წარმოადგენს ჟურნალისტების კვალიფიკაციაც. ხშირია შემთხვევები, როცა ისინი კარგად ვერ ერკვევიან საკითხსა და მის სამართლებრივ ასპექტებში, საკანონმდებლო ბაზაში, ერთმანეთში ურევენ სამართლებრივ ტერმინებს, რაც მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტები კარგად არ იცნობენ სამართლის სფეროს.

ჟურნალისტი მართლმსაჯულებაზე როცა მუშაობს, უფრო მეტად არის ვალდებული, დაიცვას ბალანსი და აზრი ჰკითხოს ორივე მხარეს. ამ სფეროში იშვიათია სიტუაცია, როცა ალტერნატიული აზრი არ არსებობს, განსაკუთრებით – გამოძიების ეტაპზე, როცა ბრალდებისა და დაცვის მხარეებს რადიკალურად განსხვავებული პოზიციები აქვთ.

მედიის მიერ არასწორად გაშუქებულმა სასამართლო პროცესმა შესაძლოა ბევრი უარყოფითი შედეგი მოიტანოს. ქართველი ჟურნალისტები სასამართლო პროცესის გაშუქებისას დაწესებულ შეზღუდვებს ხელისშემშლელ ფაქტორებად თვლიან, რადგან მიიჩნევენ, რომ ტელევიზია კადრის გარეშე წარმოუდგენელია, რაც არ უნდა სრული ინფორმაცია გამოიტანოს ჟურნალისტმა სასამართლო პროცესიდან, მის მონათხრობს აუცილებლად უნდა ამყარებდეს ვიზუალური მასალა. არის მეორე მომენტიც, ეს აუცილებლად უარყოფითად აისახება მედიის სანდოობის ხარისხზე, ჟურნალისტი ვერ დაამტკიცებს რასაც ამბობს, რადგან ბევრ შემთხვევაში, მის ხელთ არსებული კადრებითაც კი, უჭირს სიმართლის დამტკიცება. თუმცა, ჟურნალისტებმა არც ის უნდა დაივიწყონ, რომ თავადვე არიან პასუხისმგებელნი სხვადასხვა საშუალებით გავრცელებული საკუთარი აზრისთვის და სიტყვის თავისუფლება არ უნდა იყოს გამოყენებული თუნდაც, იმავე უდანაშაულობის პრეზუმფციის საზიანოდ.

შეუზღუდავმა საქვეყნო სასამართლო განხილვამ შესაძლოა არასასურველი გავლენა მოახდინოს ნაფიცი მსაჯულის აზრის ფორმირებასა და მის ობიექტურობაზე. მედია, ხშირ შემთხვევაში, „მეცამეტე მსაჯულად“ გვევლინება, მას შეუძლია პოტენციური მსაჯულის განწყობა როგორც ბრალდებულის წინააღმდეგ, ისე მის სასიკეთოდ. სავარაუდო დანაშაულის თაობაზე ინფორმაციას მოსახლეობის უმეტესობა უპირველესად, მედიის საშუალებით ეცნობა. მოგვიანებით, სწორედ მათი წარმომადგენლები უნდა აღმოჩნდნენ ამ საქმის განმხილველ სხდომაზე ნაფიც მსაჯულებად. მათზე აუცილებლად ექნება გავლენა უკვე მიღებულ ინფორმაციას და შესაძლოა გარკვეული მოსაზრებებიც წინასწარ ჩამოუყალიბდეთ, რაც ხელს შეუშლით იყვნენ ობიექტურები და მიუკერძოებლები ვერდიქტის ჩამოყალიბებისას.

ნაფიც მსაჯულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შეიძლება საქმის ირგვლივ მიეწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ წინასწარ განაწყობს ბრალდების ან დაცვის მხარის სასარგებლოდ.

ასევე, შესაძლებელია მიეწოდოთ ინფორმაცია, რომელიც საქმის განხილვისას არ დადასტურდება. ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია ეხებოდეს ბრალდებულის ნასამართლობას, დაუშვებლად ცნობილ საგამოძიებო მოქმედებების შედეგებს და ა. შ.³

მედია, როგორც საზოგადოებრივი დარაჯი უნდა აფიქსირებდეს მომხდარ ფაქტს და აღწერდეს მას, მაგრამ მან თავი უნდა შეიკავოს კატეგორიული მსჯელობებისაგან და არ უნდა მოიხსენიოს კონკრეტული პირი დამნაშავედ. კანონი ცალსახად მიჯნავს ერთმანეთისაგან აზრსა და ფაქტს. აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. მაშასადამე, ცილისმწამებლური შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი განცხადება, რომელიც შეიცავს ფაქტს და არა აზრს. უურნალისტი უნდა ეცადოს იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რათა სიტყვის თავისუფლებამ არ შელახოს ადამიანის კონსტიტუციით დაცული სხვა უფლებები.

რაც შეეხება აუდიო და ვიდეო გადაღებას, ამ შემთხვევაში ერთი მხრივ, უნდა დაკმაყოფილდეს საჯარო ინტერესი და ამავდროულად, დაცული უნდა იყოს კერძო პირის კანონიერი უფლებებიც.

გამჭვირვალობის ხარისხი განსხვავებული უნდა იყოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებში. სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციული სამართალწარმოების შემთხვევებში, სადაც მხარედ ყოველთვის წარმოსდგება სახელმწიფო, ადმინისტრაციული ორგანო, საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა აშკარაა, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ერთი მხარე ყოველთვის კერძო პირია და შესაბამისად, დაცული უნდა იქნას მისი ინტერესიც. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასამართლო განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლირება დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ კერძო მხარის თანხმობის შემთხვევაში.

სამოქალაქო სამართალწარმოების შემთხვევაში, სადაც კერძო ინტერესი უფრო მაღალია, მიგვაჩნია, რომ საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლირება უნდა მოხდეს მხოლოდ მხარეთა ერთობლივი თანხმობით. ერთობლივი თანხმობა ქმნის კერძო პირთა ინტერესების დაცვის საუკეთესო მექანიზმს, მაგრამ რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას, აქ მხოლოდ განსაკუთრებული საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში უნდა იყოს შესაძლებელი სასამართლო პროცესზე ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლირება მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) გადაწყვეტილების საფუძველზე. განსაკუთრებული ინტერესი შესაძლოა არსებობდეს ისეთ საქმეებში, სადაც მხარედ მონაწილეობს სახელმწიფო მოხელე (პოლიტიკური თანამდებობის პირი) ან საქმე ეხება სამოხელეო დანაშაულს, განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულს, ტერორიზმს, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს და ა. შ. მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაძლოა დადგინდეს განსაკუთრებული საჯარო ინტერესის უფრო ფართო განმარტებაც. ამგვარი საქმის არსებობის შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებული უნდა იყოს მიიღოს სხდომის გადაღების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება. სხვა შემთხვევაში კი, დასაშვებად მიგვაჩნია პროცესის გადაღება მხოლოდ სასამართლოს მიერ, მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, საზოგადოება დაუკითხავად არ უნდა ჩაერიოს კონკრეტული ადამიანის პირად ცხოვრებაში, რადგან მსჯავრდებულს შესაძლოა არ სურდეს, რომ მისი პროცესის ამსახველი კადრები ფართო საზოგადოებისათვის გახდეს ხელმისაწვდომი.

სატელევიზიო მედიასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ პრობლემურია. იმის თქმა, რომ ტელევიზიის მეშვეობით სასამართლო პროცესის გაშუქება ყველაზე ზუსტია, რადგან „ყველას შეუძლია თავად იხილოს რაც ხდება,“ საკმაოდ გულუბრყვილოა. სატელევიზიო პროგრამა, როგორც წესი,

რედაქტირებული სახით გადის ეთერში და ისეთი ტექნიკური ხერხების გამოყენება, როგორცაა მაგალითად, ახლო ხედით გადაღება, საშუალებას მისცემს მაყურებელს, იმაზე დეტალურად დააკვირდეს პროცესის მონაწილეებსა და მათ რეაქციას, ვიდრე სასამართლო დარბაზში ყოფნის დროს შეძლებდა. სიუჟეტის შინაარსით განისაზღვრება, მთლიანი სასამართლო დარბაზის ჩვენება უნდა მოხდეს თუ პირთა გარკვეული ჯგუფის ან ერთი კონკრეტული სახის და რომელი კუთხიდან. სხვა სიტყვებით, პროგრამა შეიძლება ობიექტურობის შთაბეჭდილებას ტოვებდეს, მაგრამ სინამდვილეში ავტორის კერძო მოსაზრებებს გადმოსცემდეს. სასამართლო პროცესზე აუდიოვიზუალური მედიის დაშვების შეზღუდვა არ წარმოადგენს საჯარო სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას, რაც შეეხება იმ საკითხს, ირღვევა თუ არა ბრალდებულის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება მისი ნების საწინააღმდეგოდ, სასამართლო პროცესის ტელევიზიით გადაცემისას, ის უნდა გადაწყდეს ინდივიდუალურად, კონკრეტულ საქმეში არსებული გარემოებების საფუძველზე.⁴

არც ისაა გამორიცხული, რომ ტელეკამერების წინაშე ბრალდებულებმა და მოწმეებმა თავისი რეპუტაციის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, თავი შეიკავონ ზოგიერთ გარემოებებზე საუბრისაგან, იცრუნონ ან საერთოდ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. ის ფაქტორი, რომ მათი ჩვენებები პირდაპირ ეთერში გადაიცემა, უდავოდ მოახდენს გავლენას და შექმნის ზედმეტ დაძაბულობას სხდომის მიმდინარეობისას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სისხლის სამართალწარმოებაში „საქვეყნოობის“ უზრუნველსაყოფად, აუცილებლობას არ წარმოადგენს უშუალოდ სხდომის დარბაზიდან, როგორც თეატრალური წარმოდგენიდან პირდაპირი ტრანსლაციების მოწყობა, სისხლის სამართლის საქმის მსვლელობა შეიძლება გაშუქდეს პროცესის მონაწილეებისაგან ინფორმაციის მიღების გზით, უშუალოდ სხდომის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდეგ.⁵

ჟურნალისტები თვლიან, რომ როცა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ჩამწერ საშუალებას ვერ გამოიყენებ, ეს იგივეა, რომ ხელ-პირის დაბანისას, მარტო ცალი ხელი დაიბანო. მიიჩნევენ, რომ ამომწურავად და ზუსტად ვერ მოხერხდება ამა თუ იმ სასამართლო პროცესის გაშუქება. თუმცა, რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ჟურნალისტს აქვს შესაძლებლობა, რომ მიიღოს ყველა ის ინფორმაცია, რაც იქნება საინტერესო ამ პროცესთან დაკავშირებით და რაც არ განეკუთვნება საიდუმლოებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. აქედან გამომდინარე, ვერ ვხედავთ სასამართლო პროცესების ტრანსლირების საჭიროებას.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ საჭიროა მოქალაქეების თავისუფლების გარანტიად არსებობდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა, ხოლო „მეოთხე ხელისუფლება“ სისხლის სამართლის საქმეების გაშუქებისას, განუხრელად იცავდეს ადამიანის ღირსებასა და უფლებებს. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი როგორც მართლმსაჯულებამ, ასევე მედიამ ჰარმონიულად განახორციელონ საკუთარი საქმიანობა.

შენიშვნები:

- ¹ სასამართლო ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო, ოქტომბერი 2002, გვ. 3.
- ² ა. ცქიტიშვილი, მედია მონიტორინგმა ქართული მედიის პრობლემები გამოაჩინა – <http://humanrightshousetbilisi.wordpress.com/2012/05/29/>
- ³ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2012, გვ. 97.
- ⁴ შ. ტრეკელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 153.
- ⁵ ა. კახნიაშვილი, სიტყვის თავისუფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, „რეზონანსი“, 1998 წელი, 8 ივნისი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, კომპ. პროგრამა „კოდექსი 2007“ – კოდიფიცირებული კანონების საძიებო სისტემა;
2. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, თბილისი, 2004 წლის 24 ივნისი;
3. საქართველოს კონსტიტუცია;
4. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“, 1966;
5. „გამოხატვის თავისუფლება“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელება), ევროპის საბჭო, მე-2, ქართული გამოცემა, 2008;
6. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2012;
7. სასამართლო ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო, სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE და ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი ICFJ, ოქტომბერი 2002;
8. ა. ბარამიძე, გამოხატვის თავისუფლება ქართულ სამართალში, ლექცია N3;
9. შ. ტრეკელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009;
10. ზ. ადეიშვილი, მედია და კანონი, თბილისი, 2004;
11. ა. კახნიაშვილი, სიტყვის თავისუფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია, „რეზონანსი“, 1998 წელი, 8 ივნისი.
12. ა. ცქიტიშვილი, მედიამონიტორინგმა ქართული მედიის პრობლემები გამოაჩინა. იხ.: <http://humanrightshousetbilisi.wordpress.com/2012/05/29/>

CRIMINAL JUSTICE AND MEDIA

ELENE KAVTUASHVILI

Doctoral student at University of Georgia

The article “Criminal Justice and Media” – outlines the issue of free collection and dissemination of information, and discusses the problem of wrong coverage of court sessions by the media. Obviously, it is a responsibility of the media to disseminate information and opinions regarding the political and other issues of public interest, and the public has the right to receive it. However, it becomes necessary to set reasonable limitations for the freedom of speech when covering the criminal cases, which serves the goal of respecting the privacy of individuals and protecting the judiciary power from a certain type of influence. It is necessary to ensure that first and foremost the law enforcement bodies, and the mass media as well, respect the dignity and honor of every individual, as one of the safeguards of a democratic state.



საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
tel-faxsi/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01



9 771512 259002